


114  
1953



# მნათობი

11

სტობაობა



1953

# მნათობი

უმველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საბარტველოს საბოტოთა მფარლები კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეათე

11

★



ნოემბერი 1930 წლის  
საბოტოთა მფარლები კავშირის ორგანო  
თბილისი 53



საქართველოს  
წიგნების კავშირი

# ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავი



აბხ. კ. ე. ვოროჟილოვის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო  
სხდომაზე 1953 წლის 6 ნოემბერს

ამხანაგებო!

დღეს ჩვენი სამშობლოს ხალხები და მთელი მსოფლიოს მშრომელები  
ზეიმით აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდა-  
მეთექვსმეტე წლისთავს.

ოცდათექვსმეტი წლის წინათ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა უღარიბეს  
გლეხობასთან კავშირით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, კაცობ-  
რიობის გენიის უკვდავი ლენინის მეთაურობით გაარღვია იმპერიალიზმის  
ფრონტი და დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში დაამყარა პროლეტარიატის  
დიქტატურა, მუშათა და გლეხთა ხელისუფლება.

1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება  
ნიშნავდა ძირეულ მობრუნებას კაცობრიობის მსოფლიო ისტორიაში.

და დიდი ოქტომბრის ყოველ ახალ წლისთავზე სულ უფრო მკაფიოდ  
და დიდებულად ისახება მთელი მსოფლიოს წინაშე გამარჯვებული სოცია-  
ლიზმის მძლავრი შემოქმედებითი ძალა.

ჩვენმა საბჭოთა ხალხმა, რომელსაც დიადი კომუნისტური პარტია ხელ-  
მძღვანელობს, ისტორიაში პირველად ააშენა სოციალისტური საზოგადოება,  
სხვა ქვეყნების ხალხებს უჩვენა ექსპლოატატორთა ბატონობისაგან განთავის-  
უფლების გზა, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების გზა. ახლა ამ გზით  
ჩვენთან ერთად მიდიან დიდი ჩინელი ხალხი, სახალხო-დემოკრატიული ქვეყ-  
ნებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირი ხალხი, რომელმაც  
დაიკვა თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა იმპერიალისტ მტაცებელთა  
წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ბრძოლაში, უდიდესი შრომითი აღმაელო-  
ბით აღადგენს ომით დანგრეულ მეურნეობას.

საბჭოთა ხალხი, რომელიც აღსავსეა უშრეტეი შემოქმედებითი ძალებით,  
ოქტომბრის ოცდამეთექვსმეტე წლისთავს ხვდება დიდი წარმატებებით სამეურ-  
ნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

ჩვენი წარმატებანი მშვიდობიან მშენებლობაში შეადგენენ საბჭოთა ხალ-  
ხის სიამაყეს, ამ წარმატებებით ამაყობენ სხვა ქვეყნების მშრომელებიც. საბ-  
ჭოთა კავშირი მათ მიაჩნიათ მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის

ბურჯად, კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლის დიად მაგალითად.

ამხანაგებო!

წელიწადი, რომელიც დიდი ოქტომბრის ოცდამეთხუთმეტე წლისთავს გვაშორებს, აღსაესე იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებით.

პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებაში ისტორიული ეტაპი იყო კომუნისტური პარტიის XIX ყრილობა. მან ცხადყო საბჭოთა ხალხის ერთიანობა და უსაზღვრო ნდობა თავისი, ბრძოლებში ნაცადი კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტისადმი. ჩვენი ყრილობის გადაწყვეტილებებმა საბჭოთა ადამიანები აღაფრთოვანეს ახალი საგმირო საქმეებისათვის.

პარტიისათვის, საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის, მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის განვლილ წელს მძიმე დანაკლისი იყო ჩვენი დიდი ბელადის, გენიალური მხედართმთავრის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალება.

30 წელიწადს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ი. ბ. სტალინი, რომელმაც ხალხისა და პარტიის საერთო აღიარება და უსაზღვრო ნდობა მოიხვეჭა და რომლის გარშემო ერთსულოვნად იყვნენ დარაზმული მისი ერთგული თანამებრძოლნი, განუხრელად მიუძღოდა პარტიას და ჩვენს ქვეყანას ლენინის გზით. ამ წლების მანძილზე ჩვენი ქვეყანა ბრძოლებში, სძლევდა რა ისტორიაში უმაგალითო სიძნელებებს, გაიზარდა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ. უმაგალითო ძლიერებით გამოვლინდნენ ჩვენი ხალხის, ისტორიის ნამდვილი შემოქმედის, ახალი, კომუნისტური საზოგადოების მშენებლის შემოქმედებითი ძალები.

ჩვენი კომუნისტური პარტია, რომელიც შექმნეს და აღზარდეს გენიალურმა ლენინმა და მისი უკუდავი საქმის განმგრძობმა დიდმა სტალინმა, ძლიერია ხალხთა მასების უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით. თავისი ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით ჩვენი პარტია მტკიცე რწმენით მიუძღვის ჩვენს ქვეყანას ახალი გამარჯვებებისაკენ კომუნისმისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ წელს აღნიშნა ღირსშესანიშნავი ისტორიული თარიღი — თავისი ცხოვრების ორმოცდამეათე წლისთავი. მეფისა და მემამულურ-კაპიტალისტური ულლისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის, საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის, კომუნისმის გამარჯვებისათვის ნახევარი საუკუნის გმირული ბრძოლით ჩვენმა სახელოვანმა პარტიამ დაიმსახურა ჩვენი სამშობლოს მშრომელთა და მთელი მსოფლიოს ფართო მასების უსაზღვრო სიყვარული.

დიდება ჩვენს დიად კომუნისტურ პარტიას და მის მებრძოლ შტაბს — ცენტრალურ კომიტეტს! (მ ქ უ ხ ა რ ე, ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

ამხანაგებო!

კომუნისტური პარტიის პოლიტიკის სასიცოცხლო ძალა ის არის, რომ იგი, გამოხატავს რა ხალხის ძირეულ ინტერესებს, ემყარება საზოგადოების განვი-

თარების ობიექტური კანონების ღრმა მეცნიერულ ცოდნას. კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე პარტია თავის პოლიტიკაში მუდამ ხელმძღვანელობს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონით — მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით.

კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი წარმატებით ასრულებს ხუთწლიანი გეგმის დავალებებს.

1953 წლის ათი თვის განმავლობაში ჩვენი სოციალისტური მრეწველობის მუშაობის შედეგები გვიჩვენებენ, რომ ხუთწლიდის მესამე წლის გეგმა წარმატებით სრულდება.

მრეწველობის საერთო პროდუქცია მიმდინარე წლის განვლილ ათ თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10,5 პროცენტით გადიდდა და 1940 წლის დონეს აღემატება დაახლოებით ორნახევარჯერ.

სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგი ვითარდება ტექნიკური პროგრესის საფუძველზე. მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, ახალი უაღრესად მრავალნაირი, დიდი წარმადობის, მძლავრი ჩარხებისა და მექანიზმების, უახლესი სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოებაში დანერგვა კომუნისმის მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის წარმატებით შექმნის ერთ-ერთი მკაფიო მანქანებისა.

უეჭველი წარმატებებია მეცნიერებისა და სოციალისტური კულტურის განვითარებაში.

საბჭოთა მეცნიერები განუწყვეტლივ ამდიდრებენ მეცნიერებას უახლესი აღმოჩენებით ცოდნის ყველა დარგში. ჩვენი ხალხი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობა ყველა თავის მეცნიერს, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებს და კანონიერად ამაყოფს მათი გულმოდგინე და საპატიო შრომით სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ვითარდება საბჭოთა ხალხის ლიტერატურა და ხელოვნება. საბჭოთა მწერლები, თეატრის მოღვაწეები, მხატვრები, კომპოზიტორები შრომობენ ხალხის საკეთილდღეოდ.

მართალია, ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ვაკმაყოფილებთ საბჭოთა ადამიანების მზარდ სულიერ მოთხოვნილებას, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ლიტერატურის, კინოსა და თეატრის მუშაკები, მხატვრები და კომპოზიტორები, ხელოვნების ყველა სხვა დარგის მოღვაწეები მთელ ძალებს მოახმარენ თავიანთი ოსტატობის სრულყოფას და შექმნიან ისეთ ახალ ნაწარმოებებს, რომლებიც ღირსეულად ასახავენ ჩვენი ხალხისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხების გამირულ ცხოვრებასა და ბრძოლას.

სოციალისტური ეკონომიკისა და მეცნიერების განვითარებაში მოპოვებულმა წარმატებებმა უზრუნველყვეს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილ-

დღეობის შემდგომი აღმავლობა. უკანასკნელ 28 წელიწადში სახალხო მოხმარების საგნების წარმოება ჩვენს ქვეყანაში თორმეტჯერ გადიდდა. 1953 წელს სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მოცულობა შემადგენლად 1940 წლის დონეს 72 პროცენტით გადააჭარბებს.

წელს წარსული წლების მაგალითისამებრ პარტიამ და მთავრობამ განხორციელეს სამრეწველო და სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების სათვალავით მეექვსე შემცირება, რის შედეგად მოსახლეობამ სხვა შემოსავლის დამატებით 46 მილიარდი მანეთი მიიღო. თუ ამასთან გავითვალისწინებთ, რომ ფასების ახალმა შემცირებამ გამოიწვია საქონლის გაიაფება საკოლმეურნეო ბაზარზეც, მაშინ მოსახლეობის მოგება წელიწადზე გაანგარიშებით სულ ცოტა 53 მილიარდ მანეთს შეადგენს.

1953 წლის ათ თვეში მოსახლეობას მიეყიდა 20 პროცენტით მეტი საქონელი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

საქონელბრუნვის შემდგომი გაშლისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად სავაჭრო ქსელი უკვე წელს წლიური გეგმის დამატებით მიიღებს 37 მილიარდ მანეთისაზე მეტ საქონელს.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთავარ ამოცანას შეადგენს. თავის სიტყვაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგ გ. მ. მალენკოვმა განსაკუთრებული ზაზგასმით აღნიშნა, რომ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას საშინაო პოლიტიკის დარგში თავიანთ მთავარ ამოცანად მიაჩნიათ ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება.

ამის შესაბამისად პარტიამ და მთავრობამ ამ ბოლო დროს მიიღეს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი, რომელთა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობა, სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარება, საბჭოთა ეპრობის გადაჭრით გაუმჯობესება და საქონელბრუნვის დიდი ზრდა, საბინაო მშენებლობის გაფართოება და მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი.

ყველა ეს გადაწყვეტილება გამსჭვალულია პარტიისა და მთავრობის დიდი ზრუნვით ხალხის კეთილდღეობისათვის, იმისათვის, რომ მოკლე ვადაში მნიშვნელოვნად ავამაღლოთ ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ცხოვრების დონე.

ეს ისტორიული გადაწყვეტილებანი მოასწავებენ ახალ ეტაპს საბჭოთა ეკონომიკის განვითარებაში, როცა ჩვენ, მძიმე ინდუსტრიის განვითარების სწრაფ ტემპთან ერთად, ვსახავთ სახალხო მეურნეობის იმ დარგების მკვეთრი აღმავლობის ამოცანას, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან სახალხო მოხმარებას. სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის დაჩქარებული განვითარების პოლიტიკა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შემდგომი ლო-

ვიკური განვითარება და სავსებით შეესაბამება სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონისა და მთელი სოციალისტური სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონის მოთხოვნებს.

ამხანაგებო!

პარტია და მთავრობა დიდად ზრუნავენ ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა, რომელიც სპეციალურად მიეძღვნა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხს, ყოველმხრივ განიხილა ეს საკითხი და მიიღო ისტორიულად დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი. აღნიშნა რა დიდი წარმატებები სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამასთან მთელი ბოლშევიკური პირდაპირობით მიგვითითა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი ჩამორჩება მრეწველობის ზრდის ტემპსა და მოხმარების საგნებზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა ზრდას. თავის ვრცელ მოხსენებაში პლენუმზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენში შეიქმნა აშკარა შეუსაბამობა ერთი მხრივ ჩვენი მსხვილი ინდუსტრიის, ქალაქის მოსახლეობის, მშრომელი მასების მატერიალური კეთილდღეობის ზრდის ტემპსა და მეორე მხრივ სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე დონეს შორის.

სოფლის მეურნეობის ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგების ჩამორჩენა, როგორიც არის მეცხოველეობა, კარტოფილის, ბოსტნეულის წარმოება, ანელებს მსუბუქი და კვების მრეწველობის შემდგომ განვითარებას და ძლიერ აფერხებს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება და პარტიისა და მთავრობის შემდგომი გადაწყვეტილებანი ითვალისწინებენ დიდ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცება, მეცხოველეობის განვითარება, ბოსტნეულის, კარტოფილის წარმოების გადიდება, მარცვლეული, ტექნიკური და ზეთოვანი კულტურების მოსავლიანობის გადიდება, და ამ საფუძველზე კოლმეურნე გლეხობის მთელი მასის კეთილდღეობის აუცილებელი გაუმჯობესება.

სერიოზული ღონისძიებებია დასახული მტკნების მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისათვის. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები საკოლმეურნეო წყობილების ინდუსტრიული, მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა. საჭიროა, რომ ისინი მთლიანად გახდნენ გადაწყვეტი და მაროგანიზებელი ძალა საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში.

დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად და სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად უკვე 1953 წელს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სახელმწიფო

ბიუჯეტით, სხვა სახელმწიფო სახსრებიდან, აგრეთვე თვით კოლმეურნეობათა სახსრებიდან დაბანდებულ იქნება დაახლოებით 70 მილიარდი, მანეთი, წელს სოფლის მეურნეობა მიიღებს 150 ათას ტრაქტორს (15-ძალიანზე გადაყვანით), 22 ათას კომბაინს და ორ მილიონზე მეტ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღსა და მანქანას. ეს დიდი დახმარებაა.

მაგრამ ჩვენი საკოლმეურნეო მეურნეობისადმი ყველა სახეობის დახმარებიდან უმნიშვნელოვანესია დახმარება კადრებით. კადრები წყვეტენ ყველაფერს. ახლა, როცა პარტიას და მთელ ხალხს სურთ, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა, მალე ავიდეს სოციალისტური ინდუსტრიის, მშრომელების მზარდ მოთხოვნილებათა დონეზე, ხოლო კოლმეურნეობებისა და თვითთული კოლმეურნის შემოსავალი მკვეთრად გადიდდეს, პარტიამ მიმართა სოფლის მეურნეობის ყველა სპეციალისტს და მექანიზატორს მოწოდებით — ჩადგენ პირველ რიგებში პურის, ხორცის, რძის, კარტოფილის, ბოსტნეულის წარმოების გადიდებისათვის ბრძოლის ხაზზე. პარტიის ამ მოწოდებამ მხურვალე გამოხმაურება პპოვა, და უკვე ბევრმა სოფლის მეურნეობის სპეციალისტმა, ინჟინერმა და ტექნიკოსმა დაიწყო მუშაობა მტს-ებსა და კოლმეურნეობებში.

პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტაში დიდია პარტიული ორგანიზაციების, კომკავშირის, კოლმეურნე ქალების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული და უპარტიო მუშაკების როლი. მხოლოდ მათი შრომითი ერთეულობით, მათი ქმედითი შემოქმედება უზრუნველყოფენ მოკლე ვადაში სოფლის მეურნეობის ყოველმხრივ განვითარებას, მისი შემოსავლიანობის გადიდებას.

ამხანაგებო!

დიდი ამოცანის — ჩვენს ქვეყანაში მოხმარების საგნების სიუხვის შექმნის წარმატებით გადაწყვეტა პირდაპირ დამოკიდებულია ჩვენი მრეწველობის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაზე. სამეურნეო ხელმძღვანელობის სრულყოფა, სამრეწველო საწარმოთა მუშაობის კულტურის ამაღლება, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდება, სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და თვითღირებულების შემცირება ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

თვითღირებულების შემცირება სოციალისტური დაგროვების უმნიშვნელოვანესი წყაროა. ცნობილია, რომ მარტო 1952 წელს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით ჩვენმა ქვეყანამ მიიღო 46 მილიარდი მანეთი ეკონომია. ეს კი მხოლოდ ნაწილია იმისა, რის მიღებაც შეიძლება, უკეთ რომ ვმუშაობდეთ.

ამავე დროს ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი ფაბრიკა და ქარხანა, რომლებიც ვერ ასრულებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის სახელმწიფო დაგალებებს, უშვებენ წუნს მუშაობაში, ცუდად იბრძვიან პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის.





რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წელი. ეს არის არა მარტო რუსებისა და უკრაინელების დიდი დღესასწაული — ეს არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა ხალხის დიდი ზეიმი.

რუსი და უკრაინელი ხალხების და ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა სხვა მრავალი ხალხის ძმური, ურღვევი კავშირი და მეგობრობა საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს უძლეველი ძალების წყაროა.

გაუმარჯოს დიდი საბჭოთა ქვეყნის ხალხების ურღვევ ძმურ მეგობრობას! (მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით).

ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის ძღვევამოსილი მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცება. საბჭოებმა, როგორც სახელმწიფო მმართველობის ახალმა, ყველაზე დემოკრატიულმა ფორმამ, გაუძლეს განსაცდელს ხალხის ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფო, სრულყოთ საბჭოების მუშაობა, განვამტკიცოთ მათი კავშირი ხალხის უფართოეს მასებთან.

ამავე დროს ჩვენი ამოცანაა — ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები, რომლებიც დგანან ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სადარაჯოზე, ჩვენი მშვიდობისმოყვარე ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სადარაჯოზე. (ტაშით).

საბჭოთა ადამიანები აღსავეს არიან ენერგიით და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იშრომონ კომუნისმის მშენებლობაში ახალი მიღწევებისათვის, სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის. კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზით ჩვენი ქვეყნის შემდგომი წარმატებითი წინსვლის საწინდარია.

**ამხანაგებო!**

კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მშვიდობიანი შემოქმედებითი მუშაობის უდიდესი გაქანება, უმაგალითო მასშტაბისა და მნიშვნელობის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესება, მთელი სიცხადით მოწმობენ ჩვენი პარტიისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის პოლიტიკის მშვიდობის მოყვარულ ხასიათს.

საბჭოთა მთავრობა მისთვის ჩვეული ენერგიითა და თანმიმდევრობით მუდამ ახორციელებდა და ახორციელებს მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, ყველა ქვეყანასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარების, საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების პოლიტიკას.

ჩვენი საგარეო პოლიტიკის ეს გენერალური გეზი ურყევი იყო და ურყევი რჩება.

იმპერიალისტების ბანაკი ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული ძალების მეთაურობით ადგას ახალი ომის მზადების გეზს. ყველამ იცის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების გულმოდგინე მცადონობით გრძელდება და სულ უფრო ჩაღდება «ცივი ომი». კი არ წყდება, არამედ ძლიერდება აღვირაზსნილი ბინძური ცილისმწამებლური კამპანია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებში ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის დემონსტრაციულად ხარჯავს ასეული მილიონობით დოლარს, განაგრძობს გამაღებელი შეიარაღების პოლიტიკას, აკოწიწებს სამხედრო დაჯგუფებებს და გაძლიერებით ქმნის სამხედრო ბაზების ხშირ ქსელს უშუალოდ დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების საზღვრების ახლოს. რასაკვირველია, არ შეიძლება, რომ ყველა ამ ფაქტმა არ გამოიწვიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის სერიოზული შეშფოთება.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში დიდი წვლილია კორეაში დაზავებაზე შეთანხმების ხელის მოწერა და სისხლისღვრის შეწყვეტა. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მხარდამხარ დაუცხრომლად იბრძოდა კორეელი ხალხისათვის თავსმოხვეული ამ სასტიკი, უსამართლო, დაპყრობითი ომის შეწყვეტისათვის.

ახლა, როცა აგრესორთა გეგმები კორეაში ჩაიფუშა, უსარგებლო არ იქნება, თუ ერთხელ კიდევ გავიხსენებთ კორეის ომის ზოგიერთ საგულისხმო ფაქტთილს.

იმპერიალისტი აგრესორები ოცნებობდნენ კორეაში შეიარაღებული ინტერვენციის გზით დაემოხებინათ კორეელი ხალხი, ხოლო ამასთანავე სისხლში ჩაეხშოთ აზიისა და წყნარი ოკეანის ხალხთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, ხალხებისა, რომლებიც დაირაზმნენ თავიანთი დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

მაგრამ აგრესორები ბუზობენ, ხოლო ხალხები, რომლებიც თავიანთ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იცავენ, — საქმეს წყვეტენ.

კორეის ამბებმა ცხადყო, რომ აზიის ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან თავიანთი ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არ დაუშვან შორეულ აღმოსავლეთში ახალი მსოფლიო ომის კერის შექმნა.

იმპერიალისტებმა უნდა შეიგნონ ის ქეშმარიტება, რომ დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა მათ განუკითხავად შეეძლოთ მბრძანებლობა კოლონიური და დამოკიდებელი ქვეყნების დამონებულ ხალხებზე. ამ ხალხების ისტორიულ ბედში ძირეული გარდატეხა მოხდა. აზიის ხალხებს სურთ თავიანთი მიწა-წყლის სრული ბატონ-პატრონი და თავიანთი ბედის განმგებელი იყვნენ.

აზიაში იშვა დიდი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც როგორც აზიაში, ისე მთელ მსოფლიოში

მშვიდობისა და პროგრესის სტაბილიზაციის ფაქტორია. ეს დიდი ქვეყანა ხელს უშლის იმპერიალისტებს დაუსჯელად განახორციელონ ახალი მსოფლიო კომის კერად აზიის გადაქცევის პოლიტიკა. იგი აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა მძლავრი ბურჯია თავისუფლების, დემოკრატიისა და ნამდვილი დამოუკიდებლობისათვის მათს ბრძოლაში.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შევეხოთ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოზიციას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენას. ეს პოზიცია, უეჭველია, ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენარჩუნებას. არ შეიძლება დიდი ჩინელი ხალხის უგულვებელყოფა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემათა, კერძოდ, იმ პრობლემათა გადაჭრამი, რომლებიც შორეულ აღმოსავლეთს შეეხება. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის აქტიური მონაწილეობის მიუღებლად შეუძლებელია სერიოზულად ვილაპარაკოთ საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებისა და აზიის პრობლემათა მოწესრიგების შესაძლებლობაზე.

კორეაში დაზავების მიღწევამ ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელებისათვის. მაგრამ ეს ხელსაყრელი როდია იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის, რომელთა გეგმებში არ შედის საერთაშორისო ურთიერთობის ნორმალიზაცია. ამას მოწმობს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ დასავლეთის სახელმწიფოები დუმილით უვლიან გვერდს საბჭოთა წინადადებას — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელთა თათბირზე განხილულ იქნას საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების საერთო ღონისძიებანი. ამასვე მოწმობს ის პოზიციაც, რომელიც უკავიათ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს კორეის შესახებ პოლიტიკური კონფერენციის საკითხში. ამ პოზიციამ არ შეიძლება არ შეაშფოთოს ყველა ისინი, ვინც ესწრაფვის კორეის პრობლემის რაც შეიძლება მალე საბოლოოდ მოწესრიგებას და შორეული აღმოსავლეთის სხვა გადაუქრელი საკითხის მშვიდობიან გადაწყვეტას. ამერიკის წარმომადგენლებს არა სურთ გადააქციონ პოლიტიკური კონფერენცია „მრგვალი მაგიდის“ კონფერენციად, რომელზეც ერთმანეთს შეხვედებოდნენ არა მარტო მეომარი მხარეები, არამედ დაინტერესებული ნეიტრალური სახელმწიფოები. ამვე დროს უნდა აღინიშნოს, რომ აზიის ისეთ დიდ სახელმწიფოს, როგორც ინდოეთი, ცოტა დამსახურება როდი აქვს იმაში, რომ კორეის ომს ბოლო მოეღო. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები ამჯობინებენ გვერდი აუარონ ინდოეთს, უარს ამბობენ რა მოიწვიონ იგი და მთელი რიგი სხვა ნეიტრალური ქვეყნები კორეის საკითხთა პოლიტიკურ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. როგორც ჩანს, იმპერიალისტ აგრესორებს ხელი არ აუღლიათ აგრესიის გაფართოების გზით აზიის ხალხთა დამორჩილების თავიანთ გიჟურ გეგმებზე.

ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ აგრეთვე ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ახლანდელი საერთაშორისო დამაბულობის შენელების საქმეში გერმანიის საკითხის გადაჭრას.

საბჭოთა კავშირს, რომელიც ზრუნავს ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის და ანგარიშს უწევს გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, არაერთგზის მიუმაართავს დასავლეთის სახელმწიფოებისათვის წინადადებით გერმანიის პრობლემის სამართლიანი გადაჭრის შესახებ. საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, რომ გერმანელი ხალხის ეროვნულ მისწრაფებათა გათვალისწინებით გერმანიის საკითხი შეიძლება გადაიჭრას და კიდევაც უნდა გადაიჭრას მშვიდობის სასარგებლოდ იმ გზით, რომ მოწვეულ იქნას საზავო კონფერენცია გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების, სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის შექმნისა და სრულიად გერმანიის არჩევნების მოწყობის, ომის შედეგებთან დაკავშირებულ გერმანიის საფინანსო-ეკონომიურ ვალდებულებათა შემსუბუქების საკითხის განსახილველად.

საბჭოთა წინადადებებისადმი დასავლეთის სახელმწიფოთა დამოკიდებულება როდი მოწმობს მათს მისწრაფებას — სამართლიანად მოწესრიგდეს გერმანიის საკითხი. იგი არ მოწმობს აგრეთვე ამ სახელმწიფოთა განზრახვას არა თუ პატივი სცენ, არამედ თუნდაც ანგარიში გაუწიონ გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს. საბჭოთა კავშირის წინადადებებზე ყველა თავიანთ პასუხში ისინი გვერდს უვლიან გერმანიის პრობლემის ყველა დიდმნიშვნელოვან მხარეს, როგორც არის საზავო ხელშეკრულების, სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის, გერმანიისათვის საფინანსო-ეკონომიურ ვალდებულებათა შემსუბუქების საკითხები. ისინი პირველ პლანზე თვალთმაქცურად აყენებენ ეგრეთწოდებულ სრულიად გერმანიის არჩევნების საკითხს, თუმცა გაუგებარი ჰქნება, როგორ შეიძლება სრულიად გერმანიის არჩევნებზე ლაპარაკი, როცა გერმანია გათიშულია ორ ნაწილად, როგორ შეიძლება რაიმე არჩევნებზე ლაპარაკი, თუ გერმანიაში არ არის სრულიად გერმანიის მთავრობა.

ამასთან დასავლეთის სახელმწიფოების ყოველდღიური პოლიტიკა გერმანიის მიმართ ააშკარავებს მათს ნამდვილ განზრახვებს, რომელთა მიზანია არა მშვიდობის განმტკიცება ევროპაში, არამედ დასავლეთ გერმანიის გადაქცევა ახალი ომის კერად ევროპაში. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეები აშკარად ახორციელებენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის პოლიტიკას, ისინი აჩქარებენ იქ შეიარაღებული ძალების აღდგენას, რომლებიც, მათი განზრახვით უნდა გადაიქცნენ იმ აგრესიული „ევროპის არმიის“ ბირთვად, რომელსაც ისინი აკოწიწებენ. გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების პოლიტიკა განსაკუთრებით აშკარა გახდა ამ ბოლო დროს ბონის ბუნდესტაგის არჩევნების შემდეგ. დასავლეთ გერმანიის აგრესიული მილიტარისტული წრეები აშკარად გამოდიან რევანშისტული განცხადებებით, რომლებიც მიმართულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის,

პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ისინი გამოდიან მუქარით საფრანგეთის მტკიცებით. განსაკუთრებით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ეს გამოსვლები სავსებით მოიწონეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა, რომლებიც აცხადებენ, რომ, თუ საფრანგეთი უარს იტყვის დაამტკიცოს პარიზის ხელშეკრულება ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის შესახებ. დასავლეთი გერმანია მის აღორძინებულ შეიარაღებულ ძალებთან ერთად უშუალოდ შეეყვანილ იქნება აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში საფრანგეთისათვის გვერდის ავლით.

იძულებული არიან რა ანგარიში გაუწიონ ხალხთა მისწრაფებას მშვიდობისადმი, დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენელნი ხშირად აცხადებენ, რომ სურთ შეუთანხმდნენ საბჭოთა კავშირს გადაუჭრელ პრობლემებზე დამაბულობის შენელების მიზნით. რამდენად არ ეთანხმება ასეთი განცხადებები დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკას, შეგვიძლია დავინახოთ იმის მიხედვით, თუ როგორ უდგებიან ისინი გერმანიის საკითხის გადაჭრას. დასავლეთის სახელმწიფოები სიტყვით ემზრობიან გერმანიის პრობლემის განხილვას საბჭოთა კავშირის მონაწილეობით. საქმით კი ისინი ყოველი ღონისძიებით აჩქარებენ პარიზისა და ბონის მილიტარისტულ ხელშეკრულებათა რატიფიკაციას, რომლებიც აფართოებენ დასავლეთ გერმანიის შეეყვანას აგრესიულ ატლანტიკის კავშირში. ცხადია, რომ ამ ხელშეკრულებათა რატიფიკაცია შეუძლებელს ხდის გერმანიის გაერთიანებას ერთიან დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოდ.

დასავლეთის სახელმწიფოები ამტკიცებენ, რომ ისინი ემზრობიან საბჭოთა კავშირთან გერმანიის საკითხის განხილვას, ამავე დროს კი ლონდონის თათბირზე იღებენ სეპარატულ შეთანხმებას, რომ დასავლეთი გერმანია შეიყვანონ აგრესიულ ატლანტიკის სისტემაში, რომლის მახვილი მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. განა დასავლეთის სახელმწიფოების ასეთი პოზიცია წინასწარ უსაგნოს არ ხდის ოთხი სახელმწიფოს თათბირზე გერმანიის პრობლემის განხილვას? განა აქ ჩვენ საქმე არა გვაქვს დასავლეთის სახელმწიფოების ცდასთან — თავს მოახვიონ საბჭოთა კავშირს თავიანთი პოზიცია გერმანიის საკითხში, ხოლო თუ წარმატებას ვერ მიაღწიეს, საბჭოთა კავშირს ბრალად დასდონ, რომ მას „არა სურს“ მშვიდობიანად მოაწესრიგოს გერმანიის პრობლემა, და ამით მოატყუონ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი?

გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის მოწინააღმდეგეებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათს ყველა ხრიკს, რომელთა მიზანია ომის მომზადება, ფხიზლად ადევნებენ თვალყურს მშვიდობისმოყვარე ხალხები. ხალხები კარგად ხედავენ, თუ ვაშინგტონის არცთუ გონიერი პოლიტიკოსები ინგლისისა და საფრანგეთის ზოგიერთი მამებელი მოღვაწის ხელშეწყობით როგორ ეთანამშვიბიან ცეცხლს. აღადგენენ რა დასავლეთ გერმანიაში აგრესიის კერას.

გერმანიის გონიერ პოლიტიკოსებს არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ იმას, რომ იმ გზას რომლითაც მათი ქვეყნის წაყვანას ცდილობენ მზარდი რევანსისტები, დამლუბველი შედეგი მოჰყვება მთელი გერმანული ერისათვის.

დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და აგრესიულ ატლანტიკის კავშირში მისი შეყვანის პოლიტიკა განუხრელად დაკავშირებულია იმ პოლიტიკასთან, რომ ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში ქმნიან სამხედრო ბაზების ქსელს, რომლებიც უშუალოდ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საზღვრების ახლოს მდებარეობენ. უეჭველია, რომ ეს დემოკრატიული ბანაკის სახელმწიფოების წინააღმდეგ ომის მზადების ერთი და იმავე პოლიტიკის მხოლოდ სხვადასხვა მხარეა. მაგრამ აქედან სათანადო დასკვნებიც უნდა გავაკეთოთ.

ვინც ნამდვილად ესწრაფვის საერთაშორისო დამბულობის შენელებას, იგი გვერდს ვერ აუვლის სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის საკითხს. საბჭოთა კავშირს არაერთგზის დაუყენებია და მტკიცედ აყენებს ახლა ამ საკითხს დასავლეთის სახელმწიფოთა წინაშე. მაგრამ ისინი ყოველთვის გვერდს უვლიან მას.

უფრო მეტიც. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკანასკნელ დროს გაძლიერეს ზეგავლენა ნორვეგიასა და დანიაზე იმ საკითხში, რომ ამ უკანასკნელებმა მისცენ ბაზები, დადეს შეთანხმებანი სამხედრო ბაზების შესახებ საბერძნეთთან და ფრანკისტულ ესპანეთთან, აგრეთვე ყოველი ღონისძიებით აქეზებენ საამისოდ ირანს და ახლო და შუა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებს.

დასავლეთის სახელმწიფოები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწყვიენ ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის აკრძალვის შესახებ, დიდ სახელმწიფოთა შეიარაღებული შემცირების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღებას. ამასთან იმას იმოწმებენ, რომ ამ საკითხების განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმოებდეს. მაგრამ ცნობილია, რომ ამ საკითხებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განიხილავენ ამ ორგანიზაციის შექმნიდანვე. და უნაყოფო დისკუსიებს ბოლო არ უჩანს.

ახლა ხალხებს არ სჯერათ სიტყვები, რომლებიც საქმით არ არის განმტკიცებული. ხოლო იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მმართველი წრეების საქმიანობა სავსებით ააშკარავებს მათ როგორც მშვიდობის მოწინააღმდეგეებს, რომლებიც ხალხთა შორის მტრობის პოლიტიკას ახორციელებენ ახალი ომის მომზადების ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირი განუხრელად და თანმიმდევრულად ახორციელებს ყველა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას. ამას კერძოდ, ემსახურება აგრეთვე უცხო ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების მისი პოლიტიკა. ჩვენი ეკონომიური ურთიერთობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან წლითიწლობით ვითარდება და მტკიცდება. ამავე დროს მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერა სავაჭრო შეთანხმებებს აგრეთვე საფრანგეთთან, იტალიასთან, არგენტინასთან, ფინეთთან, შვეციასა და ბევრ სხვა ქვეყანასთან. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო დამბულობის შენელებას. ჩვენ კვლავაც ვაპირებთ ყოველი ღონისძიებით შევეწყოთ ხელი სახელმწიფოთა შორის ვაჭრობის გაფართოებას ურთიერთ ხელსაყრელ საფუძველზე.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეით მჭიდროდ შეკავშირებული დემოკრატიისა და სოციალიზმის ქვეყნების მძლავრი ბანაკი მტკიცედ მადის წინ ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში შემდგომი აღმავლობის გზით, სულ უფრო დიდ და კეთილმყოფელ გავლენას ახდენს საერთაშორისო ვითარებაზე პროგრესის, მშვიდობისა და დემოკრატიის სასარგებლოდ.

მშვიდობისათვის მებრძოლი ძალები განუწყვეტლივ იზრდებიან, მტკიცდებიან და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების დიდმნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენენ. საგულისხმოა, რომ ქალთა, ახალგაზრდობისა და პროფკავშირების მსოფლიო კონგრესებმა, რომლებიც წელს გაიმართა, ცხად-ყვეს მილიონობით ადამიანის მხურვალე მისწრაფება ერთიანობისადმი ბრძოლაში, გამალებული შეიარაღებისა და მშრომელთა უფლებებისა და თავისუფლებებზე კაპიტალისტური მონოპოლიების შეტევის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთიანობა მშრომელთა ძალაა, ყველა იმ ადამიანთა ძალაა, რომელნიც გამს-ქვალულნი არიან სურვილით — თავიდან აიცილონ ომი, დაიცვან მშვიდობის საქმე. (მ ქ უ ხ ა რ ე ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი)

ამხანაგებო!

საბჭოთა წყობილება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ოცდათექვსმეტი წლის წინათ წარმოიშვა ოქტომბრის გამარჯვების შედეგად, წლითიწლობით სულ უფრო დიდ გარდამქმნელ გავლენას ახდენს მსოფლიო ისტორიის მსვლელობაზე. ოქტომბრის რევოლუციის მიერ გამოცხადებული პრინციპები ახლ გახდა გიგანტური ძალა, რომელიც მჭიდროდ აერთიანებს სოციალიზმისა და დემოკრატიის მძლავრ ბანაკს, თავისუფლებისა და პროგრესისათვის თავდადებით საბრძოლველად რაზმავს სულ ახალ და ახალ მილიონობით მშრომელ ადამიანს.

აღვნიშნავთ რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდამეთექვსმეტი წლისთავს, ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ იმ წარმატებებით, რომლებიც საბჭოთა კავშირის ხალხებმა მოიპოვეს.

ჩვენს წინაშე დიდი ამოცანები დგას. მათი გადაწყვეტისათვის საჭიროა ძალების ახალი დაძაბვა, მზადყოფნა და მტკიცე გადაწყვეტილება — დაძალოთ ყოველგვარი სიძნელე, რომელიც გზაზე გველობება. მაგრამ საბჭოთა ადამიანებს არასოდეს არ შინებიათ სიძნელეებისა. ჩვენ შეგვიძლია სრული რწმენით ვთქვათ, რომ საბჭოთა ხალხი, რომელსაც ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს — მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ყოვლისმძლე მოძღვრებით შთაგონებული, განუხრელად ივლის წინ კომუნისმის მშენებლობაში ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად. (ტ ა შ ი).

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავს! (ტ ა შ ი).

გაუმარჯოს ხალხთა შორის მშვიდობას! (ტ ა შ ი).

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს! (ტ ა შ ი)

ლენინ — სტალინის დროში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ კომუნისმის გამარჯვებისაკენ! (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი, მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი. დ ა რ ბ ა ზ შ ი გ ა ი ს მ ი ს შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი სა ბ ჭ ო თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ს პ ა ტ ი ვ ს ა ც ე მ ა დ, მ ი ს ი ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ა და საბჭოთა მთავრობის პ ა ტ ი ვ ს ა ც ე მ ა დ).





გალაქიონ გაბიაძე  
საქართველოს სახალხო პოეტი

## ოქტომბრის ღრუბით



... და საამაყო იმ წოდებას,  
 სახალხო მგოსანს,  
 სპორტპოეზი რომ მეძახის  
 ახალი ხანა,  
 მიტომ ვატარებ, რომ ეგ ჩანგი  
 მარად სხივოსან  
 რევოლუციის დროს ხელთ მეპყრა,  
 როგორც შაშხანა!  
 შენ, ჩემო ხალხო! სიყვარულით  
 გამომარჩიე,  
 რადგან დავხატე ძლიერება  
 შენთა იმედთა,  
 ის ნებისყოფა, რომლის ძალით  
 მტარვალეებს სძლიე,  
 რომ ოქტომბრის შეილს ოქტომბერი  
 მიმანდა დედად!  
 გულით ვიგრძენი შე იმეამად  
 ჩაუქრობელი  
 წკრიალა ხმები ძლიერ ჩანგის,  
 გამნათი თალხის,  
 როცა მორთოლვარე სიმთა ეღერით  
 ახლის შშობელი  
 ალტაცებათა დღით გამთბარი  
 ხარობდა ხალხი!  
 მზეს, მდინარეთ, კლდეთ, ამ ველებსა  
 და მთებს ტყიანებს  
 ბედნიერ დღეთა სიხალისით  
 მივესალმები.  
 ვაგებ: გაშალეთ გამარჯვების  
 ყველა ღრუბები,

140760

536x

საქართველოს  
 ბიბლიოთეკის  
 ბიბლიოთეკა  
 ბიბლიოთეკა





ვერარა ძალა ამ გზებს ველარ  
 დააზიანებს.  
 დულს და გადადულს დაუცხრომელ  
 ძლიერ ტალღებით  
 თუჯი, ფოლადი და ლითონი  
 ფერად-ფერადი,  
 მიგვიყვანს უკვდავ სიმღერამდის  
 მხნე სიმღერამდის,  
 სიმართლისათვის გულმოდგინე  
 ხმის ამაღლებით.  
 აშენეთ სწრაფად, ჩააყენეთ  
 მწყობრში შახტები,  
 დაე, ისმოდეს ერიამული  
 ჭაბურღილთ ბურღვის,  
 მაშ გაუპარჯოს მისწრაფებას  
 დიდსა და ურღვევს,  
 განუხრელ ზრდისთვის კიდევ უფრო  
 მძლავრი გახდები.  
 მე ვესალმები ახალ, მშრომელ  
 ადამიანებს,  
 შავი ოქროსი, ქვანახშირის  
 უხვი მარაგით;  
 აღჭურვილს ახალ მანქანებით  
 და იარაღით.  
 ვერარა ძალა მის სვლას ველარ  
 დააზიანებს.  
 ხანა ელვარებს საღებავთა  
 ფერით მდიდარი,  
 ასწიეთ მაღლა ელექტრომზე  
 ახალ იერით,  
 ქიმიის გზები შეაერთეთ,  
 გააძლიერეთ,  
 რადიოტალღა განამტკიცეთ,  
 განავითარეთ!  
 ლამაზ ქსოვილით, ხე-ტყის ძღვერით  
 და ნავთის ხვავით  
 მატარებლების და ჰაეროს  
 გათრენით დიდით  
 ასწით, დასძარით, წინ წასწიეთ  
 სწრაფი ტვირთზიდვით,  
 სამშობლოს ჩვენის ძლიერება  
 უზრუნველყავით!  
 მსოფლიოს მოედოთ ელვარება  
 ოქტომბრის გიმის,  
 ის ეშორება ენერჯით  
 უცხრომლად მზარდით,



ინტეგრალების სიუხვითა  
 და სიდიადით  
 ყველგან ბრწყინავენ ვარსკვლავები  
 აკადემიის.  
 აქ ეშურება ნედლეულით  
 მიწათმოქმედი,  
 იგი ამზადებს, აფართოებს  
 და ეუფლება  
 შრომის სიმალლეს... მარადისი  
 იცვლება ხედი,  
 სწორ-უპოვარი აქ ბატონობს  
 თავისუფლებას  
 ოქტომბრის სხივით დიდ ჩინელ ხალხს,  
 გმირულ კორეას  
 ხალხთა ურღვევი მეგობრობის  
 ახალ ქარტიის,  
 ქვეყნები რომ ჩანს დღეს სახალხო  
 დემოკრატიის,  
 არ ათქმევინებს ერთა ძმობა:  
 „რა სიშორეა!“  
 ოქტომბრის სხივით გერმანიის  
 გაბრწყინებულ თვალს,  
 დღე ეუბნება: მომავალი  
 უცხრომლად ზარდეთ,  
 ახლოა ბალი, მოფენილი  
 იით და ვარდით,  
 წინ რომ ეწევა მშვიდობისთვის  
 თავდადებულ ხალხს.  
 არ არის რამე გადუქრელი  
 ანუ სადავო,  
 ძმობა ინგლისის, ამერიკის  
 შტატების, ჩვენი  
 კავშირის ხალხთა მეგობრობას  
 რომ გაუმარჯოს,  
 დაძაბულობა შეანელოს,  
 გაასადავოს.  
 მკიდრო ერთობა, მშვიდობისთვის  
 დარის-დარობა,  
 ხალხთ მეგობრობას უაღერსებს  
 ის მომავალი,  
 ჩვენი კავშირის მგზნებარება,  
 შორსმჭვრეტი თვალი,  
 დიდი პარტიის, მშრომელების  
 სოლიდარობა.



# სომხეთში



## ოჯახი, დროშა, ჭეშმარიტება

სიტყვები—ოჯახი, დროშა, ჭეშმარიტება—ერთდამავე მნიშვნელობით იხმარება ქართულსა და სომხურ ენებში.

ოჯახი, დროშა, ჭეშმარიტება, —  
ეს სამი სიტყვა ერთი გეჟონია,  
ამ სიტყვებს თარგმნა არა სჭირდება,  
დედის კალთაშიც გაგვიგონია.

სადაც კერა აქვს წმინდა, ნათელი,  
ხარობს ცოლ-შვილით, ყანით, ვენახით,  
ოჯახს

ეძახის ყველა ქართველი,  
ყველა სომეხი ოჯახს ეძახის.  
წინ რომ უძლოდათ ომში მხედართა,  
დღეს რომ შრომაში ჰფარავთ

კალთებით,  
დროშას  
ეძახის, დროშას ეძახდა  
ყველა სომეხი, ყველა ქართველი.

თუ ჰკითხავ: რაა შენი დიდება,  
გზას რით მიიკვლევ, როგორც  
სანთელით,

სომეხი გეტყვის:  
— ჭეშმარიტება! —  
— ჭეშმარიტება! — გეტყვის ქართველი.

და მათი ჟღერა ვით არ მიყვარდეს,  
ქართული არის, სომხური არის.  
როგორც ჯავშანზე, ამ სამ სიტყვაზეც  
გადატეხილა მომხედურის ხმალი.

ოჯახი, დროშა, ჭეშმარიტება, —  
ეს სამი სიტყვა ერთი გეჟონია,  
ამ სიტყვებს თარგმნა არა სჭირდება,  
დედის კალთაშიც გაგვიგონია.

## ალბათ თვითონვე დაიჯერებდა...



ქართველი მემკვიდრის ცნობით, ჰაოსი და ქართლოსი ძმები იყვნენ.  
ქართველები და სომეხები ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ.

ძველი ზღაპრების არა ვიცი—რა,  
როგორც ლამეში სხივმა ელვარემ,  
ბევრმა თვალდათვალ გაიციმციმა  
და მიეფარა დროთა მწვერვალებს.

ბევრი სულს ლაფავს ოდნავ მბეჭუტავე,  
ბევრი კვლავ გულზე შექად გვედება.

ყური დაეუგდოთ—გვიხმობს მუდარით  
ძველი თქმულება, ძველი ლეგენდა.

მე არ მჯეროდა „ქართლის ცხოვრების“,  
ვამბობდი: ესეც ზღაპარს მაგონებს...  
არა მჯეროდა ჩვენშიც, სომხეთშიც  
რომ ერთი ენით ლაპარაკობდნენ.



## ბალადა წყაროებისა



ერევანში, მდინარე ზანგას ნაპირზე სამამულო ომის გმირ ძეგლები — წყაროები.

## 1

წყაროს ტკბილი ჩუხჩუხი  
ქვეყნად ვის არ უქია,  
წყარო მარადისობის  
მოლიველივე შექია.

წყარო ენად აუღვამთ  
მინდრებსა და მთა-გორებს,  
უდაბნოში სიციხლის  
გაცინებას გვაგონებს.

და ალბათ თქვენც ფიქრობდით  
უცდავეების წყაროზე,  
წინაპრებმა სიმღერით,  
ლექსებით რომ დალოცეს.

როცა სატრფოს თვალბში  
წყაროს კამკამს უცქერდით  
და წყაროს ხმად გესმოდათ  
საუბარი გულწრფელი,

როცა წყაროს ხედვობდით  
ჯეჯილელებში ჩახატულს,  
როცა ეწაფებოდით  
წიგნში ცოდნის ნაკადულს,

როცა აკვირდებოდით  
წყაროსთვალა ყვავილებს, —  
ნატვრა წყაროდ ყოფნისა  
იქნებ ფიქრში გაივლეთ.

იქნებ წყაროდ ჩუხჩუხი  
ხალხის გულში გინდოდათ,  
წყაროობას ნატრობდით,  
ხალხის გულს კი მინდოდათ.

და როდესაც წყველი  
მტერი თავზე დაგვესხა,

როცა წყაროც,  
მდინარეც  
სისხლის ღვარმა წარეცხა,

მტერს შევებით, ვერაგთა  
არ იცოდით დანდობა  
და სამშობლოს შესწირეთ  
თქვენი ახალგაზრდობა.

## 2.

... ვერა, მტერმა წყველმა  
გული ველარ დაფლითა,  
წყაროებად ქვეულებართ,  
ვნახეთ ზანგას ნაპირთან.

ხალხის გულზე გაბმულხართ  
უცდავეების სიმებად,  
ვნახე თქვენი ციმციმი  
და წკრიალით დინება.

გამარჯობათ, გმირებო,  
თბილისური საღამო!  
დასტურ, თქვენთვის ყოფილა  
დედის ძეძუ ალალი.

ერევანში გიხილეთ,  
მოგზაჩენიათ იარა,  
მწვანე გვირგვინს გადგამენ  
ხის ტოტები შრიალა.

მომხდურს ერთად მუსრავდით  
რუსები თუ სომხები,  
ახლა გამარჯვებულნი  
ერევანში მოხვედით.

მოხადით და შიმოგყვით  
მთებში სტეპთა ნიავე...  
მხარს ომშეენებ ზოიას  
ნელსონ სტეფანიანი.

წყაროს ენა აგიდგამს  
გმირთა-გმირთა ზოია,  
და წყაროს ხმა მე შენი  
წყრილა ხმა მგონია.

ნელსონ სტეფანიანო,  
მაღალ მთების არწივო,  
მტერთა რისხვევ, ბალტიის  
შევ ღრუბლებში დაკრილო,

თუმც ბალტიის ზვირთებმა  
ჩაიხუტეს სხეული,  
იქნებ ისევ აფრინდი  
მსუბუქ ნისლად ქცეული,

იქნებ წვიმად ეპყურე  
სოფლებსა და ქალაქებს  
და ერეენის ქუჩებში  
წყაროდ გამოანათე.

ოლეგ, ასე პატარამ  
რისხვა დიდი იცოდი,  
შენ იცავედი სიცოცხლეს  
საკუთარი სიცოცხლით.

და ეს წყარო ლაპლაპა,  
მთებში ჩაუკეტავი,  
შენს უდროო კალარას  
რად მაგონებს ნეტავი...

ძმაო, ოგანიანო,  
მხარს უმშვენებ ჩეკალინს.  
ერთად დგახართ, სამშობლოს  
გზებიც ერთად შეჰყარით.

შენ ომამდე განთქმული  
გქონდა ბალიც, ბოსტანიც,  
წყარო ჩქეფდა სიცოცხლის,  
სიხალისის მომტანი.

იმ ბალიდან წაბვედი,  
ბრძოლის ცეცხლში იარე,  
მეგობარო, დღეს ნეტავ  
წყაროდ რად მოჩქრილებ?

განდა ბალჩა-ბალებში  
განუწყვეტლივ იდინო,  
შენს ბოსტანსაც ესხურო,  
მწვანედ ააბიბინო?..

დგახართ ძმობის ძეგლებად,  
კვარცხლებელებად მთებია,  
წყაროები თქვენს დიად  
გმირულ ამბავს ჰყვებიან.

წყაროს ფუნჯით გვიხატავთ  
ბრძოლის უკედავ სურათებს...  
თქვენთან ერთად იბრძოდა  
ჩვენი მაისურაძეც.

თქვენი ხმა და ჩუხჩუხი  
თბილისშიაც მსმენია,  
ჩემი გულიც მოლივით  
მაგ შეხეფებით სველია.

გამკობთ თვალთა ნათელი  
ქაბუკთა და ასულთა.  
ხალხში უკედავ თქმულებად,  
სიმღერებად წასულხართ.

ქალიშვილთა თვალებშიც  
ეგ შეხეფები ცინცხალი,  
სიყვარულის, სიცოცხლის  
ნაპერწყლებად ვიციანი.

დაგლულუნებთ ჩინარი,  
თქვენი ძმობის მეთარე.  
ბრძოლაში სად გეცალათ,  
აქ ეხვევით ერთმანეთს.

მეც მეთარედ მოვსულვარ,  
ლექსად გითხრათ სალამი...  
დასტურ, თქვენთვის ყოფილა  
ღედის ძუძუ ალალი!

### 3.

ასე, საუბრით ვიყავ გართული,  
განა ძეგლებად? ცოცხლად მეგონენ.  
მე მივმართავდი სიტყვით ქართულით,  
როგორც გმირებს და როგორც  
მეგობრებს.

ჩემს წინ ძეგლები იდგნენ ამაყად,  
ჩუხჩუხი მთიდან

ბარად ისმოდა  
და თითქოს სადღაც, ღრუბლებს  
გადაღმა  
უერთდებოდა მარადისობას.

## დავდებ იყო ოქტომბრისა...



★

ზურმუხტს ქარვა შეჰპარვია,  
შემოდგომის ფერი არის.  
დამდეგ იყო ოქტომბრისა,  
ენახე ოქტემბერიანი.

წითელ-ყვითელ მორთულები  
იდგნენ მთები...

და რა მთები.  
რთველი იყო, ყურჩენს ჰკრეფდნენ,  
იესებოდა კალათები.

სადღაც სატრფოს უმღეროდა  
საზანდარი საზიანი:  
„იქნებ გბაძავს შემოდგომა,  
რა შენსავით ნაზი არის“...

წინ ვერ წაველ, თითქოს ვიყავ  
ად სურათზე მიჯაჭვული.  
უცებ...  
მჭრელი, გამკვიარი,  
შემომესმა კრიმანჭული.

„აგერ, შენი მუზობლები“, —  
ქართველები დამანახვეს.  
ვაზებს შორის მოფრიალე  
თვალი მოვკარ ყაბალახებს.

ყურჩენს ჰკრეფდნენ და სიმღერით  
ღრუბლებამდე აღიოდნენ.  
ერთი მჭახედ გაჰკიოდა,  
ბანს აძლევდა ათიოდე.

გაჰკიოდა, თითქოს ტრფობის  
ორღესული მოხვედრია.  
გამიკვირდა, აქ რა უნდათ,  
აქ ხომ შუა სომხეთია.

შორს გავხედე ყაბალახებს,  
ვერ დაუფარე გაოცება.  
ცხრაშეტამდე დაეთვალე,  
ვერ მოვასწარ გაოცება.

რომ ნაცნობმა შრომის გმირმა  
მხარზე ხელი გადამხვია.  
მითხრა: ნახე, რა რთველია,  
მოსაეალიც ამას ჰქვია!

ჩვენ სომხეთის ამ სოფელთან  
შეჯიბრში ვართ ჩაბმულები.  
ჩამოვედით, ღვინო გვასვეს  
ყანწებით და ჩაფურებით.

გადაგვკოცნეს, გვითხრეს: ძმა,  
რუსია თუ ქართველია,  
გაგვახარეს მიღწევებით,  
მართლაც, ნახე, რა რთველია!

წელს ჩვენც ჩაი მოგვეყავს უხეად,  
არც ჩვენ ვრჩებით ვალში მათთან.  
ნატანებში მოკრეფილი  
ფოთლის მთები აიმართა.

და როდესაც მოვლენ ჩვენთან,  
რომ იხილონ ნატანები,  
გვეყოლება თვითთელი  
ხელის გულზე სატარები.

— ვინც ჯან-ღონე დაიშუროს  
გავარდესო ბარემ ჯანი! —  
საობრობდნენ მეგობრები —  
კარინე და დარეჯანი.

სომეხს მხარში მიჰყვებოდა  
და გურული ძალას ცდიდა  
მიხვეული, მოხვეული  
სიმღერით და შარაგზითა .

და რჩეული,  
დარჩეული  
ქაბუკები, ქარმაგები,  
დღეს შრომაში დალოცვილი,  
გუშინ ომში ხმალნაქები,





ტანკენარი გოგონები  
იღგენ ალვად რხეულები,  
მეგობრობის დიად ფიციტ  
ერთურთს გადახვეულები.

ეხეოდნენ, თითქოს ძმა ძმას  
არ უნახავს ათი წელი  
და სომხურ ვაზს ჩაახვეოდა  
ჩვენებური რქაწითელი.

...

თუ გინახავთ ოქროს ვეწითელი  
მწვერვალზე მზის შვენიერ მხარე  
თუ გინახავთ, სომხურ სოფელს  
როგორ შეენის შემოდგომა.

ველებს ოქროს ფერი დაჰკრავს,  
მთებიც ოქროს ფერი არის.  
... დამდეგ იყო ოქტომბრისა,  
ვნახე ოქტემბერიანი.

## და გადასცემდა ოსტატს ოსტატი...



მატენადარანში — უძველეს ხელნაწერთა ბიბლიოთეკაში — ინახება რუსულიდან თარგმნილი ძველთაძველი ხელნაწერი. თარგმნის დროს მთარგმნელი მტრებში მოკლეს, თარგმანი შევირდმა განაგრძო.

...და დაეჯახა მტრის ხმალი მის გულს,  
დაემხო ეტრატს,

გადაჰყვა წვეარამს.  
სისხლი შეერთო აღისფერ სინგურს  
და კაბადონზე გაეელო ბწყარად.

ის, მწიგნობარი დარბაისელი,  
დღისით რომ ბრძოლის ზარიც არ  
ლიღდა,  
გათენებამდე იჯდა ფხიზელი,  
რუსი სწავლულის სიბრძნეს  
თარგმნიდა.

წერდა მოხრილი და წარბშეყრილი,  
კრაქზე დნებოდა ლამის გიშერი.  
გვერდით ფეხმორთხმით იჯდა შევირდი,  
მოყმე შავტუხა და პირშიშველი.

ოსტატს სიცოცხლის შუქი ჩაუქრეს,  
წიგნი ბოლომდე ველარ ითარგმნა...  
მაგრამ მის კალამს დასწვდა ქაბუკი  
და მასწავლებლის საქმე ითავა.

ვერ მოჰკლეს ძმობის სიტყვა  
გულწრფელი,  
თურმე არ კვდება იგი არასდროს,  
და თარგმნა წიგნის წმინდა  
ფურცლების  
ახლა შევირდის ხელმა განაგრძო.

უფრთხილდებოდა შორით მოტანილ  
წიგნს, როგორც მზის შუქს და  
მომავალსა.  
და გადასცემდა ოსტატს ოსტატი,  
შთამომავალი შთამომავალსა.

და თუმც უშლიდათ მტერი მზებნელი,  
მოეშვით რუსთა წიგნის წერასო,  
ხალხი, სინათლის მაძიებელი,  
ვერ დააბრმავა მტერმა ვერასდროს.

ძმობის სიტყვები სისხლით წერია,  
ნახე, მოგიხმობს წიგნი გაშლილი...  
ასე ძველი და უძლეველია  
რუს ხალხთან ჩვენი ხალხის კავშირი!

## ცაგად ტანემ \*



შემოგზედე, ელდამ დამკრა,  
თვალეზს გულიც გაეატანე  
და სომხეთის ნათელ ვარსკვლავს  
შემოგძახე: ცაგად ტანემ!

შენ სევანის ლერწამი ხარ,  
სიქაბუკეს განაცვალე.  
ნუ ეცდები, ვერ წამიხვალ,  
შემოგველე, ცაგად ტანემ!

შაეგვრემანო, შახიანო,  
შენზე დარდით დავალამე,

არ თქვა შენთვის ახიო,  
შემიბრაღე, ცაგად ტანემ!

გამილიმე, მახსოვს თითქოს  
ვარსკვლავს ხელი წაეატანე.  
ეგ ღიმილი არ ჩამიქრო,  
გავიმარჯოს, ცაგად ტანემ!

ჩემი გული — შენი ტახტი,  
ზედ დედოფლად დაგაბრძანებ.  
საქართველოს რძალი გახდი,  
გენაცვალე — ცაგად ტანემ!

\* ცაგად ტანემ — სომხურად: შენი პირიმი.

— : —

## დაილოცოს



სტუმრად მოველ ერევანში,  
მივდეგ ხალხის ტალღას.  
ქუჩა-ქუჩა ვუვლი ქალაქს,  
ქალაქს — მწვანე ბაღნარს.

და სომხური ასოები,  
დაწყობილნი ჯარად,  
ჩემთვის მხოლოდ ამოუხსნელ  
ქარაგმებად ჩანან.

მაშ რა ვუყო, რით გავიგნო  
უცხო გზა და კვალი?...  
მაგრამ უცებ რუსულ სიტყვებს  
შევანათე თვალი.

გზედავ: თითქოს შექურაა,  
გზის სანიშნოდ ელავს.  
და ვთქვი ჩემთვის: დაილოცოს  
რუსი ხალხის ენა.

ის ენაა მშვიდობისა,  
ბორკილთაგან დახსნის,  
ლაღია და გულწრფელია,  
როგორც რუსი ხალხი.

მიყვარს მისი თაფლიანი,  
მადლიანი სიტყვა.  
მე ეს ენა ჩემი ტუბილი  
ქართულივით მიყვარს.

და ვის უკვირს ამის შემდეგ,  
როცა უფრო მჯერა, —  
მეგობრობის მეგზურია  
რუსი ხალხის ენა.

მახსოვს: მთაში გზა დამებნა,  
ვიდექ ბოლმით სავსე.  
უცებ სომეხ კოლმეურნეს  
შევეყარე გზაზე.

წვიმდა. მაღალ მუხის მხრებქვეშ  
შეეასვენეთ მუხლი.  
მან ქართული არ იცოდა,  
მეც უენოდ ვწუხდი.

მაგრამ უცებ სიხარულით  
გაგვინათდა მზერა...  
და ჩვენს შორის ჩადგა დიდი  
რუსი ხალხის ენა.

ვიგრძენ, გულზე ნათლის სვეტმა  
გაგვკრა ყოველ მხრიდან.  
ორ მძას შუა გადირკალა  
ციხარტყელის ზიდალ.

თითქოს რუსმა მეგობარმა  
გადაგვხვია ხელი,  
გვასაუბრა სიყვარულის,  
მეგობრობის ენით.

გზაც მასწავლა... გვათქმევინა,  
რაც გვინდოდა გვეთქვა.

ერთად შეჰკრა, შეაერთა  
ჩვენი გულის ფეთქება.  
და მას შემდეგ, მეგობრებო,  
კიდევ უფრო მჯერა,  
რუსი ხალხის ენა არის  
მეგობრობის ენა.

დღეს დავდივარ ერევანში  
ლაღად გაშლილ მხრებით.  
ყოველ სახლთან სახლიკაცებს  
და მეგობრებს ეხედები.

და ვსაუბრობ რუსულ ენით,  
თუმც ქართულად ვუქცევ...  
მთელს მსოფლიოს შემოვივლი  
რუსულ ენის შუქზე.

ის შუქურის სხივებივით  
გზის სანიშნოდ ელავს.  
დაილოცოს სიყვარულის,  
მეგობრობის ენა.

### ასე ნატრობდით...



„არეზის პირად ბოსტანი მქონდეს...“  
ავეტყე ისააკიანი.  
„წეროვ, წეროვ შიამზე  
ჩემი ქვეყნის ამბავი“.  
სომხური ხალხური სიმღერა.

ათასობით რეპარტიანიტი დაუბრუნდა მშობლიურ სომხეთს.  
გაზეთებიდან.

„არეზის პირად ბოსტანი მქონდეს“...  
იყავით ნატურად გადაქცეულნი,  
და ამ ნატურაში დღეები რბოდნენ,  
პირს არ გიხსნიდათ ბედი წყეული.

წეროს შესთხოვდით, შორით  
მოფრენილს,  
ეთქვა სამშობლო მხარის ამბავი,  
ეთქვა — რასა იქს თქვენი სოფელი,  
თქვენი ლამაზი ჰაიასტანი.

სად არ იყავით,  
სიდან სადამდის,  
ბედის მახვილით მიმოფანტულნი.  
საბნად არ გქონდათ ძველი ნაბადიც,  
ბინად — ქოზი თუ ცივი ფარდული.

ჩახაშმებულებს დარდით, ციებით,  
თავზე მათრახით გედგათ პატრონი.  
და სადღაც, უცხო პლანტაციებში,  
არეზის პირად ბოსტანს ნატრობდით.

სომხური ზეცა გედგათ თვალეზში,  
ნატრობდით სომხურ მიწის ოხშივარს.  
ასეა თურმე... უცხო მხარეში  
მშობელი მიწის სუნიც მოგშივია.

ეჭ მაპატიეთ, იქნებ ძნელია...  
ეს მოგონება არც ღირს მგონია.  
მართლაც, წარსული ბნელზე ბნელია,  
გვეყოფა, რაღა მოსაგონია.

არეზის პირად მე თვითონ ვნახე,  
წელს მოსავალი გქონდათ უღვევი.  
ვნახე ბოსტანი, ყანა, ვენახი,  
დოვლათიანი ხოდაბუნები.

მასისთან ცა რომ ლურჯად გაშლილა,  
ვიბილე წერო — კრუნეს რომ ეძახიათ,  
აღარ მიფრინავს, ბუდედ არჩია  
თქვენი ბოსტანი, თქვენი ვენახი.

გრძნობთ, უძლევია ქვეყნად ის/ერი,  
ვისაც ძმობა სწამს დროშად, დედებად.  
თქვენ საბჭოეთის ციხე მგვიც იტყვენით  
ამ დიდი ძმობის ქვეშაირიტება.

სალენე ჯამში ღვინოს მიმატებთ,  
შეხვევით, როგორც ძმას და მეგობარს.  
მართლაც რომ იყოს ნოე იმ მთაზე,  
ეს თქვენი ღვინო შეშურდებოდა.

მე მეჩვენება, თითქოს შორიდან  
ჩვენს ხმას ბანს აქლევს ბერი მასისი,  
როცა ამ დიად მეგობრობისას  
ვსვამთ სადღეგრძელოს სომხურ  
სასმისით.

და, არ მატყუებს ჩემი ოცნება,  
ეს ხმა გაისმის მთიდან ბარამდე.  
სომხეთის მთებზე მიიტყორცნება  
და შორს მყინვარი ამბობს ალავერდს.

## სოფელი ნორქი, ალვეზის ჩრდილი...

გურგენ ბორიანს



სოფელი ნორქი,  
ალვეზის ჩრდილი.  
ბალიდან მოპქრის  
ნიავე გრილი.

ვიგონებთ ბრძოლის  
მრისხანე დრო-ყამს,  
გზა შორზე-შორი,  
ფიცი და დროშა.

შეხვედრა ჩვენი  
ხსოვნაში ჩამჩა.  
პირქუში წელი,  
საველე ჩანთა...

ღღეს ლხენით საცხე  
ჯურს ვუგდებთ წყაროს.

სადღაც, ძველ პანგზე  
ბულბული გალობს.

მე დავაღწიო  
მსურს მის პანგს ლექსი,  
ახალი იყოს  
და უკეთესი.

შენ გსურს იღინოს  
ლექსმაც ჩქრიალით  
და წყაროდ სვამდეს  
აღამიანი.

შუადღის ემალს  
მზე აღნობს თითქოს.  
მეუღლე ემა  
სადილზე გვიხმობს.



ორგელივ კი ჩქეფდა სიცოცხლე დიდი,  
დიდი სიცოცხლით დულდა ქვეყანა  
და ცისარტყელით — მზის დიდი  
შვილდით  
ნატყორცი სხივი მზრებზე გვეყარა.

გმირის ძიების ფიქრით გართულნი  
ასე, საუბრით მივაბიჯებდით...  
უცებ სახელო გადაკვალთული  
წამოგვეწივნენ ჯმუხი ბიჭები.

გადაუხვიეს სხეებმა სხვა მზარეს,  
ერთმა კი გეზი ჩვენსკენ აიღო.  
არ ჰგავდა ვაჟკაცს, ასგან ნახმალევს,  
მგონი არც ბაყბაყ დევი არ იყო...

გავესაუბრეთ, ზოგორც ამხანაგს,  
გვითხრა (არ სურდა თუმც თქმა ძალიან),  
შეეასრულო გეგმა სამმაგად,  
ახლა ცოლ-შვილში მიმიხარიან.

დულაბის სუნი ჰქონდა ამჯერად,  
გალელილ მერდზე ოფლი შევნოდა.  
თურმე აგებდა მისი მარჯვენაც  
ჩვენი მომავლის დიად შენობას.

ჩვენ კი ვეძებდით გმირებს ოცნებით,  
რომ გამოგველო ლექსის კარები  
— ფუქი ოცნებით **მარცხენული**  
ნულარ მოცდებით! **ბიზლინოთეკა**  
თითქოს გვეძახდა ყველა გაზველვი.  
და სადაც ქუჩებს რთავდნენ ბალნარით,  
სადაც გაჰქონდათ დაზგებს გრიალი,  
მუდამ უბრალო და თავმდაბალი  
იღგა საბჭოთა ადამიანი.

აბოვიანიც და რუსთაველიც  
თითო მათგანში დევგმირს ჰპოებდა.  
ჩვენ გვთავაზობდა საესე მთაველი  
მათი ცხოვრების უკედავ პოემას.

თმას უვარცხნიდა ბალებს ზეფირი,  
ფერისცვალება იღგა უჩვევი.  
დიად პოემის სტრიქონებით  
მათგან ნაწერი ჩანდნენ ქუჩები.

ხალხითგაჰქედელ პროსპექტს მიედევდით,  
ჩაფიქრებულნი ჩვენი შეცდომით.  
თითქოს გაიგო ჩვენი ფიქრები  
და...  
ჩვენი გმირი ჩადგა ჩვენს შორის.

## გ ე ტ ა მ...



ნეტავ შენ ბუდედ გაქცია,  
მე კი ფრინველად ვიქცე,  
კამარა შეეკრა, გალობით  
გადმოვიარო სივრცე.

ფერი მზისა და ხორბლისა  
ვინ მოგცა ასე ჰარბად,  
ეჩმიამინის ჩუქურთმა  
ვინ დაგაზატა წარბად?

ხელთ შოთას წიგნი გეჭირა,  
მიირხეოდი კენტად.  
ჩანს, გიყვარს ჩემი ქვეყანა,  
მეც შემეყვარო ნეტავ.

ნეტავი გაღიმებული  
თბილისში შემეყარო,

სომხეთის ველის ყვაილო,  
ქალო, შავთვალა ქალო.

მტკვარს შემოგავლებ სარტყელად,  
შენთვის რალას არ შევძლებ.  
დაგიკრეფ ქართულ ვარსკვლავებს,  
მძივად აგასხამ ყელზე.

მაგრამ ზანგასთან დაგტოვე,  
მე კი მტკვრის პირად ვგალობ,  
სომხეთის ველის ყვაილო,  
ქალო, შავთვალა ქალო.

ნეტავ შენ ბუდედ გაქცია,  
მე კი ფრინველად ვიქცე,  
კამარა შეეკრა, გალობით  
გადმოვიარო სივრცე.

## მატენადარანში



მატენადარანში ინახება 620 პერგამენტზე ნაწერი ძველისძველი წიგნი. ეს წიგნი ბევრჯერ ხელთ იგდო მტერმა. უკანასკნელად სომეხ მებრძოლთან ერთად გადაარჩინა რუსმა ჯარისკაცმა.

ჩაყვითლებული ფოლიანტები...  
მელნის სიმკვეთრე... ტყაის სიმძიმე...  
აქ წინაპართა შორი ნათელი  
პერგამენტებზე ისევ ციმციმებს.

შენ დიდი წიგნის ამბავს მიაშობ, აი, გაშალე ტყაის ფურცლები.  
ზოგან სინგური წითლად კიაფობს,  
ზოგან ნახატი ჩანს ფერუცვლელი.

ვეუქერ ასობებს... განა ასოა?  
სხარს ჰგავს მტრების გულში  
მოსხედრილს.

მოჰქრის მონგოლი...  
ცხენის საძოვრად  
უნდა აქციოს მთელი სომხეთი.

ყველა სტრიქონში მოსთქვამს  
წარსული:  
„მზეც სისხლის ორთქლში ველარ  
ანათებს“...  
მოდის სელჯუკი ხმალგაბასრული,  
ჰკაფავს ვენახებს, ანგრევს ქალაქებს.

— „როგორც მებრძოლი, მტერმა  
მზაკვარმა, —  
ამბობ — ეს წიგნიც ბევრჯერ  
შეთოკა.

და წიგნს ტყუეობაც აღარ აკმარა,  
ყდაზე წამების კვალიც ეტყობა.

ეს ქარაგმების რთული ზოლებიც  
ხალხის სისხლშია ბევრჯერ ნამული.  
ხარკით ხარაჯით თუ შებრძოლებით  
წიგნიც დაიხსნეს, როგორც მამული.

და ერთ ბრძოლაში, ჩვენი მთა-ბარი  
როცა მტერს სურდა თავის არჩივად,  
ეს წმინდა წიგნი სისხლში ნაბანი,  
რუსმა მებრძოლმა გადაარჩინა...

სომეხთან ერთად მკლავით ძლიერით,  
მტერს მეგობრობის ძალა აჩვენა.  
ჩვენ ამ წიგნისთვის ვართ მადლიერი,  
ის დაგვიბრუნა მისმა მარჯვენამ“...

მე გაეაგრძელე, თითქოს ვიცანი  
ჩემი სამშობლოს ბედიც, წარსულიც:  
— მან ჩააყენა ის ქარიშხალიც,  
წიგნში რომ არის ახლა დაცული.

მარტო ეს წიგნი?...  
როგორც მეგობარს  
შეგვხედა,  
დაიცვა ჩვენი უფლება.  
ის დაგვხმარა, რომ შეგვძლებოდა  
ცხოვრების წიგნის დასაყუთრება!



დავა აღიქმანდრე ჭაგვაგვაძისთან გოგჩის ანუ სემანდრე-ტვაჯი  
 ბიზლინიანი



„აჰ, პალატთა დიდებულთა წგრეული ნაშთი...  
 აჰ, ჩვენისა მომავლისაჲ ნამდვილი ხატი...“

ა. ჭავჭავაძე — „გოგჩის ტბა“.

სევანი ვრცელი — ტბა გასაოცი,  
 ლაღობს, ლივლივებს მთების

კალთებთან.

სომეხ მგოსანთა ლექსით დალოცვილს,  
 არ დაჰკლებია ლექსიც ქართველთა.

მთებში ირწევა... იქნებ ეს არის  
 ზღაპრადნათქვამი ლურჯი ფრინველი?  
 არვის არ დარჩა გაულექსავეი,  
 მე რაღა ვუთხრა გასაკვირველი.

აქ გაუვლია პოეტ ჩიქოვანს,  
 სევანზე მისი ლექსიც გვსმენია.  
 ...ლოდებზე ტალღამ გადმოიჭროლა,  
 თუ ჭავჭავაძის ცრემლით სველია?

ასე ვფიქრობდი და ჰა, ვიცანი  
 მაღალ კლდეებზე შენი აჩრდილი.  
 ოდესღაც შენ ხომ სევდის ისარით  
 მართლაც იდექი აქ გულდაპრილი.

აღბათ ტაიჭზე ალვად რხეული  
 მოჰქროდი, შესსენ მთების კარები  
 და რა იხილე?.. ნაშთი წგრეული,  
 დიდი ქალაქის ნასახლარები.

— ჩვენი მომავლის ხატიც ეს არის! —  
 ასე ამბობდი გულდათუთქული.  
 და თითქოს შენი ცრემლით შეკვნეხარი,  
 იმეორებდა ტალღა ჩურჩულით.

და ამ ტბასავით მთებში მოხვედრილს,  
 ობლად დარჩენილს ბედით,  
 მსახვრალით,  
 ჭგავდა შენს ფიქრში მთელი სომხეთი  
 და საქართველო ნაპარტახალი.

და ტბის ნისლს იქით ველარ ზედავდი,  
 ვერ ჰკრებდი მყოზადს მჭრელი  
 თვალებით.

წინ გედო, როგორც სევდის დედანი,  
 ივარქმნილი შემოგარენი.

და მაპატიე, ჩვენო მგოსანო,  
 შემოგედავო აგრე ადვილად.  
 ნისლს გაჰყოლია ახლა დრო შავი,  
 ბედნიერებით მთებიც გაზრდილან.

ირგვლივ სიცოცხლის შუქი ანთია,  
 ლივლივებს ყანა

ბარაქიანი,

სადღაც უმღერის მწყემსი განთიადს  
 და ბანად

ისმის ზვირთთა ზრიალი.

მთელი ქალაქი მართლაც მზედარობს,  
 სრა-სასახლეთა მწყობრი გვარტყია,  
 და რა ვქნა, რომ არ შემოგედავო  
 პოეტს, კურუმე სევდით ნატყვიარს.

აღარ იზრდება გოგშა და ლელი,  
 გოგჩა-სევანი გვაყრის მინანქარს,  
 შემოსევიან ტურფა ქალები  
 და იალქანი მისდევს იალქანს.

მწვერვალთა ჯილა თუ სურთ იხილონ,  
 მთები ტბის გულში იმზირებინან.  
 ტალღებზე ლურჯად ჰყვავის ღიღილო,  
 ნაპირზე ჭაფის ზიზილებია.

და მაპატიებ დიდი მგოსანი?  
 შემოგედავე აგრე ადვილად...  
 ნისლს გაჰყოლია ახლა დრო შავი,  
 ბედნიერებით მთებიც გაზრდილან.



## მისაზღვრი



საქართველოს  
მწიგნობართა კავშირი

აღმართს აღმა მიეყვები,  
დალლა როდი მერევა.  
ფიქრში ველარ გავიგე,  
როგორ გავცდი ერევანს.

ძირს არეზი ეხვევა  
მწვერვალს მწვანე კალთიანს,  
მდინარეს რომ მიჰყვება  
საზღვრის მავთულხლართია.

დგას საზღვარზე ამაყად  
ჩენი ქვეყნის დამცველი.  
წინ გაშლილი ველია —  
ხელის გულზე ნაწერი.

გმირი გულში დავლოცე,  
როგორ არ დამელოცა.  
მომძე სომხეთს რომ იცავს,  
იცავს საქართველოსაც.

შორს, ძლიერ შორს, სომხეთის  
მთებს რომ შეერთებიან,  
თეთრად ჩამობარდნილი  
საქართველოს მთებია.

იქ ყოფილა სომხეთთან  
საქართველოს საზღვარი,  
მაგრად ჰკეტდნენ მეფენი,  
მიწით გაუმამლარნი.

მაგრად ჰკეტდნენ მეფენი,  
თავადები, მთავრები,  
ჩიტაც ვერ გადითრენდა,  
ვერც ნიაფი თავნები.

ახლა, როცა ერთმანეთს  
ძმობამ დაგვაკავშირა

და ჩვენს შორის საზღვარი  
სიყვარულით წაშლილა,

თექვსმეტი ძმის ფიქრები  
ერთმანეთს რომ ერთვიან,  
როცა მტერი ერთი გყვავს  
და საზღვარიც ერთია, —

რუს გმირს მხარში უდგანან  
ქართველები, სომხები,  
რომ არ შემოგვეპაროს  
სადმე მტერი ოხერი.

რადგან ჩენი სიმტკიცე  
მის ფიქრს გადაეღობა,  
მტერს სურს ძმა ძმას წაჰკიდოს,  
მეგობარი მეგობარს.

ვიციტ მისი ფიქრები  
და გეგმები საზარი.  
ძმობასა და სიყვარულს  
სურს მოავლოს საზღვარი.

წარბშეკრული ვაეკაცი  
გადაჰხედავს არარატს.  
მტერი ხელთ თუ მოიგდო,  
გადააქცევს არარად.

დგას არეზის ნაპირთან  
და საზოგრის ხაზს გასცქერის  
ჩენი ძმობის დამცველი,  
მეგობრობის დამცველი.

დგას მებრძოლი საზღვარზე  
ფოლოთისფერ მახარით,  
რომ ჩვენს შორის არასდროს  
არ გაივლოს საზღვარი.

## სიმღერა მეგობრობისა

საქართველოს  
მწიგნობართა კავშირი

სომხეთში ვიყავ თუ ლატვიაში,  
თუ უკრაინის ველი ვიხილე,  
გრდემლთა გუგუნში,  
ყანის შრიალში,  
ენახე-მშრომელი კაცი ღიღინებს.

ძმობის, მშვიდობის დიად სიმღერას  
მღერის და შრომაც არის ადვილი.  
ხმა ხმას შეერთვის, შემდეგ მიღელავს  
ხალხში მდინარედ გადმოვარდნილი.

ამ ხმამ მოიცილა მთელი ხმელეთი,  
ზვირთებ სწრაფია, ღელვის ღონისა.  
ფიქრი ფიქრს,  
ხმა ხმას  
მძლავრად შეერთვის,  
როგორც ტალღები ვოლგა-ღონისა.

სწრაფია ქარზე,  
რეალზე მაგარი,  
მუდამ ფრთალაღი, ხალისიანი,  
მასში დაზგების ისმის გაგანი,  
ნამგლის წყრიალი,  
ყანის შრიალი.

ის გულს პირამდე აესებნ იმედით,  
ქვეყანა მისმა ეხომ მოიცილა,  
ტაიგა, ტუნდრა თუ ზღვისპირეთი  
მღერის სიმღერას მეგობრობისას.

ჰესს ემატება ამ ხმით კაშკაში,  
ხარაჩოები წამოდგებიან.  
ძმებს შორის გმირი, რუსი ვაჟკაცი,  
ამ დიდ სიმღერის წამომწყებია.

მთევზის ქოხში, დაუგავასთან  
ცისკარს ვხედებოდით ძმობის ჰანგებით.  
ამ დიდ სიმღერით მკიდნენ ყანასაც  
უკრაინელი ამხანაგები.

სომეხ ყმაწვილკაცს ჰქონდა ქორწილი,  
მინსკელი გოგო ეჯდა პატარძლად.  
ენახე სიმღერა ძლევაშოსილი,  
ქროლვით ქარიშხალს როგორ ბაძავდა.  
სომხებთან ერთად ჰქექდნენ

მინსკელნიც,  
სტუმრად მოსული ქალის მაყრები.  
მათ დიდ სიმღერას დიდხანს ვისმენდი  
და მეც არ ვიცი, როგორ აყევევი.

მღერის ლიტველი, მღერის ტაჯიკი  
სიმღერას დიდს და დაუსრულებელს.  
და ცხრა მთას იქით,  
და ცხრა ზღვას იქით  
გულებს უკაეებს ძმობის მსურველებს.

რწმენას უნერგავს ამ საუკუნის  
კეთილი ნების ადამიანებს.  
ხან პოლ რობსონის ჰანგად გუგუნებს,  
ხან არაგონის ლექსად ბრიალებს.

მღერიან ზანგნი,  
ფრანგნი,  
ინდონი,

ხმები ლაყვარლებს ეხეთქებიან...  
იღვიძებს განგის ვრცელი მინდორი,  
აპენინები ფეხზე დგებიან.

შუქად ადგია ბალებს გადაშლილს,  
ვეება ქარხნებს კვამლის კალთიანს,  
ბავშვის ღიმილში, დედის ნანაში  
ამ დიდ სიმღერის შუქი ანთია.

რას უზამს მტერთა ყეფა, გნისაი,  
ქვეყანა მისმა ეხომ მოიცილა.  
გუთნის ჭრიალში,  
გრდემლთა გრიალში  
ისმის სიმღერა მეგობრობისა.

## ახალი ნაწილი

მოთხრობა

ნაწილი პირველი



თავი პირველი

ლილი სვანიძე ნელა მიდიოდა თემშარაზე, ქილის ქუდი ეხურა, ხელში მწვანეყვანიანი წიგნი ეჭირა და ჩუმად კითხულობდა. უკან მისდევდა წელზევით შიშველი ბავშვი. მზემოკიდებულ ბიჭუნას ხუტუტი თმა შუბლზე ეყარა, ცისფერი თვალები სიხარულისაგან უბრწყინავდა, ფეხებზე ხშირ-ხშირად იხედებოდა, ახალი, წითელი ფეხსაცმელი რომ არ გამტვერიანებოდა, გზის დატყეპნილ ნაპირზე მიდიოდა. ერთიმეორეზე გადაბმული ძველი ფეხსაცმელები მხარზე გადაედო, ხელში პაპიროსის კოლოფი ეჭირა. როცა პეპელას დაინახავდა, ავიწყდებოდა თავისი ახალი ფეხსაცმელები და ხრეშმოყრილ გზაზე თავდავიწყებით დაედევნებოდა.

დედამ და შეიღმა გზიდან გერანის პლანტაციის მიმართულებით გადაუხვიეს და ბილიც დაადგინეს. აქ შედარებით გრილოდა და გზაც კარგა მანძილით მოკლდებოდა.

გერანის სურნელით თავბრუდახვეულ პეპელას ბიჭუნა თავისი ქრელი ქუდით ადვილად იჭერდა და კოლოფში ამწყვდევდა. თემური „ნადირობამ“ პლანტაციებში შეიტყუა. გერანის ყვავილებს ნელი ნიავე არხევდა და მისი საამური სურნელი სოფლისაკენ მიჰქონდა.

ლილიმ უკან მოიხედა. ბიჭუნა ვერ დაინახა, შეერთა, უნდოდა დაეძახა, მაგრამ თვალი მოჰკრა გერანის მოქანავე ბუჩქს და იქითვე წავიდა. ქუდმომარჯვებული თემური ფრთამოქარგულ პეპელას ეპარებოდა.

გერანის ყვავილები მწვანედ მოლივლივე ფოთლებში მუქვარდისფრად ღვივოდნენ.

ყვავილებს ნაირნაირი პეპლები დასტრიალებდნენ, მუშაფუტკრების გაბმული ბზუილი გაისმოდა სიცხისაგან დამძიმებულ ჰაერში.

ლილიმ თვალი გადააგლო გერანის აყვავებულ პლანტაციას და გაიფიქრა: „როგორ ბიბინებს, თავმჯდომარე კი გვიმტყიცებდა: ეს მცენარე ჩვენს მიწაზე ვერ გაიზარებსო“.

ლილის უნებლიეთ გაახსენდა თავისი ქმარიც. მოაგონდა, როგორ წაეკიდა მაშინ იგი და ეახშამს პირი არ დააკარა. ბუზლუნით უთხრა ცოლს:

— გრძელი ენა გაქვს! სად გაგონილა, საჯაროდ ცოლი ქმრის წინააღმდეგ ილაშქრებდეს.

— მართალი არ იყავი და, აბა, რა მექნა?

— რომ არ გაიზაროს, მაშინ?..

— რატომაც არ გაიზარებს, მოოლა უნდა ყველაფერს.

ასეც მოხდა, მოუარეს და გაიზარა.

— თემურ, დაბრუნდი, შეილო, დაბრუნდი. თორემ წავალ, არ გესმის აი, მე მივდივარ, — უთხრა ლილიმ შეილს და ბუჩქებში ჩაიმალა.

თემურმა ტირილით დაიძახა, დედაო და გაეჭანა იმ ადგილისაკენ, სადაც ეგულებოდა.

— აი, რამდენი პეპელა დავიჭირე — უთხრა დედას თემურმა. მარცხენული  
სის კოლოფი ოდნავ გახსნა, რომ პეპელები არ გამოფრენილიყვნენ.

— უი, დამიდგა თვალი, რა უყავი პაპიროსი, შვილო?

— გადაუყარე!

— რატომ?

— აბა რა მეჭნა, პეპელები არ ჩაეტია შიგ!

— მაშას რა მიუტანოთ. პაპიროსი რომ გადაგიყრია!

— ერთხელ შენც ხომ გადაუყარე, ნუ მოსწევ, გახველებსო.

ლილიმ გაიცინა, წიგნი ილღიაში ამოიღო, შვილს ხელი ჩაავლო და ნაბიჯს აუჩქარა.

გზის პირას მოხუცი ბაგრატი ქიშკარს ბოძს უცვლიდა. მას სახელოები დაეკაბიწებინა და გვაღვისაგან ქვადქციულ მიწას წერაქვს ხენეშით ურტყამდა, ხშირ-ხშირად შედგებოდა და ოფლს იწმენდდა.

— გამარჯვება, ბიძა ბაგრატი! — მიესალმა ლილი.

— გაგიმარჯოს, შვილო! — უპასუხა მან და მაშინვე ხელი ჯიბეზე მოიფათურა.

ბაგრატს ბავშვებისათვის ჯიბეში ყოველთვის ჰქონდა ვაშლი, მანდარინი ან პანტა-მსხალი. ბავშვს რომ დაინახავდა, გაუღიმებდა, კარგი კაცი გაზარდო, აღურსიანად ეტყოდა და მაშინვე ზელს ჯიბისაკენ წაიღებდა. მან ახლაც ბიჭუნას კანშემომჭკნარი მანდარინი ხელში ჩაუღო.

ლილი გაოცდა, აქამდე მანდარინი როგორ შეინახაო, მაგრამ ბაგრატისათვის არაფერი უთქვამს, იცოდა მისი ახირებული ხასიათი.

ბაგრატი ცოტა ენაშფარე კაცი იყო, თუ ვინმე შეეკითხებოდა, ასე ტკბილი და სურნელოვანი ფორთოხალი როგორ მოგყავსო. მკვახედ უპასუხებდა:

— რას შეკითხები, თუ არ იცი, რომ სიტკბოს ალალი შრომა აძლევს ნაყოფს, არაფრად ვარგებულხარ!..

ბაგრატის ეზოს ტრიფოლიატის ცოცხალი ღობე აქვს შემოვლებული. ამ მცენარის გრძელ ეკლებს ვერც ერთი სულიერი ვერ ეკარება. ქვის ბოჭებზე შედგმულ აგურის პატარა სახლის წინ კაკლის დიდი ხე უდგას. სახლის სახურავს ხაყის გადაჰყრია.

ეს სახლი ბაგრატმა ვიღაც გადამთიელის თამბაქოს პლანტაციაში ნაშოვნ ფულით აიშენა. მას შემდეგ თითქმის ნახევარმა საუკუნემ განვლო. ქვეყნად ბევრი რამ დაინგრა და ბევრიც აშენდა. მაგრამ ეს პატარა სახლი ისევ ისე დგას. მას თავისი ბუჯითი პატრონი ყოველ წელიწადს თეთრად ღებავს.

ლიმონისა და ფორთოხლის ხეებს ბაგრატი, დღე ერთია და, ხუთჯერ დახედავს, ფოთლებს და ღეროებს უსინჯავს, თუ სადმე მავნებელი ჭია შენიშნა, მაშინვე ზედ მისარესს ხოლმე.

— ხე მოვლით ცოცხლობს! რასაც სული უდგას, ყველაფერს პატრონობა უნდა. კაცმა ცოდვა და მადლი უნდა იცოდეს. ხეს რაკი დარგავ, გაახარე კიდევ, მერე ისიც გაგახარებს! — ამბობდა ხოლმე ბაგრატი.

ლილიმ მადლობა უთხრა, წასეკოა დააპირა, მაგრამ მოხუცმა წერაქვი ძირს დაავდო და ხელები ბავშვისაკენ გაიშვირა.

— მოდი ჩემთან, ბაბუ, რას ჩამოკიდებობხარ დედაშენს!

ბიჭუნას ერთ ხელში კოლოფი ეჭირა და მეორეში მანდარინი. ბაგრატმა ბავშვს ხელი მოჰკიდა, ჭიშკარში შეიყვანა და ლილისაც უთხრა:

— შენც შემოდი, შვილო!

ბაგრატს დიდ სიხარულს ჰგვრიდა თავისი პატარა ბავშვი. მისი ლილისა — ამ ცატრუსებზე გადაგებულ ქალს — ენახა მისი საამაყო ნარგავები.

— აი, რა ლიმონები მიდგას. — უთხრა მან, როცა ბავშვის თავში შეჩერდა, — ასეთი ლიმონი ჩემს მეზობლებში არავის არა აქვს. ასე არ არის? ჰო, მართლა, შენი ბავშვი კი გამოირჩევა..

ბერიკაცი ლიმონის მაღალ ხეებთან შეჩერდა, გერ კიდევ თხილისოდენა ნაყოფს ტოტები აქა-იქ ჩამოეწინა.

ლილის მოსწონდა ეს ბარაქიანად მსხმოიარე ხეები, მაგრამ მისი შუქიანი თვალები მაინც უსიამოდ მისჩერებოდნენ ბერიკაცს, ბაგრატი ვატაცებით უამბობდა ახალგაზრდა მეზალეს თავისი ხეების ბიოგრაფიას.

როცა ფორთოხლის მწკრივს მიუახლოვდნენ, ბაგრატმა ხმას აუწია:

— ასეთი ფორთოხალი კი თქვენ, უკაცრავად არ ვიყო და, არა გაქვთ. — მან დაბუნძული ტოტი ჩამოლუნა და სტუმრისაკენ მისწია.

ლილიმ ტოტს ხელი ნელა მოჰკიდა. ხეს მართლაც ბევრი ესხა. ლილიმ შეხედა მოხუცის გაბადრულ სახეს და გაიფიქრა: „არა, ამას ჩემზე უკეთესი ხეები უდგას. მერე რა მოვლილია?!“ იმ წუთში იქ რაიკომის მდივანი რომ ყოფილიყო, სირცხვილით დაიწვევებოდა, მოხუცმა როგორ მაჯობაო.

— ფორთოხალი მართლა უკეთესი გაქვს! — უთხრა ბაგრატს და გამოწვდილ ტოტს ხელი გაუშვა. ტოტი ისევ გასწორდა და ხე მძიმედ შეირხა.

— მერე, ვისი ბრალია, რომ თქვენ არა გაქვთ? — მშვიდად ჰკითხა ბერიკაცმა.

— ჩვენ ლიმონმა გაგვიტაცა და ფორთოხალი მივივიწყეთ...

ბაგრატმა სტუმარი ფანჯარაში მიიწვია, მერე ჯიბიდან ჯაჭვზე ასხმული გასაღებები ამოიღო და მათი წყარუნით სახლის კიბეზე ავიდა.

ბერიკაცი ძალიან შეეჩვია გასაღებების ხმაურს, ჯიბეში ხშირ-ხშირად მოსინჯავდა ხოლმე და, ეღარუნს რომ გაიგონებდა გაიღიმებდა. ყველაფერი ჩაკეტილი ჰქონდა, მაგრამ ძუნწი არ იყო. მასავით პურადი და გულღია კაცი მეორე ძნელად შეგხვდებოდათ სოფელში.

ბაგრატს წესრიგი უყვარდა, ცოტა ჰირვეულიც იყო. სასხლავ დანას, ქლიბს ან სხვა რამე ხელსაწყოს სადაც დადებდა, იქ რომ არ დახვედროდა, ყვირილით აიკლებდა იქაურბასს.

— აჰა, გასაღები, ხილი გამოგვიტანე! — შესძახა მან ოთახში ცოლს და გასაღებები ფანჯრიდან მიაწოდა. მერე პატარა მაგიდას მიუჯდა, სადაც გაშლილ გაზეთზე ორი სათვალე იდო.

— თვალს ძალიან დამაკლდა, შვილო! — დარდიანად უთხრა ლილის, — მაგრამ ბიჭმა თბილისიდან სათვალე გამომიგზავნა, ახალ გაზეთსაც კარგად ვკითხულობ.

ოთახიდან გამოვიდა ბაგრატის მეუღლე, წელში მოხრილი მოხუცი ქალი, მან საესე ლანგარი მაგიდაზე დადო და ლილის გვერდით სკამზე ნელა დაეშვა.

— ძალიან დაცხა, შვილო, ლიმონი გაგვიფუქდა, ეს ფორთოხალიც იშრიტება!

— ასეთი ფერიანი ფორთოხლები მეცა მაქვს, მაგრამ ისეთი მკავეა, კაცი

პირში ვერ ჩაიდებს! — გულისტკივილით უთხრა ლილიმ და ფორთოხალი-ხელში აიღო.

— აბა, ეს გასინჯე!

ბაგრატმა ლეღვივით გაფტქვეს ფორთოხალი და რამდენიმე ლემანი თემურს მიაწოდა, თვითონაც პირში ჩაიდო და თხელი უფერული ტუჩები ააცმაცუნა.

— ეს კი სულ სხვაა! — თავაზიანად უთხრა ლილიმ.

ბაგრატმა კმაყოფილებით გაიღიმა.

— ნერგებს კოლმეურნეობისათვისაც გამოვიყვანდი, მაგრამ სად? ჰაერში?! ჩემი ხელისგულისოდენა საწერგე სოფელს არ ეყოფა, კალისტრატე თოდუა კი სათბურს არ აშენებს და ნერგებისათვის სოფელ-სოფელ დადის. არც თქვენ შეგტკივათ გული! აბა, რასა ჰგავს ეს? ახალგაზრდები ხართ, ერთი დაიქუხეთ და ყველაფერი გაკეთდება.

— მართალი ხართ, ბიძია! — გაეხარდა ლილის.

ღედის გვერდით სკამზე მჯდარ ბიჭუნას წიგნი გადაეფურცლა და აყვავებული ვაშლის ხის სურათს მისჩერებოდა. ბაგრატმა იცნო ეს წიგნი და თავი ისე დაიქირა, თითქოს გაზეპირებული ჰქონდა.

— მიჩურინს ახლა კითხულობ? აქამდე სად იყავი? — ჰკითხა მოხუცმა და თითქოს საყვედურით შეხედა ლილის.

— ეს მეორე ტომია, პირველი წაკითხული მაქვს!

— ვიცი, ვიცი, მაგრამ მესამე ტომი, მეოთხე? ეს წიგნი ხუთი წელიწადია ჩვენს ბიბლიოთეკაშია.

ლილის შერცხვა და ნელი ხმით უპასუხა:

— წაკითხვას მოვასწრებ.

ლანგარზე რაც ფორთოხალი დარჩა, ბაგრატმა გახეთში შეახვია და ლილის გაატანა.

ცოლ-ქმარმა სტუმარი კიშკრამდე მიაცილა. ლილიმ ბერიკაცს ხელი გაუწოდა და უთხრა:

— ჩემს რგოლში იმუშავე, ბიძია ბაგრატ, რას იტყვი?

— მადლობის მეტი რა მეთქმის, შეილთ!

ბაგრატმა ღიმილით თავი დაუქნია და სანამ ლილი ლობეს არ მიეფარა, მისთვის მადლობის გრძნობით სავსე თვალები არ მოუშორებია. მერე ცოლს მიმართა:

— არც ისე ბებერი ვყოფილვარ, როგორც კალისტრატეს ჰგონია. ამ ჰკვიან ქალთან მუშაობა ცუდი არ იქნება!

წელს ლილიმ თავისი რგოლის ნაკვეთზე ლიმონსა და ფორთოხალს ასჯერ შემოუარა, კვლები გამოთოხნა, მიწა სასუქით გაანოყიერა, მერე, ნიადაგს გვალვაში სინესტე რომ შეენარჩუნებინა, ზის ძირს ირგვლივ თივა შემოუფინა. ლილის რგოლში ორი ქალი და ორი მამაკაცი იყო. მისი ბიძაშვილი თამარი, შეათე კლასის მოსწავლე ქეთევანი, მოხუცი გიორგი და ომგადახდილი შუახნის კაცი სერაფიონი. ისინი ფანდურის ლარებივით შეწყობილნი იყვნენ და საქმეც კარგად მიჰყავდათ.

„ახლა ბაგრატი ჩემთან იმუშავენს“, — ფიქრობდა ლილი, — „გამოცდილია, ბევრ რამეში დამეხმარება!“

## თაზი მიორა



მატარებელი მიჰქროდა. სამსონ ხაინდრავე ღია ფანჯარასთან იჯდა და თვალუწედნულ ყანებში მოგუგუნე კომბაინებს გაჰყურებდა ნიავს ახლად მომკილი პურის სურნელი მოჰქონდა. სამსონმა საფეთქელზე ხელი აიფარა, თვალის ოპერაციის შემდეგ მას მარჯვენა ყურის ტკივილი დასჩემდა და ეჭიმებმა ურჩიეს, სიცივეს მორიდებოდა.

სამსონ ხაინდრავე საშუალოზე უფრო მაღალი იყო, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, კეზიანი ცხვირი ჰქონდა, შავი, მოკლედ შეკრეპილი უღვაშები მის მკრთალ სახეს ძალიან უხდებოდა.

ლიანდაგის გასწვრივ ტელეგრაფის ბოძები ერთიმეორეს მისდევდნენ... ხორბლით დატვირთული მანქანები სიცხისაგან ამტვერიანებულ გზატკეცილზე მიგუგუნებდნენ. ზოგი შოფერი ისე მიაქანებდა მანქანას, რომ ორთქლმავალს უსწრებდა. ერთ ადგილას გზატკეცილი ლიანდაგს ჰკრავდა. რკინიგზის დარაჯს გადასასვლელი გადაეკეტა და მატარებლის ჩავლის მოლოდინში მანქანები ზოლებიან ბოძებთან შეჯგუფდულობდნენ.

შოფრები კაბინიდან მზიარულად ხელს უქნევდნენ სამსონის გვერდით ფანჯარასთან მდგარ ქერათმიან გოგონას.

პირველი მანქანის ძარაზე წითელი არშია იყო გადაქიმილი, რომელსაც თეთრი ასოებით ეწერა: „პური — სახელმწიფოს!“

მატარებელმა გუგუნით ჩაუარა აღმებით მორთულ მანქანების გრძელ ქარაუანს. სამსონმა კმაყოფილებით გახედა მათ.

„პურს აბარებენ!“ — გაივლო გულში.

ეს იყო ომის შემდგომი მშვიდობიანი წლის ბარაქიანი მოსავალი. სამსონი ისევ თავის ადგილზე დაჯდა და მის წინ მთელემარე მოხუცს შეხედა. მოხუცს თხელი წვერი მკერდამდე სწედებოდა. მზისგან გახუნებული ფარფლიანი ქული მოიხადა და მუხლზე დაიდო, მელიოტი თავი უპრიალებდა, ლოყები დაწითლებული ჰქონდა.

— ცხელა, პურის ამინდი კია! — ჩაილაბარაა მოხუცმა და მცირე დუმილის შემდეგ სამსონს ჰკითხა:

— შორს მიდიხარ, შვილო?

— არა, ახლოს... საქართველოში.

— გორში?

— არა, სუხუმში.

— ჩვენ კი შემოდგომაზე გორში მივდივართ! — რალაც ბავშვური სიხარულით თქვა მოხუცმა.

— კარგია! — დაუდასტურა სამსონმა, — სადაური ხარ, ძიაკო?

— აბა, როგორ გითხრა! საიდან გეცოდინება! პერეომისკიდანა ვარ.

სამსონს გული შეუფრთხილდა. მან ხომ თვალი ამ სოფლის ადებისას დაკარგა. სახეზე მწუხრის ბინდი გადაეფარა. მოხუცს შეეკითხა:

— კირილე იაბლონსკი გაგიგონია?!

— შენ საიდან იცნობ, კირილ პეტროვიჩს?! — გაკვირვებით შეეკითხა მოხუცი და მშვიდად დაუმატა. — არა, შენ ალბათ იმის გოგოს იცნობ!

— როგორ არა, ვიცნობ! როგორ არის?

— მაგას კითხვა უნდა? ყველაზე უკეთესად! მაინც საიდან იცნობ ამ ჩვენს იაბლონსებს? იქნებ ტროფიმ სემიონოვიჩისაღ იცნობ?

— ვიცნობ! ჩემი მეტაური იყო!

— ახლა ჩვენი კოლმეურნეობის მეტაურია, შეილო! — <sup>მარკინული</sup> <sup>მეცხოველეობის</sup> <sup>ფერმის</sup> <sup>გამგე</sup> <sup>მაკარი</sup> <sup>ზლობინი</sup> <sup>ზლო-</sup> <sup>ბინი</sup> <sup>სამსონმა</sup> <sup>გზაზე</sup> <sup>გაიციო</sup>. ის უთვალავ ჯოგს ღრმა ზურგში მიერეკებოდა, ყუბანურ ცხენზე იჯდა და ჩიტივით დაფრინავდა. ხან წინ მიუძლოდა ჯოგს, ხან უკან მოექცეოდა და ოთხთვალაში მჯდომ მწველავ ქალებს გასამხნეველად ხან რას ეუბნებოდა, ხან რას, მაგრამ ქალები მწუხარებისაგან გაქვავებულღებოდათ იყვნენ და ვაჟაკის ხუმრობაზე მხოლოდ მწარედ იღიმებოდნენ.

— ვიცნობ, კაი კაცი!

მობუცმა თავი ჩაღუნა.

— სადღა გვყავს მაკარ პეტროვიჩი! ყუბანის ნამსხვრევი მოხვდა! — ამოიკენესა მან. — ჩემს ხელში დალია სული. როგორ უნდოდა სიცოცხლე! კვდებოდა და მაინც მეუბნებოდა, ნუ გეშინია, იგორ, სიკვდილს ჩემთან რა ხელი აქვსო.

სამსონი მოიღუშა. მას თვალწინ წარმოუდგა ახალგაზრდა, მაღალი, სიცოცხლით სავსე ვაჟაკი, მეცხოველეობის ფერმის გამგე მაკარი ზლობინი. ზლობინი სამსონმა გზაზე გაიციო. ის უთვალავ ჯოგს ღრმა ზურგში მიერეკებოდა, ყუბანურ ცხენზე იჯდა და ჩიტივით დაფრინავდა. ხან წინ მიუძლოდა ჯოგს, ხან უკან მოექცეოდა და ოთხთვალაში მჯდომ მწველავ ქალებს გასამხნეველად ხან რას ეუბნებოდა, ხან რას, მაგრამ ქალები მწუხარებისაგან გაქვავებულღებოდათ იყვნენ და ვაჟაკის ხუმრობაზე მხოლოდ მწარედ იღიმებოდნენ.

— არ მჯერა პეტროვიჩის სიკვდილი! — ამოიოხრა მან.

მობუცი გაკვირვებით მიაცქერდა სამსონს:

— შენ, შეილო, მთელი ჩვენი ფერმა გცნობია, ბებერი იგორკაც გაგიგონია, ალბათ?!

— ბებერი იგორკაც? — ჩაფიქრდა სამსონი, — არა!

— ჰო! — რაღაც ესიამოვნა მობუცს. — მაშ მაკარ პეტროვიჩი და იაბლონსები არ აგინებდნენ ბებერ იგორკას? — მობუცმა თავი მაღლა ასწია და წვერებზე ხელი ჩამოისვა.

— არაფერი უთქვამთ. მაინც ვინ არის ბებერი იგორკაც? — გაიკვირვა სამსონმა.

— არის ერთი კაცი, რომელიც ფერმის გამგის მოადგილე იყო, მტერი რომ წინ მიდიოდა გულმა ვერ მოუთმინა, ფერმას არ გაჰყვა და ერთ ღამეს ტყეში გაიჭრა. იქ პარტიზანებს კერძს უხარშავდა, როცა დაავალდებდნენ დასაზვერავადაც მიდიოდა. ესეც ხომ საქმეა?

— როგორ არა! ახლა სად არის ის მობუცი?

— მამაშვილობას მითხარი, ხომ კარგად მოქცეულა ბებერი იგორკაც?

სამსონი მიუხვდა მობუცს.

— ვაჟაკურად მოქცეულხარ, ბიძაჩემო, ვაჟაკურად!

მობუცს თვალელები გაუბრწყინდა და ნასიამოვნებმა სამსონს მხარზე ხელი დაუთათუნა.

— როგორ მიხვდი, შეილო? ახლა, თუ კაცი ხარ, შენც გადამიშალე გული, იაბლონსებს საიდან იცნობ? ზოთა შეგხვდებოდა სადმე, ის თუ გაიცანი, საემარისია, მთელ სოფელს გაიციობ!

სამსონმა ჩაიციინა.

— თითქოს ასე იყო, — დაიწყო მან, — როცა მტერი ყუბანს მოუახლოვდა, ჩვენმა მწვერავებმა საიდანღაც ერთი აყლაყულა ფამისტი მოათრიეს, მეტაურმა ტყვე დაკითხა და მერე მე დამიძახა. აბა ჩქარა ეს ტყვე შტაბში მიიყვანო. უთენიას ოთხთვალა შევაბმევი, თან ორი ჯარისკაცი წაიყვანე და



გზას გავუღებო. მერე, მზე რომ ამოვიდა, ძლიერ დაგეცხა. შერეომაისტისკიას გზაზე ცხენები გაერევე და მზის ამოსვლისას ჯოგს დაეწვიეთ. არ დამაფიქსლებია თქვენი ფერმის პირუტყვი. რა ძროხები გყავთ, სულ ერთფეროდ სულ ერთელი. ბოლო აქ იყო და, თავი, ჰე, სად, არც კი ჩანდა?!

— ჩვენი საქონელი მთელ ყუბანში განთქმულია, — ჩაურთო მოხუცმა.

— მერე შემოგვხვდა ერთი ქალიშვილი რომელსაც წაბლისფერი ხბო გადაედო ზურგზე და ფეხები ზელში ფერია. ის ქალიშვილი, ასე, თვრამეტი-ოცი წლის იქნებოდა, სახეზე სიცხისაგან ცეცხლი ეკიდებოდა, მამამისს გვერდით ნელა მიჰყვებოდა და თან გაჯავრებული ეკითხებოდა: — ვის დავუტოვო ეს ხბო, დავლუბო? — მამა მშვიდად უპასუხებდა: — შეილო, შორი გზაა, დაიქანცები, მერე თვითონვე გადააგდებ ამ სამგლეს, მაგრამ გვიან იქნება...

ქალიშვილმა ქრელი თავსაფრის ბოლოთი სახიდან ოფლი ჩამოიწმინდა და მამას მტკიცედ მიუგო.

— არა, მამაჩემო, ჯაერი ნუ გაქვს!

მათ გვერდით რქებგაშლილ ბუღას თავი მალლა აეწია და ამაყად მიუძლოდა ძროხებს. მწყემსები სახრეების ქნევით დეკეულუბს აჩქარებდნენ. ჩემი ოთხთვალაც ნელა მიდიოდა. ერთხანს ყური ვუგდე მამა-შვილის დავას, მერე ოთხთვალა შეეთავაზე. — მოდიო, ჩაჯექით, სანამ ერთი გზა გვაქვს, დაისვენეთ-მეთქი. ქალიშვილმა თვალები შემომანათა, ეტყობოდა, ჩემი თავაზიანობა არ მოეწონა, და უკმეხად მითხრა:

— თქვენ თქვენი გზა ნახეთ, ჩვენ როგორმე ვივლით.

მაგრამ პირველად მამამისი ავიდა ოთხთვალაზე, შემდეგ იმანაც იკადრა, ხბო მიაწოდა მამას, ჩემს გვერდით კოფოზე ჩამოჯდა და მითხრა: — ვერ ვიტან ფაშისტებს. როცა ეს გარეწარი დავინახე, ყველაფერი შემეზიზნა. ნეტავ სად მიათრევეთ?

— ასე გავიცანი ზოია იაბლონსკაია. ჩვენ საღამომდე ერთად ვმგზავრობდით. ზოია ჯავრობდა, ფერმის აეტრომობილმა გამასწრო, თორემ ჩემს ხბოს შოფრის გვერდით დავსვამდიო.

— თქვენ რომ იცოდეთ, ეს რა ხბოა, — ამაყად მითხრა მან, — დედამისს „ხუთიანს“ ვეძახით, ორმოცდაათ ლიტრას იწველის. აი, აგერ მიდის! — მითხრა და თითი გაიშვირა ძროხისაკენ.

გზატყეცილზე, თითქოს მდინარე მიედინებო, ხმაურით მიიზღაზნებოდნენ ცურებგატყეცილი ძროხები, მტვერი ნისლივით ეფინებოდა მიდამოს.

კირილემ შენიშნა ტყვე გერმანელის ხალათის სახელოზე გამოსახული გადაჯავრდინებული ძელები და თავისქალა. ზიზლით გვერდზე გაიხედა.

— ზიზიკო, ეს ოხერი მაინც აგეგლიჯა! — უკმაყოფილოდ მომმართა მან.

— ეს ნიშანი ჩემს თვალებსაც ეკალივით ესობოდა, მაგრამ მიბრძანეს, ტყვე ხელუხლებლად მიმეყვანა შტაბში. ვიფიქრე მის ტანისამოსსაც რამე მნიშვნელობა ექნება-მეთქი და ზელი ჩაიქნეი.

— მაგისი საქმე მაინც წასულია, — მიუუგე კირილეს, — ქალა კი არა. ვინდა მთელა ჩონჩხი ჩამოიცილოს კისერზე, ვის შეაშინებს!

— შიშისა რა მოგახსენო, მაგრამ...

თვითმფრინავის ზეზუნზე კირილემ ლაპარაკი შეწყვიტა, სახე გაუფითრდა და ღრმად ჩაეარდნილი თვალები ცას მიაპყრო.

წყვეტილად მოგუგუნე თვითმფრინავებმა თავზე გადაგვიქროლეს.

— წიფილები! — აღმოხდა ზოიას და კოფოდან ვადმოხტა.

ცხენები შევაყენე. ოთხი თვითმფრინავი ჯოგს გაუსწორდა, შემდეგ დაბლი ჩამოიწია, გულგახეთქილი ძროხები, თითქოს მდინარემ კალაპოტი გაღმორღახათ, ბლავილით ბუჩქნარს შეერვივნენ.

ჯოგის თავში ქუხილმა მიწა შეაზანზარა.

მზით განათებულ მინდორზე სწრაფად მჭროლავი ლანდები ერთიმეორეს მისდევდნენ. გავარჯარებული ლითონის წვეთები ეცემოდა დაფეთებულ პირუტყვს, მოქანავე ბუჩქებს და ყველაფერს სიკვდილის ბეჭედს ასვამდა.

ზოიას ჭრელმა ძროხამ ჯერ უკანა ფეხი აითრია და შემდეგ მოცელილივით დაეცა.

— ვაიმე!

შეჰკივლა თავზარდაცემულმა ზოიამ. გული ამიდუღდა. საზენიტო ქვემეხი ვინატრე, ვუჩვენებდი როგორ უნდა სიკვდილის თესვა-მეთქი. გავმწარდი... საველე გაზეთში ამოვიკითხე მიხვილ კოკაურის ვაჟკაცობა. სერჯანტმა კოკაურმა შაშხანით ჩამოაგდო მტრის თვითმფრინავი. ამ მოგონებამ მიკარანახა ბედი მეცადა, თოფი ფრთხილად ავწიე. ამ დროს ჩემს გვერდით ბუჩქი შეიჩხა. კირილესა და ზოიასთან ვილაყ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ქერა კაცი მუხის შტოთი ცხელ პაერს ინიავებდა და თან გამოციებული თვალებით შემომყურებდა.

„როგორ მიყურებს! ნეტავი ვინ არის?“ — გულში გავივლე და ვკითხე:

— ამხანაგო, შენ ვინა ხარ?!

— მე ვიცი, ვინცა ვარ, შენ შენი საქმე გააკეთე! — ღიმილით მიპასუხა. ეს ღიმილი არ მომეწონა, მაგრამ ზოიამ მითხრა, რაიონიდან მომავრებელი ამხანაგიაო. ისევე მალე გამეფანტა ეჭვი, როგორც დამებდა. იმ კაცს ზურგი შევაქციე, ძირს დაშვებული თოფი აღვმართე. ავტომატის ჯერის შემდეგ ის თვითმფრინავი, რომელიც ყველაზე დაბლა იყო და ყველაფრის მოცელვა უნდოდა, ერთხელ კი ავარდა მაღლა, მაგრამ სულ მალე ცეცხლში გახვეული ძირს დაეშვა.

— ჰაი დედასა! — შევძახე გახარებულმა და ავტომატი ჩაიხუტე.

— შენ გენაცვალე, შეილო! — ცაბცახით წამოღდა კირილე და გადამეხვია. ზოია მადლიერებით სავსე თვალებით შემომყურებდა.

— ა-ჰა, ძამიკო! — მომწოდა თავისი ქათქათა თავშალი, — ოფლი მოიწმინდე!

— ყოჩაღ, მომილოცავს, ძმამო! — ზურგს უკან დაიქუხა რაიონიდან მომავრებულმა და ორივე ხელი ჩამომართვა, — ტერენტეივი გახლავარ, მომილოცავს!

როცა ტერენტეივი ხელს მართმევდა, მისი წყრილი, თაფლისფერი თვალეები გამირბოდნენ. ტერენტეივი ხან დაყინებით იცქირებოდა ზვინების იქით დაცემულ თვითმფრინავისაკენ, ხან გაშლილ მინდორს გაჰყურებდა, მივუხედი.

— არა, ამხანაგო, პარაშუტის გაშლა ვერ მოასწრო! — მივუვლე დამშვიდებით.

— ჩაიწვა, ასე მოუხდება! — ჩაილაპარაკა ტერენტეივმა და ქული თვალეებზე ჩამოიფხატა.

მზე ჩაღიოდა. კირილემ მათარა არყით გამივსო. თითო ჭიქაც დავლიეთ, გავმარჯვება მისურვა, ზოიამ თავისი მისამართი მომცა, — ვინ იცის ომი სად გადაგვადებს, თუ ჩვენს მხარეში მოხვდე, გვინახულე, მამამისმაც დამპატიყა, პო, კეთილი კაცია!

ერთი წლის შემდეგ, მართლაც მოგზავნი თქვენს სოფელში კოლმეტრნობის კანტორის ეზოში დაეიჭერი, იმის შემდეგ ჰოსპიტალში ვწევარქვეფელატოვის ინსტიტუტშიც ვმკურნალობდი, მაგრამ თვალს არაფერი ვჩვენებდი და ახლა შინ მივდივარ.

მოხუცი ჩაფიქრდა და მოგონებით გაბრწყინებული თვალები სამსონს მიაპყრო.

— სულ ეს იყო, შეილო?

— ეს იყო!

— ჰე, — ჩაუცინა მოხუცს, — მომწონს შენი თავმდაბლობა! მეც ასე ვიყავი, მრცხვენოდა ჩემს ვაჟაკობაზე ლაპარაკი. ისე, მართალი ვითხრა, სხვები რომ იტყოდნენ, იგორკამ დათვი მოკლა, ან ჩხუბში ვინმეს სცემო, გულში მიხაროდა და მუცინებოდა. აი მე შენ თვალთ არ მყავდი ნახული, მაგრამ ბევრი რამ მსმენია შენზე, იაბლონსკები კი არა, მთელი სოფელი ლაპარაკობს შენს ვაჟაკობაზე. შენს სიფხიზლეზე!

— აბა რა ვიცი, რა გავაკეთე ისეთი?

— გაქებენ, შეილო, ძალიან გაქებენ ჩვენიანები! შინ რომ არ მიდიოდე, დაგპატიებდნი, მაგრამ ვერ გამიბედავს ვინ იცის, როგორ გელიან ღედა, ცოლი, შვილები! მათ, აბა, როგორ წაეართვა შენი თავი, რამდენი შვილი გყავს?

— არც ერთი! — მიუგო სამსონმა.

მოხუცმა რომ გაიგო სამსონს არც ცოლი ჰყავდა და ღედაც დიდი ხნის წინათ გარდაცვლოდა, იმდენი ეხეეწა, სანამ არ დაითანხმა, როდი მოეშვა.

— წამოდი, ჩვენი სოფელი ნახე, შეილო, როგორ ავაშენეთ, ვერც კი იცნობ. ხვალ რძის ქარხანა ამუშავდება, არ გაინტერესებს?..

— მაინტერესებს, მაგრამ...

— მაგრამ რა? — შეაწყვეტინა მოხუცმა, — ის მიწა მაინც ნახე, ბიჭო, სადაც სისხლი დაგიღვრია.

მოხუცის სიტყვებმა სამსონს, თითქოს კრილობა განუახლა, გულში ტკივილი იგრძნო. თვალწინ წარმოუდგა როგორ მიუძღოდა ათეულს პერვომისკაიაში...

...გერმანელები მოიწვედნენ. სამსონს ვილაცამ ესროლა და გადატეხილ არყის ხესთან დაეცა. ბევრი სისხლი დაჰკარგა. მხოლოდ საველე ჰოსპიტალში მოიყვანეს გონზე.

ფერმის რძის საწყობი-ლა გადარჩენოდა თმის მმუსრავ ხელს. იქ სახელდახელოდ საველე ჰოსპიტალი მოეწყობო. დანარჩენი შენობები დანგრეული იყო. აგურების ნამსხვრევები გორა-გორა ეყარა. სამსონს სახე ბინდითა და ბამბით ჰქონდა შეხვეული, მარტო ცხვირპირი უჩანდა, ლაგინიდან თავს ველარ სწევდა.

ვაგონის ბორბლებს ქვეშ ზიდი არახუნდა. მოხუცმა სამსონს მუხლზე ხელი დაუთათუნა და ისევ განუმეორა:

— რად გინდა ბევრი ფიქრი, წამოდი, ნახეარ საათში სადგურში ვიქნებით. — მოხუცი წამოდგა და ფანჯრიდან გაიხედა. — მე თვალი არ მიჭრის, თორემ აქედანაც ჩანს ჩვენი სოფელი, აბა, გაიხედე!

სანამ სამსონი ფანჯრიდან გაჰყურებდა სოფელს, მოხუცმა ჩემოდანი გამოიღო და ოდნავ შეცვლილი ხმით თანამგზავრს უთხრა:

— შეჯავრება ყოყმანა კაცი, აიღე ჩანთა და გამომყევი!

სამსონი მიისწრაფოდა თავის სოფელში, სადაც ძმები და ნათესავები ელოდებოდნენ. მან ზომ შინ ბარათი გაგზავნა, ჩამოვდივარო, მაგრამ ახლა

რალაც ძალამ შეაჩერა. მრავალი მოგონება აკავშირებდა მას პერვომაისკისთან. ბევრჯერ შეხვედრია ამ სოფლის ხალხს. სამსონმა როცა ტყვე გერმანელი შტაბს ჩააბარა და უკან ოთხთვალათი მოჰპროდა, პერვომაისკისში შეიშენა, ცხენებს წყალი დააღვინა, თვითონაც იქვე ბალახზე გაზეთი გაშალა და ჯარისკაცის სუფრას მიუჯდა. სამსონი და მისი ამხანაგები შავ პურსა და თევზის კონსერვს შეეჭკეოდნენ. ამ დროს ქვაბუნით ხელში ონკანთან მივიდა მწუხარებისაგან სახეგაფითრებული მოხუცი ქალი, რომელსაც წარბებს შუა მსხვილი ხალი აჯდა. იგი ჯარისკაცებს მიუახლოვდა და წყრომით უთხრა:

— კარგი მადა კი გქონიათ! რა გქირთ, ქამეთ, ქამეთ! — ქალს ცრემლები წასკდა. მაშინვე წამოხტა ერთი ჯარისკაცი, ქვაბუნა აიღო და ქალს მიაწოდა.

— რა მოგივიდა, დედი, მამ პური არ უნდა ეკამოთ?

— ჰო, შვილებო, თქვენ ქამთ, ისინი კი მოდიან და მოდიან! ამოიკენესა ქალმა, მიტრიალდა, წყალი აიღო, აცრემლებული თვალები ერთხელ კიდევ გადაავლო ჯარისკაცებს და ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა არყების ხეივანს.

მაშინ სამსონს ამ ქალის მეტი სოფელში არაეინ შეხვედრია. სამსონი თავის ნაწილში უგუნებოდ მივიდა, მთელი ღამე ახალ სანგარს თხრიდა, მაგრამ მეორე დღით მტრის არტილერიამ ყველაფერი ნაცარ-ტუტად აქცია. სამსონმა უკან დახევისას ვერც კი იცნო პერვომაისკია, სახლების ნანგრევებს მდღემარედ ჩაუარა, მშვენიერი არყის ხეები დაჩეხილი იყო, ონკანიც მოეგლიჯათ და წყალი ჩხრიალით მოედინებოდა. სამსონს ყურში ჩაესმა იმ ბებერი ქალის მწუხარე სიტყვები: „ჰო, ისინი მოდიან და მოდიან“.

პატარებელი მიგუგუნებდა გაშლილ ტრამალებში. სამსონმა ფანჯარაში ასვეტილ სემაფორს თვალი რომ მოჰკრა, წამოდგა და თანამგზავს შესძახა:

— ადექი, ძიაკაცო, სადგურს მიუახლოვდით!

— გადაწყვიტე? — ჩაიციხა მოხუცმა.

პატარებელი შეჩერდა.

პატარა სადგურის უკან პურის ყანა იყო გაშლილი. შორს კომბაინები მიდიმოდიოდნენ და შავი კვამლის რგოლები ერთიმეორეს მისდევდნენ. ფართო გზა ყანას შუაში ჰქრიდა და თეთრი სახლებით მოფენილ ზეგანს ეკეროდა. იქ სოფელი პერვომაისკია იყო, რომლისკენაც წელი ნაბიჯებით მიდიოდნენ სამსონი და მოხუცი იგორი.

— იგორ გავრილოვიჩ, — ფიქრის შემდეგ მიმართა სამსონმა, — თქვენს სოფელში კიდევ მყავს ერთი ნაცნობი, სახელი და გვარი არ ვიცი, მაგრამ მისი სახე და სიტყვები არასოდეს დამაიწყდება.

— ვინ იყო ისეთი, ცუდი რამე გითხრა?

— ცუდი არ უთქვამს, მაგრამ ცუდ დროს მითხრა და დაგეწეა. აფსუსს, სახელი მაინც მეკითხა. იქნება გენიშნოს, მოხუცი ქალია, ცხვირის ზემოთ, ამ ადგილას, — სამსონმა წარბებს შუა თითი მიიღო, — დიდი ხალი აქვს.

— იფ, სამთვალა ნასტია, — მაშინვე წამოაძახა იგორმა, — როგორ არ ვიცნობ, ახლა მელორეობის ფერმაში მუშაობს, ის იქნებოდა, იმას მწარე ენა აქვს. კაცს სიტყვით მოჰკლავს.

ნაშუადღევს ისინი სოფელში შევიდნენ. პატარა, თეთრი სახლები დაკეტილი იყო. კარებთან ჩრდილში ძაღლები იწვნენ, არყის ხეებს ისევ ამოეყარა და ხეივანი პატარა ტოტებს დაეფარა. ხეივანში გრილოდა, სამსონმა ქუდი მოიხადა და მოხუცს უკან გაჰყვა. იგორი სამსონს ეზოში შეუძღვა. თივის ზვინებიდან პა-

ტარა, ფართო ყურებიანი ფინია გამოხტა, ერთი-ორი მიაყეფა და მერე წმუტუნით ფეხებში გაუგორდა პატრონს.

— შენს მეტი არავენ არის? — ჰკითხა იგორმა ძალღს და მინდევნილ მან ჩემოდანი კუთხეში დადგა და სამსონს სკამი მიაწოდა. — დაბრძანდი! თავი შენს სახლში იგულე. თუ გინდა, წამოწეჭი, მაგრამ არა, ჯერ ხელ-პირი დაევიბანოთ. ჩემი დედაკაცი კოლმეურნეობაშია, აქ რომ იყოს მოგვივლიდა.

სამსონმა ჭამარი შეიხსნა და სკამზე ჩამოჯდა. კარი ღია იყო, მზე თეთრად შეღესილ კედლებს აელვარებდა. ოთახში ცხელოდა, კუთხეში ყვითელჩარჩოიანი სარკე ეკიდა, ფართო საწოლს ფერადი ძაფებით მოქარგული ტილო ეფარა. ტახტზე ჭრელი ჩითი იყო გადაკრული და მის ზემოთ კედელზე გენერალისიმუსის ფორმაში გამოწყობილი სტალინის პორტრეტი ეკიდა. ოთახის შუაგულში ძველებური მრგვალი მაგიდა იდგა, რომელსაც გრძელფოჩებიანი სუფრა ეფარა. მაგიდაზე თიხის სურა და უბრალო ჭიქა იდგა, მოხუცი ოთახის უკანა კარებში გავიდა და მცირე ხნის შემდეგ სამსონს დაუძახა:

— მოდი აქ, შეილო, გრილოში!

სამსონი ავიდა დიდ ოთახში, რომელშიც მაღალი ღუმელი იდგა. მერე მასპინძელს ვაშლისა და ქლიავის ხეებით დაბურულ ბაღში გაჰყვა. ვაშლის ხის ჩრდილში ნიავი ჭროდა. მოხუცი ხესთან შეჩერდა, ტოტს მოჰკიდა ხელი.

— ჩემი დარგულია. — თქვა მასპინძელმა და თითი კომბოსტოსაკენ გაიშვირა, — აი, იქაც ორი ხე იდგა, მაგრამ ძალღს შვილების ყუმბარამ დამიწვა.

— თვითონაც ხომ დაიწვენენ! — მიუგო სამსონმა და მოლზე წამოწვა. ისინი დიდხანს საუბრობდნენ. მოხუცმა დაწერილებით უამბო, თუ რა თავხარის სცემდა მისი პარტიზანული რაზმი გერმანელებს, ბოლოს მოიგონა ომში დაღუპული ორი შვილი და თვალები აუტრემლდა.

— ახლა რაა ჩემი ცხოვრება? ვმუშაობ, ვმუშაობ, არც ბავშვი, არც სიხარული. ერთი ქალიშვილი მყავდა, ოფიცერს გაჰყვა და ისიც სტალინგრადის იქით ცხოვრობს. — თითქოს დაასკვნა მოხუცმა, მაგრამ ღუმელის შემდეგ ისევ განაგრძო: — ვმუშაობთ ყველანი, დიდი და პატარა, სოფელი ისევ ავაშენეთ და გავავსოთ... იაბლონსკების ფერმა რომ ნახო, თვალი ზედ დაგრჩება, ისეთი მდევებივით ძროხები ჰყავთ.

იაბლონსკების მოგონებაზე სამსონი წამოიწია და მასპინძელს უთხრა:

— მოდი, წავალ იაბლონსკებთან.

— ჩემი სახლი არ მოგწონს, შეილო? სად უნდა წახვიდე. იაბლონსკები აქ მოვიდნენ. კერ დავხვდები თუ!

იაბლონსკები მოხუცმა საღამოს მოიყვანა. კირილ პეტროვიჩი პირველი შემოვიდა კარავში და სამსონს გადაეხვია. ზოიამ მორცხვად გაუწოდა ხელი.

— ჩემი მისამართი დაგაეწყდა? — ჰკითხა კირილემ და სამსონის გვერდით სკამზე ჩამოჯდა.

— შენი მისამართი რომ მახსოვდა, სწორედ იმიტომ მოვედი აქ. როგორ ხართ? რას შვრებით? — გამზიარულდა სამსონი. ზოიას მიუბრუნდა: — შენ კი არ გამოცდილობარ!

— არა, არ გამოცდილობა, — ჩაერია კირილემ, — მაგრამ ახლა გამოიცვლება მაღი, ერთ წელიწადში.

— როგორ?

— თხოვდება... ისეთი სასიძო მყავს, იფ! — და კირილემ ცერი ასწია. ზოიამ თავი ჩაღუნა და მამას ჩურჩულით უსაყვედურა.

— აბა, რას ამბობ, მამა! რა დროს ეგ არის!

მეორე დღით იაბლონსკებს ფერმაში ეწვია სამსონი, ზოია ეზოში მიეგება და სანამ ფერმის გამგესთან მიიყვანდა, თავისი ძროხები უჩვენებდა.

— აი, ის ხბო, გახსოვს, ოთხთვალაში რომ ჩაისვი, — თქვა ზოიამ, — შენს შემდეგ კიდევ ვატარე ორი კილომეტრი, მერე მანქანები შემოგვხვდნენ, დალუპვას გადაეარჩინე. ახლა ორი ხბო ყავს. კვიცი გვარზე ხტისო. ესეც ორმოცდაათ ლიტრს იწველის.

სამსონი ძროხას მიუახლოვდა. რქაზე ხელი დაადო. ძალიან მოეწონა ეს კამეჩისოდენა, ჯიქნებდაბერილი ძროხა და გულში გლეხკაცურად ინატრა. ნეტავი ჩემს სოფელშიც ასეთი პირუტყვი დამხვდესო.

— ეს რა ჯიშისაა? — იკითხა მან.

— წითელი სტეპია, თუმცა აი, — ქრელ ძროხაზე მიუთითა ზოიამ, — ნარგვია, მაგრამ ყველას სჯობს... თქვენს კოლმეურნეობას რა ჰქვია?

— „წინსვლა!“

— კარგი სახელი შეგიჩვენებიათ, ალბათ სულ წინ მიდიხართ. — უთხრა ზოიამ — ამაზე უკეთესი ძროხები იქნება თქვენში?

სამსონმა მხრები აიწია და ყოყმანით მიუგო:

— აბა რა ვიცი, დიდი ხანია იქ არ ვყოფილვარ. ჩემს დროს, — ხელი ჩაიქნია მან, — ჩვენი ძროხები დღეში ხუთ ლიტრსაც არ იწველიდნენ.

— ჰე, მას შემდეგ, შე კაი კაცო, ქვეყანა შეიცვალა და შენი კოლმეურნეობის ფერმას რა გაყინავდა.

— მეც ასე მგონია!

ბოსლის ქვემოთ აგურის ერთი ახალი სახლი იდგა, რომლის მალალი მიღებიდან ნაცრისფერი კვამლი ამოდიოდა. კირილე იაბლონსკიმ ამ სახლის ფანჯრიდან გამოჰყო თავი და ზოიას დაუძახა:

— გოგო, შენს მეტი ფერმაში არაფერ არის?.. აქ მოიყვანე სტუმარი.

— ახლა რძის ქარხანაც დაათვალიერეთ! — უთხრა ზოიამ და გვერდით გაჰყვა სამსონს. როცა ქარხანაში შევიდნენ, კირილე კარებში შეხვდა შეიღის თვალები დაუბრიალა.

— კი, როგორ არა, შინი ძროხების ყურება გაგვაძლებს, წინ წადი, სადილობის დროა. — მერე სამსონს მკლავში ხელი ჩაქიდა, — თქვენ აქ იყავით, არ მოგაწყვენთ.

— პირიქით, ძალიან მაინტერესობს გვეიცნო რძის ქარხანას, გამომადგება!

— სამსონი მიუახლოვდა მოთუხთუხე მანქანებს, დააქერდა თაზზე ქაფ-მომდგარ ქვასს, რომლიდანაც გამჟღავნებულ მილით რძე სადღვებელში გადიოდა. სადღვები მანქანის გვერდით გამხდარი, თეთრებში გამოწყობილი შუახნის ქალი იდგა.

— მობრძანდით, — დაუძახა მან სამსონს, — აი, როგორ კარაქს ვამზადებთ! სამსონი და კირილე ქარხნიდან შეადღოსას გამოვიდნენ. სამსონი აკირდებოდა ეზოებს, ქუჩებს. სამსონმა იცნო ის მოედანი, სადაც დასჭრეს. თორქოს სასათლაოსთან დგასო, ისე მდუმარედ დასცქეროდა მიწას. ამ ადგილას გადატეხილ არყის ხეს ახალი ტოტები ამოეყარა.

მეორე დღეს სოფლის ფოტოგრაფმა ამ არყის ხესთან სამსონს სურათი გადაუღო.

კირილე იაბლონსკიმ, თითქოს ვინმის უნდა აკოცოსო, ჩამოშებულ უღვე-შებზე ხელი გადაისვა და საზეიმო კილოთი მიმართა მეზობლებს:

— იმხიარულეთ, ძვირფასი სტუმარი ჩამოგვივიდა; სამსონ ხაინდრაია, ჩვენი ღვიძლი ძაა!

ზოიამ შენიშნა, თუ როგორ გაუწითლდა სამსონს ნააედმყოფარი სახე როგორ დახარა თავი.

„შერცხვა“, — გაიფიქრა ზოიამ, — პირში ქება ძნელი ასატანია! — და უნდოდა მამამისისთვის ეთქვა: — კარგი, სხვა რამეზე ილაპარაკეო, მაგრამ იცოდა მისი ჯიუტი ხასიათი და ისევ სამსონს გადაუჩურჩულა:

— ნუ გრცხვენია, ტყუილს ხომ არ ლაპარაკობს, დე, ხალხმა იცოდეს ვინა ხარ! თუმცა მთელმა სოფელმა იცის, მამაჩემი სულ შენს ხსენებაშია!

— მაშ რა საჭიროა, ახლაც რომ ჩემზე ლაპარაკობს! — ჩურჩულითვე მიუღო სამსონმა ზოიას, შემდეგ კირილესკენ მიიხედა და მორიდებით მიმართა:

— კარგი, კირილ პეტროვიჩ, ნამეტანს მაქვებ!

— მე მართალს ვამბობ, აი, ცოტა რამე რომ წაუმატო და ტყული გამომივიდეს მაშინ შემაჩერე, — მიუღო კირილემ და იმავე კილოთი განაგრძო:

— სამსონმა ის თვითმფრინავი ჩიტვით ჩამოაგდო, მართალი ვითხრათ, მორწმუნე არა ვარ, მაგრამ პირველად მაინც გადავიწყერე. ასეთი სიმარჯვე გავგონილა.. დანარჩენი თვითმფრინავები უფრო გაგულსდნენ და რაც ტყვიან-წამალი ჰქონდათ სულ ჩვენსად მოგვავაყარეს. დაეიბენით. პა, ასე არ იყო? — და როცა იქ მდგომი მწყემსები დაემოწმნენ, მან განაგრძო, — ფიქრისთვის დრო არ გვქონდა, ჯოჯი დაშლილიყო. ძროხა ზოგი აღმა გარბოდა და ზოგი დაღმა. სამსონმა გამოხსნა თავისი ოთხთვალადან ცხენი, ზედ შეაჯდა და ამ ორომტრიალში გადმოგვძახა:

— შევავროვოთ პირუტყვი, სამშვიდობოს გავიყვანოთ, თორემ ის წყეულები ისევ მოგვაკითხავენ.

— ნუ გვაშინებ, არაფერსაც არ მოგვაკითხავენ, — გაისმა ზარის ხმასავით ცარიელი სიტყვები. ეს ტერენტეივი იყო.

— პო, მართლა, სად არის ტერენტეივი? — გადაულაპარაკა სამსონმა ზოიას.

— აი, მამამ იცის.

— ჩემს საყურებლად გცალიათ? — უტიფრად გაიცინა ტერენტეივმა; — წაეიდეთ, პირუტყვს მივხედოთ, — შემოგვძახა მან და პირველი გამოჰდგა დაფეთებულ ძროხას. სამსონმა ტყვე ჯარისკაცს გაატანა შტაბში, თვითონ ჩვენთან დარჩა. საქონელი მოერეკეთ. დაჭრილები დავკალით, ზოგი ჩაეაყარამეთ, ზოგი დაავიდეჯოდა. სალაპოსხანს სამსონის ოთხთვალადი დაბრუნდა. გზატკეცილით პირუტყვის ტარება უყვე სახიფათოაო, გვირჩია სამსონმა, რაც ყველას ქეუაში დაგვიჯდა. მაგრამ ტერენტეივი არ დაგვეთანხმდა.

— ვინ იყო ტერენტეივი? — გაისმა ილიაის ბოხი ხმა. — სახილი არა აქვს?

— საბუთებში ვასილი ეწერა, მაგრამ ეტყობოდა. ჩვენი ჩეყენის არ იყო. სწორედ გზატკეცილით უნდა ვატაროთ ჯოჯი, შენ შენს საქმეს მიხედეო. — მკაცრად მოგვმართა ტერენტეივმა, — კი, მაგრამ შენ თვითონ ვინა ხარო. — შიგრიტა სამსონმა — ილიან, შე ვინცა ვარო, — არც ტერენტეივმა დაიხია უკან. მაშინ მოაპარონოა სამსონი და გვკითხა:

— ამხანაგებო, იციოთ, ეს კაცი ვინ არის? იცნობთ?

— არა, არ ვიცნობთ, თუ არ ვცდები, პირველად ჩემმა გოგომ დაიძახა, სი-მართლუ უნდა ითქვას, ასე არ იყო?

— პო, ასე იყო! — მიუღო მოგონებებით კმაყოფილმა სამსონმა.

— მაშინ, მოგეცათ სიკეთე, სამსონმა საბუთები ჩამოართვა ტერენტეევს, დიდხანს აკვირდებოდა, მეგონა, სადაც წერილია, იქ გაწყდებოდა, მაგრამ ქალღებები უკანვე დაუბრუნა.

— ჰა, ხომ სწორია. — გაეხარდა ტერენტეევს.

— სწორია. მაგრამ შენ თვითონ არ უნდა იყო სწორი კაცი. — მიახალა სამსონმა. ტერენტეევი გაწითლდა, გადაყლაპა ეს სიტყვები.

სამსონი ჯერ მშვიდად უსმენდა კირილეს, მაგრამ მერე მოუთმენლად ჰკითხა:

— კირილე, ერთი მითხარი, ტერენტეევი წმინდა კაცი გამოდგა?

— არა კაცო, რუსი ადამიანი და მოღალატე ვინ გაიგონა! იმ ძალღატაკის მოგონილი გვარი ჰქონია ვასილ ტერენტეევი კი არა, პენრის შულცი ყოფილა, დასაქვევ ბავარიიდან! — მიუგო კირილემ. — როგორც შენ გვიჩიე, ჯოჯი ტყის დაბურული გზით წავეყვანეთ. გზაში ტერენტეევი ისე მოგველაქუტა, ეშვები გაგვიფანტა. მაგრამ ერთ ბნელ ღამეს, როცა პირუტყვს ვასვენებდით, ჩვენს თავზე თვითმფრინავების დაბმული ზუზუნის ატყდა. ცეცხლი ჩაეაჩრეთ, ტერენტეევი თვალსა და ზეგს შუა გაგვიფვრა. სიბნელეში ვხედავ: ჩვენს თავზე შექიხან გაიცემციკებებს, ხან ჩაქრება. ეს კარგის ნიშანი არ იყო. მაშინვე შინი გაფრთხილება მომაგონდა და ტერენტეევი მოვიკითხე. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, მის კვალს ვერსად მივაგინეთ... ბოლოს მწყობრებმა ზეზე აომოაჩინეს, წყეული მტრის თვითმფრინავებს ეპატიებოდა, მოდიოთ, დაგვაყარეთ. და კიდევაც დაგვაყარეს.

კირილე ამ ამბავს რომ მორჩა, ქოჩორა ფოტოგრაფმა გარმონი მოიმარჯვა... გოგო-ბიჭებმა ისეთი სიმორა თა ტაში გაახურეს, რომ მოთარიც აცეკვდებოდა. ზოიას ქრალი კაბა თვალისმომკრალად ათრიალდა მოედანზე.

— აბა, ჰა, ძმაო! — დაჰკვილა ქალიშვილმა.

ბერაზერ ურეკია სამსონს ძმებზე თუ შეთვისებულ ჯარისკაცებთან, ფრონტზე. გამარჯვების ბიონირ თა სასახაროლო წოთებში. დაახსნიდა ის დღეები. გარმონის აეღირებულმა ნაინობმა ბერებმა ახლაც ცეკვის სურვილი აღუძრეს, და სამსონმა ქმარი შეისწორა, ასეტილ შექივით ზოიას წინ ჩაბუქნა. ის ცეკვავდა თავისი სისხლით მორწყულ მიწაზე.

— ქართულად, ქართულად! — მიამახეს ყოველი მხრიდან.

სამსონმა მარცხენა ხელი ზევით ასწია, მარჯვენა განზე ჩამოუშვა და ფეხის ცერაზე შემოარბა წრეს შევარდენივით შემოუარა. ზოია კი არ მისდევდა, გვეროში მიტრინავდა...

სამსონი დაიღალა, შეჩერდა, სანამ ტაში განილდებოდა, ოფლი შიშვრალა, უნდოდა იბლონასისთან მისუღიყო, მაგრამ იგორის ცოლმა, ქმართან შედარებით ახალგაზრდამ, გამხდარმა და ტანმოალმა ქალმა შეაჩერა.

— ჩვენს ნასკიას გააჯინობ. — თიმოლო თხზრა და მზისუშვირას კენეტით გართულ ქალს დაუძახა: — მოდი, ერთ წყოს... —

ნასკიამ თავსათარი შეისწორა, კალთიდან მზისუშვირას ჩენჩოები ჩამოიბერტყა, პირი მოიწმინდა და ჩქარი ნაბიჯით სტუმარს მიუახლოვდა.

— გაიცანი. თუმცა ჩვენი სტუმარი დიდი ხანია გიცნობს! — უთხრა იგორის ცოლმა.

ნასკიამ თავისი მსოქანი, მოკლათითობიანი ხოლი სამსონს გაუწოდა. სამსონმა მის ხალს ერთი შიხედა და დიმილით ხელზე ხელი მოუჭირა,

— გიცნობ, აი, გიცნობ, დედი... —



— საიდან, მე კი პირველად გხედავ! — გაიკვირვა ნასტიამ და ლაყები წამოუწითლდა.

— მაშ პირველად ხედავ? — და იგორის ცოლმა სამსონის წაშქვამი უფრო შელამაზებულად უამბო.

— აგრე იქნებოდა, შეილო, ჰო, მახსოვს, — დარცხვენით უთხრა სამსონს, — აბა, რა მეთქვა, უკან იხედვით და მადლობას ხომ არ გეტყოდით! მადლობა დმერთს, მშვიდობით გადარჩენილხარ... ჩემს სიტყვას რა ფასი აქვს, გულიდან ამოილე, შეილო, დედაბერმა რაღაც წამოვაცურანტალე, ეგ რა დასამახსოვრებელია?!

— არა, დედი, იმ სიტყვას გულში როგორ ჩავიტოვებ, მე შენი ნახვა მაინტერესებდა!

— ერთ დღეს ზოია და სამსონი ფერმის კიშქართან იდგნენ, ამ დროს მათ წინ გამტერიანებული „ვილისი“ შეჩერდა.

— აი, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე. — უთხრა ზოიამ სამსონს. მაგრამ ტროფიმ სემიონოვიჩი არაფრით არ ჰგავდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. მას სამხედრო ტანსამოსი ეცვა. მოსირმულ სამხრევებზე ერთი დიდი ვარსკვლავი უბრწყინავდა, მიხვრა-მოხვრასა და სიარულში ეტყობოდა, რომ სპორტულად მოქალაქე სამსახურს ჯერ არ იყო შეჩვეული. სამსონი წელში გასწორდა, ფეხი ფეხზე შემოჰკრა.

— თავისუფლად! ჯარში კი არა ვართ! — დაუძახა ტროფიმმა და სიცილით მიუახლოვდა.

ფერმიდან ტროფიმმა სტუმარი თავის კაბინეტში წაიყვანა. იქ მოსავლის გადიდების გეგმები, მშენებლობის პროექტები გააცნო და შემდეგ სამსონსაც გამოკითხა თავისი სოფლისა და კოლმეურნეობის ამბები. როცა გაიგო, რომ სტუმარი ომში გაწვევამდე მეციტრუსეთა ბრიგადაში მუშაობდა, გაეხარდა.

— ასე სიზმარში ხდება, ინატრებ რამეს და აგისრულდება. ლიმონები ტრანშეებში ჩაერგე, მაგრამ მე და ჩემს აგრონომს მისი არაფერი გავეგებება. ვინატრე, ნეტავი ჩვენი პლანტაცია საქმის მცოდნეს აჩვენა-მეთქი, და ხომ ხედავ, ამისრულდა... ზოია ისე არ გაგიშვებდა, დაგათვალიერებინა?

— როგორ არა, პირველად იქ მიმიყვანა.

— მოუსვენარი ჭალია ზოია! — კმაყოფილებით დაიწყო კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, — ახლა მეციტრუსე უნდა გახდეს, წიგნები ვუშოვე, მაგრამ პრაქტიკა სულ სხვაა. ტრანშეები ფერმის გვერდით გვაქვს და ზოია ხან ძროხებს უვლის, ხან ლიმონის ხეებს სასუქს უყრის.

— კარგი ჯიშის გაუხარებია ზოიას! — შენიშნა სამსონმა.

— კარგია, მაშ... ის გოგო მასახელებს. გადავწყვიტე, საქართველოში გამოვგზავნო, რას იტყვი?

— კარგი იქნება, ჩვენს სოფელში ჩამოვიდეს.

— ეგ არ ვიცი, სად მიავლინებენ. პარტიის საოლქო კომიტეტში გავგზავნი, მდივანი მიცნობს. ჩვენი დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი იყო. მიწერ-მოწერა გვაქვს... შენ კი გთხოვ, ჩემო სამსონ, ცოტა თესლი გამოგვიგზავნო; ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის და მაშინ ნერგები არ გავვიჭირდება. თუ ამას გამოიკეთებ, დიდად დამეძალე, ჩემს მეზობლებს მინდა ვაჯობო. პლანტაციას გავხარებ!

სამსონმა გაიღიმა.

— მარტო თესლი კი არა კმარა, მას საძირე უნდა და შემდეგ დამენობა.  
ტროფიმ სემიონოვიჩმა გაკვირვება არ დაიმჩნია, თავზე ხელი გადაისყა და  
შშვიდალ უთხრა:

გინჯლინოთქა

— ვიცი, საძირეც მინდა!

მათ კიდევ დიდხანს ისაუბრეს. სამსონი გატაცებით უყვებოდა ციტრუსების  
ნერგებზე, მყნობაზე, ნაყოფის შენახვაზე. ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციები  
ისე აუწყერა, რომ ტროფიმი ალტაცებაში მოვიდა.

— რას ამბობ, ძმაო, დეკემბერში კრეფთ ლიმონს?... დეკემბერში ჩვენთან  
გარეთ ცხვირს ვერ გაყოფს კაცი. არა, ჩვენი ლიმონის ხეებს ჯერ კიდევ დიდი  
დრო ჰქირდება ტრანშეებიდან ამოვიდეს და მიწაზე, როგორც თქვენთან, მწვანე  
პლანტაციად გადაიშალოს. მაგრამ, — არა უშავს რა, ბუნებას გარდაეჭმნით,  
დავიმორჩილებთ. და მერე ნახე პერვომაისკაია, ნარინჯების ლაყვარლში აცურ-  
დება!

კოლმეურნეობის თავჯდომარემ ხელი ხელს შემოჰკრა და წინ გაუძღვა  
სამსონს. მან იაბლონსკების სახლამდე მიაცილა სტუმარი და მეგობრულად  
გამოემშვიდობა.

„ტროფიმ სემიონოვიჩისაგან უნდა ვისწავლო. აი, გამოცდილი, მუყაითი  
მეურნე. რა სწრაფად აღუდგენია დანგრეული კოლმეურნეობა!“ კმაყოფილე-  
ბით ფიქრობდა სამსონი.

სამსონი ერთ დღეს აპირებდა პერვომაისკაიაში დარჩენას, მაგრამ ერთი  
კვირის შემდეგ ძლიერ გამოამგზავრეს, სადგურზე კირილე იაბლონსკიმ ხელი  
მხარზე დაადო და გულთბილად უთხრა:

— გენდობი, როგორც შეილს, ჩემი ზოია ჩამოვა და შენ იცი!

იგორის ცოლი და ნასტია სადგურში ერთად მივიდნენ. იგორი მოწყენილი  
იყო. მან ყველაზე ბოლოს ჩამოართვა სამსონს ხელი და საყვედურით წასწრ-  
ჩულა: ცოტა ხანს კიდევ დარჩენილიყავი, ბიჭო!

— არა უშავს, ისევ ჩამოვალ, გორში რომ მიდიოდეთ, ჩამოგვიართ!

სამსონი მასპინძლებს არ მოშორებია. გამცილებლები შემოეხვიენენ, ზოგი  
რას ეუბნებოდა და ზოგი რას. მალე შატარებელი ჩამოდგა და სამსონი ვაგონას  
კბეზე შედგა.

სანამ პერვომაისკაიას თეთრი სახლები წერტილებივით არ დაპატარავდნენ,  
სამსონი ფანჯარას არ მოსცილებია. „რა ოქრო ხალხია! — გულში ამბობდა სამ-  
სონი — როგორ თავს მევლებოდნენ. ამ ერთ კვირაში ბევრი რამ ენახე და  
განვიცადე“.

სალამოს ნიავს ზორბლის სუნით გაკლენთილი თბილი ჰაერი შემოქონდა  
ვაგონებში. კომბანები ცეცხლის თვალების ბრიალით პურის ყანებს კიდით-  
კიდემდე ანათებდნენ და მოლალანე თავთაეებს ჰკრიდნენ.

შატარებელი კი გამალეებით მიჰქროდა...

## თავი მესამე

სამსონი ღამით დაბრუნდა სოფელში. ყველას ეძინა, სიბნელეში ფრთხილად  
შეაღო ჰქიშკარი. ასე მოულოდნელად კარებს რომ მივადგე, გული გაუსკდებათო,  
და განგებ ჩახველა, იქნებ ვინმე გამომეგებოსო, მაგრამ ეზოში ჩამიჩუმი არ  
ისმოდა. მხოლოდ ახლა მოაგონდა სამსონს, რომ ძმები გაყოფილი იყვნენ. გული  
აუჩუყდა.

სამსონმა საშუალო სასწავლებელი რომ დაამთავრა, ეზოს ერთ კუთხეში იგი ძირი ღიმილი დარგო; ომში წასვლამდე პატარა ხეები მკერდამდე ძლივს სწვდებოდნენ. ახლა კი ეს ტანაყრილი მცენარეები სამსონს ფოთლებით რაღაც იდუმალი შრიალით შეხედნენ.

სამსონი ნელა ავიდა აივანზე, მაზარა მოაჯირზე გადაჰკიდა, ზურგის ჩანთა უხალისოდ მიაგდო კუთხეში და კარებს მიადგა, მაგრამ დაკეტილი დაუხვდა. უნებლიეთ მოაგონდა, რომ ამ სახლში დედა ჩურჩხელებსა და ხმელ ხილს ინახავდა, მაშინ ფანჯრის ერთი მინა ჩატეხილი იყო, სამსონი იქ ჩატეხილ ბალიშში ხელს გადაჰყოფდა, ურდულს გახსნიდა და ჩუმიად გადაიბარებოდა.

ახლაც იმავე ფანჯარას მიადგა, მაგრამ ბალიშის მაგივრად ყავარი იყო მიქედელი. მან ყავარი მოგლოჯა და ძველებურად გადახტა ოთახში. ასანთს გაჰკრა, ბუხროსთავზე შედგმული ლამპა აანთო. ოთახი დალაგებული დაუხვდა, გულზე მარტოობის დარდი შემოაწვა და სკამზე ჩამოჯდა. განათებულ კარადას შეხედა.

— რამდენჯერ შეხებია დედაჩემის ხელები ამ ბრჭყვიალა სახელურს, — გაიფიქრა მან, — ახლა კი სადაა ის სათნო და საყვარელი ხელები?!

მარჯვენა თვალიდან წამოსულმა ცრემლმა ლოყა აუწვა სამსონს. მარცხენა თვალს არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო ამ მწუხარებაში.

სამსონი დილით ადრე გამოვიდა ეზოში. ღიმილის ფოთლები თეთრად დაეწინწკლა ქიას, ფეიზოს ბუჩქები პირუტყვს გადაეჰამა. მეციტრუსეს გული ეტყინა. სახეზე უკმაყოფილობის ბინდი გადაეკრა.

— არ მოუვლიათ!.. — ჩაიდუღუნა მან. ეზოს გახედა, გადაცვარულ მოლს მზე სარკესავით ამრჭყვიანებდა.

ქიშკარს სიმღერით მოადგა თმაქოჩორა ბიჭი, რომელსაც ძროხა მოჰყავდა.

— დედა, ბიძია მოსულა! — შეჰყვირა ბიჭმა, ძროხა მიატოვა და რატომღაც სამსონი ქიშკარში გავიდა. იცნო ოჯახში დაბერებული ძროხა.

— ქუჩია! ქუჩია! რად მიატოვეთ ძველი ეზო? — მიუღერსა მან ძროხას და მოტეხილ რქაზე ხელი მოჰკიდა, უნდოდა ეზოში შეეყვანა, მაგრამ ჯიუტ პირუტყვს ფეხი ვერ გადაადგმევინა.

— ველარ მიცანი?

სამსონმა „ქუჩიას“ დაწრტილ ცურზე ხელი მიუთათუნა და გაიფიქრა: „რა სარგებლობა უნდა მისცეს ოჯახს ამ ძროხამ?“

წინათ „ქუჩიას“ სოფელში კარგი სახელი ჰქონდა და სამსონის დედა ხან ერთ მეზობელს ჰპირდებოდა მის ხბოს და ხან მეორეს, მაგრამ, თითქოს მათ გასაჯავრებლად, ქუჩია ყოველ წელიწადს მოზვევრს იგებდა.

„ტყუილად უჩებდნენ დედაჩემს ქუჩიას, დღეში ხუთი-ექვსი ლიტრა, წვეთია! ნუთუ კოლმეურნეობასაც ასეთი პირუტყვი ჰყავს?“ — ფიქრობდა სამსონი და თვალწინ ზოია იაბლონსკაიას ძროხები ედგა.

სანამ სამსონი ძროხას მიაბამდა, თმაქოჩორა ბიჭი ეზოში შემოვიარდა.

— ვახტანგი ხარ? — კარგად ვერ იცნო სამსონმა.

— ჰო, ბაბია! — და კისერზე ჩამოეკიდა.

მალე მთელმა ნათესაობამ მოიყარა თავი.

ყველაზე ბოლოს სამსონის ოთროსი ძმა ვიორაი მოვიდა. იგი ბორძიკით მოდიოდა, რადგან ყუმბარის ნამსხვრევის ამოღების შემდეგ ცალი ფეხი გაშეშებული ჰქონდა.

— ბიჭო, ამდენხანს ვერ მოაღწიე? დავიღალეთ მოლოდინით! რა გაგჩნდა ის პოსპიტალი? — ალერსიანად უსაყვედურა გიორგიმ და სამსონის უმოძრაო, გაციებულ თვალს რომ თვალი გაუსწორა, დაიბნა, სიტყვა გაუწყდა:

მარინე შეეშველა ქმარს:

— სამსონ, რაღა აქ გაჩერდი, წავიდეთ სახლში!

— არა, ჩემთან წამოდი სამსონ! აქ რა გინდა, ამ ცარიელ სახლში? — უთხრა ანიკომ და მკლავზე ხელი მოჰკიდა, მაგრამ მარინემ გააღმასებული თვალებით გადახედა ანიკოს. სამსონმა ეს შეამჩნია და გაიღიმა.

— აქ ვიყოთ, — თქვა სამსონმა, — ამ ეზოს რა სჯობს! — იგი ფეხმორთხმით ჩაჯდა ბალახში და ძმისშვილებს ხელი მოხვია.

— როგორ დაზრდილან, გზაში რომ შემხვედროდნენ, ვერ ვიცნობდი.

მერე ძმებს მიუბრუნდა:

— დასხედით!

— აქ რას დაეუხსნდეთ, ამ ცარიელ ეზოში? — თქვა მარინემ.

— მერე და რატომ დააცარიელეთ?! — საყვედურით იკითხა სამსონმა. გიორგის სახე მოელუშა.

— ჩვენ კი არა, — მწყურალად მიუთითა მან, — ამ ქალებმა გააუცარიელეს. ჩვენ ფრონტზე მტერს ვებრძოდით, ესენი აქ ერთმანეთს ებრძოდნენ!

— ეგ შენს ცოლს მოჰკითხებ! — ნიშნის მოკვებით უთხრა ანიკომ.

— შენ კიდევ ხმას იღებ? — მწყურალად შეეპასუხა მარინე.

— ესენი ახლაც ჩხუბობენ? — იკითხა სამსონმა.

— ჩხუბობენ. დაჭამეს ერთმანეთი!..

სამსონს სახე მოელუშა, ჩაფიქრდა და შემდეგ დინჯად წარმოთქვა:

— არა, ჩემო ძვირფასებო, ჩემო კარგო რძლებო, ვერ მოგიწონებთ ასეთ საქციელს. იმაში ცუდი არაფერია, რომ ცალკე ოჯახები შექმენით; გამრავლდეს ჩვენი ქვეყანა, გამრავლდეს ჩვენი ოჯახები!.. მაგრამ საჩხუბარი რაღა გაქვთ? ძველად რომ კაცი კაცს არ ინდობდა, მძა მძას შურით შეჰყურებდა და რძალი რძალს სამარეს უთხრიდა, იმას სხვა საფუძველი ჰქონდა. ანლა? აბა რა გაქვთ საძინძგლაო?

სამსონი წამოდგა, ერთი ხელი მარინეს მხრებზე გადასდო, მეორე ანიკოს მოხვია და ორივეს სთხოვა:

— თუ ჩემი დები ხართ, დღეიდან თქვენს შორის ნურავითარი ჩხუბი ნუ იქნება. ასეთი გაუტანლობა იმ დროიდან მოდის, როდესაც ერთი ციდა მიწისთვის მეზობელი მეზობელს თავს უტეხდა. ახლა ეს სირცხვილია, თავის მოჭრაა!..

სამსონის სიტყვებს ბავშვებიც კი გატაცებით უგდებდნენ ყურს. მართალია, ბიძაშვილები, ვახტანგი და რეზო ერთმანეთს არ ემღეუროდნენ, მაგრამ დიდების ჩხუბს ისინი თითქოს გაეთიშა. მათ ხშირად სწყუროდათ ერთმანეთთან თამაში, ერთად წასვლა საბანაოდ თუ სათევზაოდ, მაგრამ უნებლიეთ გაუბრბოდნენ ერთმანეთს, ახლა კი, როცა მია სამსონმა მათ დედებს ხელი მოხვია და შერიგება სთხოვა, ბავშვების გულშიც თითქოს რაღაც გამოთელდა.

იმავე წუთს ვახტანგმაც ხელი გადახვია რეზოს, თავისკენ მიიზიდა, შუბლზე აკოცა და მარინესა და ანიკოს შესძახა:

— აკოცეთ, აი, ასე აკოცეთ!

იყო რაღაც ამაღლევიბელი ამ სურათში. ყველას სახე გაუბრწყინდა და რძლებიც გადაეხვივნენ ერთმანეთს.

სამსონმა ყოველივე ეს მომავალი დღეების ბედნიერ დასაწყისად ჩათვალა.

იმ საღამოს ძმებმა სამსონს ლხინი გადაუხადეს და თითქმის ნახევარი სრული დაპატივეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ — კალისტრატემ სადღეგრძელოში სამსონს სხვათაშორის უთხრა:

— სულზე მოგვისწარი, ბიჭო! აგერ, ერთი თვეა მეციტრუსეთა ბრიგადირი უნდა შევარჩიოთ და ვერ შეგვირჩევია. იგ ხომ შენი საყვარელი საქმე იყო! ძალიან დაგვიზიანდა პლანტაციები! თუ შენებურად დატრიადლები, ჩვენს ლიმონის ხეებს კარგი პატრონი ეყოლება, დარდი აღარ გექნება! — დაამთავრა კალისტრატემ და დაცლილი სასმისი მაგიდაზე დააჯახუნა.

მესამე დღეს სამსონი მეციტრუსეთა ბრიგადირად დანიშნეს. როცა მან ციტრუსების პლანტაციები დაათვალიერა, საყოფიერო უთხრა კალისტრატეს:

— მართლაც ცუდ დღეში ჩაგიგდიათ პლანტაცია! სანერგე ხომ მთლად დაგვიწყებიათ! მე ფერმაც დავათვალიერე და, მართალი გითხრა, შემეცოდა ძროხები.

ეს არ მოეწონა კალისტრატეს და მაგიდის ბოლოში მჯდომ ფერმის გამგეს გადახედა.

— ნიკო, გესმის სამსონის სიტყვები? — დაუძახა კალისტრატემ. ნიკომ თავი დაუქნია, მესმისო.

— კი, მაგრამ სამსონ. — შეაჩერა კალისტრატემ, — თვითონ ფერმის გამგე ხომ არ გეცოდება?

— რას ამბობ, ჩემო კალისტრატე, ნიკო რატომ უნდა შეიცოდოს კაცმა. ნიკოს ხომ შეეძლო ზომები მიეღო, შენ მხარს დაუჭერდი და კრასნოდარი რაა, აგერ არ არის? ჩამოეყვანა ჯიშის ძროხები.

— არ ვყოფილვარ, ძმო, იმ კრასნოდარის მხარეში და შენსავეთ არ მინახავს იქაური ფერმები.

— კაცო, კრასნოდარის ნახვა რად გინდა, განა ცოტას წერენ გაზეთები ჯიშის ძროხებზე? არ წაგიკითხავს?

— არა, არ წამიკითხავს, ბატონო! — გაჯავრებით მიუგო ნიკომ.

— საწყენად კი არ გეუბნები, საქმის საყვარელი მალაპარაკებს... აგერ, ვარლამ სვანიძე, მოჰყავს სიმინდი, თამბაქო, ჩაი და მარტო მისი ბრიგადა კოლმეურნეობას ნახევარი მილიონი მანეთის შემოსავალს აძლევს, მეცხოველეობის ფერმას კი რომელსაც შენ ხელმძღვანელობ, ზარალის მეტი არაფერი მოაქვს. პერვომისკაიას ფერმას ორი მილიონი მანეთი აქვს წმინდა შემოსავალი, შრომადღებზე იქ ყველს და კარაქს არიგებენ. აქ არიგებთ ყველს?

— ყველს კოლმეურნეობის ფერმა კი არა, ჩემი ძროხა არ მაძლევს! — მიუგო ნიკომ ისე, რომ შუბლი არ გაუხსნია და გაგულისებულმა კალისტრატეს მიმართა: — ამხანაგო კალისტრატე, რაღა ციტრუსებში გინდა ეს კაცი, ფერმის გამგედ დანიშნე, კარგი იქნება, ყველსა და კარაქს დაგვირიგებს!

— რას ცხარდები ნიკო, — გაისმა კალისტრატეს ბოხი ხმა, — შენ სამსონისთვის მადლობის მეტი რა გეთქმის?

— მართალი ხარ, ჩემო კალისტრატე, — წამოდგა გიორგი, — სამსონი ჩემი ძმია, მაგრამ, სიმართლე უნდა ითქვას, მორჩა და გაათავდა. ამხანაგო ნიკო, მეც ფერმის გამგე ვარ, ჩემი ღორები სამსონმა კატებს შეადარა, მაგრამ გული არ მომსვლია. კოჭლი კაცი სად უნდა წავიდე. ჯიშის ღორები მომიყვანეთ და ზედ გადავეგები. რა იყო, ჩემი ძმა ცუდს გირჩევს? ვენაცვალე მაგას, — გიორგი მივიდა სამსონთან და ხელი მხარზე დაადო, — ასე ძმო, იბრძოლე, შენ თვალი

დაკარგე ფრონტზე, გონება კი არა. აი, ამ თვალთ, — გიორგიმ ჯანსაღ თვალზე ხელი ჩამოუსხვა, — რა ნაკლიც დაინახო ყველაფერი გვითხარი, ნუ დაგვერიდებდი. ჩვენ პარტიამ მოგვცა ნაკლის გამოსწორების უნარი!

საქონლის  
გინჯილი

რიყრავის იისფერი ნათელი დაეფინა სოფელს. ეზოებში ქათმების კრიახი გაისმა. ერთ ეზოში კი ისევ მყუდროება სუფევდა. მაგრამ მალე ახალი კრამიტით გადახურული პატარა სახლის კარმაც გაიჭრიალა და აივანზე წელზევით შიშველი მამაკაცი გამოვიდა.

ეს იყო სამსონი.

სამსონს დილის ცივი ჰაერი ტანზე წყლის ტალღასავით მოხვდა, შეაერვოლა. კიბე მარღად ჩაირბინა, ჭიდან თუნგივით წყალი მოიტანა, სვეტზე მიმაგრებული პირსაბანი გაავსო და ხელპირი დაიბანა. სველი ტილოთი მაგრად დაიზილა ტანი, შემდეგ წყლით სავსე ჩაიდან აიღო და ისევ ოთახში შებრუნდა. ჩაიდან ბუხარში შედგმულ ნავთქურაზე დადგა და აულაგებელ მაგიდას მიუჯდა.

პატარა მაგიდის ერთ მხარეზე წიგნები და გაზეთები ეწყო, მეორეზე საშაქრე, პურის ნაჭრები და ღობით სავსე თეფში იდგა. იქვე ღობითი სავსე ჯამი და ჭადის ნაჭრები ელაგა. ვახშამი რძლების მიტანილი იყო. მაგრამ სამსონი უკვე ნაევანშმევი იყო და მაშინვე დაიძინა.

რძლები ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ მარტოხელა მშლის პატივისცემით: ერთი რომ შემწვარ თევზს გამოუღზავნიდა, მეორე ბაყეში ჩადებულ ვარიას მოუტანდა. სამსონის პატარა მაგიდა ყოველთვის სავსე იყო ერთიმეორეზე უკეთესი საჭმელით.

სამამულო ომის დაწყებამდე ძმები ერთად ცხოვრობდნენ. სამსონს, როგორც უმცროსს, მაინც „პატარა ბიჭს“ ეძახდნენ. მთელი მათი დიდი ოჯახის შემაკავებელი ძაფები ხელთ ეპყრა სამსონის დედას. მაგრამ, როდესაც შეიღებოდა ჯარში გაიწვიეს, შრომაში დაბერებული დედის გული ჯავრმა ადვილად შექამა. იგი მალე გარდაიცვალა. შეიღების ნახვის, დიდი ნატვრა სამარეში ჩაიტანა. შეირყა ოჯახის მთლიანობა.

რძლებს შორის უთანხმოებამ იჩინა თავი. უფროსი რძალი მარინე ერთგულად მუშაობდა. მან მთელ სოფელში სახელი გაითქვა, მერგოლურად დანიშნეს, მისმა საადრეო კომბოსტომ ცოტა შემოსავალი როდი მისცა კოლმეურნეობას, ანიკო კი კვლავ სახლში იჯდა, კაბებსა და ხალათებს კერავდა და ერთხანს იმდენ ფულს შოულობდა, რომ კარგა დიდი თანხა დააგროვა. მაგრამ მალე მუშტრები შემოაკლდა, აწუწუნდა, რა შეშველებათ, მაკრატლის მაგივრად თოხი აიღო ხელში და ეზოში დატრიალდა, კოლმეურნეობის მინდორზე თვეში ერთხელ თუ გავიდოდა.

— ასე არ ვარგა, დაო! — უთხრა ერთხელ მარინემ მას, — ჯერ კოლმეურნეობაში უნდა გამოიღო ხელი, საერთო საქმეს ნუ ღალატობ. ეზო სად გაგეშცევა! ანიკო მარინეს უმადური თვალებით მიაჩერდა.

— შენ მერგოლურობა მოგცეს, ქკუა კი არა! მე რას გადამეკიდე!

— კი არ გადაგეკიდე, ქალო! — მტკიცედ მიუგო მარინემ, — საქვეყნო საქმე მოითხოვს ამას: შენ ჩემი რგოლის წევრი ხარ და არაფერს მიკეთებ, მამ

არაფერი გითხრა? მეყო მოთმინება, შენი გულისთვის მე მლანძღავენ, წუხელის გამგეობის სხდომაზე შევი დღე დამაყენეს, თითქოს მე გაღარებდე ხელს. გზაზე ავტომობილის გუგუნის გაისმა. ანიკო ჭიშკრისკენ განქცა და გაგუქლი-სებულმა შოფერს მკვახედ უთხრა:

— ძალიან დაიგვიანე, ასე შეიძლება?!

შოფერმა კაბინის ფანჯრიდან თავი გამოყო და ანიკოს მორიდებით უთხრა:

— მაინც მოვასწრებთ!

ანიკომ დედამთილის გარდაცვალების შემდეგ თავის მოყვანილ ბოსტნეულს ხილსა და სიმინდს ცალკე მიუჩინა ადგილი, ოჯახში, ცოტას ხარჯავდა, — მარინეს ორი შვილი ჰყავს, იმან უფრო მეტი ხარჯი უნდა გასწიოს, მე და ჩემი ბიჭი ჩიტივით ცოტას ვჭამთო.

შოფერმა ავტომობილი სახლის წინ გააჩერა. ანიკო ყოველ წუთს თავის მაჯის საათს უყურებდა, აჩქარებდა შოფერს, რომელიც ავტომობილზე სიმინდის ტომრებსა და მანდარინით საცხე ყუთებს აწყობდა.

ანიკომ ოდაში შეიბრინა, წელზე შემოხვეული შალი შეიხსნა, თხელი პალტო გადაიკვა, შალი მხარზე შემოივლო და კაბინისკენ წავიდა, მაგრამ ამ დროს პატარა ვახტანგის ხმამ შეაჩერა.

— დედა, მეც წამიყვანე!

ვახტანგი სკოლის ეზოში თამაშობდა და ავტომობილის ხმაზე სახლისაკენ გამოქცეულმა ძლივს მოუხსწრო ბაზრობაზე მიმავალ დედას.

— რას ამბობ ბიჭო, სად წაგიყვანო! ხომ იცი, რა უნდა გიყილო, აქ იყავი.

— შენ სულ ასე მპირდები!

— არა, შვილო, ახლა კარგ ველოსიპედს მოგიტან.

— შენ ვერ ამომიპირჩევ კარგს, მეც უნდა წამოგყვე.

ბავშვის ამ სიტყვებზე მარინეს გაეცინა, შეეცოდა ვახტანგი და ანიკოს უთხრა:

— წაიყვანე, გაიხარებს.

— ნუ გეშინია, ბატონო, — აფეთქდა ანიკო, — შენ არ დაგიტოვებ მოსავლელად, წაიყვან! — მან გაბოროტებული თვალებით შეხედა მარინეს, ხოლო ვახტანგს ხელი დაავლო და კაბინაში შეაგდო.

მარინემ დანალღლიანებული თვალები გააყოლა მოგუგუნე ავტომობილს. „ალქაჯი, არავის არ ერიდება, ფულმა თავბრუ დაახვია“, — გაიფიქრა მან; — „არა, ამას ბოლო უნდა მოეღოს, კიდევ ვეცდები, მოველაპარაკები, თუ გვერდში არ ამომიდგა... მერე კალისტრატემ იცის მისი წამალი... ფრონტელის ცოლი მეცა ვარ, მაგრამ კოლმეურნეობაში ვინ მუშაობს ჩემზე უკეთესად? მართალი იყო ჩემი დედამთილი, „ალქაჯს“ რომ ეძახდა!“

მარინე უფროსი რძალი იყო და დედამთილის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის თადარიგს ის ეწეოდა. მაგრამ იგი მორიდებით ეპყრობოდა ანიკოს, უმცროსი რძალია და ჩემგან არაფერი ეწყინოსო; ამას წინათ კალისტრატემ შევი დღე დააყარა მარინეს.

— მარტო რომ მუშაობ, ეგ არაფერი მოსაწონია. სად არის ანიკო? წელიწადი გადის და ორმოცი შრომადლის მეტი არა აქვს. არ მინდა კრებაზე გავიციხო, თქვენი ოჯახის ხათრი მაქვს, უთხარი, ხვალიდან ამოგიდგეს გვერდში.

მაგრამ ანიკომ მარინეს ყურიც არ ათხოვა, შენ შენს ტყავში დაეტიეო, უთხრა და მოსავლის აღების ცხარე დღეებში ეზოდან არ გამოსულა.

მარინე კი კოლმეურნეობის მინდვრებიდან გვიან ბრუნდებოდა, დაღლილი მაშინვე იძინებდა და უთენიაზე ისევ ფეხზე იყო.

მარინესთვის ძნელი იყო რძლის წინააღმდეგ ხმის ამოღება, მაგრამ ერთხელ მაინც გადაწყვიტა ეთქვა სამღურავი. კოლმეურნეობის კრებაზე მან გულწრფელად თქვა:

— ჩვენი ქმრები ფრონტზე სისხლსა ღვრიან, ჩვენ კი აქ ოფლი უნდა დავღვაროთ და დავეხმაროთ მათ გამარჯვებაში.

მთელი კრება სულგანებული უსმენდა მარინეს. ანიკო, როგორც ყოველთვის, დღესაც არ ესწრებოდა კრებას, თორემ მარინეს იქვე წაეკიდებოდა.

— ანიკო ხუთი შრომადლით დაეაჯარიმოთ და გაეფრთხილოთ, ყოველდღე გამოვიდეს სამუშაოდ!

მარინეს ეს წინადადება მოიწონეს.

კრების დამთავრების შემდეგ მარინე თავის ეზოს ჭიშკართან შეჩერდა და ანიკოს ოთახისაკენ გაიხედა. ფანჯარა განათებული იყო — არ სძინავს, — გაიფიქრა მან და ეზოში წელა შევიდა. ვიდრე ჭორიკანა ქალები ჩემს ნათქვამს ერთს ხუთად მიუტანდნენ, სჯობს მე თვითონ ვუთხრაო, და ოთახში შევიდა. ანიკო მაგიდასთან იჯდა და წინდას ქსოვდა.

— რა საკითხი იდგა კრებაზე?

— დავსაჯეთ ისინი, ვინც სამუშაოს თავს არიდებენ! — მარინეს ხმა აუკანკალდა, — შენზედაც ბევრი ილაპარაკეს, ხუთი დღით დაგაჯარიმეთ! — ანიკოს სახე დაემანჭა, წარბები მაღლა ასწია და დამცინავად ჰკითხა:

— ჰმ, ვინ გამოიღო თავი, კალისტრატემ?

— კალისტრატემ კი არა, მე მოვითხოვე შენი დაჯარიმება. სირცხვილი მწვეავს, როცა ცუდად გახსენებენ, დროა შეიგნო...

— მტერი შინ მყოლია თურმე, — ანიკომ ხელსაქმე მიაგდო და მწყრალად გადახედა რძალს, — რა პირით შემოხვედი აქ. გაეთრიე, მომშორდი! — ივივლა მან და ცრემლები წასკდა.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ მათი ერთ ჰერქვეშ ცხოვრება შეუძლებელი შეიქნა. ყველაფერი სამ ნაწილად გაჰყვეს, ოდა დაშალეს, მამისეული პატარა სახლი სამსონს არგუნეს. ანიკომ იქვე ხევის პირას აიღო სამოსახლო მიწა, ძველ ფიცრებს ახლებიც დაუმატა და ქმარს კოხტა ოდა დაახვედრა. მას არც მარინე ჩამორჩა. მან ძველი ეზოდან არც ისე შორს შემადლებულ ადგილზე აგურის ოთხთვალისანი სახლი წამოჭიმა.

## თახი მეოთხე

სამსონი ჯერ კიდევ ომამდე ოცნებობდა სანერგის მოწყობაზე. იმდენი იბრძოლა, რომ საერთო კრებასაც მიაღებინა გადაწყვეტილება. ადგილიც შეარჩიეს, ფარდულის გამართვაც დაიწყო, მაგრამ კალისტრატე ძალიან გულგრილად ეკიდებოდა საქმეს. ამის გამო სამსონმა რაიკოსაც კი მიმართა და ზანტი თავმჯდომარე შეახურებინა. ამ დროს ომმაც მოუსწრო და სანერგის დარდი სამსონმა ფრონტზეც გაიყოლა.

სამყენი დანა მოსკოვში იყიდა, რომ ჩველ ახალ ქართულ ლიმონის ნერგებს ქვეყანას მოეფენო.





სამსონმა ბროშურა ბოლომდე წაიკითხა, დაკეცა და გვერდზე გადადო. ბროშურის მწვეანე ყდაზე მსხვილი ასოებით ეწერა: „როგორ მოვაწყოთ ციტრუსების სანერგე“.

ამასობაში ჩაიდანიც აშიშინდა, სამსონი წამოდგა.

ბუხრის თავზე ჩამოდებულ სურათიდან სამსონს მისი სკოლის ამხანაგები შემოსცქეროდნენ. მოკლე კაბაში ლილი გამოწყობილი ფიზიკის მასწავლებლის გვერდით იდგა და ხელში წიგნები ეჭირა. თვითონ სამსონს ვარლამისათვის მხარზე ხელი ჩამოედო და ჩაფიქრებული იყურებოდა.

სამსონის გულს ალივით მოედო პირველი უმწიკვლო სიყვარულის მოგონება. ლილის ერთხელ წამოსცდნოდა: — სამსონის სიცილი ერთ კაცად ღირსო.

ეს სიტყვები ჯაბა ოდიშარიას ჩასმენოდა ყურში და მან ამას ათასი კლდი გამოაბა. ჯაბა კოლმეურნეობის ბუხპალტერი იყო და სოფელში „ქორის გუდას“ ეძახდნენ. ამ მოგონებაზე სამსონი დააქცერდა ლილის სურათს.

ახლა სამსონს ლილის ეს სიტყვები მოაგონდა და სურათს თითქოს საყვედურით უთხრა:

— თუ ჩემი სიცილი ერთ კაცად გიღირდა, სამუდამო მეგობრობაზე უარი რათ მითხარი?... თუმცა უარიც არ გითქვამს, ეს სულ დედაშენმა მოაწყო... მაგრამ დღეს ლილი ქმარშვილიანია და მისდამი სიყვარულის გრძნობა ჩემს გულში უნდა ამოიწვას. — მწარედ გაიფიქრა სამსონმა. უხალისოდ ისაუბმა, მერე ჩაიც დააყოლა; ამასობაში მზემ ფანჯარაში შემოიჭყიტა.

— ჰო, დამაგვიანდა! — ჩაილაპარაკა მან და ხალათი აიღო.

ახლა სამსონის მარცხენა თვალი სიცოცხლის და სიხარულის იმდენ შუქს აფრქვევდა, რომ მის სახეს ეს განვლილი ტანჯვისა და მწუხარების კვალი არ ემჩნეოდა.

სამსონმა ბროშურა ჯიბეში ჩაიღო და სახლიდან გავიდა.

სოფელი ახალი გავლილებული იყო. დიდი და პატარა საქმეს ეშურებოდა. სამსონმა პირდაპირ კანტორისკენ გასწია. კალისტრატე კაბინეტში დაუხვდა, ცივად მიესალმა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ოთახში დაბალი, ჩასუქებული კაცი შემოვიდა. ეს იყო კოლმეურნეობის ბუხპალტერი ჯაბა ოდიშარია. მან თავმჯდომარეს ხელმოსაწერი ქალაღი შემოუტანა. კალისტრატემ კალამი აიღო და უცებ შეჩერდა.

— ეს რა ქალაღია? — ჰკითხა მან.

— ციტრუსების ნერგების საფასურია, გაღმა უბნის კოლმეურნეობას უნდა გადაეურიცხთ.

— რაღა ახლა მოგვინახა ყელი? — კალისტრატეს ძალიან ეწყინა, ჯაბამ ნერგები რომ ახსენა. გრძნობდა ამ საქმეში თავის დანაშაულს.

სამსონმა ნიშნის მოგებით გადახედა კალისტრატეს და თავის მეტყველი სახით უთხრა, ხომ ხედავ სანერგის უქონლობა რა ძვირი გიჯდებოდა.

კალისტრატე ფულის გადასარიცხ საბუთს რომ ხელს აწერდა, სამსონმა მაგიდაზე თვალი მოჰკრა ქალაღს, რომელზედაც გამგეობის დღევანდელი სხდომის დღის წესრიგი იყო ჩამოწერილი. მან თავმჯდომარეს ჰკითხა:

— დღის წესრიგში რატომ არ შეგიტანია ჩემი წინადადებები?

— რა გეჩქარება, შემდეგაც მოვასწრებთ.

— არა! იმაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი აქ არც ერთი არ არის. — სამსონი ღელავდა და კალისტრატეს აწვდიდა ქალაღს. — აა, შენი ხელით მოაწერე, ბოლოში მაინც.

— არა ძმაო, ამას არ მოგიწონებენ, მე რა მენაღვლება, შევიტან, — და დაიწყო მსხვილი, გაუმართავი ასოებით წერა.

— ფულები უნდა, ფულები, — დააყოლა კალისტრატემ და ნაწერს წერტილი დაუსვა.

— კარგ სამეურნეო მუშაკს, კარგ ბუხპალტერს ასეთი საქმეებისთვის ფული მუდამ უნდა ჰქონდეს!

— ახლა ჯიშინი ძროხების შეძენის საკითხიც შეიტანე, ბარემ ორივე ერთად გადაეწყვიტოს. დრო არ ითმენს, რაც მალე განეაახლებოთ ფერმას, მით უკეთესი იქნება

— რას ამბობ, კაცო, ამდენი ფული სადა გვაქვს, შენ გინდა, კოლმეურნეობა გააკოტრო?! — წამოიყვირა ჯაბამ, მაგრამ კალისტრატეს რალაცა ეწყინა და ბუხპალტერს ისეთი თვალებით შეხედა, აგრძნობინა — გაჩუმებულყო.

— თუ ხელს გიშლით, თქვი, შე კაი კაცო, სულ წავალ აქედან. — გაჯავრებული ჯაბა კაბინეტიდან გავიდა.

— ჯიშინი ძროხების შეძენა ვის არ უნდა, მაგრამ ამ საკითხს სულის შებერვით ვერ გადაეწყვეტ, ათასები უნდა, ძმაო, ამ საქმეს, ათასები! — შემარტებელი კილოთი მიმართა კალისტრატემ სამსონს.

— ჩვენი კოლმეურნეობა არც ისე ღარიბია, რომ თვრამეტი-ოცი ძროხა ვერ იყიდოს. კრებაზე დასვი ეს საკითხი და ნახე, ხალხს როგორ მოეწონოს. ჯაბას რას ეკითხები.

— ჯაბას ვინ ეკითხება! — მიუგო კალისტრატემ და ფანქარი დაადო ქალაღს, რომელზედაც დღის წესრიგი ჰქონდა ჩამოწერილი. „ძროხები“ მსხვილი ასოებით დააწერა მან პირველი საკითხის „დისციპლინის განმტკიცების“ ზევით და შემდეგ სამსონს უთხრა:

— აა, ახლა მაინც დამშვიდდი!

— მე რა დამამშვიდებს, — გაიღიმა სამსონმა, — სანამ ჩვენი კოლმეურნეობა პირველი არ იქნება!

— რა?! ახლა ვისზე ნაკლებია! — წამოიყვირა კალისტრატემ.

— კმაყოფილებას ეძლევი, მეტი არაფერი, — განაგრძო სამსონმა, — ჩვენი კოლმეურნეობა, მართალია, ბევრს სჯობს მაგრამ ბევრს ჩამორჩება.

— ჩამორჩება! აბა, როგორ გინდა, — გაიკვირვა კალისტრატემ, — მჯობნის მჯობნის რა გამოლევს!

— ესეც მავნე თვითკმაყოფილებაა! — მაშინვე მიუგო სამსონმა, — ეს ანდაა ახლა არ გამოგვადგება. თუ ჩვენ ვიფიქრებთ, ყველას უნდა ვაჯობოთო, ეს ფიქრი ბრძოლის უნარს მოგვანიჭებს და წინ წავალთ, მაგრამ თუ გულზელი დავიკრიფეთ და ვთქვით, საშუალო ზომ ვართო და ერთი ადგილი ვტკეპნეთ, მაშინ ჩვენზე უარესები წამოგვეწყვიან, წამოწევას ვინ დაეძებს, გაგვისწრებენ, შენ გამოცდილი კაცი ხარ, ეს არ იცი?!

— მე ბევრი რამე ვიცი, — თქვა კალისტრატემ, — მაგრამ შენსავით ცეცხლი კი არ ვარ, ბიჭო... რაც არავის არ გაუკეთებია ამ რაიონში, იმას მე რა

გამაკეთებინებს? პერვომაისკაია რუქაზედაც არ ვიცი, სად არის. იქედან მაინც ჩამოუყვანია ძროხა თუ ბიძაჩემს? ეგ მაფიქრებს, სხვა არაფერი!

— ამაში მე მენდე, კალისტრატე, — დამშვიდებით მიუგო სამსონმა: — ბიძაშენისაგან განსხვავდები საქმით, პარტიულობით და გვეალებს, — რასაც შენი წინაპრები ნატრობდნენ.

კალისტრატეს ამ სიტყვებმა გული გაუსხნა, გაეხარდა, რომ სამსონი ასე აფასებდა და კმაყოფილებით გაიღიმა.

— კარგი, ბიჭო, კარგი! — ჩაილაპარაკა კალისტრატემ და მისი კაბინეტიდან სამსონი რომ გავიდა, კალისტრატე მოიღუშა... მას გული ეტყინა. რატომ სამსონი არის სანერგის აშენების და ჯიშისანი ძროხების შექმნის მოთავე და არა მეო. აგერ, ორი კვირაა, ბრიგადირია და უკვე დაეტყო პლანტაციებს, მთელი სოფელი სამსონზე ლაპარაკობს, რაიკომის მდივანმა თათბირზე შეაქო, ახლა სანერგეს გამართავს, პერვომაისკიდან ძროხებს ჩამოიყვანს, შერე კიდევ რამეს მოიგონებს და მეც მის ქუაზე უნდა ვიარო.

კალისტრატემ შუბლზე იტყია ხელი: — ამ თავის ბრალია, ამის. რას ვნიშნავდი ბრიგადირად, რატომ არ დავუჯერე ჯაბას. ახლა სამსონმა ხალხის გული მოიგო და ლამის ყველაფერი ზურგზე წამოჰკიდოს.

## თავი მესამე

სოფლის განაპირას, სადაც ევკალიპტების ხეივანი თავდებოდა, ყურადღებას იქცევდა უზარმაზარი კაკლის ხით დაჩრდილული ეზო.

კაკლის ხის ჩრდილში წვერულვამგაპარსული კაცი პირალმა იწვა. მუცელზე პატარა გოგონა ეჯდა და აჩუ-აჩუო იძახდა. ამ კაცს თმა უკან ჰქონდა გადავარცხნილი და არც ერთი ჰალარა არ ერია. შავ, მსხვილ და გადაბმულ წარბებს ქვემოთ სხივიანი თვალები მშემოკიდებულ სახეს მრისხანე იერს აძლევდნენ.

ეს იყო მემინდერეობის ბრიგადირი ვარლამ სვანიძე.

— დედიკო მინდა! — დაიძახა ატირებული ხმით გოგონამ და ძირს გადმოხტა.

— სუ, შეილო, დედიკო მალე მოვა. — შეუალერსა მამამ ბავშვს და თან თავისთვის ჩაილაპარაკა. — რაღა დღეს მოუნდა სამკითხველოში წასვლა. ერთი კვირა დღე გვაქვს თავისუფალი და მაშინაც შინ არ ჩერდება.

ვარლამმა ჰისკენ გაიხედა. იქ დედამისი ქვაბს რეცხავდა. მის ირგვლივ წიწილები ფუსფუსებდნენ... „დღეს მაინც დაესვენა დედაჩემს“ — გაიფიქრა და გუნებაში ცოლს გაუჯავრდა. მაგრამ მაშინვე მოაგონდა, თუ როგორ უძღვებოდა უშაშაკაო ოჯახს სრულიად ახალგაზრდა და გამოუცდელი ლილი, როცა თვითონ ვარლამი ომში იყო.

ვარლამს, ჯარიდან რომ დაბრუნდა, ლილი პირნათლად დაუხვდა. სახლი კრამიტით გადაეხურა, ეზოში ოციოდე ძირი ლიმონი და ფორთოხალი დაერგო. სასიამოვნო იყო მადლიერების ეს გულწრფელი გრძობა ახალგაზრდა ცოლისადმი. მაგრამ გულის ღირძეში რაღაც ტკივილს მაინც განიცდიდა. გაახსენდა გუშინდელი საერთო კრება, მეციტრუსეთა ბრიგადირის სამსონ ხაინდრავას სიტყვები.

სამსონი დიდხანს ლაპარაკობდა თავისი ბრიგადის მიღწევებზე, ფორთოხლის ახალ ნერგებზე და ისე შეაქო ლილის მუშაობა, რომ ვარლამმა სირცხვილისაგან თავი ძირს დახარა, მის წინა სკამზე მჯდომი საწყობის გამგის სურგს მოეფარა. ვარლამს ეგონა, მეზობლები ეუბნებოდნენ, „შეხე ვარლამ, რა ბეჯითი ცოლი გყავსო“.

— მე მოვეუწოდებ ჩვენი სოფლის ყველა ქალს, — დაამთავრა სამსონმა, — ლილის მიბაძოს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კვერი დაუკრა. მისი ბოხი ხმა დარბაზში ზარივით რეკდა.

— ლილი შესანიშნავად მუშაობს და თუ შემოდგომამ არ უმტყუნა, ლირსეულ ჯილდოსაც მიიღებს!

ლილი კრებას ვერ დაესწრო, მამასთან იყო საავადმყოფოში.

კრება დამთავრდა. ნასიამოვნები ვარლამი გზაზე მხიარულად მიიჩქაროდა. კარგი ცოლი მყავსო, ფიქრობდა იგი და თვალწინ ედგა ლილის ფერმკრთალი, მაგრამ მოლიმარე და ალერსიანი სახე.

მთვარე ახალი ამოსული იყო. მის მკრთალ შუქს ზის ფოთლები მიწამდე არ უშვებდნენ. ვარლამი სიბნელეში წელა მიდიოდა. საყელოს ლილები შეეხსნა, ქუდი ხელში ეჭირა და ლალად ისუნთქავდა ზღვიდან მონაბერ გრილ ჰაერს. რატონღაც გაახსენდა, ახლად სკოლადამთავრებული ლილი ყველას რომ ეუბნებოდა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შევდივარო. მამინ ეს ვერ მოხერხდა, ამაში ვარლამი თავისთავს თვლიდა დამნაშავედ. მან სთხოვა, ჯერ ვიქორწინოთ, სწავლაა მერეც მოასწრებო, მაგრამ პირველ წელიწადს გვერდიდან ვერ მოიშორა, მერე ომიც დაიწყო და ყველაფერი შეიცვალა.

შარშან ლილიმ ისევ შეახსენა ქმარს:

— ვარლამ, ბავშვები წამოგვეზარდნენ, ახლა ბებიაც კარგად მოუვლის, წავალ, ვისწავლი, მაინტერესებს ეს ციტრუსები. გაგახარებ, ნასწავლი დაგიბრუნდება.

— რაღა დროს ჩვენი სწავლაა, ხომ ხედავ, დაებერდით. — თითქოს გაეხუმრა ვარლამი, მაგრამ ამ სიტყვებმა ლილის ცივი წყალი გადაასხეს. მან სევდიანი თვალები მიაპყრო ქმარს.

ახლა ვარლამმა სიბნელეში თითქოს კვლავ დაინახა ის თვალები და გუნებაში ცოლს ალერსიანად უთხრა:

— არა, ჩემო ლილი, ხელს არ შეგიშლი! წადი, ისწავლე!

გვიანი იყო, მაგრამ გზაზე ახალგაზრდების მხიარული ხმები მაინც ისმოდა, გულში ჩამწვდომად მღეროდნენ. ვარლამმა მათ უსიტყვოდ ჩაუარა, ხოლო არჩილ ნადარაიას ეზოს რომ მიუახლოვდა, მოფუსფუსე ქალები დაინახა; ყური მოჰკრა, რომ ლილი ახსენეს, შეჩერდა. ლაპარაკით გართულ ქალებს სიბნელეში ვარლამი არც შეუმჩნევიათ.

— ლილის საქებარი რა აქვს, — ამბობდა სალომე, — მაგრამ, ხომ იცით, ძველი სიყვარული არ იყანგება. სამსონს უნდა მისი გული მოიგოს და ამიტომ ცამდე აიყვანა.

— მისი ქმარი კი იცინოდა, — დაუმატა ვილაცამ, — უხაროდა იმ გლახას, ძველი შეყვარებული რომ ცოლს უქებდა.

— აქებს, აღიდებს და ქალის ჰკუა ხომ იცით, — თქვა მესამემ, — ბოლოს კი მიატოვებს საცოდავ კაცს.

— არა, დეიდა, სამსონი რა შუაშია, კალისტრატემაც ხომ შეაქო, — ჩაერია ლაბარაკში ლილის რგოლის წვერი ქეთევანი.

— აბა, ეს თუ ასე არ არის, სამსონი ქალს რატომ არ ირთავს? — განაგრძო შინაბერა მადუმ.

ვარლამს სული შეუგუბდა, თავბრუ დაესხა, მაგრამ ღონე მოიკრიბა და გზა განაგრძო. ქალებმა იცნეს და ხმა გაკმინდეს. ამან კიდევ უფრო მეტი ცეცხლი წაუკიდა ვარლამის გულს.

— ნუთუ მართალია? — საშინელი ფიქრი ტენის უბურღავდა ვარლამს.

წინათ შინ გვიან მოსული ვარლამი უცებ არასოდეს არ მიადგებოდა სახლს; ჩემიანებს არ შეეშინდეთო. ჯერ შუა ეზოში ჩაახველებდა, მერე, ლილის დაუძახებდა და ისიც მშვიდად ამოვიდოდა აივანზე.

ახლა კარს ფეხი ჰკრა და კინალამ შელეწა, შეშინებულმა ლილიმ მრავილა:

— ვინ ხარ?

— ვინ ვიქნები, გააღე!

ლილიმ კარი გაუღო.

— რამ დაგამინა?

— თავი მტკიოდა... რა ამბავი იყო კრებაზე? — ნამჩინარევი ლილი ლოგინზე ჩამოჯდა.

— შენი ქება!..

— რას ამბობ? მეტი საქმე არა ჰქონდათ?

— ვითომ არ იცი! ვისგან მოვლოდი ქებას!

— მერე რაა, ვარლამ, შენი პლანტაცია კოლმეურნეობის თვალის, გუშინ არ მეუბნებოდი? ამისთვის თუ შემაქეს, განა გშურს?

ვარლამმა ქუდი მაგიდაზე დააგდო, სკამზე წელა დაეშვა.

ლილი შეაშფოთა მისმა გამოხედვამ. ქმარს აღარაფერს ეკითხებოდა. ერთხანს გარინდებული იყვნენ. მერე ვარლამი წამოდგა და ჩაიბურტბურტა:

— სიცხეა, დავიწყვი!..

— კაცო, რა მოგივიდა?

ვარლამმა მწარედ გაიღიმა.

— რა უნდა იყოს! მშვენიერ ხასიათზე ვარ, ცოლი მიქეს! მეტი რაღა მინდა! შეშფოთებული ლილი ბავშვთა ოთახში გავიდა.

ვარლამმა ცოლს უკმაყოფილო თვალები გააყოლა, მერე შემობრუნდა და ლოგინზე ტანგაუხდელი მიეგდო. პაპიროსს პაპიროსზე უკიდებდა, ძილი არ ეკარებოდა, მთელს ოთახში კვამლის ბული იდგა.

ვარლამს სამსონ ხაინდრავესთან ძველი ანგარიშები ჰქონდა. ერთხელ ქალიშვილობაში ლილი ვარლამმა შინ გააცილა, მხიარული რომ მიდიოდა, მოსახვევში სამსონი დაუხვდა და მუქარით უთხრა:

— თავი დაანებე მაგ ქალს, თორემ, დედას გეფიცები, განანებ! — თვალები დაუბრიალა, მერე მხარი მხარზე გაჰკრა და წაეიდა. ვარლამი უცებ დაიბნა. ვერაფერი უთხრა. როცა გონს მოვიდა, გვიან იყო.

გავიდა დრო. ყოველივე ეს თითქოს ორივემ დაივიწყა. მაგრამ სამსონი ვარლამისა და ლილის ქორწილში დაუბატიეებლად მოვიდა. იქ თამადას წაეჩხუბა, ვარლამზე გაიწია. ამხანაგებს რომ არ წაეყვანათ, ყველაფერს დალეწავდა. ამ დროიდან ისინი ერთმანეთის შეხვედრას გაურბოდნენ. მხოლოდ ფრონტზე გამგზავრების წინ შერიგდნენ.

— რად მემდური, ბიჭო! — უთხრა სამსონმა ვარლამს სადგურის ბეჭანზე, — სად მივდივართ, იცი? დაპყარ ხელი! — და მომდურავს გამლილი ხელი გაუწოდა.

ომიდან სამსონს მარცხენა თვალი არ ჩამოჰყოლია, მაგრამ ეს ხელს როდი უშლიდა, გამპრიახად ჩაეხედა კოლმეურნეობის საქმეებში, შენიშნა ყოველი წვრილმანი და გულმოდგინედ ემუშავა საერთო საქმისათვის.

იგი ახლა ქეიფს გადაყოლილი კაცი როდი იყო. სამამულო ომის დიდ სკოლას სხვებთან ერთად ისიც შესანიშნავად გამოეწროთ. ახლა სამსონი რასაც ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერს შნოსა და ლაზათს აძლევდა. როცა სამსონი მეციტრუსეთა ბრიგადირად დანიშნეს ვარლამს ეს არაფერად ჩაუგდია. იგი ისე იყო დარწმუნებული ლილის ერთგულებაში, ეჭვი არაფერში ეპარებოდა.

მაგრამ იმ ქალების ჭორმა გული აუშლევრია. „თუ სამსონს მართლაც რამე არ უდევს გულში, რატომ აქებდა ასე თავგამოდებით? მას შურს ჩემი ცხოვრება. ლილი რომ მისი ცოლი ყოფილიყო, აყვავებული ოჯახი დაუხვდებოდა“.

ვარლამმა გადაწყვიტა, ლილი თავის ბრიგადაში გადმოეყვანა.

### თანი მემამსე

ლილი ეზოში შევიდა, მას თემურმა გაუსწრო და თავის უმცროს დას ამაყად უთხრა:

— აი, მე რამდენი პეპელა დაეიქირე! — და პეპლებით სავსე კოლოფი გახსნა.

ერთმა ჭრელმა პეპელამ ფრთები გაშალა და იქვე ქილობზე დაეცა. გოგონამ ფრთხილად აიყვანა იგი.

თემურმა ასანთის ცარიელი კოლოფი ძაფით მიიბა კალიას და, როცა კალიამ კოლოფი ქილობზე გააცოცა, ბავშვებმა ეზო სიცილით გაავსეს, „ცხენი, ცხენიო“, — იძახდნენ.

ლილიმ ჭელი ბალახზე დააგდო, ქილოფზე დაჯდა, წიგნი კალთაში ჩაიღო და იდაყვით მუთაქას დაეყრდნო. სიცხისაგან მოთენთილი, ცხვირსახოცით ინიავებდა ჰერს.

— რა წიგნი მოიტანე? — უგულოდ ჰკითხა ვარლამმა.

— მიჩურინის მეორე ტომი!

— ამას მეც წაეიკითხავ! — მან წიგნი გამოართვა, ერთხანს შიგ იცქირებოდა, შემდეგ თავი ზევით არ აუწევია, გაუბედავი ხმით უთხრა ცოლს:

— ჩემს ბრიგადაში რომ გადმოხვიდე, აჯობებს. კალისტრატეც თანახმაა.

— მოილაპარაკეთ უკვე? — ცივად ჰკითხა ქალმა.

— მერე რა არის ამაში ცული? დედაშენი და შენი დაც ჩემთან მუშაობენ; შენც მათთან იქნები, ასე აჯობებს.

— იქ რა გავაკეთო?

— თამბაქოს მოუვლი! ცუდია?

— კარგია, მაგრამ მე თამბაქოსი არაფერი გამეგება! — მერე ნაძალადევი ზღმრობით დაუმატა: — ამდენხანს ჩრდილში განცხრომით იწევი, სხვა კარგი რამ მოგეფიქრებინა, შე კაი კაცო!

— შე სახუმროდ არა მცალია, გადმოხვალ ჩემს ბრიგადაში, მორჩა და გათავდა!

— რა უცებ გადაგიწყვეტია! რომელ წყალს გავაყოლო ის, რაც ვთი წელიწადი მისწავლია?

— რა გისწავლია, არ ვიცი, ციტრუსებს უშენოდაც კარგად მოუვლიან.

— სწორედ რომ ჩემსავით ვერ მოუვლიან! მე ჩემს ხეებს ვერ მოვცილდები! — მტკიცედ უთხრა ლილიმ და თმის სწორებით წამოდგა.

იგი სახლისკენ გაეშურა.

იენის სვეტებზე გაბმულ მავთულებს იზაბელას ლერწები მოსდებოდნენ და ვაზის ფართო ფოთლები მაგიდას მზისგან იფარავდნენ.

დედა, შვილი და რძალი იენანზე გაშლილ სუფრას მიუხდნენ. ვარლამმა ქათმის რბილი ხორცი დედას მიაწოდა, მერე კიკებში გადადუღებული იზაბელას ღვინო დაასხა და ჭამას შეუდგა. უეცრად პირთან მიტანილი ხორცის ნაკერი თეფშზე დადო და ცოლს გაუღიმა:

— სიკვდილსაც დაგიწყებინხარ! — წასჩურჩულა და ქათმის შებრაწული ბარკალი გადაუღო, შემდეგ ალერსიანად შეხედა თვალებში და კიჭა კიჭას მიუქაზუნა.

— ნუ შემდური, გულის მოსაოხი სიტყვა მითხარი!

ლილის ხმა არ ამოუღია. თავდახრილი თავის თეფშს დაჰყურებდა. არა, ის არ ემდუროდა ქმარს, მაგრამ არ შეეძლო შეილივით მოვლილი და გახარებული ლიმონისა და ფორთოხლის ხეების მიტოვება. არც ქმრისთვის სურდა წინააღმდეგობა გაეწია, ორ ცეცხლშუა იყო. ბოლოს საყვედურით უთხრა ქმარს:

— ვარლამ, იცი, რა გითხრა? ქალისათვის ქმრის ყურადღება და ღიმილი უძვირფასესი რამ არის. მაგრამ რა შეურაცხყოფელია ეს ყურადღება, თუ იგი საჩუქარია დამამცირებელი მორჩილებისათვის.

ვარლამმა შუბლი შეიკრა, ღვინო მოსვა და ცოლს მკვახედ მიმართა:

— ჭკვიანად ლაპარაკობ, მაგრამ ჩემს ბრიგადაში მაინც უნდა გადმოხვიდე!..

— მესმის კალისტრატემ მითხრა, — მცირე დუმილის შემდეგ მიუვო ლილიმ, — მეფრინველეობის ფერმაში გადადიო, იქ წინათ ვმუშაობდი, შენთან არაფერი მესაქმება. მე ჩემს პლანტაციას ვერ მივატოვებ, თვითველი ხისაგან ხუთას ცალზე მეტ ლიმონს მოველი.

— გმირობისათვის იბრძვი?!

— თუ შენ გინდა ერთ ჰექტარ თამბაქოდან ოცდაათი ცენტნერი მიიღო, მე რა დავაშავე ვითომ?!

ვარლამის დედამ ცოლ-ქმარს უსაყვედურა:

— საჩხუბრად სხვა დრო მონახეთ, ახლა სადილს ნუ ჩამიმწარებთ!

— დედა, — ხმას აუწია ვარლამმა, მოხუცს ყურს აკლდა, — ჩვენ არ ვიჩხუბებთ, ნუ გეშინია!

— ჰო, ჩხუბი არ გამაგონოთ, სადილი შეირგეთ!

მოხუცი წამოდგა და თავის ოთახში შეფრატუნდა.

— აი, ჩვენ ორნი ვართ, — თითქმის ხმის კანკალით დაიწყო ვარლამმა, მაგრამ სიტყვა გაუწყდა, მაგიდაზე ხელი უმიზნოდ მოაფათურა და გაჩუმდა.

ეს იყო დუმილის მძიმე წუთები. ხმის ამოდება ორივეს უჭირდა, რაც მათს ცხოვრებაში პირველად ხდებოდა.

ლილის გულში არავითარი ხინჯი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც შფოთავდა. ვარლამი კი ფიქრობდა, ცუდად დაიწყეო. არაფრის გულისთვის არ უნდოდა ცოლთან წლობით განმტკიცებული მეგობრობა შეერყია. თავს იკავებდა, მაგ-

რამ, ცოლის მხრივ წინაღობებდას რომ აუწყებდა, სიმშვიდეს კარგავდა, ღელავდა.

ლილი უხალისოდ წამოდგა:

— ჰო, მართლა, შენ რაღაც გინდოდა გეტყვა!

— მე უკვე გითხარი და მოერჩი! — კვლავ ცივად მიუგო ქმარმა და ისიც ადგა, სკამი ფეხით გასწია და უკანა ოთახში გავიდა. იქ ტანისამოსი გამოიცვალა, რამდენიმე წუთის შემდეგ აივანზე გამოვიდა, ლილისთვის ხმა არ გაუცია, კიბე ჩაირბინა.

ვარლამი ბრიგადირების თათბირზე მიდიოდა და თან თავისი დაუმთავრებელი, უთქმელი სიტყვა მიჰქონდა. მან სიარული ჩქარი იცოდა, მაგრამ ახლა ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და ნელა, უხალისოდ მიდიოდა.

იგი საშუალო ტანისა იყო, ჩაფსკენილი, ქუდს იშვიათად იხურავდა. მზეს არ ერიდებოდა და სახე შავი, დამწვარი ჰქონდა. თმა ხშირად შებლზე ჩამოეშლებოდა ხოლმე.

მზე უკვე გადახრილიყო. გრილოდა. აივნიდან კარგად მოჩანდა სოფლის ახალგაქრილი ფართო გზა და მის ბოლოს კოლმეურნეობის თეთრად შეღესილი კანტორის შენობა.

ნელა მიმავალ ვარლამს ლილიმ თვალი გააყოლა და ვაზშემოხვეულ მოაჯირს მიეყრდნო.

ლილის მოაგონდა ომისწინა გაზაფხული, როცა მამაკური შრომისათვის ორდენებისა და მედლების გადასაცემად საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჩამოვიდა.

ვარლამი მაშინ ფერმაში მუშაობდა.

— ბიჭო, თმა როგორ გაგჩენვია, გადაივარცხნე! — ღიმილით უთხრა ლილიმ, როცა მის გვერდით სკამზე ვარლამი ჩამოჯდა.

— ახლა სად ვეძებო სავარცხელი!

ლილიმ გრძელი ვარდისფერი სავარცხელი მიაწოდა. ვარლამმა თმა ლამაზად გადაივარცხნა და სავარცხელი ჯიბეში ჩაიღო.

— მომეცი სავარცხელი! — წასჩურჩულა ლილიმ.

— ჩემს ჯიბეში იყოს, არ დაგეკარგება!

კრებამ დიდხანს გასტანა, ვარლამს თმა გაუშრა და ისევ ყვავის ბუდესავით აებურძგნა. ბედნიერებით სავსე გულიანად იღიმებოდა. მაშინ ლილიც იღიმებოდა.

კრება რომ დამთავრდა, გზაზე, მათ უკან, დაჯილდოებული ამხანაგები სიმღერით მოდიოდნენ, მწყემსებმა ცხენებით ჩაიქროლეს, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ მათ წინ ავტომობილი გაჩერდა. კაბინიდან კალისტრატემ გამოიყო თავი.

— მანქანაში ერთი ადგილი მაქვს, მოდი! — უთხრა მან ლილის, მაგრამ მათს მხიარულ, მოღიპარ და კმაყოფილ სახეებს რომ შეხედა, მაშინვე გადაიფიქრა, ჩუმად ჩაიღიმა, — არა, თქვენი დაცილება ცოდვია.

ლილიმ სიტყვის თქმა ვერ მოასწრო, ისე სწრაფად დაიშალა თავმჯდომარის ჭიკაძის თავი და კაბინის კარიც მიიხურა. ავტომობილი დაიძრა.

ლილის მოაგონდა ის წვეთიანი საღამოც, როცა პარტიის რაიონულ კომიტეტში თათბირი დამთავრდა და იგი დიდხანს ელოდებოდა გამვლელ ავტომობილს, მაგრამ სოფლისაკენ ამ თავსხმაში არავინ აპირებდა წასვლას; არ შემომაღამდესო, გაიფიქრა, და ჩქარი ნაბიჯით გაუდგა გზას. მალე დაიღალა, თანაც



სულ გაიწუწა. ეგონა ჩქარა მიდიოდა, მაგრამ ურემი დაეწია. კოფოზე ვილაყ ნაბადში გახვეული იჯდა და ნელა ღიღინებდა.

— ვარლამ, შენა ხარ?

— ვარლამმა ნაბადი მხრებიდან გადაიწია, ჩამოფხატული ქული გაისწორა და დაფეთებულმა ჰკითხა:

— ასეთ ამინდში ვინ გაგიმეტა?

ვარლამმა ხარები ძლივს შეაყენა, ნაბადი მოიხადა და ურმიდან მარდად გადმოხატა. უნდოდა რაღაც ეთქვა, უცებ დაიბნა, მამაკაცური უხერხულობით შეჩერდა, მაგრამ ლილი წამოეშველა.

— მპატიეობ ურემზე? — ჰკითხა მან.

— თუ იკადრებ?

— რატომ, რა უკადრისი მე მნახე?!

ვარლამს ტილოს ხალათი ეცვა, ციოდა, მაგრამ ახლა მას ახალმოპარსული ლოყები აულავლავდა. როცა ლილიმ ურემზე ასვლა დააპირა, ვარლამმა შესაშველებლად მორიდებულად მოჰკიდა მკლავზე ხელი და ლილი თითქოს ახლაც გრძობს იმ თრთოლვას, რაც მაშინ იმ ხელს მოჰყვა.

ლილიმ ქოლგა ვარლამს მიაწოდა და ბრეწენტგადაფარებულ ტომარაზე მოთავსდა. ვარლამმა ნაბადი ქალს მოახურა და ხარებს სახრე მოუქნია, ურემი დაიძრა. მერე თვითონაც ჩამოჯდა ლილის გვერდით.

ხარები ნელა მიდიოდნენ.

ნაბადში წვიმა და ქარი არ ატანდა, ლილიმ საამო სითბო იგრძნო. მან ხალათის ამარად დარჩენილ ვარლამს შეხედა, ეამა ჰაბუციის ეს მზრუნველობა.

— მოდი ორივემ მოვიხუროთ ნაბადი! — უთხრა ლილიმ და ნაბადის ერთი კალთა მხრებზე გადააფინა. მაგრამ ქალმა წამსვე იგრძნო, რომ ნაბადში დაგუბებულმა სითბომ უცნაურად შეაქრეოლა ახალგაზრდა კაცი. ამ დროს ურემიც გადაქანდა და მისი მხარი ვაეკაცის მხარს მიეხალა, ქალიშვილი შეკრთა და განწე გაიწია.

— ასეთ წვიმაში წისქვილში რამ წაგიყვანა? — ათრთოლებული ხმით ჰკითხა ლილიმ. ვარლამმა ჯერ ეერ უბასუხა, ღრმად ამოისუნთქა, თითქოს რაღაც ტვირთი მოიხსნაო და შემდეგ უთხრა:

— სანამ ამინდი არ გაფუქდა, კალისტრატემ ურემი არ მომცა. ხომ იცი მისი ხასიათი!

— ო, ვიცი! რასაც სთხოვ, არაფერზე უარს არ გეტყვის, მაგრამ სანამ მოგცემდეს, შენი დაგემაართება. ძალიან უპერს ხელს, თუმცა ეს ცული არაა!

— ცული დროზე რომ მოეცა ურემი, ეს თავსხმა ამცდებოდა... თუმცა ასე ჯობს! აშენდეს მისი ოჯახი.

— რატომ?

— ამას კითხვა უნდა?! — ჩაილაპარაკა ვარლამმა. — ასე ზღაპარში ხდება ხოლმე. მიდიხარ, წვიმს, ქვეყანა წყალს მიაქვს, დაღონებულხარ და უცებ სიხარულის მტრედი დაგიფრინდება წინ. ასე არ არის?

— აბა რა ვიცი, მე რა მტრედი ვარ, ბიჭო!

— ჩემთვის, აი ჩემთვის, ლილი! აბა, როგორ გითხრა, ვაითუ გეწყინოს... შენ თავმჯდომარეს არ უთმობ არაფერს და მე რას დამითმობ!

— რატომ, რა ჯიუტი მე მნახე?!

სიჩუმე ჩამოვარდა, ათას სიტყვაზე უფრო მეტყველი. ურემი სოფელს მიუახლოვდა. ვარლამმა სახრე გადააგდო, უნდოდა ხარებს უფრო ნელა ევლო,

გზა გაგრძელებულიყო. ბოლოს გამბედაობა მოიკრიბა და უცერად ჩასტურჩულა ქალს: — მიყვარხარ!

— რას ამბობ, ბიჭო!.. მე კი არ მეგონა, თუ შენ ასეთი იყავი.

— ცუდი და გონჯი ვარ, არა?

— გონჯი რას მიქვია, მე არ მეგონა, თუ ასეთი რამ გელო გულში!

— მტრობა ხომ არ მღებია. ორი წელიწადია მიყვარხარ!..

— ახლა შემთხვევით რომ არ შეგხვედროდი?

— სულერთია! თუ ვერ გაგიბედავდი, გულში სიკვდილამდე ვატარებდი შენს, სიყვარულს!

— ახლა რამ გაგაბედვინა? რაკი ნაბადი წამომახურე?.. — და ლილიმ დააპირა ნხრიდან ნაბდის გადაგდება, მაგრამ უცერად იგი მამაკაცის ღონიერ მკლავებში მოემწყვდა და ლოყაზე მთრთოლვარე ტუჩების შეხება იგრძნო.

— საძაგელო! — ჩუმად შეჰკივლა ლილიმ, ხელი ჰყრა და ურმიდან ჩიტივით გადაფრინდა.

ვაჟი წუთით დაიბნა, შემდეგ ანგარიშმიუცემლად თვითონაც გადახტა და აჩქარებით მიმავალ ლილის დაედევნა.

— ლილი, დაიცადე! რას გარბიხარ! ისეთი რა გითხარი, ერთ სიტყვას გეტყვი!.. დედას გაფიცებ, შეჩერდი!

მაგრამ ლილიმ უკანაც არ მოიხედა.

ვარლამი გონს მოვიდა. შეჩერდა და გულდაწყვეტილი გაჰყურებდა, სანამ იგი თვალს არ მოეფარა.

ამასობაში უპატრონოდ მიტოვებულმა ხარებმა გზიდან გადაუხვიეს და ურემი კოლმეურნეობის ბოსლისაკენ წაახრიგინეს.

ვარლამმა ერთხანს ადგილიდან ფეხი ვერ მოიცივლა, ბოლოს, როგორც იქნა, ძალა მოიკრიბა და პირდაპირ ლილის სახლისკენ გასწია. ის ჩქარა მიდიოდა, ხან მირბოდა კიდევ. მოხნული მინდორი გადასჭრა და ჭიშკართან შედგა. სახლიდან ჩამინჟმი არ ისმოდა, ქუჩაშიც არავინ იყო. ვარლამი ქვეს დასწვდა და ეზოში გადაისროლა. ძალი ყვეფით მივარდა ჭიშკარს, სახლის კარიც გაიღო. ვარლამი ხეს ამოეთარა.

— ვინა ხარ? — დაიძახა ლილის დედამ, ცოტა ხანს ყური მიუგდო და პასუხი რომ ვერ მიიღო, ისევ სახლში შებრუნდა.

— არა, ლილი შინ არ მოსულა! — შიშით გაიფიქრა ვარლამმა და გზაზე გავიდა. რაღაც დიდ დანაშაულს გრძნობდა, სწუნდა, ვაი-თუ რამე შეემთხვაო, თავჩალუნული მიდიოდა. ამ დროს ფეხის ხმა მოესმა, ელექტროშუქის ბოძს მიუახლოვდა და სიხარულით შესძახა:

— შენა ხარ, ლილი?

— აქ რამ მოგიყვანა? — მკაცრად ჰკითხა ლილიმ.

— შენმა სიყვარულმა!

— ურემი სად არის? — სიტყვა ბანზე აუგდო.

— აბა, რა ვიცი.

— როგორ თუ რა იცი?! შენი კი არ არის! გასწი, ურემს მიხედე! — უთხრა შეკავებული ლილიმ.

— კარგი, კარგი, წავალ, — მაგრამ რას მეტყვი, იმედი მომეცი!..

— ამაზე ხვალ ვილაპარაკოთ! ახლა საქმეს მიხედე.

ლილი ჭიშკარში შევიდა. ვარლამი სასწრაფოდ გამობრუნდა. აჩქარებისათ-

ვის იგი კიცხავდა თავის თავს. მაგრამ ლილის სიტყვები, — ამაზე ხვალ ვილაპარაკოთ. — გულში რაღაც იმედს უსახავდნენ.

კოლმეურნეობის ბოსლის ეზოში დარაჯი ბუზღუნებდა, ჯავრობდა. ვარლამი რომ დაინახა, შეუტია.

— ბიჭო, არა გრცხვენია, ხარები როგორ გამოგექენენ? — მერე გაბრაზებულმა ლილის ქოლგას მოჰკრა თვალი და სიცილით დაუმატა: — ამის მაგიერ სახრე გჰქეროდა, ასე არ მოგივიდოდა! გაბედე და კიდევ ითხოვე ხარების ვარლამს ხშირად მოაგონებოდა ხოლმე ურმიდან ლილის გადმობტომა.

„თუ გიყვარდე, მითხარი, რად გამექეცი, რად?“ ეკითხებოდა იგი ცოლს და სიცილით მოჰყვებოდა თუ რა შიში და სირცხვილი ჰქამა ლილის გაქეცვის შემდეგ. ლილის ახლა ჰმრის ნათქვამიც გაახსენდა.

ყმაწვილქალობის მოგონებები მის გულში შეწყობილი სიმებრეით ეღერდნენ. იგი დიდხანს იდგა მოაჯირთან.

### თავი მესმედი

როცა სამსონი ბებიას მთას მიუახლოვდა, მისი მწვერვალი თხელი ნისლით იყო დაფარული. მთის კალთებს ციტრუსების პლანტაციები შეფენოდა და ისე ჩამუქებინა, თითქოს ზღვიდან ბურუსი წამოსულაო. ღილით გამოჩენილი მზე ისეე მალე მიიმალა და ცა ლეგა ღრუბლებით დაიბურა. სამსონს არ დაუსვენია. მთელი პლანტაცია შემოიარა, თითქოს ყველა ხესთან გაჩერდა, შეათვალიერა: ბოლოს ლიმონის ხეების ტერს შეავლო თვალი, გაახსენდა, ამ რამდენიმე წლის წინათ ამ ადგილს ღილი გაცხარებული ედავებოდა კალისტრატეს:

— დასავლეთი ფერდობი ლიმონის დასარგავად არ გამოდგება!

— რატომ? — ეკითხებოდა კალისტრატე.

— ცივი ჭარი აქ უფრო აწყდება და ზამთარში მცირე ყინვაც კი ციტრუსებს დააზრობს.

— ეგ სიბრძნე რომელმა ჰქვიანმა ჩაგაგონა, — ჩაიციხა კალისტრატემ, — შენმა რგოლმა სწორედ აქ უნდა დარგოს ლიმონის ხეები, მორჩა და გათავდა!

— დაკვირვებამ მიმახვედრა! — ლილის ხმაში საკუთარი ძალისა და ღირსების რწმენა გამოსჰვივოდა, — კი, მაგრამ აღმოსავლეთი ფერდობი რისთვის გინდა?

— აჰა, ანგარიშს მთხოვ? თხილისთვის მინდა, ახლა რას იტყვი?

— თხილი სხვაგანაც გაიხარებს.

— ეს არ არის შენი საქმე. მე გეგმა მაქვს და როგორც მინდა, ისე ვაკეთებ!

ბებიას მთის ორივე ფერდობის ნიადაგი ორი ბარის პირზე იყო გადაბრუნებული. კალისტრატე რომ წავიდა, ღილიმ მაინც თავისი არ მოიშალა და აღმოსავლეთის კალთაზე ერთი პექტარი მიიზომა, ფხვიერ მიწაზე სწორი ხაზები გაავლო და მისმა რგოლმა ლიმონის ხეები დარგა.

მაშინ ლიმონის ეს პატარა პლანტაცია სამსონს უფრო იმიტომ ახარებდა, რომ ის ლილის დაყენებით იყო გაშენებული. ახლა კი, როცა უკვე ზრდადასრულებულ ხეებს ხედავდა, სამსონის გულს ტკბილი მოგონებაც ათრთოლებდა და სარეკორდო მოსავლის მომცემი ხეებიც ახარებდა.

— რა კარგად გაზრდილანი! — ჩაილაპარაკა მან, ეს ლიმონები კოლმეურნეობის სიამაყეა.

სამსონი ხალისიანად გაჰყვა გაშლილ ხეთა რიგს და როცა თხილნარში გადავიდა, გული ეტკინა: თხილის ბუჩქები ერთიანად ეკალბარდს დაეფარა.

— ესეც კალისტრატეს სიბრძნე! — გაიფიქრა სამსონმა და მალე გაჰყვა ფერდობს.

თხილნარის თავში სამსონი ისევ ლიმონის მალალ ხეებს შვერია. პლანტაციის გაშენებულ სიჩუმეს მხოლოდ მისი ფეხის ხმა არღვევდა. ქოჩორა ხესთან სამსონმა კრულ კაბას მოჰკრა თვალი. ქილის ქედის ფართო ფარფლებს ქვემოთ დან ლილის მზემოკიდებული სახე გამოჩნდა. სამსონი უეცრად შეერთა, რალაც აუხსნელი უხერხულობა იგრძნო, მაგრამ თავს მოერია და ნელი ნაბიჯით გასწია ლილისაკენ.

ლილიმ შორიდან მოჰკრა სამსონს თვალი, თოხი ხეზე მიაყუდა და სალამი დაასწრო!

— გამარჯობა, ბრიგადირო!

სამსონმა გაიღიმა და მოულოდნელი სითამამით უთხრა ქალს.

— შენ ისევ ისეთი მომხიბლავი ხარ! — ლილი შეცბა, სახე აუფაკლდა.

— რას მეუბნები, სამსონ?

— მაპატიე, ლილი... — ხმა გაუტყდა ვაკაცს, — დღეს შენს სურათს რამდენი ვეუყურე... რამდენი ვიფიქრე... რა კარგია ფიქრი..

— სამსონ სუ... თამარი მოდის!..

ლილი უხერხულად დაიხარა ლიმონის ძირთან. ჯაბას ცოლს თამარს ქალურმა ალლომ თითქოს რალაცას მიახვედრა, მაგრამ არ შეიმჩნია. იგი ჩვეულებრივ მიესალმა ბრიგადირს, თან სასუქით სავსე ქალაქის ტომარა ძირს დადო, მტვერი ჩამოიბერტყა და სამსონს ჰკითხა:

— როგორაა სანერგის საქმე?

— თუ ცოტა წამოწვიმა, მეტი არა გვინდა რა, — თქვა მან, — სასუქი კარგად გაუჯდება ნიადაგს. — ტომარას თავი მოხსნა, თეთრი თიხის მსგავსი კალიუმის ფხვნილი ხელში აიღო და ქალებს მიუბრუნდა:

— ძვირფასია! თითო ძირს ორ-ორი მუქი ეყოფა!

სამსონი ბილიცს გაჰყვა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ შედგა, ჯიბეზე ხელი მოისვა და ისევ უკან გამობრუნდა.

— ლილი, სულ დამავეიწყდა. ეს ბროშურა ჩვენს სამკითხველოში ყოფილა. მაგრამ, ეტყობა, არავის წაუკითხავს, გაუტყრელი იყო.

ლილიმ ნარინჯისფერყდიანი წიგნი გამოართვა და ძვირფას ნივთივით დააქცერდა, ერთი გვერდი ჩაიკითხა და შემდეგ წიგნაკი კაბის პატარა ჯიბეში ჩაიდო.

— გმადლობთ! — უთხრა მან სამსონს.

შუაიღო იყო, როცა სამსონი თავისი უფროსი ძმის გიორგის ეზოში შევიდა.

— ჩხირი კედელს, — მიეგება ანიკო, — როგორ მოხდა რომ ჩვენთვის მოიცალე. შემობრძანდი! — თან ანიკო კაბის კალთიდან ძაფების ნაწყვეტებსა და ჩითის პატარა ნაკრებს იბერტყდა.

— რისთვის ვარ მოსული, რომ იცოდე, შემობრძანდიო არ მეტყვი! — მშვიდად უთხრა სამსონმა და გამოწვდილ ხელს ხელი შეაგება.

— ვიცი, ცუდი საქმისათვის არ იქნები!

— არა, ცუდი საქმე ღმერთმა მაშოროს! — მიუგო სამსონმა და უკან გაჰყვა რძალს. ანიკოს ზურგზე ორი შექალაქებული ნაწნავე ირხეოდა. იგი ორმოც წელს გადაცილებული იყო, ჩასუქებული, ერთთავად საკერავ მანქანაზე

მუშაობით მხრებშიც მოხრილი ჩანდა. ფანჯარა ღია იყო. ზღვის ჰაერს შეხვეწად მოტანილი ნაკრები დაენესტიანებინა და ოთახში საღებავის სუნი იდგა.

— კერავ და კერავ, არა? — გულგრილად ჰკითხა სამსონმა და საკერავი მანქანის გვერდით სკამზე ჩამოჯდა.

— აბა, რა ვქნა, მეტი რა საქმე მაქვს? — მიუგო რძალმა. მისი ფართო, ცისფერი თვალები თითქოს ამბობდნენ: დღეს გაიგე, რომ ვკერავ?

ანიკომ მაზლს სახეში რაღაც მოუსვენრობა და უკმაყოფილება შენიშნა. ამის გამო კიდევაც წამოწითლდა და დაფანტულად უთხრა.

— ამ კაბას რას უყურებ, აი, ეს ნახე! — ანიკომ შიფონურიდან საოცრად ჭრელი აბრეშუმის ახლად დაუთოებელი კაბა გამოიღო და სამსონის წინ შეაფრიალა.

— ეს ვისია? აბა გამოიცანი!

სამსონს კინალამ წამოსცდა, ლილისააო. ლილის სწორედ ასეთი კაბა ეცვა მაშინ, როცა სამსონმა მას თავისი გრძნობა გაუმხილა. მას შემდეგ ვარდისფერ-კაბიანი ქალის დანახვა სამსონს ყოველთვის რაღაც გაურკვეველ სიამოვნებას ჰგვრიდა.

— რა ვიცი! — კბილებში გამოსცრა სამსონმა და კაბას ხელი მოჰკიდა.

— ნუ სინჯავ. ხელით რას მიხედები, გულით უნდა მიხედე!

— ჰე, გული! ის-ღა მაკლია, კაბებზე ვიფიქრო...

— თუ ამ კაბის პატრონი შენზე ფიქრობს, შენ რატომ არ უნდა იფიქრო მასზე?

სამსონმა მხრები აიწურა და გულგრილად ჰკითხა:

— ვინ არის, არ შეტყვი?

— ვერა, ვერ გიტყვი, შემომეხვეწა, არაფერი წამოგცდესო, ხათრს ვერ გავუტეხ, იდაგება საწყალი!

— ანკომ ქალური ცბიერებით ჩაიღიმა, რომ მაზლის ცნობისმოყვარეობა გაელიზიანებინა.

— მაგრამ მაინც არა მჯერა, რომ არ იცოდე! — დაუმატა მან.

— კარგი ერთი. მე მაგის გამოსარკვევად არ მოგსულეარ! — სამსონი პირდაპირ საქმეზე გადავიდა. — სხვა რომ იყო, უფრო სხვანაირად გეტყოდი. სოფელში ხმა არ ამომეღება!

ანიკო შემფოთდა:

— რა შეგეშთხვა ისეთი?! — ჰკითხა მან შემკრთალი ხმით.

— ხალხში სირცხვილი ვჭამე, გუშინ თათალო დადიანს ვუსაყვედურე, რატომ ყოველდღე არ გამოდიხარ სამუშაოზე-მეთქი. მან შემომიტია, ეგ შენს რძალს უთხარი, შესკია ჩიტვივით თავის ბუდეში რომ იმალება, თორემ მე მუშაობა არ მაკლიაო. დამსწრეებმა სიცილი ატეხეს. შემრცხვა. სირცხვილი მე ფრონტზეც არ მიჭამია.

ანიკომ სიტყვა არ დაამთავრებინა მაზლს და აღიღვებულმა წარმოთქვა:

— მე ხალხს ვემსახურები, თორემ კერავ თვალები ამომიღამა. მინდორში მუშაობა მირჩენია, მომაშორეთ ესენი! — გაგულისებულმა იმ ჭრელ კაბას ხელი დასტაცა და კუთხეში მიადგო.

— კაბას რას უჯავრდები! — სამსონმა კაბა აიღო, სკამზე გადაფინა და დაწყებული საუბარი განაგრძო: — მინდორში არ გამოშაიებ, ანიკო. მაგრამ არც სალაპარაკო მივცივთ ხალხს. ისიც შენს საქმეზე იმუშავე. კლობში ოთახს გამოგიყოფთ, მოაწყე პატარა სახელოსნო, ერთი ქალი კიდევ ამოიყენე გვერდში

და ხალხი უფრო დაგიმადლის, საკოლმეურნეო სამკერვალო სოფლისთვისაც სახელია.

ანიკომ რალაცის თქმა დააბირა, მაგრამ სამსონმა შეაჩერა.

— ახლა პასუხი არ მინდა, მოვა შენი ქმარი, მოეთათბირე და ხვალ მი-  
თხარი.

— კარგი! — ძლივს წარმოთქვა შეწუხებულმა ანიკომ.

ვარლამი დინჯად შევიდა თავმჯდომარის კაბინეტში და, როგორც ყოველ-  
თვის, კუთხეში, ფანჯარასთან დაჯდა.

თათბირი უკვე დაწყებული იყო.

კალისტრატემ სიტყვა შეწყვიტა და ვარლამს მიუბრუნდა:

— შენც დაიწყე დაგვიანება?

ვარლამმა თავი ჩაღუნა და კალისტრატეს გვერდით მჯდომ სამსონს ცივად  
გახედა.

როცა კალისტრატე ჩაის ახალი პლანტაციის გაშენების საკითხს შეეხო,  
ვარლამმა თავი მალლა ასწია და თვალეებში მიაჩერდა.

— კი მაგრამ მიწა? — წამოიძახა ვარლამმა.

— მიწის მეტი რა გვაქვს. შენი ბრიგადის თამბაქოს პლანტაციის გვერდით,  
კოდორის პირად რომ ჯავნარია, ის უნდა გაიწმინდოს. განა იქ ცოტა მიწაა?

თათბირმა ჩაის ახალი პლანტაციისათვის ნიადაგის დამუშავება ვარლამის  
ბრიგადას მიანდო.

ვარლამს სახე გაუნათდა, კალისტრატეს მადლიერი თვალეებთ შეხედა. მას  
სამსონმაც შეაწია სიტყვა.

— ჩვენს შორის ვარლამზე უკეთესად ჩაის ვერავენ მოუვლის.

ვარლამს ოდნავ ფერი ეცვალა და კუშტად შეხედა სამსონს.

თათბირი რომ დამთავრდა, ვარლამი არ ამდგარა, დაელოდა ხალხის გასე-  
ლას. როცა კალისტრატე დაიმარტოხელა, წამოდგა და მის მაგიდას მიუ-  
ახლოვდა.

— კალისტრატე, — მორიდებულად მიმართა მან თავმჯდომარეს, — თუ  
მმა ხარ, ერთი სათხოვარი მაქვს და უარს ნუ მეტყვი!

— რა პირობას მოითხოვ, შე კაი კაცო, თქვი რა გინდა!

— ბევრი არაფერი, მე გთხოვ, ლილი ჩემს ბრიგადაში გადმოიყვანო!

— რატომ, კაცო? — გაიოცა კალისტრატემ.

ვარლამმა წარბები შეკუმუნა, სახეზე შინაგანი ტკივილები აღებეჭდა და  
ხვეწით მიუგო:

— თუ ხათრი გაქვს, მაგას ნუ მკითხავ. ოჯახური საქმეა და მინდა, ჩემს  
გულში დარჩეს.

აივანზე გამოსულ სამსონს მეგობრურობის ბრიგადირი ნინო დანელია  
შეჩქდა. ახალგაზრდა ქალს აბრეშუმის წითელი, თეთრი და ლურჯი ფოთლე-  
ბით მოჩითული კაბა ეცვა. მზემოკიდებულ სახეს ამ ფერთა ანარეკლი უშუ-  
ქებდა.

სამსონს რალაც ენიშნა, გაახსენდა ანიკოს სიტყვები აი, ვისი ყოფილა  
თურმე ის ჭრელი კაბა! ნინოს მოციმიციმე თვალეებს სახე მოაჩიდა. „მამ თქვენ  
ჩემზე ფიქრობთ?“ გულში გაივლო მან და მამაკაცური სიამაყე იგრძნო.

ნინო ნელა მიუახლოვდა და საქმიანი კილოთი უთხრა სამსონს.

— მიხარია, რომ სანერგე გვექნება. იქ მეც ჩამოგრჩებით ცოტა რამეს.

— შენ რას უნდა ჩამოგვრჩე? — ჰკითხა სამსონმა.

— სასუქს ხომ გამინაწილებ, მერე სანერგეში სათბურსაც მოვაწყობ და საადრეო ბოსტნეულს მოვიყვან. ამას რა სჯობს!

სამსონი სვეტს მიეყრდნო, ნინოს კობტად ჩამოქნილ ტანს თვალი შეაველო და უნებლიეთ გაიფიქრა, კაბა ამშვენებს ამ ტანს, თუ ტანი კაბასო.

ნინო თავისი დიდრონი თაფლისფერი თვალებით მისჩერებოდა სამსონის ხალათის ჩამორღვეულ ჯიბეს.

— ანიკომ ეს ვერ მიგიყვრა? — ჰკითხა მან და სახეზე აღმური მოედო. სამსონმა ეს შენიშნა და მშვიდად უპასუხა:

— ანიკოს სად სცალია, ჩვენი სოფლის თითო ქალიშვილი ათ-ათ კაბას იყვრავს. აი, შენც, ძალიან გიხდება ახალი კაბა.

— შენ რა იცი, რომ ანიკომ შემიყვრა? — გაოცებით ჰკითხა ნინომ.

— ვიცი, თვითონ მითხრა.

ნინომ თავი ჩალუნა, რომ შეფაკლებული სახე ვაქცაცისათვის მოერიდებინა, შემდეგ შეტრიალდა და კიბისკენ გაემართა.

— მიდიხარ? — შიამახა სამსონმა.

— მეჩქარება! — მიუგო კიბეზე ჩამავეალმა ნინომ.

— რა მზრუნველად უყურებდა ჩემს ჩამოხეულ ჯიბეს, როგორ გაწითლდა, როგორ აენთო! ნუთუ ვუყვარვარ? — ფიქრობდა სამსონი, — „შორსმჭვრეტელიც ყოფილა ნინო, სანერგესთან სათბურსაც მოვაწყობთო. რა ოქრო ხალხი გვყავს. ეს ქალები მაინც მთლად საქმისათვის იწვიან. ასეთი აღამიანებით ცამდე კიბის ამართვაც შეიძლება. ოღონდ ყური მიუგდე, უხელმძღვანელო, დარაზმე!“

ამ ფიქრში იყო სამსონი, როცა ფანჯარაში კალისტრატემ გამოიხედა და ცივად დაუძახა:

— სამსონ, ერთ წუთს შემოდი.

კალისტრატეს ოთახისკენ მიმავალ სამსონს კარებში ვარლამი შეეფეთა. ვარლამს თვალები ბოროტად უელავდა.

— რა იყო? — გაკვირვებით ჰკითხა სამსონმა კალისტრატეს, რომელსაც თითქოს შეშფოთებული სახე ჰქონდა.

— არაფერი! — წაიჩურჩულა კალისტრატემ და პაპიროსს მოუკიდა. მან წინასწარ იცოდა, თუ რა პასუხსაც მიიღებდა სამსონისაგან, ამიტომ ყოყმანით დაიწყო, მაგრამ ბოლოს თავმოყვარეობის გრძნობამ სძლია, ბრიგადირთან საბოდიშო რა მაქვსო, და მტკიცედ უთხრა:

— ვარლამი მოითხოვს და მეც დავეთანხმე, ლილი მის ბრიგადაში უნდა გადავიყვანოთ. ასეა საქირო!

— კი, მაგრამ რატომ დავეთანხმე, ჩემს ბრიგადას თვალი გინდათ ამოთხაროთ.

— ეს საკამათო არ არის!

— საკამათო კი არა, საჩხუბარია!

— ხომ იცი, ვარლამი გაბოროტებულია, ანგარიში უნდა გავუწიოთ!

— ანგარიში უნდა გავუწიო? — გაიმეორა სამსონმა, მაგრამ წმაში უცებ სირბილე შეეპარა, კალისტრატესათვის არ შეუხებდავს, ნელა დაეშვა სკამზე და მაგიდაზე თითები აათამაშა.

— ჰა, რას იტყვი, სამსონ?

— აბა, რა ვთქვა, მისი ცოლია, სადაც უნდა, იქ წაიყვანს! — სამსონი წამოდგა და ჯავრიანად ჰკითხა: — ეს გინდოდა, მეტი არაფერი?

— მეტი არაფერი, ჩემო სამსონ! — წარმოთქვა კალისტრატემ და ბრიგადირის გაფითრებულ სახეს ორპირივით შეხედა.

სამსონი კაბინეტიდან გამოვიდა, სალამოს გრილი ჰაერი მიესალბუნა, მაგრამ მის მოღუშულ სახეზე არც ერთი კუნთი არ შერხებულა. გზაზე გამოვიდა და შინისკენ გასწია.

გორაკები ნისლს დაებურა, ლარივით სწორი გზა ზღვამდე აღწევდა. ცა ვარდისფრად დაეფარა ჩამავალ მზეს. სამსონი ნელა, უხალისოდ მიჰყვებოდა შარას და თავისთვის ფიქრობდა: „რამ გააბოროტა ვარლამი?“

სამსონი ვარლამ სვანიძის ეზოს მიუახლოვდა. სვეტებზე მიშვებულ ვაზის ფოთლებში კარგად არ ჩანდნენ აივანზე მსხდომი ადამიანები. ბავშვები კიბესთან თამაშობდნენ. სამსონი ამ სახლთან ყოველთვის ნაბიჯს შეანელებდა ხოლმე. იგი შეშხაროდა ამ მყუდრო ოჯახს, მთელი დღის შრომის შემდეგ ვარლამსა და ლილის აივანზე უყვარდათ ჯდომა.

ვარლამის ეზო ბალსა ჰგავდა. ჭასთან დარგული კაკლის ხის ტოტები გზაზე იყო გადმოსული და მის ქვეშ მუდამ გრილოდა. სამსონს აქ რაღაც ძალა შეაჩერებდა-ხოლმე და დიდხანს იდგა ფიქრებში წასული. სამსონი პაპიროსს ზედინზედ წვედა და გუნებაში გაივლებდა: — „ვარლამ სვანიძეც, რა ოქრო ოჯახი გაქვს“.

ლილის გაცხარებულმა ლაპარაკმა სამსონის ყურადღება მიიპყრო.

— მე არც კალისტრატეს ვეკუთვნი და არც სამსონს, — გაცხარებით ლაპარაკობდა ლილი, — არც შენი სათამაშო ბურთი ვარ! არვის არ შეუძლია ჩემს საყვარელ საქმეს მომამშროს. რაში დაითანხმე სამსონი და კალისტრატე? რატომ მე არ შემეკითხე?!

„შენ გენაცვალე, ლილი!“ — ჩაიჩურჩულა სამსონმა და უფრო მიიწია დაფნის ფოთლებით დაბურული ღობისკენ.

— შეგვეკითხები კი არა, განცხადებას მოგართმევ, არ გინდა?! — დაცინვის კილოთი მიმართა ვარლამმა, — რაკი თავმჯდომარე და ბრიგადირი დავითანხმე, შენ რამდენიც გინდა, იხტუნე!

ვარლამმა სიტყვები რიხით წარმოთქვა. მეორე ოთახში შევიდა. ლილი ნელა წამოდგა, კიბის საფეხურზე ჩამოჯდა და ქვიშაში მოთამაშე ბავშვებს დაუწყო ყურება.

„აი, საქმეს გადაგებული ქალი!“ — თავისთვის ჩაილაპარაკა სამსონმა. მის თვლებში ლილი კიდევ უფრო ამაღლდა.

## თავი მეცხე

რაიკომის მდივანი მიხეილ ძაძაძია ღია ფანჯარასთან იჯდა. მართალია, ჭალარა შეშხაროდა, მაგრამ ორმოცდაათი წლის ასაკისათვის იგი მაინც ახალგაზრდად გამოიყურებოდა. მაგიდაზე ახალი გახეთი გაეშალა და ჩურჩულით კითხულობდა. მიხეილს უყვარდა ხმამალალი კითხვა, თუ კაბინეტში არავინ არ იყო, ხმას ოდნავ აუწვედა ხოლმე.

კარმა გაიჭრიალა და დაბალი ტანის, შეენაწნაეიანი ქალიშვილი შემოვიდა.

— იაბლონსკაია მოვიდა, თქვენი ნახვა სურს! — მოახსენა მან.



— შემოვიდეს!

მიხეილმა მაგიდის კალენდარს დახედა, ერთ ფურცელზე „ზოიის ცენტრის-კაია“ ეწერა. მის შესახებ წუხელ დაურეკეს, თქვენს რაიონში ცენტრებს მცნობის შესასწავლად მოვლინებულა.

მიხეილმა გახედა იქვე კედელზე საბჭოთა კავშირის რუკას. რუკაზე მრავალ ადგილას წითელი ხაზებით შემოეფარგლათ ის რაიონები, რომლებშიც ცენტრების გაერცელება იყო განზრახული: კრასნოდარის მხარე, ყირიმი, სამხრეთი უკრაინა, მოლდავეთი, შუა აზია, აზერბაიჯანი, დაღესტანი.

მიხეილი კარგად იცნობდა კრასნოდარს. იქ მისი პოლკი იერიშზე გადავიდა და გაცოფებული მტერი უკუაქცია. ორ თვეს სოფელ სკვორცოვოში იყო გამაგრებული. მას მოაგონდა, თუ როგორ გადაბუგეს ფაშისტებმა ეს მდიდარი სოფელი. მისი მცხოვრებლები ტყეში გაიხიზნენ. იქნებ იაბლონსკაია იქიდან არისო, გაიფიქრა მან.

კაბინეტში საშუალო ტანის, ქერათმიანი და ცისფერთვალემა ქალიშვილი შემოვიდა. მიხეილი შუა ოთახში მიეგება სტუმარს.

— კარგია, რომ ჩვენი რაიონი აგირჩევიათ! — უთხრა მან ზოიას მისალმების შემდეგ, — დაბრძანდით! თქვენ რომელი სოფლიდან ხრათ?

— პერეომაისკაიიდან. — მიუგო ქალიშვილმა.

— ჰო! ეგ რომელ მხარეშია? სკვორცოვოში ყოფილხართ?

— როგორ არა, — ზოიას სახე გაუბრწყინდა, — პერეომაისკაიიდან ოთხი კილომეტრია, თქვენ საიდან იცით?

— იქ ჩემი პოლკი იბრძოდა... ნანგრევებს მივუწვართ მხოლოდ.

— ახლა სკვორცოვოს ვერც კი იცნობთ, ახალი სახლები ააშენეს. წელს სკვორცოველები ჩვენ შემოგვიერთდნენ.

მიხეილს თვალწინ დაუდგა კრასნოდარის მისადგომები, სოფელ სკვორცოვოს გაშლილი ტრამალი. მოაგონდა, როგორ მიიკლევდა გზას მზისუმზირას ხმელი ლერობით მოფენილ მინდორში; წვიმდა, მუხლებამდე ეფლობოდა ტალახში.

— ჰე, სკვორცოვო! — ამოიოხრა მან და ზოიას მიაპყრო ფიქრიანი თვალელები, — გაჭირვება რა მალე გვაიწყდება?! მაგრამ ახლა მოგონებებს თავი დავანებოთ... ყველაფერს გადაკეთებთ, მეგობარო, — მიმართა მან ზოიას, — მაგრამ თქვენ ერთი რას იზამთ, რატომ სხვებიც არ წამოიყვანეთ?

— სადა გვყავს ამდენი ზუზახელი, მეც ძლივს გამომიშვეს!

— კეთილი, „წინსვლაში“ გაგაგზავნით, იქ კარგი მეციტრუსეები არიან; ბევრ რამეს შეისწავლი! — უთხრა მიხეილმა სტუმარს და ზარის ფოლაქს თითო დააჭირა. მდივანი ქალიშვილი კარებთან გაჩერდა. — ლილი სვანაძე არ მოსულა?

— აქ არის, გელოდებათ!

— შემოვიდეს!

სტუმარს ენიშნა კოლმეურნეობა „წინსვლა“.

— „წინსვლაში“ მგონი სამსონ ხაინდრავეა მეუშაობს, არა?

— თქვენ საიდან იცით?

— მეგობრები ვართ, ომის დროისა!

— ლილი მორიდებით შემოვიდა. მას სახე შესწითლებოდა, ხშირხშირად სუნთქავდა, ეტყობოდა, ჩქარა ეგლო.

— „ეს ალბათ ის ლილი სვანაძე უნდა იყოს, სამსონი რომ მეუბნებოდა“, —

გაიფიქრა ზოიამ და წამოდგა. ლილიმ იცოდა, თუ რისთვის გამოიძახა მიხეილმა და ალტაცებით მიესალმა სტუმარს.

— დიდი ხანია, მოგვლით, დაიკო, — ღიმილით უთხრა ლილიმ, — სამსონი ამბობდა აი, დღეს ჩამოვა, აი ხვალაო.

— როგორ არის სამსონი?

— კარგად. ის უკვე ახლა თქვენთან იქნება, გუშინ წავიდა.

— ჩვენთან?! — გაუკვირდა ზოიას.

— დიახ, რაც ჩამოვიდა, მას შემდეგ სულ თქვენი ფერმის ქებაში იყო. კოლმეურნეობამ თქვენთან გამოგზავნა, ასეთი ძროხები თუა, ჩვენც გაგვინაწილონო, მაგრამ, — ლილი შეყოყმანდა, — თქვენ რომ იქ არ დაუხვდებით?

— არა უშავს, ჩვენებს ისე შეაყვარა სამსონმა თავი, არაფერს არ დაიშურებენ! — მიუგო ზოიამ. — ესეც არ იყოს, კოლმეურნეობა კოლმეურნეობას ყოველთვის დაეხმარება. ამის დარდი ნუ გაქვთ!

— ჩემო ლილი, — უთხრა მიხეილმა, — ზომ იცი, ყუბანში ციტრუსების მეურნეობას ახლა უყრიან საფუძველს. შენ ამ ქალიშვილს უნდა შეასწავლო მყნობა და პლანტაციის მოვლა-მოშენება!

— ძალიან კარგი, ამხანაგო მიხეილ, მე რაც ვიცი, ყველაფერს შევასწავლი!

— ბინაც შენთან უნდა ჰქონდეს! — დასძინა მიხეილმა, — რას იტყვი?

— მაღლობის მეტი რა შეთქმის!

რაიკომის მდივანს სახეზე დაეტყო, რომ ლილის პასუხი ესიამოვნა. რა მშვენიერია ჩვენი ქვეყანა, — გაიფიქრა მან, — რომ ასეთ შესანიშნავ ადამიანებს ზრდის. აი, უბრალო კოლმეურნე ქალი... და მას უხარია, რომ სახალხო საქმეს ავალებენ, უხარია სტუმარი, ახალი მეგობარი...

ჯერ შუაღლე არ იყო, როცა ლილი და ზოია მიხეილის კაბინეტიდან გამოვიდნენ. ზოიამ მოსაცდელ ოთახში დატოვებული ჩემოდანი აიღო, მაგრამ მაშინვე შოფერმა გამოართვა და კიბისკენ გასწია. შოფერმა ჩემოდანი „პობედის“ საბარგო ყუთში ჩადო და ქალები მანქანაში შეიპატოცა:

— მიხეილმა დამავალა წინსვლაში მიგიყვანოთ!

ავტომობილი ლალად გასრიალდა ზღვისპირას გაჭიმულ გზაზე. გზის ორივე მხარეს პალმები ამშვენებდნენ, მათი ფოთლების ჩრდილს ასფალტი შავად მოეჩითა. ზღვა, თითქოს ვებერთელა სარკეაო, თვალისმომჭრელად ელავდა მზის სხივებზე. გზის მარჯვენა მხარეს კელასურის ფერდობი ლიმონის ხეებს დაეფარა.

ზოია დიდხანს უყურებდა გაშლილ პლანტაციას.

— რა მაღალი ლიმონის ხეებია! — თქვა მან ალტაცებით.

— ეგ რა არის, ჩვენთან ორი ამ სიმაღლისაა. მერე რამდენი ასხია! თქვენთან როგორია?

— ჩვენთან ციტრუსი ახლა იკიდებს ფეხს, ჯერ ტრანშეებშია, თავი ზევით რომ ამოჰყონ, ყინვა დააზრობს.

— ყინვისა ჩვენც გვეშინია, — უთხრა ლილიმ, — მაგრამ ახლა ახალი ჯიშები გამოგვყავს! იმედი გვაქვს. მომავალში ზამთარი ვერაფერს დაგვაკლებს!..

— ასეთი ყინვაგამძლე ჯიში ჩვენთვის მისწრება იქნება! — მიუგო ზოიამ და კვლავ დაუწყო თვალთვლით ფორთოხლისა და ლიმონის ხეებს.

ლილი კი ფიქრობდა, ზოიას მასთან უცხოობა არ ეგრძნო, სახლში შინაურულად ყოფილიყო, კარგად შეესწავლებინა მისთვის ტრიფოლიატის და-

თესვა, კვირტიოთა და კალმით მყნობა, ნერგების მოვლა. „ალბათ ციტრუსები ძალიან უყვარს, რომ მისი მოვლის შესასწავლად ამ სიშორეზე წამოვიდა, — გულში გაიღო ლილიმ, — ეს სიყვარული უფრო უნდა გავუღვივო აქედან ნერგებიც უნდა გავატანო. დე, იქაც გაიხარონ ჩემმა ნამყენებმა“.

მანქანა ლილის ეზოს კიშკართან გაჩერდა. თემური დედისკენ გამოიქცა. მაგრამ, უცნობი ქალი რომ დაინახა, ხელები ძირს დაუშვა. შეჩერდა და ბავშვური ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა ზოიას.

ლილი ზოიას ჯიშკარში შეუძღვა და შუა ეზოში გაჩერებულ თემურს დაუძახა:

— მოდი, თემურიცო, მოდი გენაცვალე! — მაგრამ თემური ბებიასთან გაიქცა. ვარლამი შინ არ იყო. ბებია აივანზე იჯდა, მის კალთაში პატარა გოგონას ეძინა.

ლილიმ და ზოიამ ჩემოდანი კიბესთან დადგეს. ბებიამ სკამიდან ოდნავ წამოიწია და სტუმარს ხელი გაუწოდა.

— კეთილი იყოს შენი მოსვლა, შვილო! — ჩიფჩიფით უთხრა მან, მერე მძიმედ წამოდგა, გოგონა ხელში აიტაცა და ოთახში შევიდა. ზოია აივანზე ჩამოჯდა. თემური გაოცებული მისჩერებოდა სტუმარს.

— ვინ არის ეს, დედა? — ჰკითხა დედას ბიჭუნამ.

— ჩვენი სტუმარია, შვილო, — მიუგო მან და ჩემოდანი წინა ოთახში შეიტანა. ლილიმ ჯერ კიდევ გზაში გადაწყვიტა, აქ დაებინაევიზინა ზოია. ოთახის ორივე ფანჯარა ბაღს გადასცქეროდა. ლილიმ ოთახში შეიპატარა ზოია.

— აქ ხელს არავე შეგიშლით, ისე მოეწყვეთ, როგორც საკუთარ სახლში. ცოტა ხნის შემდეგ ისაუზმეს და რგოლის პლანტაციასი წავიდნენ. ლილიმ რგოლის წვერებს გააცნო ზოია.

შეკობრები მშვიდად გადაშლილ ზღვას მიადგნენ. ზოია იაბლონსკაიას თეთრი კაბა ეცვა, რომელსაც საპირესა და ქობაზე ფერადად მოქარგული არშია ჰქონდა შემოვლებული.

— არა, მე ვერ ჩაველ ზღვაში, მეშინია! — თქვა ზოიამ.

— რისა გეშინიათ, მეც თქვენთან ვარ. ხელს არ გაგიშვებთ.

ლილი მეთევზეთა ბადეებამდე მიცურდა, მერე წყალზე პირალმა გაწვა და ტალღებს მიენდო.

ზოია ჯერ გაუბედავად შევიდა წყალში, მერე კაბა გაიძრო და ნაპირზე გადმოაჯდო. მზის სხივებზე მისი მკვრივი და ჩამოქნილი ტანი უფრო თეთრი გამოჩნდა. იგი ხელებს ტალღებს უტყაპუნებდა, მკლავებსაც იქნევდა, ვითომ მიცურავდა, იცინოდა...

ლილი ზღვიდან ამოვიდა, ცხელ ქვიშაზე წამოწვა.

— გეყოფათ წყალში დგომა, გამოდი, ზღვა შეუჩვეველ ადამიანს აწყენს, — მზრუნველობით უთხრა მან და სახეზე კილოფის ქული აიფარა.

ზოია ამოვიდა წყლიდან და ლილის გვერდით ქვიშაზე დაწვა. ზოიას ბექის ქვემოთ ხორცი ერთ ადგილას შეკუმპუნული და გაწითლებული ჰქონდა. ეს ნატყვიარი იყო. ლილიმ მას თითი დააჭირა და ჰკითხა:

— გტკივა?

— არა!.. თუმცა, ყოუ ტკივილს ყოველთვის ვგრძნობ! — სევდიანად თქვა ზოიამ: — ყუმბარის ნამსხვრავი მომჩქდა... სისხლისგან ვიცლებოდი. ძლივს გადამარჩინეს, ძმები ომში დამელუნენ.

— მამა?

— მამა ომის ინვალიდია. ბრიგადირად მუშაობს კოლმეურნეობაში. იმან დაიხემა: წადი, ლიმონების მოვლა-მოშენება ისწავლე, ქვეყანას გამოადგებო.

— ეგე, ჩემო დავ, — ამოიხრა ლილიმ და ნალელიანი თვალებში ზოიას მიიპყრო. მას ახლა უფრო შეუყვარდა ეს ქირგამოვლილი ქალწული, კიდევაც შეებრალა, მაგრამ სახეზე რომ შეხედა, მოეწონა. სისციცხლის გაუტეხელი ძალისა და ნებისყოფის შუქი ჩასდგომოდა ცისფერ თვალებში.

ერთხანს ორივე გაჩუმებული იყო, ტალებების ნელ შხუილს უგდებდნენ ყურს, გაპყურებდნენ უსაზღვროდ გადაშლილ ზღვას.

ლილიმ ზღვას მოსწყვიტა თვალი და მის გვერდით ქვიშაზე გაწოლილ ზოიას გადახედა. მას უნდოდა სევდიანი საუბარი შეეცვალა, სამხიარულო რამ ეთქვა და ამით მეგობარი მტანჯველი მოგონებებიდან გამოეყვანა. ჰკითხა:

— რაზე ფიქრობ, შეყვარებულზე?

ზოიამ გაიღიმა.

— რატომ შეყვარებულზე? ადამიანის გულში ფიქრს რა გამოლევს!

— ზღვა ოცნების აღმძვრელია. რაზე უნდა იოცნებოს ახლა ქალიშვილმა. ცხადია, მომავალზე! ყოველთვის მარტო ხომ არ იქნები?

ზოიამ საიდუმლო გაუზიარა:

— ისიც, ალბათ, გაპყურებს მზისუმზირას გადაყვითლებულ ზღვას და ფიქრობს ჩემზე, რომ იცოდე, რა მამაცია; ერთად ვსწავლობდით. ომმა რომ ჩვენამდე მოაღწია, პარტიზანთა რაზმში შევიდა. იგი შეუმჩნეველად გაჩნდებოდა — ხოლმე მტრის მიერ დაკავებულ ქალაქში, მერე ინგრეოდა შტაბი, ილუპებოდნენ ოფიცრები... „სერგეი, სერგეი!“ — გაიძახოდნენ შეშინებული გერმანელები. საწყალს მამა ჩამოუბრჩეს, თითქოს სიკვდილს დაეძებდა, ისე დადგოდა მტრის ზურგში, მაგრამ მთელ ამ ჯოჯოხეთურ ომში ერთი ტყვია არ მოხვედრია. მერე კოლმეურნეობას დაუბრუნდა... ახლა მემინდერეობის ბრიგადირია... მის სურათსაც გიჩვენებ, ჩემოდანში მაქვს.

ზღვის ნაპირს მოემატნენ მობანავენი. ანიკო და ნინოც მოვიდნენ. ანიკომ ლილის შორიდან დაუქნია ჭილის ქუდი.

— გამარჯობა, გოგო, უკვე იბანავე?

— ჰო, მოდით აქ! — გასძახა ლილიმ.

ლილიმ მათ თავისი სტუმარი გააცნო. ანიკო ლილის გვერდით დაჯდა. ნინოს ეჩქარებოდა, ტანთ გაიხადა, თმა რომ არ დასველებოდა, თავი ხილაბანდით წაიკრა და ზღვისკენ წავიდა. კენჭებზე ფეხებს ფრთხილად აბიჯებდა, მკერვი, ზორბლისფერ ტანს თვალმომტაცად მიარჩევდა. ანიკომ თვალი გააყოლა ნინოს და ლილის ჩუმად უთხრა:

— კარგი გოგოა, მარა კარგი ბიჭიც მოსწონს მაგ მიწადასაყრელს.

— ახლა გასაგებია, თუ რატომ იცვამს ამ ბოლო დროს ასე კოპწიად, მაგრამ ვინ მოსწონს ნეტავი? — ჰკითხა ლილიმ.

— არ იცი, ბენა? ნუთუ ვერაფერს ატყობ?

— აბა, რა უნდა შევატყო? — მხრები აიწია ლილიმ.

ანიკო მისკენ გადმოიხარა და ჩურჩულით უთხრა:

— სამსონი მოსწონს!.. მაგრამ ის ყურადღებასაც არ აქცევს... მე ვიცი ჩემი მანწლის ამბავი. ის ქალს არ შეირთავს, ასე არ არის? — გამომცდელად ჰკითხა, ანიკომ.

ლილი მიუხედა და უპასუხა:

— რატომ არ შეირთავს, ვის ელოდება?

— აბა, რა ვიცი, გოგო! — რაღაც არაგულწრფელი სიცილით მიუგო ანიკომ და თავისი ეშმაკურად გაწვრილებული თვალები ღილის შეფაკლებულ სახეს მიაპყრო. მერე კაბა გაიხადა და ტალღებში მობანავე ნინოსკენ გასწვია. ღილიმ და ზოიამ ტანთ ჩაიციეს და შინისკენ წაიქნენ.

ნაევანშემეს ღილი აივანზე გამოვიდა. გრილოდა. სახლში ყველას ეძინა. ზაფხულის მოწმენდილ ცაზე ქვიშასავით უთვალავი ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ზღვის მსუბუქი ნიავი ფოთლებს ნელა ამრიალებდა, ნიავი ღილის თითქოს ყურში ჩასწიოდა: „სამსონი მოსწონს!“.



ათი დღის შემდეგ ზოია იაბლონსკაიამ თავის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს წერილი მისწერა, სანამ ციტრუსების კრეფა არ მოთავდებდა, ვერ ჩამოვალო. „საქმისთვის ასე აჯობებს, — სწერდა იგი, — აქ საინტერესო ცდებს ახდენენ, ყინვაგამძლე ციტრუსები უნდა გამოიყვანონ, ამათ მოვლასაც ვისწავლი!“

პასუხიც ჩქარა მიიღო. „ზოია, შე ეშმაკო, შენა! გაგიტკბა მანდ ცხოვრება, არა? ისწავლე, გოგო, სირცხვილი არ გვაქამო, რატომ ძროხების ამბავს უფრო ვრცლად არა გვწერ. ხომ კმაყოფილი არიან?“ — სწერდა თავმჯდომარე. კონვერტში მამის წერილიც იღო. მამა ქალიშვილს შორიდან ეფერებოდა, უთვლიდა, მოხუცს მხოლოდ შენი იმედი მაქვსო. ბოლოს იმასაც სთხოვდა, ორი-სამი ძირი ღიმონის ნერგიც ჩამომიტანე, ჩვენს ქოხში გაეხაროთო.

— ათი ძირი იყოს, ჩემი ეზოდან მოგცემ! — უთხრა ღილიმ.

— მადლობთ დაიკო. — გაუხარდა სტუმარს.

ზოია იაბლონსკაია კოლმეურნეობაში ყველასათვის მახლობელი და საყვარელი ადამიანი შეიქნა.

ღილი სანერგისკენ მიიჩქაროდა. მისი ყურადღება აგურით დატვირთულმა ურემმა მიიპყრო. ზანტი ხარები ნელა ეწეოდნენ უღელს და დაუსაპნავე ღერძი გულისგამწყვალებლად ჭრიალებდა.

— გამარჯობათ! მიესალმა ღილი მეურმეს.

— გაგიმარჯოს! გამარჯვებული შენა ხარ, სათბურს გიშენებენ! უკვე ფიცრებიც მოვიტანეთ!

— კარგი დაგემართოს, ძმაო! — უთხრა ღილიმ და გადაწყვიტა, ურემებს გაპყროდა.

სანერგისთვის ხუთი ჰექტარი მიწა იყო გამოყოფილი. მისი სიგრძე ბებიას მთამდე აღწევდა და თითქოს ღილის რგოლის პლანტაციას უერთდებოდა...

ღერძის ჭრიალმა ღილის გული შეუწუხა და მეურმეს უთხრა:

— კაცო, ღერძი დაგესაპნა, ნუთუ ნერვებს არ გიშლის?

— ჩვენ სუსტი ნერვები არა გვაქვს. — უკმეხად მიუგო მეურმემ.

— ღერძი რომ ფუჭდება?

— კიდეც გაფოთით, რა გენალვლება!

— როგორ თუ რა გენალვლება! — გულმოსულად უთხრა ღილიმ და ისე გადახედა რომ მეურმე შეკრთა კიდეც. — არა გრცხვენია?

მიორმეს ხმა არ ამოუღია, ხარები შეაჩერა, ჩამოხსნა რქა, რომელიც წყალში გახსნილი საპნით იყო სავსე და ურმის ქვეშ შეძერა. როცა ურემი კვლავ დაიძრა, აღარ ჭრიალებდა.

— ასე არ სჯობს? — ღიმილით ჰკითხა ლილიმ.

— არა, ყოველთვის ასე არ სჯობს! — მიუგო ჩაფიქრებულმა მეურმემ: — როცა მარტო ხარ ზოგჯერ ურმის კრიალს ფიქრებს აყოლებ და გული გეფონება.

ლილის ესაიმოვნა მეურმის პასუხი, რაღაც ღრმა ადამიანური გრძნობა იყო მის ნათქვამში. მასაც რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა. მალე მივიდნენ ფიცრებითა და აგურით მოფენილ ადგილას. სამსონიც იქ იყო.

კალისტრატე კალატოზს ედავებოდა.

— რას ყოყმანობ? თუ გულით მოეკიდები, საძირკველს ორ დღეში ამოიყვან, ერთი კვირა კედლებსა და გადახურვას მოუნდები. — ამბობდა კალისტრატე, — ვერ მოვასწრებ, რას მიქვია. ათ კაცს დაგახმარ, მაინც ვერ მოასწრებ?..

— ენახოთ! — ორკოფულად მიუგო კალატოზმა.

— გავათავე შენთან ლაპარაკი, — კალისტრატემ სამსონისკენ მიიხედა და მასთან ლილიც რომ დაინახა, პირდაპირ მისკენ გაემართა, — მოხვედი? — შეეკითხა ლილის. — რა გიჭირს, აგისრულდა ნატვრა!

— რა ნატვრაა, კალისტრატე, — მიუგო სამსონმა, — სანერგე ამ ათი წლის წინათ რომ მოგვეწყო, უფრო მოიგებდა კოლმეურნეობა.

— ახლა გვიანაა თუ? — იწყინა კალისტრატემ.

— გვიანაა, სჯობდა, დროზე ყოფილიყო. — უთხრა ლილიმ, — ახლა თავსაყარი ნერგი გვექნებოდა...

„გინდ ოქროს კოშკიც აუშენო, ამათ გულს მაინც ვერ მოიგებს კაცი“. — გაიფიქრა კალისტრატემ, — საერთო კრებაზე, ვიცი, არ დამინდობენ, დამცხებენ, მანამ, თუ ამ სათბურის აშენება მოვასწარი, ერთი საყვედური მაინც ამცდება!“

— ეი, ბიჭებო, — გასძახა მან მეურმეებს, — დაღამებამდე ორი გზა კიდევ მოასწართ! აბა ჩქარა! — მერე სამსონს მიუბრუნდა: — წავიდეთ, მიეხედოთ შეთამბაქოებს!

სამსონი და კალისტრატე რომ წავიდნენ, ლილი შინისკენ გაეშურა. ქიშკარში შევიდა. თემური თავის დას ექიდავებოდა. ბებიას თავი ატკივოდა და კენსოდა. ზოია ტაგანით ძროხას მისჯდომოდა და წველიდა. ლილი მიუახლოვდა ზოიას. ძროხამ იცნო პატრონი და დაიზმულია. ზოია წამოიღგა, ტაგანი ლილის აჩვენა.

— ამის მეტი არ მომცა, იპარავს რძეს!

ახლა ლილიმ დაიწყო წველა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ წამოდგა და იქვე ბალახში ჩაჯდა.

— ზოია, ვარლამმა მითხრა, ჩვენმა სტუმარმა პურის დასათესად გამზადებული მიწა დამიწუნაო.

— მართალია, არ მომეწონა. ჯერ ერთი, ძალიან პატარა ნაკვეთია და მეორეც, ტრაქტორს ცუდად მოუხნავს. რა ვქნა, არ შემიძლია რაიმე ნაკლი რომ დავინახო, თვალები დავხუჭო. აქ რამდენი უსარგებლოდ მიტოვებული მინდორია, რაღა ხელისგულისოდენა მიწაზე თესავენ პურს?

ლილის ზოიასათვის მიეპყრო თვალები, თან ომბალოს ფოთლებს ხელის გულზე ისრესდა, სიამოვნებდა მისი სურნელი. ზოია საქმეში ჩახედული ადამიანის სიღინჯით ლაპარაკობდა. ლილიც გულში ეთანხმებოდა სტუმარს.

— მოდი, ეს ყველაფერი საერთო კრებაზე თქვი. იქნებ ჩვენი შემინდვრეები გამოცოცხლდნენ!

— ჩემს გულში ხომ არ იჯექი. მეც ამას ვფიქრობ!



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მიხეილის „პობედა“ ფერმის ჭიშკარში შესრიალდა, რაიკომის მეორე მდივანი სევერიანი და ჯაბა ბოსლისაყენ მიდიოდნენ, მაგრამ „პობედის“ გუგუნზე შუა ეზოში შეჩერდნენ. მიხეილი კაბინიდან გამოვიდა, ორივეს მიესალმა და ჩქარი ნაბიჯით გასწია. კარებთან სტუმრებს ფერმის გამგე შემოეგება.

— როგორი ძროხებია?

— ამას კითხვა უნდა? — მიუგო ნიკომ, — თქვენ თვითონ ნახეთ!

მიხეილმა ბაგაზე ჩამწკრივებულ ძროხებს გახედა. ზოგი მათგანი იღვა, ზოგი იწვა და იცოხნიდა.

— ყოჩაღ, სამსონ, გვასახელა! — ჩაილაპარაკა მიხეილმა და ერთ ძროხას მიუახლოვდა, ხელი რქაზე დაუთათუნა.

— ამ დილით მოწველეთ?

— როგორ არა, ამან ოცდაშვიდი ლიტრი მოიწველა, — მიუგო ნიკომ, — და კმაყოფილებით განაგრძო: — საშუალოდ თვითეულმა ოცდახუთი ლიტრი მოგვცა. — ჯერ დაისვენონ, ნამგზაურები არიან. შემდეგ ორმოცს მოგვცემენ. თუმცა, — შეჩერდა ნიკო და ხელი გაიშვირა ფანჯარასთან დაბმული ძროხებისაკენ. — ესენი ფერმიდან წამოუყვანიათ და ხელით მოწველას არ არიან შეჩვეულნი. ქალებს გაუჭირდათ, მკლავები დააწყდათ.

— არა უშავს, ცოტა მოითმინონ და მალე ელექტროსაწველელს მივიღებთ, — მიუგო მიხეილმა და შემდეგ რძის ხარისხი იკითხა.

— რას ამბობს ლაბორატორია, ცხიმიანობა როგორია?

— აი, ქალაღებო, თვითეული ძროხის რძისა ცალ-ცალკე. — და ნიკომ ჯიბიდან პატარა ვარდისფერი ფურცლები ამოიღო.

მიხეილმა გადაათვალიერა ლაბორატორიის ანალიზის ცნობები და შემდეგ სევერიანეს მიაწოდა.

— ნახე! შერჩეული საკვები რომ მიეცეთ, ცხიმიანობა აიწვეს.

— ცხიმიანობა ახლაც კარგი ყოფილა! — მიუგო სევერიანემ.

— კარგია, მაგრამ უკეთესი სჯობს! — მიხეილმა ერთხელ კიდევ გადახედა ძროხებს, შემდეგ კარებისკენ წასვლა დააპირა, მაგრამ ნიკომ შეაჩერა.

— ხბოს არ ნახავთ?

— ხბო საიდან? — გაიკვირვა მიხეილმა და უკან გაპყვა გამგეს.

კუთხეში ტიხარს იქით ნიშა ხბოს მესრებს შორის დრუნჩი გამოეყო და დედას შეზმუოდა.

— უი, რა ლამაზია, — ჩაილაპარაკა მიხეილმა და ზურგზე ხელი გადაუსვა. — ეს აქ დაიბადა?

— არა, გზაში, სამსონმა თავის მანარაში შეხვეული ჩამოიყვანა. გვეგონა, არ გადარჩებოდა, მაგრამ ხედავთ, რა ყოჩაღად არის?

— ასე არა სჯობს, — კმაყოფილებით მიმართა მიხეილმა სევერიანეს. — ფერმა განვაახლეთ, შენ კი იმედი არ გქონდა, სამსონი ძროხებს ვერ ჩამოიყვანსო: მას გაუკეთებელი რა დარჩება... კარგად მოიქცნენ, პარტორგანიზაციის მდივნად რომ აირჩიეს. ახლა კოლმეურნეობაში საქმეს რა შეაჩერებს, წავა და წავა წინ, მუშაკაცია... რაიკომის მდივნად გამოდგება და არავისზე უარესად არ გაუძღვება საქმეს.

სევერიანემ იგრძნო, რომ პირველი მდივანი ამ სიტყვებში მას გულს-  
ხმობდა... გუშინ ბიუროზე სევერიანემ იმდენი ილაპარაკა. მალაზიის გამგეზე  
რომ ბევრს შეაცოდა იმისი თავი. მაგრამ მიხეილი აფეთქდა.

— ვისზე ხარჯავ ამდენ ლამაზ სიტყვას, გამფლანგველზე? — მკაცრად  
ჰკითხა მიხეილმა და სევერიანე დაიბნა, სათქმელს თავი ვერ მოუყარა, გაწბი-  
ლებული დაჯდა. «არა, არ მოვწონვარ მიხეილს» — მწარედ გაიფიქრა სევერიან-  
ნემ.

მიხეილი კაბინაში ჩაჯდა. სევერიანესთვის არაფერი უთქვამს. მანქანა ვას-  
რიალდა ეზოს გატყეპნილ გზაზე და ჰიშკარში გავიდა. სევერიანე გულნატკენი  
იდგა. გუგუნი რომ მიწყდა, ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა თავის მანქანას, რო-  
მელსაც თვითონ მართავდა.

— სევერიანე, რად გარბიხარ, კაცო, — მოესმა ჯაბას ხმა.

— რა იყო? — ჰკითხა მან ბუხვალტერს.

— კარგი ძროხებია, ჰა, რომელსაც გინდა, თითი დაადე, შენი იქნება, რა  
გინდა, მე გაეაფორმებ!

— თავი დამანებე, თუ კაცი ხარ! — მიუგო სევერიანემ და მანქანა ააგუ-  
გუნა.

სევერიანეს მის სიტყვებზე არც გამოუხედავს, მალე ქუჩის მტვერმა დაფარა  
მისი ძველი ავტომობილი.

— ასე რა ეწყინა, ნეტავი? — ფიქრობდა ჯაბა, — რა გაწყობილი სუფრა  
დამრჩა?



## მეწიეთი

ეტიუდი

★

ადრე გაზაფხულზე, როცა თეთრი ყვავილებით დამძიმებულმა ქინძის-თავამ ცის სილურჯეს შესცინა, ციხიჯვრის სამოვრებისკენ გაერეკათ ცხვარი. ნაქები პიბრიდების სანახავად წასულებმა გარეჯის მიდამოებში ქებული ნან-გრევების ნახვა გადაეწყვიტეთ. გამყოლი მოვიძებნეთ და სამგზავრო მანქანა ზმაურით დაიძრა ფერმის ეზოდან, ბალახმორეული გზით დავით გარეჯის ნან-გრევებისკენ გაემართა. უღრუბლო ლავეარდის ვეება კამარა ცის დასავალზე ისევ ფრთაგაშლილი იალალების ლეგა სიმწვანეს უერთდებოდა. დროდადრო შლეგა ყვავილების ველი ფოცხვერის თვალივით შემოანათებდა მანქანის ღია სარკმელში და მიუჩნებულ ფარეხებთან ერთად განზე რჩებოდა. „ქვეყანას ადამიანი ამშვენებს!“ ვფიქრობდი მანქანის სარკმელში გადმობრილი და გვე-ცქეროდი კალთაგანიერ სამოვრებს, რომელთაც უეცრად აფრენილი ტყის ქა-თამი და გარეული იხვი თუ მისცემდა სიცოცხლის ნიშანწყალს.

კარგახანს ვიმგზავრეთ ერთფეროვანი გზით. მანქანამ ქშენით აიარა მოკ-ლე აღმართი და გადაჯიშებული ნუშის ხეების მიღმა შეჩერდა.

სალ კლდეში შენიღბული ნანგრევების დანახვა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ყველამ ერთად შევიძახეთ შევიჩოჩოჩა გამყოლს. მოხიბლული შევა-ც-ქერდით კლდის ქიშზე გადმომდგარ საყარაულო კოშკის ცალფერდა კედელს.

„ამ მიუვალში რამ მოიყვანა ადამიანი!“ — გაუფიქრე მანქანიდან ყვე-ლაზე ბოლოს გადმოსულმა, ხელბარგი მიწაზე დავდე, ფოტოაპარატი მო-ვიმარჯვე და ის იყო ახალგაზრდებთან საუბრით მიმავალი გამყოლის გადა-ლება გადაეწყვიტე, რომ ცხენის ფლოქვების თქარუნი შემომესმა.

უეცრად შემოვბრუნდი.

გაოფლიანებული ცხენიდან ტანმორჩილი მხედარი ფიცხლად გადმობტა, აღვირს შეუშვა ხელი და ფეხმარდად გამოემართა ჩემსკენ.

— საიდან მობრძანდებით? — მკითხა შორიხლოს შეჩერებულმა და წრფელი ჭროლა თვალები პირდაპირ სახეში შემომანათა.

— თბილისიდან, სიძველეების ნახვა გვინდა. — შევაგებე უცნობს.

— თქვენ ვინა ბრძანდებით?

— მცველი ვარ. ეს არემარე მამარია.

— ეს ამოდენა მინდვრები?

— არც ისე დიდია, აბა რამ დააბუროს იმოდენა ცხვარი. — მითხრა მცველ-მა და მისი გარუჯული სახე იმ სანდომიანმა ღიმილმა დაფარა, რომელიც დიდი ხნის ნაცნობივით დაიაბლოვებს ხოლმე შემხედურს. მცველმა ჩემს მჩატე ხელბარგს დაატანა ხელი და მხრიდან დაცურებული თოფის სწორებით ჩაი-ლაპარაკა:



— წავიდეთ, ეპა, როგორ ჩამოცხა!

უსიტყვოდ ავეღვენე ვაჟკაცს, რომელიც ჯაგებში გაღამებულ ბილიკზე მიმავალ გამყოლს წამოეწია.

— ჩქარა ამობრუნებულხარ, სანდრო, როგორი მახარონელი ხარ?! — ახალგაზრდამ ღიმილით უთხრა მცველს და გზა დაუთმო.

— აბა რა ვიცი, რას მიწყალობებს, ჯერ ვერაფერს ვიტყვი. — მიუგო უხალისოდ მცველმა და არ შეუარა გვერდი.

— აი, ვინ არის ამ არემარის ბატონ-პატრონი, ამის შიშით აქეთ ვერაფერი გაიქაქანებს, — მითხრა გამყოლმა უხერხულობის გასაქარწყლებლად.

— აბა, რა სათქმელია. — კვლავ უგუხნებოდ თქვა მცველმა.

— რატომ არა, შე დალოცვილო, ამ გაზაფხულზე ოცდაექვსი მგელი და ერთი აფთარი მოაცილე ფარეხებს.

— ფოცხვერი?! — მივხედე ჩემს გვერდით მიმავალს.

— იცის ხოლმე მოვარდნა, ცხვარს ეტანება.

— ნამდვილად ფოცხვერი იყო?

— არც მე მეგონა, თორემ ისე იოლად როდი შევებმოდით! — ბავშვური გულბრყვილობით გამიღიმა მცველმა.

— სად შემოგხვდა?

— დიდოს რქასთან, ხევში დამიხვდა, ჩემს ბედზე, სიარულში ისე გავხერდი, რომ ქურქი გავიხადე და ნულა მივდიოდი

— მერე? — ვკითხე მოუთმენლად.

— ახალი შებინდებული იყო. ხეეს რომ შევეყვები, ლოდებთან რალაცამ შემომანათა. მგელი მეგონა. ის იყო თოფი მოვიხსენი, რომ ერთბაშად შემომიტია და პირდაღებული გადმომიხტა. შევებით ერთმანეთს. იმისი კბილის ნაჭდევი ახლაც ატყვია ჩემს იდაყვსა და თოფის ლულას. — მცველი შემობრუნდა. მხარზე დაკიდებულ თოფის ლულას მკაფიოდ აჩნდა ნაჭდევი.

— კარგი ვაჟკაცი ყოფილხარ, ძმაო!

— რა მოგახსენო! — მომიგო სანდრომ უგუხნებოდ და რატომღაც გაჩუმდა. აღარ აპყოლია ჩემს ხალისიან საუბარს, წინ წამიძღვა ფიქრებში წასული. ყველას ჩამოვრჩით. ჩემს ტოლებს უკვე დაეთვალაიერებინათ საღ კლდეზე გულმოდგინედ ამოკვეთილი წვრილი არხები და ვეება ქვის კარიბჭეში შედიოდნენ. ცხელოდა. გააღმასებულ მზეს უკვე მიედწია შუა ცაზე და უდაბნოს საძოვრებზე შემორჩენილ ნამს ხარბად ისრუტავდა.

უსიტყვოდ გავიარეთ ხუცური წარწერით მოჩუქურთმებული დიდი კარები და ბალახმორეულ ვალავანში შევედით. ჩემ ტოლებს უკვე ჩაველოთ მტრედის ფრთებით და ჩალაბულით მონაგვიანებულ სენაკებთან, რომლის წინაც სანდრომ უსიტყვოდ ჩამატარა. გულდასმით ვათვალაიერებ კლდეში გამოკვეთილ სკამ-ლოგინებს, სადოსტაქრო თაროებს და თახჩებს, მაგრამ ჩემს გულისყურს ვერ იტაცებს სამყოფელოები განდევნილებისა, რომლებსაც ფსალმუნთა კითხვაში და ფერწასული ეტრატების გადმოქართულებაში ჩაეკლათ ამქვეყნიური ცხოვრება.

— ის რაღა არის? — ვკითხე ფიქრებში წასულ ვაჟკაცს და სათოფურებით დანითულ აგურის კოშკის კიბეებთან შევჩერდი.

— ქვემძრომის ხომ არ გეშინია, ადი, გუშინ გოგირდი მენთო. არჩილ მეფე აქა მღვარა, ვიდრე რუსეთს წავიდოდა.

— არა, მერე ვნახავ. — ვუთხარი და მოკლე აღმართით პატარა ბეჭობზე თავმოყრილ ახალგაზრდებისკენ გავემართეთ.

დიდი თუთის ჩრდილში ასვლისთანავე ნიავმა ხალისიანად გაგვიცხლა უბე-  
ები. ორ მთას შუა ჩახიზნული ბეჭობიდან ვიწროდ მოჩანდა ფერწასული ვე-  
ლი. სანდრო ჩვენს შორიახლოს ლოდზე ჩამოჯდა. ჩემი ხელბარგი დადო და  
ყმაწვილური ხალისით მოავლო თვალ ბალახზე მოკეცილ ქალ-ვაეთ.

— არ წავიდეთ? — ჰკითხა სანდრომ გამყოლს, რომელიც ცრემლის წყა-  
როდან მოტანილი ცივი წყლით უმასპინძლდებოდა ახალგაზრდებს.

— საით გვირჩევე, სანდრო? — შევეკითხეთ მცველს.

— სანახავი ბევრია, მაგრამ თქვენ ყველაზე ძლიერ უდაბნო გაგაოცებთ. —  
თქვა სანდრომ.

— შორს არის?

— არა, აი ეს ხევი უნდა ავიაროთ, — გვანიშნა ჩვენს უკან აღმართულ  
ძეძებთან ხევზე, რომელსაც შუაწელს ზემოთ ფერშეცვლილი ბალახი ფარავდა.

— მუხლს ნუ შეასვენებთ, თორემ გზა უფრო გაგრძელდება. ნახეთ, რა  
ხელმა გააკეთა. — თქვა მცველმა გამომწვევად და შემობრუნდა.

— წავიდეთ, წავიდეთ.

ფეხდაფეხ მივდევ ფოცხვერივით მოქნილ ვაკეცს, თრიშლისა და მაცუ-  
ლის ბარდებში ოსტატურად მიიკვლევს გზას, იმის მტვრიან ჩექმებქვეშ ვერც  
კი ასწრებს ჩამოშლას ფხვიერი მიწა.

— არა, შორს არ არის. — გვამხნევენს უკან მოუხედავად.

აღმართში ხმაურით მომავალი ახალგაზრდების ლოდინში სერზე შეე-  
ჩერდით.

— დაილაღეთ, მაგრამ მაინც კმაყოფილი დარჩებით ჩვენი წინაპრების  
ნამუშევართ. — მითხრა თავმომწონედ.

— ეჰ, ჩემო სანდრო, აბა, რას გეარგებს მარტო წარსულით ამყობა. საქ-  
მე ის არის, ახალ ცხოვრებას ფეხდაფეხ მივყვით.

— მართალს ამბობ, ძმაო, მაგრამ აი, ამ მინდვრებსა და ხრიოკებში გაჩე-  
ულმა, შევძელი უკრაინის ტყეებში ორი დღე-ღამე მუცლით ხოხვა, რომ გერ-  
მანელების ტყვეობიდან დამელწია თავი.

— შენც იყავი ჯარში?

— მე რა, სხვაზე ნაკლები ვარ? — მითხრა ოდნავ მკვანედ და მის გარუ-  
ჯულ სახეს უსიამო ელფერმა გადაუარა.

— ჩემმა ტოლებმა ამოათავეს ჯაგები. მზე შეუნელებლად გეწვავს.  
თავს ვერაფერს ვაფარებთ, მაგრამ ხელისგულივით გადაშლილ მინდვრებს  
მაინც გადავაღვლეთ თვალი. ზვატში ჩაძირული იალაღები თითქოს თვლემდნენ.  
დროდადრო სიო გვიგრილებს ალექსილ სახეებს, ააშრილებს გაყვითლებულ  
ჭანგას და თავთუნს და არღვევს მყუდროებას, რომელსაც თავის განუზომელი  
ერთფეროვნებით მოთმინებიდან გამოვყავართ.

— ეგე, ეგე, ის არის! — მანიშნა მცველმა სერის თავში ჩასაფრებულ  
სალოცავზე.

კოტახნის შემდეგ მთის მწვენი ფილაქნებში გამოკვეთილი დარბაზის სი-  
გრძელემ დაგვამშვიდა. სანდრო ფანჯრის ქრილთან მიგორებულ ლოდზე ჩა-  
მოჯდა, ნაბდის ქუდი მოიხადა და დედამიწას ჩაჩერებული, ეტყობოდა, ფიქ-  
რებმა გაიტაცეს. მის ყურს არ სწვდება ლაქარდის სიხასხასით გამოწვეული  
ჩვენი აღფრთოვანება, არც მხატვრის ოსტატობით გამოწვეული გაოცება, რო-

მელიც ჩვენთვის გასაგებს ხდიდა გარეგელთა სკოლის ოსტატებს, თუ რატომ ჰქონდათ მოხვეჭილი დიდი სახელი.

ჩვენს აღტაცებას მის გარუჯულ შუბლზე ერთი ნაოჭიც ატარებდა.

— ნეტავ რა აღონებს აფთარზე ღონიერ ვაეკაცს?! — ვფიქრობდი მის შორიახლოს გაჩერებული.

— ხომ მოგეწონათ? — მითხრა, როცა ჩემი დაეინებული გამოხედვა შენიშნა.

— კარგია, მაგრამ მე შენი სურათის გადაღებას ვირჩევდი. ერთი წუთით ნუ გაინძრევი სანდრო, მინდა ჩვენი ნაცნობობის აღსანიშნავად მქონდეს.

სანდრო კმაყოფილებისაგან ოდნავ წამოწითლდა, სახეზე თავაზიანი ღიმილი აღებგვდა.

— მერე მე სადღა ვნახავ, ჩემს სურათს? — მითხრა და მორჩილი ბავშვივით გაჩერდა.

— თუკი შენთვის ჩემი სურათი სასურველია, ჩემთვის ხომ სანატრელი იქნებოდა შენი სტუმრობა.

— რატომ არა, გეწვევი!

— კეთილი, კეთილი! — შემომანათა სანდრომ მკიდროდ ჩასმული კბილების მწკრივი, ხეშეში მარჯვენა გამომიწოდა და მისი ფიქრები კვლავ პირმშენიერ თაფლოსკენ გაიქრნენ.



დაღლა არავის არაფრად ჩაუგდია. ნაშუადღევს თუთის გამოტილ ჩრდილში ვისხედით და ფერწერით აღტაცებულნი ხალისიანად ვსაუბრობდით. ჩვენს შორიახლოს ამრიალებულ კოცონთან ნაკვერცხლის ალი ბასრად გაჰკრავდა ცეცხლიან ვნას ხის შამფურზე წამოგებულ ცხერის კანკს და მადის მომგვრელი სურნელება, ყამგადასულ მონასტერს სიცოცხლის ნიშანწყალს აძლევდა.

სანდრო მოუსვენრად იჯდა, იალაღებისაკენ ეკირა თვალი. ფიქრებში წასული უეცრად წამოხტა.

— უნდა წავიდე. — მტკიცედ მითხრა გაღიმებულმა.

— არა, არ გაგიშვებ, ჩვენთან უნდა ჰამო პური.

— მასპინძელი თქვენ კი არა, მე უნდა ვიყო.

— ვითომ შენ რათა?

— დამხედური ვარ.

— ამდენი ხალხის სტუმრობა არცთუ ისე იოლი იქნებოდა.

— რატომაც არა, წელს ექვსი ტონა მარტო ხორბალი მომიზიდა კოლმეურნეობამ.

— ბარაქა შენს ვაეკაცობას. — ამ სიტყვის გავგონებაზე სანდრო გაჩუმდა, მერე თოფი მხარზე ჩამოიკიდა და სწრაფად ჩაილაპარაკა. — კიდევ გნახავთ, კიდევ...

— აბა სადღა?! — დავედევნე, მაგრამ იმის თოფის ლულას არჩილის კოშკთან შევასწარი თვალი.

— როგორ არა, კიდევ გნახავთ! — ფიქრობდა სანდრო, როცა ნუშებში გაშვებულ ცხენს მოაფრინდა და ჰქვემო ჰალისკენ მოკლე ბილიკით დაეშვა.

ალარ იბჟლოდა. სოფლისკენ ჰენიებით მიმავალ ცხენს გაანცილებული ნიავი ნტაცებდა წაბლისფერ ფაფარს. მზით ჩამტკბარი ფუნაგორიები ძნელად უსხლ-

ტოდნენ ცხენის ფლოქვეებს, გაღალებული ცხენი გუმანით შიქროდა მამლის ბიბილოებით მოხარატებულ აიენიან სახლისკენ. სანდროც თავის სახლს დასტრიალებდა ფიქრით. დღეს თაფლო როდი გამოეგებება სოფლიან შარაზე, თვალგისერა ექვსი გოგონა შემოეხვევა მამას.

— ნეტავ რა ამბავი დამიხვდება, აბა რა ვაეკაცი მქვია, ჩემს საბადლოდ ერთი ბიჭიცი რომ არ დარბოდეს სოფლად! — შემოჰკრა სანდრომ ცხენს მართახი და სოფლის ორღობეში შეაგელვა.

ცის დასავეალთან ჩაწურული მზე ერთხანს წითლად ამობრიალდა, მერე სოსანისფრად ამოქობა ცისა და მიწის ზღვარი. კილითკიდემდე გარინდებულ მინდვრებს მანქანამ მძიმედ გადაუარა და ქალაქისკენ იბრუნა პირი. ეს-ეს არის ჩამოვიტოვეთ უდაბნოს ფერმა, და საარის ტბის ვაკეებისკენ გამოვემართეთ. დალილებს მანქანა სწრაფად მიგვაქროლებდა სოფლის შარაზე. უეცრად გზაზე ვილაყამ გამოავლო ცხენი და მის ხელში თოფმა იგრიალა.

— რომელი ხარ? — შევძახეთ ერთხმად.

— მე ვარ, მე! — გაისმა ნაცნობი ხმა და მანქანის ნათურებთან სანდროს ალტაცებული სახე დავინახეთ.

— სანდრო, ჩვენი სანდრო! რა მოხდა, კაცო!

— ექვსი გოგოს მამას ვაფი შემეძინა. კვირას ძეობაში უნდა მეწვიოთ!

## ჩემი ბალის ყვავილები



„პატიმარო, ერთი მითხარი, ვინ ჩაგქედა ამ ბორკილებში?“

„ჩემმა მბრძანებელმა!“ — იყო პასუხი.

„ვფიქრობდი, ქონებითა და ძალა-უფლებით ყველასათვის გამესწრო სამყაროში!..“

და ჩემს საგანძურში გადავმალე მთელი საუნჯე ჩემი მბრძანებლისა! როცა ძილი მომერია, დავისვენე იმ სარეცელზე, რომელიც გამზადებული იყო ჩემი ბატონისათვის...

და როცა გამეღვიძა, დავინახე, რომ მე პატიმარი ვარ ჩემი საკუთარი! საგანძურისა.“

„პატიმარო ერთი მითხარი, ვინ გამოსქედა ეს მაგარი და ურღვევი ჯაჭვი?“

„მე თვითონ!“ — იყო პასუხი.

მე თვითონ გამოვქედე ის ასეთი მონდომებით.

ასეთი გულსხმიერებით!

ვფიქრობდი, ჩემი ძლიერების წინაშე ქედს მოიხრიადა მთელი მსოფლიო...“

და მხოლოდ მე ვიქნებოდი თავისუფალი.

დღე-ღამეების განმავლობაში ვმუშაობდი ამ ჯაჭვის გამოქედვაზე!

აეღვარებულ ცეცხლში ვაწრთობდი მის რგოლებს...

და ჩაქუჩის ძლიერი დარტყმით კიდევ უფრო ვამაგრებდი მას!

მაგრამ, როცა სამუშაო დამთავრდა და რგოლები ერთმანეთზე მაგრად იქნა გადაბმული, დავინახე, რომ ამ ჯაჭვით თვით მე ვიყავ შებოჭვილი.

### უხილავი

ო, ნეტავ ვინ შეღება ეს პაწაწა კაბა და ამ წითელი სამოსელით ვინ დაფარა შენი ნაზი და მიმზიდველი ტანი, ბავშვო ჩემო!

ამ დილით სათამაშოდ გამოხველ ეზოში, მაგრამ შენ ბარბაცობდი და მიწაზე ეცემოდი სირბილის დროს.

ო, ნეტავ ვინ შეღება ეს პაწაწა კაბა, ბავშვო ჩემო!

ნეტავ, რა იწვევს შენა ღვთაებრივ ღიმილს, ჩემო პატარავ...“

სიცოცხლის ახლად აკოკრებულო ყვავილო!

შესავალ კარებთან დგას დედაშენი და ღიმილით შემოგცქერის... ის უკრავს ტაშს და მისი სამაჯურები რეკავენ.

შენ ლერწამის ჯოხი გიჭირავს ხელში და თამაშობ, თითქოს პატარა მწყემსი იყო...“

ო, ნეტავ რა იწვევს ამ ღვთაებრივ ღიმილს, ჩემო პატარავ... სიცოცხლის ახლად აკოკრებულო ყვავილო.

ოი, მოხოვარაე!

ნეტავ რას ითხოვ დედისაგან, ორთავ ხელებით კისერზე დაკიდებინარ?  
ოი, ხარბო და გაუმაძღარო გულო!

ხომ არ გინდა ხის ნაყოფივით მოვწყვიტო მთელი სამყარო და შენს

პატარა ხელისგულზე მოვათავსო?

ოი, მოხოვარაე!

ნეტავ რას ითხოვ დედისაგან?

შენს ფეხებზე გამობმულ ზანზალაკების ქლარუნს სიხარულით მიაფრენს

ქარი...

მზე იღიმება, როცა, შენს პირისბანას უცქერის...

ცა გდარაჯობს, როცა შენ გძინავს, დედის გულ-მკერდში ჩახვეულს...

დილა ფეხაკრეფით მოიპარება შენს საწოლთან და თვალებს გიკოცნის...

შენს ფეხებზე გამობმულ ზანზალაკების ქლარუნს სიხარულით მიაფრენს

ქარი!

დაისის ცით მოფრინავს შენსკენ სიზმრების ჯადოსანი დედოფალი...

დედამიწამ ტახტი დაიდგა შენს გვერდით!

შენი დედის გულში!

და ის, ვინც ვარსკვლავებს უმღერის, თავის სალამურით დგას შენს ფანჯარასთან...

სალამოსი ცით მოფრინავს შენსკენ სიზმრების ჯადოსანი დედოფალი!

### ბაძეების მშენადა

ცა ნაცრისფერი გახდა, დედა!

და მე არ ვიცი, რა დროა, რომელი საათია.

მე არ მინდა მეტი თამაში.

და აი, მოველი შენთან...

დღეს ხომ შაბათია!

ჩვენი დღესასწაული!

თავი გაანებე სხვა საქმეს...

დაჯექი, აი, აქ, ამ ფანჯარასთან!

და მიაგებ რამე ზღაპრულ უდაბნო ტეპანტარზე...

სად და რომელ მზარეშია იგი?

წვიმების ჩრდილმა დაფარა მთელი დღე.

ბოროტი ელვა ბასრი კლანჭებით სერავს ცას.

როცა ღრუბლები ბობოქრობენ და ისმის ხმა ქექა-ქუხილისა, იმ დროს ჩემი დედა, მე მიყვარს — შიშითა და ძრწოლვით მოგეკრა გულზე!

და როცა მამეზარი წვიმა მთელ საათობით ხმაურობს ლერწმების ფოთლებში...

და ჩვენი სახლის ფანჯრები ზანზარებენ მძაფრი ქარისაგან, მე მიყვარს, დედა, შენთან ერთად ვიყო მაშინ ოთახში და ვისმინო შენი მოთხრობა ზღაპრულ უდაბნო ტეპანტარზე.

სად არის ის, დედა?

რომელი ზღვის ნაპირზე?

რომელი მთების კალთებზე?

რომელი მეფის საბრძანებელში?

იმ უდაბნოში არ არის არც ერთი ღობე.

არც ერთი მესერი. იქ ყველფერი გავაკებულა.

იქ არ არის არც ერთი ბილიკი, რომელზე გავლითაც სოფლებს შევძლოთ შინ დაბრუნება!..

ანდა, ასეთ ბილიკზე ჩაველით ბაზარში მიიტანოს თავისი ტვირთი იმ ქალმა, რომელიც მთელი დღის განმავლობაში გამხმარ სოკოებს აგროვებდა ტყეში.

გამშრალ სილაზე მხოლოდ რამდენიმე ყვითელი ბალახია ამოსული.

და ერთადერთი ხე, რომელზედაც წყვალმა ბრძენმა ფრინველმა ბუდე გაიკეთა...

მე შემიძლია წარმოვიდგინო, რომ ასეთსავე ღრუბლიან დღეს, ტუბანტარის უდაბნოზე გავლით, როგორ ჩამოიქროლებს მარტოდ მარტო ნაცრისფერ ბედაურზე მჯდომი ახალგაზრდა ბატონიშვილი, რომელიც გადმოვარდნილა საძებრად მეფის ასულისა, ამ უხილავი ტბის მეორე მხარეს გოლიათის კოშკში რომ არის გამოშვებული...

როცა შორეული ცა წვიმიანი ნისლითაა დაძვინებული... და ელვაც გაკრავს, როგორც უეცარი ტყვილი, მითხარი, დედა, ახსოვს თუ არა მას თავისი უბედური დედა, მეფემ რომ თავი გაანება და ახლა ბოსლის გვით დაღლილი და დაქანცული კაბის კალთით იშრობს ცრემლებს?

აგონდება თუ არა მას საწყალი დედა, როცა ნაცრისფერ ბედაურს მიაქროლებს ზღაპრულ ტუბანტარზე?

ხედავ, დედა?

თითქმის დაღამდა კიდეც, თუმცა დღე ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

სოფლისაკენ მიმავალ გზაზე არ ჩანან მგზავრები!

მწყემსი აღრე დაბრუნდა იალალიდან!

აღამიანებმა დატოვეს მინდვრები, რათა დროულად მიაშურონ თავიანთ ქოხებს, დასხდნენ ჭილობზე და თვალი ადევნონ პირქუშა ღრუბლებს ასე თავგამეტებით რომ ეხლებიან ერთიმეორეს...

დედა, ჩემი წიგნები თაროზე დავტოვე.

გაკვეთილების დამზადებას ნუ მომთხოვ.

და როცა გავიზრდები და მამასავით დიდი გავხდები, მაშინ ვისწავლი ყველაფერს, რაც საჭიროა. მაგრამ დღეს, ჩემო დედა, მიახბე რამე ზღაპრულ უდაბნო ტუბანტარზე... სად და რომელ მხარეშია იგი?

### როდის ღა რატომ?!

როცა მე მომაქვს შენთვის, ბავშვო ჩემო, ფერადფერადი სათამაშოები, კარგად შესმის, რატომ ასე თამაშობენ ფერები ღრუბლებსა და წყლებზე.

და რატომ სხვადასხვა იერს იღებენ ყვავილები იმ დროს, როცა მე საჩუქრად მომაქვს შენთვის ფერადფერადი სათამაშოები, ბავშვო ჩემო.

როცა მე ავმღერდები, მხოლოდ იმიტომ, რათა შენ ითამაშო. დანამდილებით ვიცი, რატომ ასეთი მუსიკაა მცენარეთა ფოთლებში.

და გულისხმიერი დედამიწის წიაღისაკენ რად მიაქროლებენ ტალღები თავიანთ მრავალხმიან სიმღერებს, როცა მე ვმღერი, რათა შენ ითამაშო!

როცა მე მომაქვს შენთვის ტბილეული და მინდა შენს ხარბ ხელებს გადაეცე იგი, კარგად შესმის, რატომ არის თაფლი ყვავილის გულში...



და რატომღა ხილი უტკბესი ნექტარით საიდუმლოდ აღვსებული, რაც მე ტკბილული მინდა გადავცე შენს ხარბ ხელებს!

როცა მე, ჩემო თვალისჩინო, ვეამბორები შენს სახეს, რათა შენ გაიღიმო, დანამდვილებით ვიცი, როგორი სიბარული გადმოსჩქეტს იმ დროს ციდან დილის რიერაჟში.

და რა ნეტარებას ჰგვრის ჩემს არსებას ზაფხულის ნიაჟქარი, რომცა მე ვეამბორები, რათა შენ გაიღიმო.

რად მიცქერი ასე და სირცხვილის გრძნობით რად მიწითლებ სახეს? მე ზომ მათხოვრად არ მოვსულვარ?

მე მხოლოდ შევჩერდი აქ...

შენი ბალის გადაღმა...

სირცხვილის გრძნობით რად მიწითლებ სახეს?

შენს ბალში ვარდები არ დამიკრეფია!

არც ხილი მომიწყვეტია!

მე მოკრძალებით დავდექი ქუჩის განაპირა ჩრდილში, სადაც ყოველ გამგელს შეუძლია გაჩერდეს.

მაგრამ ვარდები არ დამიკრეფია...

მუხლები მომექანცა და კოცისპირული წვიმაც მოვიდა...

ლერწმების დახრილ ღეროებში აკენესდა ქარი...

ღრუბლები ცაზე ისე გარბოდნენ, როგორც ბრძოლის ველიდან დამფთხალი მეომრები...

მუხლები მომექანცა...

და მე არ ვიცი, რა იფიქრე ჩემზე!

ვის ელოდი კარებთან?

ელვის ბრწყინვალეებამ შენს გამომცდელ თვალებში შექი ჩააქრო! როგორ შემეძლო მცოდნოდა, რომ ამ სიბნელეში შემამჩნევდი!

და მე არ ვიცი, რა იფიქრე ჩემზე!

ღღემ განისვენა და წვიმაც შეწყდა.

შენი ბალის ხეივანით მივდივარ მე და ჩემს სადგომ ადგილს ეტოვებ ბალახებში.

ღამდება.

დაკეტე კარები.

მე ჩემი გზით წავალ.

ღღემ განისვენა...

მე აქ ვარ, რათა შენ გიმღერო.

შენს დარბაზში ჩემი კუთხეა გამზადებული.

შენს სამყაროში სამუშაო არ არის ჩემთვის.

ჩემი უნაყოფო სიცოცხლე შესაძლოა მხოლოდ უმიზნო ხმებში გამოვლინდეს...

და როცა დაჰკრავს მათუწყებელი საათი, შუალამის ბნელ ტანარში შენდამი მსახურების დაწყებისა, ო, ჩემო მეუფეო, მაშინ მიბრძანე, სადიდებელი საგალობელით წარვსდგე შენს წინაშე.

და როცა დილის ჰაერში ოქროს ჭნარი ახმაურდება, იმ დროს, ჩემო მეუფეო, ღირსი გამხადე შენი მოწოდებისა!

მის ამო მოლოდინში თითქმის დამთავრდა ღამე!..

მე მეშინია, რომ დილით უეცრად იმ დროს არ მოადგეს ის ჩემი სახლის კარებს, როცა დაუსტებულსა და ღონემიხდილს ღრმად ჩამეძინება.

ო, მეგობრებო!

კარები გაუღეთ მას!

ზელი არ შეუშალოთ შემოსვლის დროს!

და თუ მე მის ფეხის ხმაზე არ გამეღვიძა, არ გამაღვიძოთ არც თქვენ... გემუდარებით!

მე არ მინდა გამაღვიძოს მგალობელ ფრინველთა ძლიერმა გუნდმა.

არც დილის მზის დღესასწაულზე ამოვარდნილმა ქარიშხალმა.

დამანებეთ მე მყუდრო და უშფოთველი ძილი, იმ დროსაც კი, როცა ჩემი მეუფე მოულოდნელად გაჩნდება ჩემს კარებთან.

ო, ჩემო ძილო, ძვირფასო ძილო, რომელიც მხოლოდ მის შეხებას ელოდები, რათა შემდეგ სამუდამოდ გაჰქრე.

ო, ჩემი დახუტული ქუთუთოები იმის ღიმილის შექმნე რომ გაიშლებიან.

როცა ის წარდგება ჩემს წინაშე, როგორც სიზმარი, ძილის სიღრმიდან წარმოშობილი...

ღეე, მომეველინოს მე ის, როგორც უპირველესი და ულამაზესი ხილვა კველა სხივთა და ხატებათა შორის.

ღეე, მისმა გამოხედვამ ჩემს გაღვიძებულ სულში დაბადოს პირველი თრთოლვა სიხარულისა.

ღეე, ძილის სიღრმიდან ჩემი დაბრუნება მასთან ჩემს დაბრუნებას შეუერთდეს!

სიმღერა, შენთან მოსვლის დროს რომ დაირბა ჩემი გულის სიღრმიდან. დაუსრულებელია ღღემდე.

ჩემი სიცოცხლის ღღეები ფანდურის აწყობაში გაეატარე. მაგრამ ჰანგები სიერკეში იკარგებოდნენ.

სიტყვები არ ეწყობოდა ისე, როგორც უნდოდა...

და მხოლოდ დაუცხრომელი სურვილით კვდებოდა გული...

ყვავილი არ იშლებოდა.

მხოლოდ ყრუ ამოოხერით გაიქროლებდა ქარი.

მე მისი სახე არ მინახავს.

არც მისი ხმა დამიჟერია.

მხოლოდ გზიდან, ჩემი სახლის პირდაპირ, მესმოდა მისი ყრუ ნაბიჯები. მთელი დღე დაილია მისადები ადგილის მზადებაში.



მაგრამ ლამპარი არ დარჩა ანთებული.  
და მე არ შემეძლო ჩემს სახლში მიმეღო ის...  
მე ვცხოვრობ იმ იმედით, რომ ისევ ვიხილავ.  
ისევ შევხედები მას.  
მაგრამ ასეთი წამი ჯერ არ დგება, არა!



ჩუთუ თქვენ არა გსმენიათ მისი ჩუმი ნაბიჯები?  
ის მოდის, მოდის, მოდის!  
ყოველ წამს, ყოველ საუკუნეს, ყოველდღეს და ყოველამ მოდის ის...  
მოდის, მოდის!  
მე ბევრჯერ მიმღერია ნალვლიანი და სიხარულის ლექსები.  
და ამ სიმღერებში მუდამ ისმოდა:  
მოდის ის, მოდის, მოდის!  
მზიანი აპრილის სურნელოვან დღეებში ტყის ბილიკით მოდის ის..  
მოდის, მოდის!

წვიმიანი ივლისის დაბინდულ დღეებში მშვეპარე ღრუბლების ეტლით.  
მოდის ის, მოდის, მოდის!

მწუხარება, ასე ლოდევით რომ აწეება ჩემს გულს, მისი კენესაა. და სიხარულიც...

ასე ოქროსფრად რომ ბრწყინავს ჩემში, მისი შეხებითაა გამოწვეული...



მე ვგრძნობ, რომ ჩემში ბრწყინავს ყველა ვარსკვლავი.  
მთელი სამყარო ნიაღვარივით მოჰქუხს ჩემს სიცოცხლეში.  
ჩემს სხეულში ყვავილები ხარობენ.  
დედამიწისა და წყლების სიკაბუჯე გუნდრუკს აკმევს ჩემს გულში.

და სუნთქვა ყოველი არსებისა ისე თამაშობს ჩემს აზრებზე, როგორც  
კარგი ხელოვანი ფლეიტაზე.

როცა სამყაროს ჩაეძინება, მაშინ მოვალ მე შენს კარებთან.  
ვარსკვლავები დღემან.

და მე მეშინია, რომ ვიმღერო.

მე ვფხიზლობ და გელოდები, ვიდრე ღამის აივანზე შენი აჩრდილი არ  
გამოკრეფება.

ვიდრე არ დაბრუნდები აღსავსე გულით...

დილით გზის მახლობლად გიმღერებ.

ხერგულის ყვავილები მეხმაურებიან.

დილის ჰაერი მისმენს მე.

მგზავრები ანაზღუელად ჩერდებიან და სახეში შემომცქერიან.

ისინი, თქვამენ, რომ მე ვეძახი მათ.

ნება მომეცი მარად შენს კარებზე ვიდგე და შენს სურვილებს ვემსახურო.

ნება მომეცი, დავიარო შენი საბრძანებელი და მუდამ მზად ვიყო შენს მო-

წოდებაზე.

ნუ, ნუ მიმიყვან იქამდე, რომ მწუხარების სიღრმეში ჩაეძირო დ გავქრე.  
 ნუ მიმიყვან იქამდე, რომ ნაფლეთ-ნაფლეთებად ვაქციო ჩემი სამოსელი,  
 და საბოლოოდ გავლტაკდე.

ნუ მიმიყვან იქამდე, რომ შიშისა და არარაობის გრძნობამ შემიპყროს.

ნუ მიმიყვან იქამდე, რომ ვიარო მრავალი გზით, რათა ბევრი დაეაგროვო  
 ნუ მიმიყვან იქამდე, რომ ჩემი გული დაეუმორჩილო მრავალთა გულებს.

დაე, მაგალი მტკიროს ჩემი თავი იმ სიამაყისა და ვაქეცობის შეგრძნობის  
 გამო, რომ მე ღირსი ვაგხდე შენი მსახურებისა.

### ღიდება

ადიდე ეს პატარა გული და ეს პატარა სული; დედამიწას რომ ციდან ამ-  
 ბორი მოუტანა...

მას უყვარს მზის სინათლე!

მას უყვარს დედის სახეში ცქერა...

მან ჯერ კიდევ არ იცის დედამიწის ქელვა!

არც ოქროების სიყვარული!

ჩაიკარ გულში და ადიდე ის!

ის მოვიდა აქ.

ამ უთვალავ გზებით დასერილ და დახლართულ სამყაროში.

და მე არ ვიცი, როგორ გიპოვა მან ამოდენა ბრბოში. როგორ მოვიდა ის

შენს კარებთან, ჩაგვიდა ხელი...

და გზის ჩვენება გთხოვა...

ღიმილითა და ტიტინით აგედევნება ის...

და მის გულში ექვიც არ გიელვებს...

გაუმართლე მას შენდამი ნდობა...

შენდამი სიყვარული...

ადიდე და სწორი გზით წაიყვანე ის!

მის სავალ გზაზე სულ უფროდაუფრო მეტი სიმძლავრით აიშლებიან ტალ-  
 ლები.

სიყვარულით დაადე თავზე შენი მფარველი ხელები და ზეცას შეაეცდრე  
 იმისათვის, რათა მის იალქნებს მაღლიდან დაძებროს ისეთმა ნიავექარმა, რომ  
 სამშვიდობო ნავსადგურში მიიყვანოს ის...

არ დაივიწყო აჩქარებულმან!

გულის კარი გაუღე და ადიდე ის



სოფლის ქუჩაზე, კარიდან კარზე დაედოიდი მე და მოწყალებას ვითხოვდი,  
 როცა საოცარ მოჩვენებასავით გამოჩნდა შენი ოქროს ეტლი, მეფეთა მეფეო!  
 ჩემს გულში გაიღვიძეს იმედებმა და მე მომეჩვენა, რომ თავის დასასრულს  
 უახლოვდებიან ჩემი შავბნელი დღეები... და მე ვიდექი იმის მოლოდინში, რომ  
 ჩემს ირგვლივ უხვად გადაიშლებოდა მოწყალების სავანძური.

ეტლი ჩემს ახლოს გაჩერდა.

შენი თვალები ჩემზე შეჩერდნენ და შენც ღიმილით დაეშვი ეტლიდან. მე  
 ვგრძნობდი, რომ უკვე დადგა ჩემი სიცოცხლის ბედნიერი წამი. მაგრამ შენ  
 უეცრად აქეთ გამომიწოდე მარჯვენა ხელი და მითხარი:

„რას მიბოძებ მე შენ?“

ო, როგორი მეფური ჟესტი იყო ეს!

ხელის გაშვერა მათხოვრისავენ დ მოწყალების თხოვნა მისგან მე დავიბენი!

და მე არ ვიცოდი, რა მექნა!

ჩემი ჩანთიდან გაუბედავად ამოვიღე პაწაწა მარცვალი და მორცხვად შეგთავაზე!

და რა დიდი იყო ჩემი გაოცება იმ საღამოს, როცა მე დავბერტყე ჩემი ჩანთა და იატაკზე ოქროს პაწაწა მარცვალი დაეცა.



არომატი კოკრიდან ღალადებს:

„ოი, გადის დღე, ბედნიერი დღე გაზაფხულისა. და მე ისევ პატიმარი ვარ გაუშლელი ფოთლებისა!“

„ლაჩარო, სულეერად არ დაეცე! შენი კვანძი გაიხსნება... კოკორი გაიშლება ყვავილებად... და როცა შენ სიცოცხლის სიჭარბისაგან კვდომას დაიწყებ, გაზაფხული იქნება ისევ!“ არომატი ვერ პოულობს გამოსავალს და კოკორში თრთის! „ოი, საათები გარბიან... და მე არ ვიცი, საით მივდივარ. არც ის ვიცი, რას დავეძებ მე!“

„ლაჩარო, ნუ გეშინია... გაზაფხულის ნიავმა შეისმინა შენი ღალადი... და დღე ისევ დაუმთავრებელი იქნება, როცა შენს დანიშნულებას შეასრულებ!“... არომატი ბურუსით არის მოცული და ისევ სასოწარკვეთილებით გოდებს:

„ოი, ვინ არის დამნაშავე, რომ ჩემს სიცოცხლეში აზრი არ არის!“

„მხდალო, ნუ გეშინია. ახლოა ნამდვილი განთიადი, როცა შენს სიცოცხლეს სამყაროს მთლიან სიცოცხლეს შეუერთებ... და მხოლოდ მაშინ გაიგებ შენს დანიშნულებას!“



ქალაქ მატხურის დიდ კედელთან მიწაზე ეშინა ბუდას მოწაფე უზაგურტას. ჩამქრალი იყო სანათურები. ჩაკეტილი იყო კარები.

აგვისტოს ცის ბურუსში დამალული იყო ყველა ვარსკვლავი.

ეს ვისი ფეხებია, ზანზალაკების ქლარუნით უცაბედად რომ შეეხო მის მკერდს?

შეშფოთებით გაელვია მას და უცნობი ქალის სანათურიდან მის მავედრებელ თვალებს შუქი დაეცა.

ეს იყო ძვირფასი სამკაულებით მორთული ახალგაზრდა მოცეკვავე ქალი, რომელსაც ცისფერი ლაბადა წამოესხა და რომელიც საკუთარი ღვინით დამთვრალიყო!

ქალმა დაბლა დასწია სანათური, დაინახა ახალგაზრდა, რომელსაც გასაოცრად ლამაზი და მიმზიდველი სახე ჰქონდა.

„მაპატიეთ, ახალგაზრდა ასეეტო, — მიმართა ქალმა, — კეთილ ინებეთ და ჩემს სახლში შემოდით. მტკრიანი მიწა სარეცელად არ გამოგადგება!“

ასეეტმა უპასუხა: „იარე შენი გზით. როცა დრო მოვა, მე თვითონ მოვალ შენთან!“

უეცრად გაიელვა და შავმა ღამემ პირი დააღო.

აზუსუნდა ქარიშხალი და ქალიც აცახცახდა შიშისაგან.

გზისპირა ხეების ტოტები ყვავილითა სიმძიმისაგან იხრებოდნენ. გაზაფხულის თბილი სუნთქვით შორიდან მოფრინავდნენ ფლეიტის სამხიარულო ხმები... ქალაქის მცხოვრებლები ტყისაკენ ეშურებოდნენ ყვავილითა დღესასწაულზე დასასწრებლად.

საესე მოვარე ცის სიღრმიდან დასცქეროდა ქალაქის ჩრდილებს. დაცარიელებულ ქუჩაზე მარტოდმარტო მიდიოდა ახალგაზრდა ასკეტი. უძილობით ვაბეზრებული კოელის ყვავილები შანგოვის ხეებიდან გზავნიდნენ საჩივრებს...

უბაგურტა განშორდა ქალაქის კარებს და ნორჩი ხეების ამონაყართან გაჩერდა.

ნეტავ, ვინ არის ეს ქალაქიდან გაძევებული ქალი, კედლის ჩრდილში რომ განრთხულა, საშინელი სენის ნიშნებით ტანდაფარული? ასკეტი ჩამოჯდა მის გვერდით. მუხლებზე დაიდო ქალის თავი, ტუჩები წყლით გაუსველა და ტანზე ნელსაცხებელი წაუსვა.

„ვინა ხარ შენ, გულმოწყალე ადამიანო?“ — ჰკითხა ქალმა.

„დადგა დრო შენი ნახვისა... და, აი, მოვედი კიდევ!“

მიუგო ახალგაზრდა ასკეტმა.

თარგმანი ლავრენტი ძიძიოზურისა

# ლექსები



შესრულდა 50 წელი უზბეკური ლიტერატურის კლასიკოსის მუხამედ მუხამედის გარდაცვალებიდან.

მუხამედი დაიბადა 1851 წ. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლები შუა აზიისა და, კერძოდ, უზბეკი ხალხის ისტორიის მეტად მძიმე ხანას დაემთხვა. მუხამედი თვითონ განიცადა თავისი ხალხის მწარე ხვედრი, ემიგრატის ტირანი, და თვითმპყრობელობის დესპოტიზმი. მუხამედის შემოქმედება უზბეკი ხალხის მატანის ერთი ფურცელია. მუხამედი იყო ჩაგრული ხალხის დიდი მოსარჩლე, ხანების, ბაების, ეპურებისა და შევახშეების დაუძინებელი მტერი.

მუხამედი გარდაიცვალა 1903 წელს. იგი ვერ მოესწრო თავისი ხალხის განთავისუფლებას ემიგრატისა და თვითმპყრობელობის მძიმე უღლისაგან, ვერ ნახა წელში გამართული უზბეკი ხალხი.

მუხამედი სახალხო პოეტია. უზბეკმა ხალხმა შეიყვარა და დააფასა თავისი დიდი მგოსანი.

ამ დღეებში უზბეკმა ხალხმა საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად ზეიმით აღნიშნა დიდი პოეტისა და მოქალაქის მუხამედ მუხამედის გარდაცვალების 50 წლისთავი.

## 1

მთვარე ხარ, მაგრამ თვით ბადრი  
მთვარე  
შენს გვერდით ნაბავს დარცხვენილ  
თვალებს.  
მინდა შენს ფერხითი განვეერთხო  
ბარემ...  
ვაიმე, მაგ ფეხთა როცკა მომაგონდა!

შენი ტრფიალი არ მქონდა განა,  
შენი აღერსი დამქონდა თანა.  
საცაა გულზე დავიცე დანა.  
კვლავ ჩემი ქეჯნილი ბედი მომაგონდა...

აპრილმა მოლით მოჩითა ველი,  
ველზე ქანაობს ნიავე ნელი.  
ვიგრძენ თუ არა მინდვრის სურნელი,  
შენი დალალების ფშვენა მომაგონდა!

ღვინოს რომ ვსევამდი კათხით და ჯამით,  
წამით შლეგს ვგავდი, ბრქენს ვგავდი  
წამით.

გულს განმეწონა ისარი და მით  
შენი წამწამები ისევ მომაგონდა!

არ შეგებუე უდაბნოს დუდილს,  
მალჩობდა ხეატი, მბულავდა ბული  
და მაშინ — შენთვის ეს რამედ თუ  
ღირს —  
მე შენი თვალწარბის ჩერო მომაგონდა!

## 2

მე დამიტოვე გულში ნაღველი,  
არც მოიხედე, ისე წახველი.  
გულში დამეცი შეტარა დანა,  
ნომკალ, სიცოცხლე წაიღე თანა.  
დღეს თანამიგრძნობს ყვილა მნახველი.  
შენ კი დამტოვე, შენ კი წახველი.

3

ჩემს წამებაში დაიღე წილი,  
სხვა წამიქნე, დამწამე ცილი.  
თავს დამდგომია მტერი მსახერელი,  
სირცხვილი შენი, შენ კი წახველი!

ხომ ხედავ, უნდა წავაგო ომი,  
ხომ ხედავ, უნდა წავიქცე ლომი.

ხომ ხედავ, მბუგავს ცეცხლი  
მდაგველი.  
რა დროს დამაგდე, რა დროს წახველი!

ამას არ იზამს თვითონ ჯალათიც.  
რა არის აბა, თუ არ ღალატი, —

შემაბი ბედი შანთით მდაღველი.  
როგორ მიხსნიდი, როგორ წახველი!

მე არ დამადგა ქვეყნადამცველი,  
ასე ამოდ როგორ დავშვერი!

მე ბედმა მძიმე ტვირთებით მტვირთა.  
ბრაოლი სულისა ამივსო მტვრითა.

ვერ გავასწარი ჩემს იღბალს გაღმა,  
ვერ დავაბრუნე დოლაბი წალმა.

ვერ მოვიშორე მძიმე ვარამი,  
ვერ გავითენე ღამე წყვარამი.

გზაზე ვდგავარ და ვთხოულობ შეველას.

— მიშველეთ!

— ნუთუ დამუნჯდა ყველა?

4

ლანდს დავემგვანე, დამელია ხორცი და ფერი,  
დავკარგე გულის მეგობარი — შემომრჩა მტერი —  
მასზე ვმღეროდი მე სიმღერებს, კვლავ მასზე ვმღერი.  
მეც დავუძღურდი, მეც დამიდგა განკითხვის ჯერი,  
მეც სიკვდილს ველი, მივდივარ და ვინ მომიგონებს?

არ იბოვება ქვეყანაზე უცრემლო შვება,  
ცდება უეკლოდ ვარდს ვინც ეძებს, ამოდ შერება.  
რა გვენადლევა ჩვენს მაგივრად თუ ვინმე კვდება,  
თუ ჩვენი პური მისი გულის თონეში ცხება,  
რა მეშველება? ასეთ ხალხში ვინ მომიგონებს!

სატრფოს ძებნაში მიმეწურა ყამი და ხანი,  
(ჰაი დედასა, დავუძღურდი, არ შემწვევს ჯანი)  
მის სასახლეში გლეხი გმინავს, ნებიერობს ხანი.  
ვის მივაწვდინო ჩემი კვნესა და ჩემი ხმანი?  
იქ მდიდრებია, მდიდრებში კი ვინ მომიგონებს!

მიჯნურმა ჩემმა მე დამათრო, შემასვა ბანგი,  
ტრფილმა მისმა გადარია ეგ ჩემი ჩანგი.  
ვინც არ ტანჯულა, მას არ ესმის მუკიმის ჰანგი,  
ის შეეცდება ჩემს სტრიჭონებს უნახოს მანკი,  
მაგრამ ჩაგრული მე გამიგებს და მომიგონებს!

5

მე დავსნეულდი, წამალი კი არა აქვს არვის,  
მე მოვითენთე, პირზე ფერი დამედო ჭარვის.  
კვლავ დადგა ყამი ხელმოცარვის და გულის ზარვის,  
არვის არა აქვს ჩემი თავი და ასე ვარ. ვის,  
ვის, ვის შეეჩივლო ჩემი გულის დარდი. ვაიმე!



სულო ბოროტო, რად დამადე ზუნდი და ბანდი?  
 მაზრუნე ფულზე, სულზე ზრუნვის არ მომეც დარდი.  
 ვნებებს მამონე, მასვი მისი მაცდური ყანდი.  
 რად მომალორე, რად დამიგე, წყევულო, ფანდი?  
 როგორ გაეთავდი! როგორ ფუქად დაეშვერ, ვაიმე!



მდიდარი მუდამ ვერ იცხოვრებს, დატოვებს ქისებს  
 და სხეები შემდეგ მასზე სიტყვებს იტყვიან მქისებს.  
 ცდება და ცდება, ვინც ამ ქვეყნად ჯიბეებს ივსებს,  
 ვინც ტანჯულ ხალხზე დარდს და ფიქრებს გულზე არ ისევს.  
 ძალი იყო და ჩაძაღლდაო! — ვიტყვიო, ვაიმე!

რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო,  
 კაცი ვერ ვნახე, მარტომ მუდამ როგორ ვიარო!  
 ვიმგლოვიარო, უნდა შენზე ვიმგლოვიარო,  
 დაბნელდა ჩემი სრა-სასახლე, სულის ზიარო.  
 ნადიმი ჩემი ნამდვილ ნადიმს არ გავს, ვაიმე!

უკვე დავბერდი, მოშერია უკვე ქალარა,  
 ეამი დამდგარა სასიკვდილო დაპკრან ნალარა.  
 მისმა შიშმა და სინანულმა გული დაღარა.  
 ზარი ჩამოკრეს, უღმობელმა ბედმა მახარა:  
 — მოამზადეო ქარავანი შენი! — ვაიმე!

## 6. მზნამრის წერილები

ვაიმე, ბედმა მეც შემაჩვენა,  
 მას არ სურს ქვეყნად ჩემი დარჩენა.  
 ამ ქვეყანაზე ვინმე მაჩვენა,  
 არ იწყევლიდეს თავის გაჩენას.

ვერ შევეწყვე და დავთმე ქალაქი,  
 სიღარიბის და ჩაგვრის ალაგი.

წინ მიდევს გზები ცივი და ცხელი,  
 უნდა ვიარო ფეხით და ცხენით.  
 აურაცხელი ფიქრები მსდევდა,  
 დარდები მლევდა აურაცხელი.



ჩვენ ქარავანი ჩენი დაეძარით,  
 გზა იყო ცუდი, გულის საზარი.  
 სოფელ ულთარმას რომ მივატანეთ.  
 შემოგვეგება ქრელი ბაზარი.

უცნაურ ბრბოზე დაგვრჩა თვალები.  
 მოგროვილიყენენ ქვეყნის ქალები.  
 ვილაყ ყბედ „წმინდანს“ შემოხვეოდნენ  
 და მას უგდებდნენ ყურს მოკრძალებით.

მამასახლისი ვიკითხე მათი,  
თურმე ჰქონია წისქვილი ათი.  
მთელი სოფლისთვის ამ ერთ ბოზოლას,  
ამ ისა-პაჯის დაედო თათი.

ეს იბღინებდა და ტლინკებს ისვრის,  
კანონი არის სურვილი მისი.  
ამ მექთაზორამ, თაღლითმა კაცმა  
ლამის დალიოს გლეხების სისხლი.



ღურმანჩა იყო შემდეგი თემი.  
მაგრამ იკითხეთ წამება ჩემი —  
ვერ მოვისვენე ქურდების შიშით,  
ლამე ვათიე ტანჯვით და გვემით.

უადი ჰყავთ მეტად გამოქეჩილი,  
მოსამართლეა ის და ვეჭილიც.  
ერთხელ თუ მასთან საქმე მოგეცა,  
არ დაგვირდება შემდეგ ექიმი.

აქაც იგივე ნანატრი ბედი,  
აქაც ქაქანებს „წმინდანი“ ყბედი.  
მთვრალია, მაგრამ ხალხი უჯერის,  
წმინდანობასაც რა უნდა მეტი!

გამასპინძლება აქ არ იციან,  
სტუმარი თუ ხარ, კარში გისვრიან.  
მამასახლისმა ჯოხით გაგვრეკა,  
მერე ძაღლები გამოგვისია.



აიბანშიაც მომიზნა გავლა,  
მთელი სოფელი მოგავდა თავლას.  
აქ ბავშვობიდან ეტანებთან  
სიბილწისა და გინების სწავლას.

ჰა ბეშ-არიციც! რად გინდა ნეტა!  
უსამართლობა აქ სუფევს მეტად.

აქ შიმშილისგან სულს დათავს გლეხი,  
ეწყოზა მათი რბევა და ქლუტა.

რაყფონი მიქეს ერთი სოფელი,  
ბალებს ვამჩნევდი ირგვლივ  
მოფენილს.

მაგრამ რად გინდა, ამ სოფელშიაც  
კაცი ვერ ვნახე მშვიდად მყოფელი.

აქ საწყალ გლეხებს სულს აძრობს ბაი,  
დარღმა თრიაქით შეცვალა ჩაი.  
ლატაკი ხალხით სავსეა იგი  
და ქერავ-ოხრების უი და ვაით.

ვერ შესვა ჩაი, ბევრიც ინებო.  
(ვერ იტყვი, იღბალს არ ვიგინებო!)  
მთელ ღამეს ყუფდა მასპინძლის ძაღლი,  
მიღრენდა: აღარ დაგაძინებო!

თეთრად ვათიე ის ღამე შავი.  
ეს რა ხიფათი შემემთხვა ავი.  
თურმე ახლოა ქანიბადამი.  
არა მაქვს ქანიბადამის თავი!



ყოყანდა ჩემთვის დილეგს მოგავდა  
და მეც დაეტოვე ჩემი ყოყანდა.



იაქა-თუთს ვნახე ბევრი ახალი.  
აქაც დგას ერთი აყალ-მაყალი.  
დამპალ ყველს ჰყიდის აქ შეილის ფასად  
იაქა-თუთელი ერთი ბაყალი.

აქ ძარცვა-გლეჯას არ უჩანს ბოლო,  
მკვლელობა ხდება აქ ღამით, ხოლო  
დღისით ქეიფი და ღრეობაა  
და ტირიფები ტირიან მხოლოდ...

თარგმანი უზბეურიდან მახალი თოღუანის

## ფ ა უ ს ტ ი

ბრაგედია \*



ვ ა გ ნ ე რ ი

ო, დიდო კაცო, რა დიდ გრძნობას განიცდი ალბათ,  
როდესაც ხალხის დიდ სიყვარულს შენდამი ხედავ!  
რა ბედნიერი, უნდა იყოს, ვინც ძვის და ხვეტავს  
ასეთ სარგებელს მიმადლებულ ნიჭისგან ხარბად!  
მაძებნი შეხზე უთითებებს თავიანთ შეილებს,  
ყველა მოელის შენს ბრძნულ პასუხს და შენთან მოდის.  
დუმს ვიოლინო. შეწყდა ცეკვა, თამაში, შფოთიცი,  
შენს გამოვლაზე სწორდებიან, იკრავენ ლილებს,  
ცაში მიფრინავს შესროლილი ჭუდები მათი,  
ლამის მუხლებიც მოიყარონ ლოცვით და ხობტით  
თითქოს იხილეს სასწაულის მოქმედი ხატი!

ფ ა უ ს ტ ი

გამოაბიჯე. რა ახლოა, ხედავ იმ ბორცვებს!  
იქ დავისვენოთ. ხშირად ვიკექ ფიქრში გართული  
აი, იმ ლოდზე დაღლილი და გადაქანებული,  
როს მოერჩებოდი მარხულობას, მხურვალე ლოცვებს.  
კვლავ მაგონდება ოხერიტ, ცრემლით განვლოლი დღენი,  
იმედით სავსე და ურყევი რწმენით ღტოლვით  
როს ვევედროდი ზეცის შემქმნელს ხელაპყრობილი,  
რათა მოესპო შავი კიარის სასტიკი სენი.  
ახლა დაციწვად მეჩვენება ხალხის მადლობა,  
რადგან ყველაზე უკეთ ვიცი შეცდომა მისი.  
ნეტავ შემეძლოს გულში ნაწერ ფიქრის განდობა,  
მამა და შეილიც ასეთ ჯილდოს რომ არ ეართ ღირსი!  
მამა კეთილი, უცნაური კაცი რამ იყო.  
ამ დიდ ბუნებას, მის ლეთაებრივ წრე-სფეროს იგი  
სწავლობდა უცხო, თუმც უცოდველ წესით და რიგით.  
და მეც თავისი შეშენების კარი გამიღო.  
ალქიმოქოსთა — აღებტების წრეში ნავალი  
ის ბნელ სამზადში აზავებდა ათასგვარ წამლებს.

აქ იყო მრავლად ლითონები, ხსნარში ნაბანი:  
 „წითელი ლომი“ ანუ ოქრო, კაცს რომ ჭრის თვალებს,  
 „შროშანი“ — ვერცხლი მოვლევარე, თბილ წყლით ნასტურბი,  
 გმირ „სასიძოსთან“ — სიმევესთან შეუღლებული,  
 ცეცხლში ნატარი, ჭურჭელიდან ჭურჭელს ჩასხმული,  
 ორნივე წვალებით გამოხდილი და მიღებული,  
 აქ „ახალგაზრდა დედოფალიც“ ჰგავდა მინაში  
 შეიდურად ელვარე ცისარტყელას, ცამ რომ გვარგუნა,  
 ვინც იგი შესვა, უმალ მოკვდა, ჩაწვა მიწაში.  
 არვინ იკითხა: იმ წამალმა ვინღა განკურნა?  
 აი, ჩვენ ასეთ ჯოჯოხეთურ საკაზმით, შხამით  
 ვანადგურებდით ამ მთას და ბარს დღითა და ღამით  
 უფრო ძლიერად, ვიდრე ჭირი... მე თვით ვაგემე  
 ათიათასებს იგი შხამი გასაოცარი.  
 ისინი მოკვდნენ, მე კი ისევ დავრჩი ცოცხალი,  
 რათა ვისმინო, უნდო მკვლელებს როგორ აქებენ.

### ვაგნერი

თქვენ ამის გამო ნუ იღარდებთ. არ გიძლით ცოდვა!  
 ნამდვილი კაცი დასაგმობი გახდება განა,  
 თუ მოიხმარა პატიოსნად, კეთილად თანაც  
 მემკვიდრეობით მიღებული სწავლა და ცოდნა?  
 ქაბუკი მამას პატივსა სცემს, არას უძრახავს,  
 იგი ითვისებს იმის ცოდნას, ხოლო როდესაც  
 დავაყვაცდება. წინ წევს ცოდნას და შეილს უსახავს  
 უფრო დიდ მიზანს, რათა სჯობდეს შვილი მშობელსა.

### ფაუსტი

ვინც იმედოვნებს, გადალახოს ეგ ზღვა შეცდომა,  
 ბედნიერია. ჩვენ იმ ცოდნას ვეტანებოდით,  
 რაც არ ვიცოდით, ცნობილი კი ჰგავდა ლენცოფას  
 და არ ვიცოდით რად გვეხმარა. ასე ვრჩებოდით.  
 მაგრამ ვიყუჩოთ, ნულარ ეშხამავთ ამოოხებით  
 ამ ნეტარ წუთებს. გაიხედე, როგორ ელვარებს  
 დაისის ცხოველ მზის სხივებით ტკბილად მთვლეშარე,  
 მწვანე ველებში გაყუჩული მშვიდი ქოხები!  
 მზე ჩაესვენა, დღეც გათავდა განათებული,  
 ახალ ცხოვრების მისატანად უცხო მხარეში.  
 რად არ მაქვს ფრთები გამოსხმული, დანატრებული  
 რომ დავედევნო მზეს, სინათლეს, ფრენით ნაგეში.  
 მყის ვიხილავდი დაისობის მარადჟამ კრთომას,  
 ჩემ ქვეშ გადაშლილ მშვიდ ქვეყანას, შექმოსილ ქედებს,  
 ველებს, ვერცხლისფერ მდინარეთა დინებას, შრომას,  
 ოქროსფერ ზღვაში შეცურებას, ჭეშმარიტ ედემს!



ველური მთები ქაჩაფებით და ნაპრაღითა  
 ვერ შეზღუდავდნენ ალტაცებულ ღვთაებრივ ფრენას.  
 გადმულეზოდნენ შემკრთალ თვალებს გასაჩუღლ ფენად  
 ზღვა და ზღვის ყურე მოლილევივე, თბილი წყალითა.  
 მზეს—ღმერთქალს კიდევ რომ ნდომოდა ბრწყინვის დამალვა,  
 მისკენ ვიფრენდი მეტ ხალისით, რათა შემესვა  
 მარადიული მისი შუქი, სხივთა ამაღა,  
 წინ დღე მქონოდა, უკან ღამე და არ მეკენესა.  
 ცა იქნებოდა მაღლა, ქვევით — ზღვათა ტალღები.  
 ეგ სიზმარია გარდასული, აუხდენელი  
 და სულიერი ფრთებისაგან გაუხედნელი  
 ზორციელ ფრთებით კვლავ დაელოდავთ და ვითაღებით.  
 მაგრამ ჩვენ მაინც არ გვასვენებს თანდაყოლილი  
 მაღლა გაფრენის, აღმასწრაფვის გრძნობა სვიანი,  
 როს ცის ლაქვარდში იკარგება მზისკენ ღრუღილი  
 ტოროლას ლაღი, საამური სტვენა-წყრილი,  
 როცა ფიჭვიან ფრიალო მთას მზიან ზაფხულით  
 დასტრიალებენ არწივები და ფრთებს არწევენ,  
 ანდა ფართო ზღვის, მინდვრის ზემოთ, ზეცას გაკრული  
 სამშობლოსაკენ წეროები წყებად გასწევენ.

### ვაგნერი

უცხო სურვილთა წუთი ბევრჯერ მეც გამოვლია,  
 მაგრამ მასეთი მისწრაფება არ განმიცდია.  
 ვიყავ ველების, ტყის მშვენებით ალტაცებული,  
 მაგრამ არასდროს მინატრია ფრინველთა ფრთები.  
 სულიერ შვებად მიმაჩნია წიგნების მთები,  
 როს წიგნებს ვფურცლავ, კითხვით დნობა წიგნთა კრებულნი.  
 ასეთ დროს ზამთრის თბილი ღამეც საამურია.  
 მშვიდი ცხოვრება ათბობს სახსრებს და თუ ხელთა გაქვს  
 ჰვილი ეტრადი და გრავანილი, შენ რომ გწყურია,  
 მაშინ ცა დაბლა დაეშვება შენთვის, გეთაყვა!

### ფაუსტი

შენ მხოლოდ ერთი მისწრაფება აგირჩევია.  
 ღე გქონდეს იგი, და ნუ გინდა სხვა რამ გაიგო.  
 ჩემში კი ცხოვრობს ორი სული, ორნივე ჩემია.  
 ერთი მეორეს ედაეება, უნდა გაიყოს.  
 ერთს სურს, რომ დატყბეს ამ ცხოვრების ტლანქ ნეტარებით.  
 მეორე ღამობს მოსწყდეს თვის გვამს დახშულ კარებით,  
 ცისკენ გაფრინდეს, ეზიაროს პირველქმნილ წყაროს.  
 ცა-მიწას შორის თუ დაქრიან სულთა ჯარები,  
 დე ეთერიდან გადმოხედონ ჩემს ტანჯვის კალოს  
 და აღმავლინონ მრავალფერი, დაუზარები

ახალ ცხოვრების მშვენიერებისკენ და შემოწყალონ.  
 ო, ჯადოსნური მოსასხამი რად არ მარტყია,  
 რომ შემომეწოდო თავისუფლად ჭკეყანა მთელი.  
 ვერ მომზიბლავდა სხვა სამოსი და ოქროს მთებიც,  
 თუნდაც ეჩუქათ თვალისმკრელი შეფის მანტია!



### ვ ა გ ნ ე რ ი

ო, ნუ მოუხმობთ ნურასოდეს, მზისგან ალტაცვით  
 ჰაერითა შინა მქროლავ სულთა ბობოქარ ძალებს!  
 მათ დედამიწის ყოველ კუთხით მოაქვთ კაცთათვის  
 აურაცხელი მავნებლობა და ეტირით მწარედ.  
 ქარი აშარი, უხილავი ბასრი ეშვებით  
 ჩრდილოთგან გვერტეს ცივი, უნდო გალესილ ენით.  
 აღმოსავლეთით ქრის ხორშაკი დაუგეშელი  
 და გვხუთავს ხეატით, რომ გამოხრას ფილტვები ჩვენი.  
 როს შეადლისას მოქრის სამხრით უდაბნოს ქარი,  
 მყის გეცემს კეფაში მწველი ურო პაპანაქების.  
 და თუ დასავლით საწვიმარი დგას ღრუბელთ ჯარი,  
 წაილეკება მინდორ-ველი, ყანა ნაქები.  
 სულთა ჯარები, ჯერეთ თითქო კაცთა მორჩილნი,  
 მერმე გვეგსლავენ, გვალატობენ მარად ურჩულნი,  
 ჩვენ კი გვეგონია ცის შიკრიენი, მადლით მოსილნი,  
 მათი ტყუილი, — ანგელოზთა ტყბილი ჩურჩული,  
 მაგრამ წავიდეთ. უკვე ჩადგა სოფელში ბინდი.  
 თანაც აცივდა. თეთრი ნისლი იშლება, მიდის.  
 საკუთარ სახლ-კარს საღამო ეამს აფასებს ყველა.  
 რად დგახართ აქა? გაოცებით რას უმზერთ ველად?  
 რა იპყრობს ასე იმ წყვედიადში თქვენს ყურადღებას?

### ფ ა უ ს ტ ი

ხედავ იმ შავ ძალს, ყანაში რომ დარბის, არ დგება?

### ვ ა გ ნ ე რ ი

ვხედავ. მერმე რა? ქოფაკების თანატოლია.

### ფ ა უ ს ტ ი

კარგად უცქირე. ვგ ცხოველი შენ ვინ გვგონია?

### ვ ა გ ნ ე რ ი

ჩვეულებრივი რამ ცხოველი: პუღელი — ძალი,  
 რომელიც დარბის და პატრონის ნაკვალევს ეძებს.



## ფ ა უ ს ტ ი

ამჩნევ, წრეების შემოვლება სრულიად არ ღლის  
გვიახლოვდება. ცოფიანი ძალღია ეგებ!  
მე თუ არ ვცდები, თვის კლანჭებით ქვიშასაც ხევტავს  
და მის ნაკვალევს სცივია გუნდად ნაპერწყალები!

## ვ ა გ ნ ე რ ი

შავი ქოფაკის გარდა მე იქ ვერაფერს ვხედავ.  
ვფიქრობ, ნამდვილად გლალატობენ თქვენი თვალები!

## ფ ა უ ს ტ ი

მე მეჩვენება, ის ჯადოსნურ კვლავ წრეებს გვაველებს,  
რომ გაგვითოკოს მარყუქებით ფეხები უცებ.

## ვ ა გ ნ ე რ ი

გაუბედავად ხტის ჩვენს ირგვლივ, გვარიდებს თვალებს,  
რადგან პატრონის ნაცვლად ხედავს ახლა ორ უცნობს.

## ფ ა უ ს ტ ი

წრე ვიწროვდება. სულ ახლოა. რა ნიშანს მაჩრის?

## ვ ა გ ნ ე რ ი

მე მაინც ვამბობ, რომ ძალღს ხედავთ და არა აჩრდიღს.  
წმუტუნებს. ხედავთ: ეშინია, მუცელზე წვება,  
თან კუღსაც იქნევს. ძალღური აქვს ძალღს ყველა ჩვევა.

## ფ ა უ ს ტ ი

აქ მოღი, გესმის! ჩვეთან მოღი, ჩვენთან იარე!

## ვ ა გ ნ ე რ ი

მეტად თვალთმაქცი ცხოვეღია ეგ სატიღლე.  
თუ მშვიღად დგახარ, ესეც მშვიღად დაგიცღის ისეც.  
თუ ხმა გაეცი, ესეც შენთან მოიღბენს მყისეც.  
დაეკარგავთ რასმეს? მოგვიქმბენის, აღარ დაღგება.  
ჯოღს ვისვრით წყაღში? იგი წყაღშიც გადავარღება.

## ფ ა უ ს ტ ი

შენ მართაღი ხარ. გრძნეულ ცხოვეღს სრულიად არ ჰგავს.  
ეგ უბრაღია, მხოღოდ არის გაწვრთნიღი კარგად.

## ვაგნერი



კარგად აღზრდილი ძალღი ბრძენსაც მოეწონება  
და რადგან ესეც აღზრდილია, იჩენს გონებას, —  
თქვენს წყალობასაც იმსახურებს და მოგწონთ ძლიერ.  
ეგ მშვენიერად გაწვრთნილია სტუდენტთა მიერ.

(მედთან ქალაქის კინოარში)

## ფაუსტის სამუშაო ოთახი

(ფაუსტი პუდელით შემოდის)

## ფაუსტი

გარემოცული ღამის წყვილიადით  
მინდორ-ველები დაეტოვე მყისვე  
და წინათგარძნობა რაღაც დიადი  
და უხილავი შიში გულს მივსებს.  
დამიცხრა შმაგი ღტოლვა და  
ზრახვა,  
მოუსვენრობა, ღელვა ზღვაური  
და კვლავ იღვიძებს ჩემს გულში ახლა  
ღეთის, მოძმისადმი ღრმა სიყვარული.  
ჩუმაღ, პუდელი! რას წანწალებ ეგერ  
დამფრთხალი!  
რას ყნოსავ ზღურბლზე, ცუდი რამე  
ხომ არ გიგარძენია?  
დაწექ ღუმელთან და ბუმბულით  
საესე ახალი  
აგერ, ბალიშიც ქვეშ დაიგე, შენოვის  
მიძღენია.

დადექ, პუდელი! ნუ წკმუტუნებ, დაღლილ დღისით!  
იმ ღეთებრივ ხმებს, გულს რომ მივსებს, არ ეგუება  
შენი ხმა, ყეფა, ცხოველური შენი ბუნება.  
ცნობილი არის, რომ დასკინის ხალხი მას, რისიც  
არ შეუძლია შემეცნება, მისი გაგება.  
ხალხს უყვარს დიდის, მშვენიერის გმობა, ძაგება,  
რადგან ვერ ხედავს ბიწიერზე, გონჯზე უკეთესს,  
მაგრამ მას განა ძალღი უნდა ჰგმობდეს, უყეფდეს?  
ვაგლახ, ვგარძნობ ახლა, რომ სიმშვიდე—თვის კეთილ ნებით—  
ჩვენს სულს ვერ ავსებს და ამიტომ ნელინელ ვდნებით.  
რად შრება ნეტავ ასე მალე სულის ეგ წყარო,  
მოწყურებულნი აქ სანამდე უნდა ვეყაროთ?!

სტომა-თამაშით მთიან გზაში დიდხანს  
გვართობდი,  
რითაც ჩემს თვალებს იზიდავდი  
ანდამანტივით.  
უბრალო ძალღი რომ არ იყავ, კარგად  
გატყობდი,  
მიტომ სასურველ და მშვიდ სტუმარ  
მსურს გეცე პატივი.  
როდესაც ვიწრო და ბნელ საკანში  
აღვიანთებთ ნანატრ ღამპარს და  
სანთელს, —  
ნათელი ხდება ფიქრთა საგანი  
და გულიც ნათლად ამბობს თვის  
სათქმელს.  
გონების ძალა ისევე მაგულვებს,  
გულში იმედი ჰყვავის ისევე,  
ცხოვრების წყაროს და ნაკადულებს  
ვეტრფი, ვესწრაფი და ვერ ვისვენებ.





თუმცაღა ასეთ კირის შემდეგ ხალხს მოწყურდება,  
რომ მეტად ჩაწედეს ზებუნებრივს, ციურ ხატებას  
და თან იხილოს ღვთაებრივი გამოცხადება,  
ახალ აღთქმაში კეშმარიტად რომ ცნაურდება.  
ამდენი სიბრძნე ახალ აღთქმის ტექსტში ვინ დააჩოვო?  
ო, მოკრძალებით, სასოებით გავბედო მინდა,  
რომ სასუქვარი, ღვთაებრივი დედანი წმინდა  
ჩემს უსაყვარლეს, ტბილ გერმანულ ენაზე ვთარგმნო.  
(გაღმლის ერთ-ერთ ფოლიანტს და მას მიუჯდება)

დაწერილია: პირველითგან იყო სიტყვა, —  
ნუ აქ ვერდები, ვინ მიშველის ავსნა ეს კითხვა?  
როგორ შევიცნო, „სიტყვას“ ტექსტში რა აზრი ახლავს?  
იგი სხვანაირ გაღათარგმნას მოითხოვს ახლა.  
კეუა თუ სწორად მინათებდა, ჩამწედენი, ბასრი,  
უნდა ითარგმნოს: პირველითგან რომ იყო აზრი.  
იმ პირველ სტრიქონს ჩაუფიქრდი, აზრი გაღანდე  
და ნუ აჩქარებ მეტისმეტად კალამს ქალაღღზე!  
არის შემქმნელი ყოველივეს აქ აზრი განა?

თუ სჯობს, დავწეროთ: პირველითგან რომ იყო ძალა!  
თუმც ამას რომ ვწერ, შეეკვებაც ჩემი იწყება,  
გვრძნობ, ამ საბუთზე შეჩერება არ შეიძლება.  
მაგრამ გონება აქაც მშველის, მიტომაც ვაქებ  
და ვამბობ მშვიდად: პირველითგან რომ იყო საქმე.

თუ გსურს, პუდელო, ჩემს ოთახში ყოფნა ამაღამ,  
მოსპე ყმელი, ყეფა ხმამაღლა!

არ მსურს შენებრი მეზობელი მყვანდეს, განაღა  
მშვიდი, კეთილი, ყურთასმენას რომ არ გაღახავს.  
რომ არ გათენდეს ჩემთვის ავი დღე,

ჩვენთაგან ერთი უნდა წავიდეს!

სტუმართმოყვარედ თუმც მიხმობენ, მხედებიან ტაშით, —  
კარი ღიაა, შეგიძლია გახვიდე კარში.

მაგრამ რას ხედავს ჩემი თვალები,

შეშინებული ფერისცვალებით?

ეს ჩენებაა საშინელი, თუ სინამდვილე?

ჩემი პუდელი იბერება, მეტად მაკვირვებს..

იგი ფუედება და იწევს მაღლა.

არა, აქ ძალი არა დგას ახლა...

შინ რა ქმნილება მოვიყვანე საკუთარ ხელით —

ჰიპოპოტამი — ზღვა, ნილოსის, მდინარის ცხენი,

საზარ თვალების ცეცხლის რისხვით, უშნო ეშვებით!

ვიცი, ვინცა ხარ, რად არ მეშვები?

ამ ჯოჯოხეთურ ქმნილთა მიმართ, და მათ ფანდებთან  
ჩვენ სოლომონის გასაღები გამოგვადგება.



## სულაბი

(კარებთან მიჯარულნი)

ერთი შიგ ტყვედ ჩავარდა.  
 ნურვინ შეხვალთ ძალადა.  
 ჯოჯოხეთის ბებერ მგელს  
 მახე იქერს, როგორც მელს.  
 მალე, ფრთები აისხით!  
 ძირს და მალლა იფრინეთ,

ირგვლივ შემოირბინეთ  
 და ისიც თავს დაიხსნის!  
 მიეშველეთ, მიჰხედეთ,  
 ზერხი რამე იხელეთ.  
 იგი თქვენთვის იღვწოდა,  
 ბევრს შრომობდა, იწოდა!

## ფ ა უ ს ტ ი

ვდი ამ ურჩხულზე, ახლა ძილის  
 წინ,

„ოთხთა“ შელოცვას შეკრულს  
 თილისმით:

ხალამანდრამ ცეცხლი ანთოს,  
 კვლავ უნდინამ წყლად იდინოს,  
 ხილფი ცაში განიფანტოს  
 და კობაღდმა შრომა, საქმე  
 გაიჩინოს!

ვინც ბეცია შეტისმეტად  
 და არ იცის ელემენტა,  
 სტიქიონთა თვისებანი,  
 მისი ღონე,  
 ანაბანი, —

სულეზზე ვერ იბატონებს!  
 ცეცხლად იქეც, მოგიზგიზე ალად მყისვე,  
 ხალამანდრა!

წყლად და ტალღად იქეც ისევ  
 შენ უნდინა!  
 განათე მეტეორად, არ უნდილად  
 ნაზო სილფო!

უნდა კერას, ეხელმწიფო, სახლის  
 კერას მიეც სიბოზო,  
 ინკუბუსო! ინკუბუსო! მოველინე  
 მონა-მორჩილთ

და მოსკერი, საქმეს მორჩი!  
 ამ ოთხთაგან მხეცის მკერდში  
 ვხედავ, არ ზის აწ არც ერთი.  
 ის მშვიდად წევს. კბილთა ღრკენით  
 ყალთაბანდობს.

ჩანს, შელოცვით ვერ შევბოჴე  
 სათანადოდ.

მაშ მოვასმენ ჭარაოცა  
 უფრო მწკავე რამ შელოცვას!  
 შენ, კეთილო, თუ ხარ სული  
 ჯოჯოხეთით გამოსული,  
 შეხედე ამ ჯვარის ნიშანს.  
 მის წინაშე ბნელნი ძალნი ქედსა ხრიან  
 ყალყზე დგება შენი თმები? შეგეშინდა  
 განა პირშავსი?

ო, ქმნილებაე საზიზღარო,  
 მას ვერასდროს მიეკარო!  
 ვერ სცნა მარად შეუქმნელი,  
 ქვეყნის მხსნელი, გულით ქველი,  
 სანეტაროდ ცად ასული,  
 ყაჩაღურად აქ ჯვარცმული!  
 ჩემს ღუმელთან ძალლი ფრთხილობს,  
 იბერება, როგორც სპილო,  
 სივრცეს ავსებს ტანიო თვისით,  
 სურს განიბნეს, როგორც ნისლი.  
 ჴერამდე არ აიზიდო!  
 დაწე. გიჯობს გაირინდო!  
 შემომხედე: გემუქრები განამწყურალი.  
 მე შენ დაგწვავ ღვთაებრივი ცეცხლის  
 ალით.

განერიდე, შენთვის მოთქვამს:  
 სამგზის დამწველ, სამ ჩემს სიტყვას.  
 განერიდე  
 უძლიერეს ჩემს შელოცვას, თქმას  
 გრძნეულსა!

## მეფისტოფელი

(ნისლი ღუმელთან ეშვება. იქიდან გამოდის მოხეტიალე სქოლასტიკოსის ტანისამოსში გამოწყობილი მეფისტოფელი)

რისთვის ხმაურობთ? რით გაამოთ კაცს ღირსეულსა?

## ფაუსტი

ვინ იყო თურმე ჩემს პუდელში? შარახვეტია  
სქოლასტიკოსი. მე შენ მაკინებ.

## მეფისტოფელი

სალამს გიძღვნიდეთ მეცნიერ კაცს, ჩემთვის ბედია!  
თუმც შემაშინეთ, სიმწრის ოფლი უხეად მადინეთ.

## ფაუსტი

რა გქვია შენა?

## მეფისტოფელი

უბადრუცი შეკითხვა არის  
იმ კაცის პირში, ვინც ლაყობას დასცინის ასე,  
ჭგმობს მოჩვენებითს, ვინაც სიბრძნის გაალო კარი,  
ყოველი არსი ღრმად შეიციწო, და სულს მით ავსებს.

## ფაუსტი

ჰო, მაგრამ ხშირად ძმათა თქვენთა სული, არსება  
მარტო სახელის მოსმენითაც გამომკლავნდება.  
და აქ ყოველთვის არსი სახელს შეეთავსება.  
რას გიწოდებენ: მწერთა მეფეს, მფრინავ, თავნება,  
ბოროტ. წამწყმედ სულს, უარმყოფელს და მატყუარას?  
კმარა, ამათში რომელი ხარ, მეტყევი თუ არა?

## მეფისტოფელი

მე ვარ ნაწილი იმ ძალისა, რომელსაც უნდა  
ბოროტის თესვა, მაგრამ სჩადის სიკეთეს მუდამ.

## ფაუსტი

როგორ გაეიგო ეს ქარაგმა? პასუხს მოველი.

## მეფისტოფელი

ვარ სული ყოვლის და ყველაფრის ჯარმყოფელი! მართალიცა ვარ, რადგან ქვეყნად რაც კი არსებობს, ელის სიკვდილი, დასასრული, კენობა, ასე რომ არ ყოფილიყო არსებული, სჯობდა სრულებით. ნგრევა, დაღუპვა, ცოდვა, ქირი, მავნე სულელები, მოკლედ, ის რაც თქვენ ბოროტება, ცუდი გგონიათ, — ჩემი ნამდვილი სტიქიონია.

## ფაუსტი

ნაწილი გქვია, მთელი სახით ჩემს წინ კი დგებარ.

## მეფისტოფელი

მაინც სიმართლე მოგახსენეთ, არ მიყვარს კვებნა. კაცი კი — მცირე რამ სამყარო, ბეცი, თილისმა თავს თვლის ყველაფრად. მე ვარ წილი იმ ნაწილისა, პირველითგანვე ყველაფერი რომ იყო ქვეყნად. ვარ წილი ბნელის, რომელმაც შვა შექი სხივისა, ლალი ნათელი, ბნელის დედას რომ ედაეება მსოფლიო სივრცის დაუფლებას. მაგრამ დაება სხეულთა პირზე, თუმცა ბევრი ხერხი იღონა და ვერ განმსკვალა სხეულები, როგორც ვიონა. ის სხეულისგან მოიფრქვევა, მშვენობს სხეულით, მაგრამ სხეული ეღობება შექ-სხივის ღტოლვას და როს სხეული დაიწეება, ეს ვამიც მოყა, მყისვე ნათელიც წარიშლება, წინათ ქებულდი.

## ფაუსტი

გავიგე შენი ღირსეული მოვალეობა! ღიდის დარღვევის შენ არ შეგწევს ხერხი, ხელობა, ამიტომ წერაღმანს ეტანები და აქებ ღამეს.

## მეფისტოფელი

მართალი არის, ვერ შეეძელი მე ბევრი რამე. რა არ შეეყარე დაკნინებულ, უხეშ და მღარე არარაობას — ამ ქვეყანას, ავბედი მწარე, მაინც ძალადობს, არ მნებდება, რომ დაეიშონო და მე არ ვიცი, აწ რა ხერხი უნდა ვიღონო! მიუხედავად მიწისძვრისა, ხანძრის, ქარიშხლის, ზღვა და ხმელეთი მშვიდად ყოფნას მაინც არ იშლის. ცხოველთ და კაცთა გამრავლების თუ იტყვი უნარს,

მის წინააღმდეგ ვერასოდეს ვერას გახდები!  
 თუმც ბევრი ეხოცე სალახანა, ის ლეთის გლახები,  
 ახალი სისხლი მათ ძარღვებში ისევე ჩქეფს, ბრუნავს,  
 რომ დაუკვირდე, შენ დაკარგავ გონებას უმაღ.  
 ჰაერი, წყალი, მასთან მიწა აჩენს უამრავ  
 ათას ჩანასახს მშრალ, სველ, თბილსა, ცივ ნიადაგში.  
 ამიტომ ჩემი სტიქიონი — ცეცხლი თუ არა,  
 უთუოდ მშრალზე დაერჩებოდი, ჳირის ქადაგი.

## ფ ა უ ს ტ ი

მარადეამ მოძრავ შემოქმედ ძალას  
 შენ ემუქრები ეშმაკის მუშტით.  
 მაგრამ ამოდ სიკეთეს კრძალავ  
 ბრანზორეული, ვერაგი, კუშტი.  
 სხვა რამე საქმეს მოჰკიდე ხელი,  
 შენ უცნაურო, შვილო ჳაოსის!

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მსურს შენთან სხვა დროს კამათი  
 მწველი,  
 თუ საამისო დადგა ტაროსი.  
 თუ შეიძლება გასვლა აქედან?

## ფ ა უ ს ტ ი

ამას რად მკითხავ, ვერ გამოვიგა?!  
 აწ ხომ გავიცანი ისევე მნახე და  
 მივიღებ, როგორც წესი, რიგია.  
 აი, სარკმელი და აი, კარი.  
 გამოიყენე ეგ საკვამურიც.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

აქ დაბრკოლება მცირედი არის,  
 კარში ვერ გავალ. ვარ აქ დაბმული.  
 თქვენ ზღურბლზე დრუდის ჰხატია  
 ფეხი.

## ფ ა უ ს ტ ი

რატომ სარკმლიდან არ გახტები, მიკვირს ძალიან!

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ნიშნით ეშმაკნი და აჩრდილნი დაბმულ არიან.  
 ისინი ერთ გზით შედიან შინ, და გამოდიან.  
 შინ თავისუფლად შემოედღეართ, მაგრამ მერმე ვხდებით  
 მოხები.

## ფ ა უ ს ტ ი

შენ პანტაგრამა გაშინებს განა,  
 ხუთქიმიანი ეგ ანაბანა?  
 მაშ ვით შემოხველ, როგორი ხერხით?  
 როგორ მოტყუვდა შენებრი სული?

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ეუღლად ჰხატია ნიშანი კრული,  
 კუთხის გვერდები გაშლია ნავსად,  
 ბინიდან კარში რომ იყურება.

## ფ ა უ ს ტ ი

ეგ რა შემთხვევა დაგატყდა თავსა!  
 აწ ჩემი ტყვე ხარ. დაჯემ ურეებად!  
 მე მივალწიე ახლა ჩემს მიზანს.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

გადახტომის დროს ვერ ამჩნევდა  
 პუღლო ნიშანს.  
 საქმე გართულდა და თავიდან  
 დასაწყობია.  
 ეშმაკისათვის გასასვლელი ხსნილი  
 როდია.

## ფ ა უ ს ტ ი

მაშასადამე, ჯოჯოხეთშიც სკრის კანონები?  
ნომწონს ძალიან, თქვენთა ძმათა — მაენე ეშმათა  
თუეი შებოჰვა შეიძლება ხელშეკრულებით.

საქართველო  
ბიბლიოთეკა

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მე შევესრულებ შეპირებულ საქმეს სრულიად.  
არ შეუძლიათ გატურება თქვენი ეშმათათა,  
მაგრამ საქმესაც დრო სჭირია, და მოგვარდება.  
მე ისევ მოვალ ამა ქვეყნად, ხშირად მარები.  
მაშინ ვიმსჯელებთ, ვიკამათებთ, ნუ გედარებთათ.  
ახლა გამიშვით, გეხეწებით, გემუდარებით!

## ფ ა უ ს ტ ი

დამშვიდდი, დარჩი კიდევ ცოტახანს.  
და საგულისხმო რამე მიაგებე.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ახლა გამიშვი! ჩქარა მოვალ, მე დროს მოენახავ.  
მაშინ გაიმბობ სუყველაფერს, რასაც იამებ.

## ფ ა უ ს ტ ი

შინ განა ძალით შეგიტყუე! ღმერთთა მალა.  
ნებით გაები შენ მახეში და გმართებს თმენა.  
ვინაც ხელთ იგდებს ეშმაკს, უნდა ეჭიროს მაგრად,  
მას ისე მალე ვერ დაიჭერ მეორედ შენა.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

თუ შენ გწყურია, რომ აქ დავრჩე და არ გრძნობ მიოლას,  
რა გაეწყობა, თანახმა ვარ, მე შენთან ვიყო.  
მიემართავ თანაც ხელოვნებას, რომ შენ დრო მოჰკლას...  
უფრო საამო მასლაათში, ვიდრე შენ ფიქრობ.

## ფ ა უ ს ტ ი

ისე მოიჭეც, ვით გენებოს შენ ამ სალაშოს,  
ოღონდ ის შენი ხელოვნება დამრჩეს საამოდ.

## მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ნახე, ძმობილო, შენი გრძნობა დარჩება მეტად  
აესილი განცდით, ვიდრე მაშინ, როს ავი დედა  
მართლობისა შენ გასმევდა შხამის მალამოს.



ის ტყილი ჰანგი, ნაზი სულნი რომ გიგალობენ,  
 უცხო სურათი, რომლით კაცთა თვალნი ხარობენ,  
 არ არის მხოლოდ ჯადოქრობის უქმი თამაში.  
 ყნოსეა და გემოც დაგიტყება, ვით გაზაფხულით.  
 გრძნობას მოიცავს ალტაცება ჯერ არნახული.  
 რა გეავგრძელო? დარწმუნდები მალე ამაში.  
 არ ესაჭიროებ მომზადებას. ფარდა დაირწყს!  
 ყველა აქა ვართ შეკრებილი, აბა დაიწყეთ!

სულები

დაიქცეს შავი თალები,  
 ვიწრო საკანის კამარა.  
 ნაზო, ცისფერო, საამო,  
 მარად ცხოვრების მალამო,  
 შემოიჭერი ვთერო!  
 გაქრეს კუპრისფრად ნალები  
 ღრუბლები, ცა რომ დაფარა!  
 კლავ მზე ბრწყინავდეს ნაქები,  
 მნათობთა, მოციმციმეთა  
 წიგნი ზეცაში ეწეროს!  
 ყველგან განიბნეს ცის ძეთა,  
 ყოველი ქმნილის იმედად  
 უცხო, მალალი მშვენიება  
 და იმ მშვენიებით დაგვათროს!  
 გიჟურსა სწრაფვას, ჰენებას  
 მაჰყვე, გალიე გზა ფართო!  
 ფერად სამოსის ჯავართო,  
 მფრინავ ხალიჩით ნარნარით  
 დაჰხურე მწვანე მთა-ბარი,  
 კარავი, ფანჩატურები!  
 სადაც ღრმა ფიქრში წასულნი,  
 ტრფობის ცრემლებით დაღვრილნი  
 სხედან ვაჟნი და ასულნი.  
 მწვანობდნენ ფანჩატურები!  
 კვირტი და ნერგი აყრილი  
 ვაზო, მტეენების ცოვრები  
 ჩაპყარე საწნახელებში,  
 რომ ჭორწილში და ჩელებში  
 ღვინომ იღინოს მდინარედ!

• ბრწყინავდნენ წმინდა თვლებით  
 მაოგალიტები, ლალები  
 და ჩქეფის ნაპერწყლები!  
 მთებო, დადექით წინარე,  
 მწვერვალო, პირმომცინარე!  
 ეელნო, გაშლილნო ზღვებამდე,  
 მარად სიმწვანე გლებავდნენ.  
 და შენს მშვენიებას ვხედავდე!  
 ფრინველნო, გასწით ხელადვე,  
 მზისკენ გაჰკვეთეთ ნიავი,  
 აესილნო სწრაფვის სიამით,  
 ეწვიეთ წმინდა კენძულებს,  
 ზღვაში შესულს და ჩაშვებულს,  
 ბალებით გადახუნძლულებს,  
 ტალღებზე ათამაშებულს!  
 სადაც ჯარებად შეყაილნი,  
 მოზვიმე და ხელქმნილნი  
 ვეცეკვავთ, ვთამაშობთ მინდვრებზე,  
 არ დალამდება ვიდრემდე!  
 და (ის ქვეშ გაფანტულები,  
 ერიამულს დანატრულები,  
 ზოგნი მწვერვალზე აღიან  
 ოფლში გაღვრილნი, მხურვალე,  
 ზოგს ბანაობა სწადია,  
 ზოვა-მდინარეში ცურავენ.  
 ვის უნდა ცაში ფრენანი  
 და ასე ცხოვრობს ყვილანი,  
 ვის უცხო გრძნობა ატოკებს,  
 მზეს ეტანება, მნათობებს  
 და მარად ნეტარებას!

მეფისტოფელი

მას სძინავს! ნაზო ყმაწვილებო, ჰაეროვანნო!  
 თქვენი თილისმით შეკრულია ეგ ჯეროვანად:  
 ამ კონცერტისთვის მალღიერი გიძღვნით ქებასა.

(ფაუსტს)

ისეთი კაცი შენ არა ხარ, ეშმაკს იქერდე.

(სულეზს)

კვლავ გააბრუეთ ტკბილი ძილით, ადგილს მისქედეთ!  
 ჩასძირეთ ბოდვის უღრმეს ზღვაში, მოპგვარეთ ძილი!  
 გაიპოს ჯადო, ზღურბლზე ძალას რომ არ იჩენდეს!  
 მაგრამ ამისთვის უნდა მქონდეს მე ვირთხის კბილი.  
 არ დამქირდება ჯადოსნური შელოცვა გრძელი.  
 აჰა, მისმინა და ზღურბლსა ღრღინის ჩემი გზის მცველი.  
 ვირთხის, თაგვების, მწერ-ბაყაყთა, გომბეშოების,  
 ბაღლინჯოს, ტილის მბრძანებელი არ მოგეშვებით,  
 გიბრძანებთ გაღრღნათ და გადახრათ ეს ზღურბლი მედგრად,  
 რომ გარდაუვალ ის ჯებირად მე წინ არ მედგას,  
 და მე მას განზრახ წაეუსვი ქონი!  
 უკვე გადახტი შენ ზღურბლზე მგონი!  
 მამ საქმეს ჩქარა მოეკიდე. დრო არ გვაქვს ბევრი.  
 წინა კუთხეზე არის ჩემი დამქერი წვერი.  
 ერთიკ განხაჰნე. საქმეც მორჩა, გათავდა კარვად.  
 ჩვენ შეხვედრამდე, აწ ფაუსტო იძინე მაგრად!

ფ ა უ ს ტ ი

(იღვიძებს)

ნუთუ ვარ ისევ მოტყუებული?  
 ძილში ეშმაკი ვნახე მგონია.  
 მერმე კი ისევ გაქრა წყვეული  
 და თან პუდელიც გაიყოლია.

თარგმანი გერმანულიდან ალექსანდრი ჭუთათიელისა



ბიოგრაფიული მონაწილეობა

## შენიშვნები 30-ანი წლების ქართულ საბჭოთა ლიტერატურაზე



წერილი პირველი

საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა თავისი ასახვისა და ქმედითობის ძალით ყველაზე ძლიერი და მოწინავეა მსოფლიოს თანამედროვე ლიტერატურათა შორის.

საბჭოთა ლიტერატურის ცხოველყოფილი, დაუშრეტელი ძალის წყაროა მისი პარტიულობა, ღრმა იდეურობა და რევოლუციურობა, მშრომელი ხალხისადმი სამსახური, სინამდვილის ჭეშმარიტი ასახვა, მგზნებარე პატრიოტიზმი. მისი რევოლუციური მეთოდი — სოციალისტური რეალიზმი საშუალებას აძლევს საბჭოთა მწერლებს შექმნან ჩვენი ხალხების აწმყოს, მომავლისა და წარსულის ამსახველი რეალისტური ნაწარმოებნი.

ჩვენი ლიტერატურა სოციალისტური წყობილების ლიტერატურაა. იგი სოციალისტური სინამდვილის საფუძველზე გაიზარდა და დაეაყვაცდა.

საბჭოთა მხატვრული ლიტერატურისა და ლიტერატურული კრიტიკის მეთოდი — სოციალისტური რეალიზმი ჩაისახა და მკაფიოდ გამოვლინდა ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე. ამ ახალი მეთოდის წარმოშობა განაპირობა თვით ცხოვრებამ, მისმა აუცილებელმა კანონზომიერებამ, იმ მძლავრმა რევოლუციურმა აღმავლობამ და ისტორიულმა ძვრებმა, რაც რუსეთში მოხდა ორი საუკუნის მიჯნაზე, როდესაც ახალ ისტორიულ პირობებში შემდგომი განვითარება პოვა კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულმა თეორიამ.

საბჭოთა სინამდვილემ, ახალი სამყაროს მშენებლობის პათოსმა, სოციალისტურის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში, ხალხთა ურღვევმა ლენინურ-სტალინურმა მეგობრობამ უზრუნველყვეს ქართული ლიტერატურის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის, სწრაფი განვითარება.

ქართველი მოწინავე საბჭოთა მწერლები აქტიურად ჩაებნენ ახალი სოციალისტური საქართველოს მშენებლობაში. კომუნისტური სიმართლე — სიმართლე ცხოვრების, მისი აწმყოს და მომავლის შესახებ — საბჭოთა მწერლების შემოქმედებაში გამოვლინდა, როგორც მძლავრი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს მის ცხოველყოფილობასა და წინსვლას.

საბჭოთა სისტემის პირობებში შემოქმედებითა აზრმა ზრდისა და აყვავების სრული თავისუფლება მოიპოვა. მეფის თვითმპყრობელობისა და მენ-

შევიზმის დროს შემოვიღო ლიტერატურისა და ხელოვნების პროგრესულ ძალებს მოქმედების ფართო ასპარეზი გადაეშალათ.

შემოქმედის თავისუფლება, მისი აზროვნების თავისუფლება მკაფიოდ გამოვლინდა საბჭოთა მწერლების მხატვრულ პრაქტიკაში, რამდენადაც ჩვენს ეპოქაში მხატვრის საუკეთესო ოცნებანი და პროგრესული მისწრაფებანი თანამთხვევა რეალურ ყოფასა და რეალურ პერსპექტივას. ჩვენი ცხოვრება მწერალს აწვდის მდიდარ მასალას; ცხოვრება აღსავსეა ახალი სინამდვილის განვითარების შესანიშნავი ფაქტებით, ამ განვითარებისათვის - გმირული ბრძოლის პათოსით, საბჭოთა ადამიანის ახალი ფსიქიკური წყობის ჩამოყალიბების ფაქტებით. ჩვენი ცხოვრება მოწინავე მსოფლმხედველობით შეიარაღებულ მწერალს შესაძლებლობას აძლევს დაინახოს ის, რაც სურს და რასაც ესწრაფვის. არც ერთ ეპოქას არ მიუცია, და არც შეეძლო მიეცა, მხატვრული სიტყვის ოსტატებისათვის ასეთი მრავალფეროვანი, ასეთი ყოვლისმომცველი, უხვი მასალა ცხოვრების სისხლსავე წარმოსახვისათვის.

მწერალი თავისუფალია, რამდენადაც მისი შემოქმედება ემსახურება ხალხის ინტერესებს, კომუნისმის იდეების დამკვიდრებას. ეს განაპირობებს მწერლის აზრის სრულ თავისუფლებას, თემების შერჩევას, მათი გაშუქებისადმი მიდგომის თავისუფლებას.

მწერლის შემოქმედებითი თავისუფლება განპირობებულია იმით, რომ იგი უნდა იცავდეს ობიექტურ სიმართლეს ჩვენი საბჭოთა სინამდვილის დახატვაში, გამომდინარეობდეს ამ სიმართლიდან.

მწერლისა და ხელოვანის თავისუფლება არ უნდა ვეძიოთ ცხოვრების ობიექტური კანონებისაგან, ე. ი. ობიექტური სინამდვილისაგან, დაშორებაში. პირიქით, მხოლოდ მას, ვინც სწორად შეიცნობს განვითარების ობიექტურ ხასიათს და მის კონკრეტულ გამოვლინებას ცხოვრებაში, შეუძლია მოგვეცეს მოვლენათა მთელი სიმდიდრის, მათი კონკრეტული და საერთო ხასიათის მხატვრული ანალიზი, დიდი რეალისტური განზოგადება, მხატვრული სურათებით დაგვიხატოს სინამდვილე ისე, როგორც ის არის და როგორც იქნება. ეს არის ტ ი პ ი უ რ ი ს ჩვენება მთელი მისი სისრულითა და მრავალფეროვნებით.

30-ანი წლების ლიტერატურის ამოცანები განსაზღვრული იყო ჩვენი ქვეყნის ამ პერიოდის სამეურნეო, პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობით.

20-ანი წლების ბოლო და 30-ანი წლების დამდეგი ჩვენს ქვეყანაში აღინიშნა სოციალიზმის მშენებლობის დიდი მიღწევებით. სოციალისტურმა სექტორმა ისტორიული გამარჯვება მოიპოვა, საბოლოოდ დაიკავა გაბატონებული მდგომარეობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

საბჭოთა ქვეყანა მსოფლიოში პირველი ქვეყანაა, რომელიც აშენებს ხალხთა ნათელ მომავალს. სწორედ ამით განისაზღვრებოდა ხასიათი გრანდიოზული სოციალისტური მშენებლობისა, ახალი სამყაროს შექმნისათვის ბრძოლისა, ქვეყნად თავისუფლების, ბედნიერებისა და მშვიდობის დამკვიდრებისათვის ბრძოლისა. ეს იყო ჩვენი ხალხის დიდი მონაპოვარი, რისთვისაც ხალხმა უდიდესი მსხვერპლი გაიღო და უდიდესი გაკირება გადაიტანა.

ქართული საბჭოთა ლიტერატურა 30-ან წლებში ვითარდებოდა და იზრდებოდა რუსულ ლიტერატურასთან, მომე ხალხთა ლიტერატურებთან მჭიდრო კავშირში. ეს კი განპირობებული იყო ჩვენი საზოგადოების განვითარების

ზსიათით, საბჭოთა ქვეყნის დიად სიერცეზე მოსახლე ყველა ხალხის ურღვევი ინტერნაციონალური მეგობრობით.

მაგრამ იმ მოთხოვნების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრულია ჩვენი კულტურის სოციალისტური შინაარსით, ქართულ ლიტერატურას, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ლიტერატურებს, ჰქონდა თავისი კონკრეტული ამოცანები, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების თავისებურებიდან გამომდინარე ამოცანები. კერძოდ, დიდი ამოცანების წინაშე დააყენა საქართველოს მწერლები საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ცნობილმა დადგენილებამ, რომელმაც მოითხოვა საქართველოს კომუნისტებისაგან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარება და ამ საქმეში დაშვებული შეცდომების აღმოფხვრა.

საქართველოს კომპარტიამ, მისმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მოაწყეს რესპუბლიკის მშრომელების ბრძოლა საქართველოს გადაქცევისათვის მოწინავე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ქვეყნად, აყვავებული სუბტროპიკული ბაღების ქვეყნად.

მწერლების წინაშე წამოიჭრა დიდი და საპატიო საქმე: აესაზთ ეს ბრძოლა მხატვრულად, შეექმნათ ნაწარმოებნი ქალაქისა და სოფლის ახალ ადამიანებზე, მათ თავდადებულ შრომაზე, ეჩვენებინათ საბჭოთა ადამიანის ახალი თვისება.

მალე ამის შემდეგ, 1932 წლის აპრილში, გამოქვეყნდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილება სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ. ამ დადგენილებამ ბოლო მოუღო ჯგუფობრიობას, წრეობრივ კარდახშულობას, მწერალთა კადრების გათიშვას და ფართო ბაზა შექმნა საბჭოთა მწერლების წარმატებითი კოლექტიური მუშაობისათვის.

ამის შედეგად 30-ანი წლების ქართულ საბჭოთა პროზაში, პოეზიაში, დრამატურგიაში შეიქმნა მთელი რიგი შესანიშნავი ნაწარმოებნი, რომელნიც სიმართლით წარმოსახავენ სინამდვილეს და მალალ მხატვრულ დონეზე დგანან.

ეს სავევებით კანონზომიერი მოვლენაა, რადგან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ, საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის მეთოდის განსაზღვრამ, საბჭოთა კავშირის მწერალთა I ყრილობამ და მწერალთა კავშირის ახალი წესდების დამტკიცებამ, სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში და ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღებამ ყველა პირობა შექმნეს საბჭოთა ლიტერატურის სწრაფი ზრდისათვის.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შეიარაღებულმა ქართველმა საბჭოთა მწერლებმა გაბედულად მოკიდეს ხელი კალამს, რათა რეალისტურად მხატვრულად წარმოესახათ სოციალიზმის მშენებლობის დამახასიათებელი თავისებურებანი.

ახალი ცხოვრების სიდიადე, სოციალიზმის მშენებლობა იყო 30-ანი წლების ქართული ლიტერატურის ძირითადი თემა.

ი. ბ. სტალინმა მწერლებთან საუბარში, რაც მაქსიმ გორკის ბინაზე გაიმართა 1932 წლის 26 ოქტომბერს, ჩამოაყალიბა ბრძნული განსაზღვრება საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდისა, როგორც სოციალისტური რეალიზმის მეთოდისა. ამ განსაზღვრებამ შემოთავაზონ კონკრეტული გამოხატულება პოვა საბჭოთა მწერლების კავშირის წესდებაში, სადაც ნათქვამია:

სოციალისტური რეალიზმი, არის რა საბჭოთა მხატვრული ლიტერატურისა და ლიტერატურული კრიტიკის ძირითადი მეთოდი, მწერლისაგან მოითხოვს

სიმართლით, ისტორიულად კონკრეტულად წარმოსახოს სინამდვილე მის რევოლუციურ განვითარებაში. ამასთან სინამდვილის მართლად და ისტორიულად კონკრეტული მხატვრული წარმოსახვა უნდა შეესაბამებოდეს სოციალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა იდეური გარდაქმნისა და აღზრდის ამოცანას.

30-ანი წლების ქართულ ლიტერატურაში ახალი შემოქმედებითი აღმავლობის პირობა ის იყო, რომ საქართველოს მწერლების შემოქმედებითი კოლექტივის ძირითადმა ძალებმა სავსებით აღიარეს და მიიღეს სოციალისტური რეალიზმის მეთოდი.

ამასთან მთელი რიგი მწერლები, რომლებსაც შემოქმედებითი მუშაობა დაწყებული ჰქონდათ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ერთბაშად როდი დადგნენ სოციალისტური რეალიზმის პოზიციაზე. ისინი საკმაო ხარკს უხდიდნენ სიმბოლიზმსა და ლიტერატურის სხვა მიმდინარეობებს.

ამ მწერლების მსოფლმხედველობაში ახალი, ჯანსაღი ებრძოდა ძველს, დრომოკმეულსა და მომაკედავს. აქ განსაკუთრებით ვამახვილებთ ყურადღებას მწერლის მსოფლმხედველობაზე, ვინაიდან საბოლოო ანგარიშით მსოფლმხედველობა, რომელიც არ შეიძლება მტკიცე კავშირში არ იყოს მხატვრულ ოსტატობასთან, წყვეტს მწერლის პოლიტიკურ, იდეურ ბედს.

ოქტომბრამდელი პერიოდის ქართველ მწერალთაგან, რომლებსაც 20-ანი წლების დამლევისა და 30-ანი წლების დამდეგის ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილი ეკავათ, ზოგნი დავიწყებას მიეცნენ, მაგრამ ბევრმა თვალსაჩინო მწერალმა მოწინავე სოციალისტური მსოფლმხედველობის შეთვისებისა და აღიარების შედეგად შეძლო სწორად დაენახა ცხოვრების განვითარება და უკვე ასახავდა თავის შემოქმედებაში ხალხის ნამდვილ ინტერესებს, სოციალისტურ სინამდვილეს.

უაღრესად დამახასიათებელია ამ მხრივ საქართველოს სახალხო პოეტის გ. ტაბიძის შემოქმედება.

გავაშუქოთ ტაბიძის შემოქმედებაში რეალიზმის მოტივების ზრდისა და დამკვიდრების ზოგიერთი დამახასიათებელი მომენტი.

1908 წელს, როცა რეაქცია მძვინვარებდა, პირველად გაისმა მთელი ხმით ახალგაზრდა პოეტის მოწოდება. ეს იყო ბრძოლისაკენ მოწოდება. ახალგაზრდა პოეტს სწამდა რევოლუციის მომავალი. ბრძოლის სულისკვეთებით გამსჭვალული პირველი ლექსების გამოქვეყნებიდან ორი წლის შემდეგ გ. ტაბიძე წერს ლექსს, რომლითაც მოუხმობს თავისუფლებისა და ბედნიერების მზეს, მოუხმობს არა სასოწარკვეთილებით, არამედ იმის მტკიცე რწმენით, რომ იგი ამოვა. ამ მოწოდებაში ერთსა და იმავე დროს იხატება რევოლუციის დამარცხებით გამოწვეული გულისტკივილიც და მებრძოლის ცხოველყოფელი ოპტიმიზმიც. პოეტის სულიერ ლირიკულ განცდებს, რასაც ეს ლექსი გამოხატავს, საზოგადოებრივი ელერადობა ენიჭება:

შორს ჩვენგან, ღამის წყვილად,  
შორს, შორს, ბურუსს გრძნეულს,  
თვალის ამხვევად შექმნილო  
და ბორჯილებად მკეთულო.

ჩვენ მზე გვსურს... ხალხო შეერთდით —  
ზევით ასწიეთ მზე, ზეით!  
მის აღდგომასთან მნათობის  
სხივებად გადაიქცევით.

სოციალიზმის მშენებლობის დღეებში, როცა თავისუფლებისა და ბედნიერების მზემ გააცისკროვნა ჩვენი სამშობლო, პოეტი წერს:

როცა ხნელები  
 ეფინება  
 ველებს სვეტებად  
 და თვალწუდენი  
 ნიავების  
 ზღვა იზადება,

ცეცხლი რამ მზისგან  
 კაცს თვალეში  
 ჩაეწვეთება,  
 და თვალს სინათლე  
 უცეცხა  
 მოემატება.



სხვადასხვა დროს დაწერილი ეს სტრიქონები მოწმობენ, რომ გ. ტაბიძის პოეზიაში, მიუხედავად მისი რთული ხასიათისა და ძიების ერთგვარი დახლართულობისა, ნათლად ჩანს ერთიანი ჯანსაღი მოტივი, რომლითაც გამსჭვალული იყო პოეტის შემოქმედება, ეს განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ გ. ტაბიძის შემოქმედებითი გზის შეფასებისას. რადგან ამ გზის შესახებ ზოგიერთი კრიტიკოსის მიერ შემუშავებული სქემა ზელს უშლის პოეტის შემოქმედებაში ამ ერთიანი მოტივის დანახვას.

კრიტიკულ ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ გ. ტაბიძე ბრძოლის პოეტად გვევლინება 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ დაწყებული რეაქციის წლებში, ხოლო მერმე, დაახლოებით 1910 — 1917 წლებში, მის პოეზიაში ბატონობს სიმბოლიზმი, სევდა, მისტიციზმი, უპერსპექტივობა, რომ მისი მსოფლშეგრძნობის, გარემო სამყაროსადმი დამოკიდებულების განმსაზღვრელი განწყობილებებია მისტიციზმი და უკიდურესი ინდივიდუალიზმი. ამასთან აღნიშნავენ, რომ გ. ტაბიძის სიმბოლიზმი თავისი ხასიათით განსხვავდება დასავლეთ ევროპის სიმბოლიზმისგან. მაგრამ ამ შენიშვნას იქვე უნებლიეთ უარყოფენ თვით მისი ავტორები, როგორც უსაფუძვლო მოსაზრებას, რაკი პირდაპირ აცხადებენ, პოეტი თავის შემოქმედებაში დიდი სევდისა და განწირულების განწყობილებას გამოხატავს და იმპრესიონიზმის უკიდურეს ზღვარამდე მიდისო.

შემდგომ ეტაბად ტაბიძის შემოქმედებითს განვითარებაში ითვლება ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი პერიოდის შემოქმედება, პოეტის გადასვლა რევოლუციის მხარეზე.

ცხადია, არ შეიძლება ამ მოსაზრების ხელაღებით უარყოფა, რადგან მცდარი იქნებოდა გ. ტაბიძის რევოლუციამდელ შემოქმედებაში არ დაგვეჩინა ძალიან სერიოზული „ცოდებები“, მიგვეჩქმალა მისი შემოქმედებითი შეცდომები. ავიღოთ თუნდაც ასეთი სტრიქონები პოეტის რევოლუციამდელი ლირიკიდან:

ცამეტ წლის ხარ და შენი ტყუა ჭალა გულის ზმანება ავი —  
 ჩაწვეთ რიგში ცამეტი ტყუია, ცამეტჯერ უნდა მოვიყლა თავი...

ანდა:

აჰ, მომეცალეთ, კმარა! მხოლოდ სიკვდილი მინდა,  
 არც პოეზია მატბობს, არც შეგობრობა წმინდა!

ეს სტრიქონები მოწმობენ სიმბოლისტურ ტენდენციებს ტაბიძის ადრინდელ პოეზიაში. ლექსში „მე და ლამე“ (1912 წ.) პოეტს ეუფლება საიდუმლო ფიქრთა „გრძნება“. ქვეყნად არავის არ შეუძლია გამოიხნოს ეს საიდუმლო. მხოლოდ ლამეა მისი მესაიდუმლე და ლამეს უმეცავენებს, რაც „გულის ბნელ სიღრმეში“ მოუთავსებია.

ასეთი პისიმისტური, განმარტოების მოტივები იყო ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში. სტოლიპინის რეაქციის ხანას პოეტი შედგრად დაუხვდა, მაგრამ ამ რეაქციამ მაინც გამოიწვია მისი ერთგვარი სულიერი მერყეობა. ჯერ

პოეტი ფიქრობდა, რომ დამარცხებული რევოლუცია კვლავ აზვირთდებოდა, რევოლუციური ხალხი მალე გაიმართებოდა წელში და შურს იძიებდა ჯილათებზე. შემდეგ პოეტს აღარ ეყო სიმტკიცე. მას არ ესმოდა, რამ რევოლუციას თავისი კანონები, თავისი დრო აქვს. სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ გ. ტაბიძის ზოგიერთ ლექსში შესამჩნევად შენედა რევოლუციური მგზნებარება.

ამ მხრივ ჩვენ როდი უარყოფთ შემოაღნიშნულ მოსაზრებას, მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმას, რომ ამ სქემის ავტორები პოეტის რევოლუციამდელ შემოქმედებაში პირველ პლანზე აყენებენ სიმბოლისტურ, დეკადენტურ, იმპრესიონისტულ მოტივებს, როგორც ძირითად წამყვან მოტივებს. შემდეგ კი თვითონვე უკერძო, როგორ შეძლო ასეთმა პოეტმა ოქტომბრის რევოლუციის პირველი წლებიდანვე დამდგარიყო ახალ რევოლუციურ პოზიციებზე.

საკვიროა გაირკვეს გ. ტაბიძის შემოქმედების წამყვანი მოტივი.

შემთხვევითი როდი იყო პოეტისათვის, რომელიც 1917 წელს პეტროგრადში იმყოფებოდა, ლექსი „დროშები ჩქარა!“.

ოქტომბრის რევოლუცია ის მზე იყო, რომელზედაც პოეტი ოცნებობდა ჯერ კიდევ რეაქციის წლებში. მან იცოდა, რომ რევოლუციაზე დამოკიდებულია საქართველოს მომავალიც. პოეტი პროლეტარულ რევოლუციას უკავშირებდა მშრომელი ხალხის სანუკვარ ოცნებებსა და მათ განხორციელებას.

პოეტის მსოფლმხედველობაში საქართველოს ბედი მკიდროდ არის დაკავშირებული თავისუფალ რუსეთთან, მოსკოვთან, პეტროგრადთან, კრემლთან, ლენინის სახელთან. ამაზე ლაპარაკობს გ. ტაბიძე ლექსში „გემი დაღანდი“ (1918 წ.).

სამშობლო ქვეყნის განვითარების გზების ამგვარი გაგება შემთხვევით და მოულოდნელად როდი წარმოიშვა პოეტის მსოფლმხედველობაში. ეს გაგება იმ ჯანსაღი მოტივების შედეგი იყო, რომლებსაც; როგორც ჩაუქრობელ ნაპერწკალს, როგორც მის წამყვან ტენდენციას ყოველთვის შეიცავდა ტაბიძის პოეზია.

შემოაღნიშნული სქემის ავტორებს, შესაძლოა, ეს უცნაურად ეჩვენოთ, ვინაიდან პოეტის შემოქმედების შეფასებას ისინი უდგებთან წმინდა არითმეტიკული პოზიციით. იმ ფაქტიდან, რომ პოეტმა რევოლუციამდე გაცილებით მერტი ლექსი დაწერა სიმბოლისტურ თემებზე. ვიდრე რევოლუციურ თემაზე, მათ გამოაქვთ დასკვნა: ტაბიძის იმ პერიოდის შემოქმედებაში წამყვანი ია სიმბოლისტური ტენდენციაა.

რას ნიშნავს წამყვანი ტენდენცია?

ეს ცნება უნდა გაშუქდეს დიალექტიკურად. ისტორიულ განვითარებაში ეს ტენდენცია მკიდროდ არის შეხამებული პროგრესთან, აღმავალი ხაზით მიდის და უპირისპირდება დრომოკმულ, მოძველებულ ნორმებსა და შეხედულებებს. წამყვანი ტენდენცია განვითარების რევოლუციური ტენდენციაა; ეს არის წინსვლის კანონებით ნაკარნახევი ტენდენცია. კლასობრივი ბრძოლის განსაზღვრული ეპოქის ლიტერატურაში შეიძლება არსებობდეს ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ტენდენცია, მაგრამ არ შეიძლება არსებობდეს განვითარებისა და წინსვლის თვალსაზრისით სხვადასხვა წამყვანი ტენდენცია. წამყვანი ყოველთვის ის ტენდენცია ხდება, რომელიც რევოლუციურად არის განწყობილი ძველი-სამყაროს მიმართ და რომელიც საზოგადოების რევოლუციური ძალების

ფიქრებს, მისწრაფებებს, იდეალსა და ბრძოლას ასახავს. სხედასხვა ტენდენ-  
ცია შეიძლება გამოვლინდეს ერთი მწერლის შემოქმედებაშიც გააფთხებულ  
კლასობრივი ბრძოლის პირობებში. მაგრამ გასაგებია, რომ ყველა ეს ტენდენ-  
ცია როდი შეიძლება იყოს წამყვანი. მით უფრო, რევოლუციის მომზადების,  
რევოლუციის აღმავლობის ეპოქაში წამყვან ტენდენციად რევოლუციური მწე-  
რლის შემოქმედებაში უნდა მივიჩნიოთ ის, რაც ამ აღმავლობას, რევოლუციის  
საქმეს ემსახურება. აქ მთავარია არა რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი  
მეტობა. სწორედ ასეთია საქმის ვითარება გ. ტაბიძის რევოლუციამდელ შე-  
მოქმედებაშიც.

მთლად ზუსტი ვერ არის, მაგალითად, კრიტიკოს ბ. ჟღენტის ასეთი მტკი-  
ცება: „არის მთელს მის (ე. ი. გ. ტაბიძის. გ. მ.) რევოლუციამდელ შემოქმედე-  
ბაში ერთგვარი „ქვეტექსტი“, ზოგჯერ მეტად ღრმად შეხურვილი, ზოგჯერ  
უფრო ცხადად გამოვლენილი შენაკადი, რომელიც ყოველთვის გამოხატავს  
პოეტის სულიერ ნათესაობას ეპოქის რევოლუციურ ფაქტორებთან“. თუ პოე-  
ტის რევოლუციური ლექსები „ქვეტექსტად“, „შენაკადად“ უნდა ჩაითვალოს.  
გამოდის, რომ არსებულა სხვა, ძირითადი ნაკადი, სხვა, ძირითადი ტენდენცია.  
ამავე დროს კი, გ. ტაბიძის პოეტური ზრდის ძირითად ტენდენციად სწორედ  
მისი რევოლუციური ლირიკა უნდა მივიჩნიოთ. ამ ლირიკის მაჯისცემა ტაბი-  
ძის შემოქმედებაში თითქმის განუწყვეტლავ იგრძნობა.

1908 წელს ტაბიძე ქმნის „პირველ მისს“, რომელშიც მტკიცე იმედს  
გამოთქვამს, რომ მეფის მიერ დამარცხებული პროლეტარიატი კვლავ დაირაზ-  
მება და გამარჯვებას მოიპოვებს. პოეტი მიესალმება მომავალი ბრძოლის ამ  
ნათელ დღეებს. მეორე ლექსში „გადანახული დროშები“ იგი უმღერის პრო-  
ლეტარიატის დროშებს, რომლებიც მან ქარიშხალში გამოატარა და სიამაყით  
ამბობს, რომ მას მინდობილი აქვს დაიცვას ეს დროშები, დაიცვას მომავალი  
ბრძოლებისათვის. ამავე პერიოდს ეკუთვნის „გუბე“. მასებისადმი რევოლუცი-  
ური მოწოდება — შური იძიონ თვითმპყრობელობაზე — აქ გაისმის როგორც  
პეჭაქუხილი, რომელიც მჩაგვრელთა მოახლოებული დაღუპვის მაუწყებელია.  
ასეთი მოტივებით არის გამსჭვალული ლექსი „ქარიშხლის შემდეგ“. 1909 წელს  
დაწერილ ლექსში „დარიალის ვიწრო კლდეებში“ გვიღვინება მონობის წინა-  
აღმდეგ აჯანყებულ პოეტი. ხატავს რა დარიალის ვიწრო კლდეებში მქუხარე  
თერგის მრისხანე სახეს, იგი შესძახებს: „მძულხარ, მონობაე!“ ცნობილ ლი-  
რიკულ ლექსში „რომ მომცა ფრთები...“ (1910 წ.) გ. ტაბიძე შთაგონებულად  
უმღერის თავისუფლებას, გვიხატავს იმ ადამიანთა ღრმა განცდას, რომლებსაც  
თავისუფლება სურთ, მთელი ძალით ესწრაფვიან მას. პოეტის გულში განუ-  
შორებელია სამშობლო, მუდამ მას უმღერის, მუდამ მზად არის, ყველა-  
ფერი მას შესწიროს („გამოსალმება“, 1910 წ.) 1911 წელს დაწერილ ლექსში  
„იზობოქრე“ პოეტი ცხოვრების ზღვას მიმართავს ბოზოქრობისადმი მოწოდე-  
ბით. მომავლისადმი დიდი რწმენით არის დაწერილი „გრძნობათა ფერფლი“  
(1911 წ.).

განსაკუთრებული ძალით გაისმის ბრძოლისათვის მოწოდება ლექსში „გუ-  
რიის მთები“. აქ გამოხატულია დაუცხრომელი მისწრაფება თავისუფლების  
მწვერვალებისაკენ, სადაც „წყარო, კლდეში მოჩუხჩუხე, წვეთ-ანკარა, ვით ცის  
ვნება, დაფნის ბუჩქთა მწვანე ჩარჩოს ეომება, ეხეთქება“. აქედან მოჩანს ნა-  
საკირალი — თავისუფლებისა და სიცოცხლისათვის გამირული რევოლუციური  
ბრძოლის ადგილი.

წინ, მეტრევე  
 ვგ ცხენები გააქანე, გააქანე!

ვხედავ სურებს, ვხედავ დაფნარს, ვხედავ მღვმარ ნასაკირალს.  
 ვხედავ სოფლებს სოცოხლისას, განახლების თვალით მზირალს.  
 ჩემად! ვილაქ მღერის მთაზე... რა ძალაა ამ ტყბილ ხმაში,  
 არსად ასე არ მღეროან, როგორ აქ, ამ ქვეყანაში,  
 არსად, არსად არ არსებობს ბრძოლის ფინი, ბრძოლის ქარი,  
 არსად ისე არ ვადმოხეთქს უკმარობის ნიაღვარი!

ეს დაუცხრომელი მისწრაფება ახლისაკენ, სულის ეს რევოლუციური ბუნტარობა არ ტოვებს პოეტს და იგი ხშირად უბრუნდება ამ მოტივებს.

1914 წელს შექმნა პოეტმა მძაფრი რევოლუციური ლექსი „ნასაკირალთან“. აი მისი სტრიქონებიც:

არა დათმობის  
 გზა საზიზღარი,  
 არა დანდობა  
 და შერიგება,  
 არამედ ბრძოლის  
 გეინდა ცისკარი,  
 გეწურია შებმა  
 და შურისგება!

უნდა გაიარევეს  
 ეს გარემოცვა...  
 ძირს შეფეკები,  
 ყვენი, ფაშა!  
 მიმაჯალ წასელად  
 გზათა დალოცვა,  
 მომაჯალს ჩვენი  
 მხურვალე ფაშა!

ზომალდი, რომელიც ზღვის ტალღებს მიაპობს, ელვის სისწრაფით მქროლავი ცხენები, ქარი და გრიგალი, ყოველივე ძველის დამანგრეველი, მთის ანკარა მოჩუხჩუხე მდინარეები, — აი ალეგორიული სახეები, რომლებიც პოეტს გამოყენებული აქვს იმისათვის, რომ გამოხატოს მასების რევოლუციური განწყობილება. ამ მხრივ დამახასიათებელია 1916 წელს შექმნილი ლექსი არწიეთა შესახებ. აქ ნაჩვენებია 1905 წლის რევოლუციის ბედი. უღმობელმა ცეცხლმა არწიეებს ფრთები დაუწვა და ისინი მიწაზე ჩამოცვიდნენ, მაგრამ ახალ და მძლავრ აფრენაზე ოცნებობენ. მკითხველი ასკენის, რომ ეს ფუჭი ოცნება როდია: არწიეებს კვლავ დაეზრდებათ ფრთები და ისევ მალა იფრენენ!

გ. ტაბიძის რევოლუციური ლექსების დამახასიათებელია ჯანსაღი ოპტიმიზმი, მომავლის რწმენა. როცა იგი 1915 წელს თბილისს ეუბნება, რომ მის „აღსადგენად მოვა სხვა ძალა“, გრძნობთ არა მარტო პოეტის ზრუნვას მშობლიური დედაქალაქის მომავლისათვის, არამედ, აგრეთვე, რწმენას მისი შემოქმედებითი მამოძრავებელი ძალებისადმი.

მომავლის დიდ რწმენას არ შეეძლო მთლიანად არ მიეყვანა პოეტი რევოლუციამდე, რომლის მოახლოებასაც იგი გრძნობდა და რომელსაც უმღეროდა. ჯერ კიდევ 1917 წლამდე გ. ტაბიძე მეგობრებს სწერდა:

ო, როგორ მინდა, მეგობრებო, თუნდაც ერთი დღით  
 ჩვენთვისაც იყოს უმაღლესი თავისუფლება.  
 ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად გავშალო ფრთები,  
 განა არ არის საშინელი საყოდავობა,  
 ისეთ ქვეყანას — როგორც ჩვენი საქართველოა,  
 რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერეს?  
 ვულკანური ორკესტრით უნდა ისმოდეს  
 გრძნობათა ჩვენთა და ოცნებათ ძლიერია ქნარი.



მენშევიური დიქტატურის დამყარებას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო მიეცა საქართველოსთვის „სიმშენიერე“.

პოეტის იდეალი იყო ხალხის სრული განთავისუფლება მონობის ბორკლისაგან. ლექსში „ფიქრი ზღვის პირას“ (1918 წ.) პოეტი ამბობს, რომ მის „სულს, ბრძოლაში ქცეულს ფოლადად, კვლავ ასხივოსნებს ოცნება მძაფრი“ მომავალზე, როცა თავისუფლების გრიგალი საბოლოოდ გაანგრევეს ძველი სამყაროს კედლებს და ხალხის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველო მოიპოვებს თავისუფლებას.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი განვითარების სწორედ აღნიშნული ხაზი უნდა ჩაითვალოს, ჩვენი აზრით, წამყვან ტენდენციად მის რევოლუციამდელ პოეზიაში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვივიწყებდეთ პოეტის ლექსების მთელ ციკლს, სადაც გამოხატულია სიმბოლისტურ-დეკადენტური განწყობილებები. საქმე ეხება მხოლოდ პოეტის რევოლუციური პოეზიის სათანადოდ შეუფასებლობას და ამ პოეზიის წამყვანი ტენდენციის გაუთვალისწინებლობას, რასაც ხშირად ვხვდებით ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში.

ამრიგად, გ. ტაბიძის რევოლუციამდელი შემოქმედება შეიცავდა საღ მარცვალს, რაც განვითარდა 20-ან და 30-ან წლებში, იმ პერიოდში, როცა საბოლოოდ ჩამოყალიბდა პოეტი, როგორც სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

პოეტის ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა, რაც განსაკუთრებული ძალით გაიშალა ახალი, სოციალისტური სინამდვილის პირობებში, ეყრდნობოდა პარტიულობის, ხალხურობის პრინციპებს. ჯერ კიდევ 1922 წელს პოეტი მოუწოდებდა რესპუბლიკის ლიტერატურულ ძალებს, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ახალი კულტურის, ახალი ცხოვრების შექმნაში, ახალ მშენებლობაში.

პროლეტარული რევოლუციის თემა გ. ტაბიძის პოეზიაში განსაკუთრებით დიდ ადგილს იკავებს 20-ანი წლების პირველ ნახევარში, როცა დიდი ოქტომბრის მზის სხივები აელვარდა ქართულ მიწაზე. ამ თემას პოეტი აშუქებს ფართო გაგებით: რევოლუციის გამარჯვებას განიხილავს არა მარტო ისეთ მომენტად, რომ რევოლუციური „გადატრიალება“ მოხდა, არამედ ამასთანავე ისეთ მომენტად, რომ ცხოვრებაში დამკვიდრდა რევოლუციის იდეალები. იგი ქმნის ეპიკურ ნაწარმოებს — პოემა „ჯონ რიდს“, რომელშიც გვიხატავს რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის გმირობას ოქტომბრის ისტორიულ დღეებში.

შრომა, შრომის პეროიკა, როგორც ადამიანის ძალის პოეზია, იმ ძალისა, რომელიც ადამიანის დიად კეთილშობილურ გრძნობებს წარმოშობს, მუდამ იყო სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთი ძირითადი თემა. მაგრამ ეს თემა განსაკუთრებული ძალით აელვარდა სოციალიზმის მშენებლობის პერიოდის საბჭოთა ლიტერატურაში. ამ პერიოდის მხატვრული ლიტერატურის მთავარი გმირი, როგორც ცნობილია, გმირი-მშენებელი გახდა. ეს სავსებით კანონზომიერია, რადგან აღნიშნულ პერიოდს ახასიათებდა, უწინარეს ყოვლისა, მშენებლობის პათოსი.

„ეროვნული განვითარების ყოველ პერიოდს აქვს თავისი პათოსი, — ამბობდა ი. ბ. სტალინი 1929 წელს. — რუსეთში ჩვენ ახლა გვაქვს მშენებლობის პათოსი. ეს არის ახლა მისი უმთავრესი ნიშანი. ამით აიხსნება ის, რომ ჩვენ ახლა განვიცდით საშენებლო გატაცებას“.

ამ მშენებლობის წამყვანი ძალა იყო მუშათა კლასი ქალაქად და კოლმეურნე გლეხობა — სოფლად. საბჭოთა მწერლების შემოქმედებებში შრომის პათოსი მკიდროდ არის დაკავშირებული სოციალიზმთან. ისინი — გვიჩვენებენ, როგორ შენდება სოციალიზმი შრომით, რაოდენ განუყოფელია სოციალიზმი და შრომა.

ამ შრომითს ბრძოლაში კემმარტი მხატვრის ადგილი მოწინავე პოზიციები იყო:

თვითელი პოეტი  
ახლა ინჟინერია,  
ახალ დღეთა აგება  
მის დრომანვე სწერია —

ამბობს გ. ტაბიძე.

მხატვრულ ნაწარმოებში მოცემული ადამიანის სახე ურთულესი ქმნილებაა. მწერალი მხატვრულ სახეს ისე ქმნის, როგორც მშენებელი ხუროთმოძღვარი სასახლეებს მთელი მათი შინაგანი და გარეგანი დეტალებით. მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა. მწერლის ობიექტი ხომ თვითონ შემოქმედი ადამიანია, მისი ფსიქიკა. მწერლისათვის აუცილებელია დაკვირვების დიდი უნარი, იგი ზედმიწევნით უნდა იცნობდეს მუდამ მჩქეფარე ცხოვრებას, აქტიურად მონაწილეობდეს ამ ცხოვრების, მშენებლობაში, სწვდებოდეს ჩვენი დიდი დღეების შინაარსს, ეუფლებოდეს ცოცხალ მასალას. ამ ცოდნითა და სულისკვეთებით შექმნილი მხატვრული სახე, თავის მხრივ, აქტიურად მოქმედი ძალა ხდება და ეხმარება მშენებლებს ან როგორც მისაბაძი მაგალითი (დადებითი სახე), ან დაგმობის ღირსი მაგალითი (უარყოფითი სახე).

მშენებლის წარმტაცი სახე განსაკუთრებით მკაფიოდ და რელიეფურად გამოიხატა გ. ტაბიძის პოეზიაში 30-ან წლებში. ასეთი სახის შექმნა ლირიკაში, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია სპეციფიკურ სიძნელეებთან. ლირიკაში ფართო კომპოზიციური გეგმა არ არის. ეს კი დიდად ართულებს ისეთი გამოკეთილი მხატვრული სახეების შექმნას, როგორსაც ვხვდებით, მაგალითად, ეპოსში. მიუხედავად ამისა, გ. ტაბიძის ლირიკაში არის პოეტური პლანის ამ სიფიწროვის დაძლევის საყურადღებო ცდა. პოეტი ქმნის ისეთი ლექსების ციკლს, რომლებიც გამსჭვალულია ერთი ძირითადი იდეით.

ციკლად გაერთიანებული ლექსები, თუმცა არ შეიძლება ჩაითვალოს ახალ ენარად, მაგრამ ეს სახე მხატვრული ფორმის მნიშვნელოვან განვითარებას წარმოადგენს. იგი ეპოსისა და ლირიკის შუალედი რგოლია. ეპოსთან ასეთ ლექსებს ანათესავენ ის, რომ ისინი ფართოდ მოიცავენ მოვლენებსა და სახეებს, ლირიკასთან კი მათ აკავშირებს კონკრეტული განცდის გამომხატველი ხასიათის შექმნა, ტიპურ სახეთა ინდივიდუალიზება.

გ. ტაბიძე საბჭოთა პოეზიაში ერთ-ერთი პირველი ქმნის ასეთ ფორმას: 20-ანი წლების დამლევს იგი წერს დიდ ციკლს — „ეპოქას“, 30-ან წლებში — „რევოლუციურ საქართველოს“ და ლექსების ციკლს ევროპის შესახებ.

„ეპოქაში“ პოეტი შთაგონებით წარმოსახავს რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციის პროცესის უჩინო სურათებს. ამ ლექსებში, ისევე როგორც წინანდელი და შემდგომი პერიოდების ლექსებში, ყოველგან და ყოველთვის გვივლენება პოეტი ცხოვრების ახლებურად გარდაქმნისათვის ბრძოლის აქტიურ მო-

ნაწილედ. ეპოქის გვერდით იარეთ, წადით! — მიმართავს იგი თავის თანამო-  
კალმეთ.

„პოეტის ელერადი სიმღერა“ მას მიაჩნია „თავისუფალი მრთმის“ მიმხედ-  
თავისი ლექსების მებრძოლი ხასიათის შესახებ პოეტი ამბობს: „ლექსი ყო-  
ველთვის იყო ხანჯალი, ლექსი მტრებისთვის იყო სიკვდილი“.

„ეპოქის“ ძირითადი სახეებია: შრომა და მისი შემოქმედი — უბრალო საბ-  
ჭოთა ადამიანი, ეპოქის ახალი ადამიანი — დიდების მწვერვალზე აყვანილი;  
ახალი სამყაროს წარმოშობა და ამ წარმოშობის პროცესი; სოციალიზმის,  
კომუნისზმის დიადი შენობის მშენებლობა; მშობლიური კომუნისტური პარტია.

სოციალისტური მშენებლობის ისტორიულ წლებში პოეტი ქმნის შრომი-  
სა და ბრძოლის სიმფონიას:

„ვქვით — სიმღერა თუჯის,  
ვქვით — ფოლადის ჰანგი,  
ვქვით — დროშები ქუჩის,  
ვქვით — ბრძოლების ზანგი,  
ვქვით — მრისხანე ბრძოლა,  
ვქვით — მქუხარე ეხო,  
ვქვით — ცაცხლისა ქროლა,  
ვქვით — სიმღერა ვქვით,

ვქვით — ახალი ალყა,  
ვქვით — ოქტომბერთ რიცხვი,  
ვქვით — ცხოვრება ტალის,  
ვქვით — ცეცხლის და რისხვის,  
ვქვით — რაც წინად ვენესდა,  
ვქვით — ვალეძოთ, გრეთოთ,  
ვქვით — შევხელოთ მზეს და  
ვქვით — ზერ ვქვით, ვქვით“.

ლექსი „ძველი და ახალი ხიდი“ დამახასიათებელი კომენტარია იმ განზო-  
გადებისა, რომელიც ცხოვრების კონკრეტულ ფაქტს ენიჭება მწერლის შემოქ-  
მედებაში. ზემო აქვალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის გამო და-  
გუბებულმა მტკვრისა და არაგვის წყალმა დაფარა ძველი მცხეთის ხიდი. გარ-  
დასულ დროთა მოწმე, მრავალი განსაცდელის გამონაცადი ხიდი, რომლის მო-  
აჯირის ნანგრევები ჯერ კიდევ ჩანს წყალში, ახლა საცოდავი სანახაობაა. ამ  
ძველი ხიდის გვერდით აიგო ახალი ხიდი. ჩვენი დღეების სინამდვილის ეს კონ-  
კრეტული ფაქტი იმის საბაზი გახდა, რომ პოეტს შეექმნა ლექსი, რომელშიც  
ნაჩვენებია ძველის ნგრევისა და ახლის შექმნის ფართო ჰორიზონტები.

ლექსთა ციკლში „რევოლუციური საქართველო“ ამ სახეებსა და მოტივებს  
ემატება ის ახალი მოვლენები სოფლად, რომლებიც 30-ანი წლების მიჯნაზე  
განვითარდა.

მოწინავე იდეებით შეიარაღებულ მხატვარს შეუძლია სიმართლით ასახოს  
არა მარტო თავისი ხალხის, არამედ, აგრეთვე, მსოფლიოს სხვა ხალხების ცხოვ-  
რება. აიარალებს რა საზოგადოების განვითარების კანონთა ცოდნით, მარქსიზმ-  
ლენინიზმი ჩვენს მწერლებს — სოციალისტური საზოგადოების მხატვრებს —  
შესაძლებლობას აძლევს მკაცრად ამზილონ თანამედროვე იმპერიალიზმი და  
გვიჩვენონ კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის განთავისუფლების გზა.

სოციალისტურმა რეალიზმმა შექმნა დასავლეთ ევროპის იმპერიალისტე-  
ბის მხილების მშვენიერი ტრადიცია. მაქსიმ გორკიმ რუსეთის პირველი რევო-  
ლუციის წლებში დაწერა ფართოდ ცნობილი ნარკვევი-პამფლეტები „ამე-  
რიკაში“, რომლებშიც დაგვანახვა კაპიტალიზმის მანკიერება, მისი ხარბი ბუ-  
ნება, ექსპლოატაციისა და უმუშევრობის; ჩაგვრისა და ძარცვის სამყაროს და-  
ღუპვის გარდუვალობა. ვ. მაიაკოვსკიმ ბურჟუაზიული დასავლეთისა და ამე-  
რიკის შესახებ 20-ან წლებში შექმნილ ლექსებსა და ნარკვევებში ჩვეული რე-  
ვოლუციური უღმობლობით ჩამოხადა ნიღაბი იმპერიალისტურ სამყაროს, მის  
„კულტურას“ და მოუწოდა მათ წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ:

გ. ტაბიძემ განავითარა სოციალისტური რეალიზმის ეს შესანიშნავი ტრადიციები. 1935 წელს გ. ტაბიძე გაემგზავრა საფრანგეთში დამონაწილეობდა კულტურის დაცვის მსოფლიო კონგრესში. ამ მგზავრობიდან დაბრუნების შემდეგ პოეტმა შექმნა დიდი ციკლი ლექსებისა ევროპის შესახებ.

კაპიტალისტურ ევროპაში საბჭოთა მწერალმა დაინახა მშრომელი ადამიანის მხეცური ექსპლოატაცია, მისი საშინელი ჩაგვრა; დაინახა მამაცი ადამიანების ბრძოლა მომავალი ბედნიერებისათვის.

გ. ტაბიძემ დიდი ოსტატობით აღბეჭდა კაპიტალისტური სამყაროს საშინელებანი, საბჭოთა ადამიანის შთაბეჭდილებანი. ამ ციკლის ბევრი ლექსი პოეტმა მიუძღვნა პარიზის უბრალო ადამიანებს. პოეტის ლექსებში მთელი მკაფიობით ნაჩვენებია ნამდვილი სახე «ყვითელი ეშმაკის» კერპებისა, რომელთაც მწერალი გმობს, როგორც კაცისმკვლელებს.

გ. ტაბიძემ ამ ლექსებში ნათელყო, თუ როგორ იტანჯება ფრანგი ხალხი იმპერიალიზმის უღელქვეშ, დაგვანახვა, რომ იქ სუფევს სიკვდილი და მწუხარება, რომ ქუჩებში დახეტიალობენ უსასოო უმუშევრები, ვისთვისაც «არ არის ამ ქვეყნად სახლი, არც-კარებია შესაღებელი».

პოეტი ხედავს პარიზის მომხიბვლელ ცას, მაგრამ ეს ხილვა მას გულს უმწარებს, რადგან ამ ცის ქვეშ უბინაოდ დაეხეტება პატარა ბავშვის დედა; «სანაპიროს ნაგვის ყუთში გულსაკლავად სძინავს პიერს». პოეტი გვეუბნება, რომ იქ ადამიანები ტყვეობაში ჰყავს ოქროს, რომელიც კაპიტალისტებმა მილიონობით მშრომელის უბედურების წყაროდ გადააქციეს, რომ ფრანგების ღედაქალაქში პარპაშებენ უცხოელი ბიზნესმენები და რომ ინგრევა საფრანგეთის მთელი მეურნეობა.

გ. ტაბიძე არ სჯერდება კაპიტალისტური საფრანგეთის ნამდვილი სახის ჩვენებას. მისი ლექსების ძალა არა მარტო ის არის, რომ ისინი ამხილებენ კაპიტალიზმის მხეცურ სახეს, არამედ ისიც, რომ პოეტი ხედავს საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციას, ხედავს იმ ძალებს, რომლებიც მოწოდებული არიან მოახდინონ დიადი რევოლუცია და თავიანთი მრავალტანჯული ქვეყანა გაათავისუფლონ კაპიტალის უღლისაგან. იგი ხედავს რურის მემახტეებსა და პარიზის მუშებს — კომუნარტა შთამომავლებს. მათ მოუწოდებს პოეტი დაირაზმონ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ლექსში «ჰანრი ბარბიუსის კონგრესზე» პოეტი ჰანრი ბარბიუსის სახით გვიჩვენებს რევოლუციურ საფრანგეთს, მის «ბრწყინვალე და მზიურ მომავალს».

იმპერიალისტური ომისა და მის ამტეხთა წინააღმდეგ, კაპიტალიზმის ბატონობის წინააღმდეგ ფრანგი ხალხის ბრძოლას ხელმძღვანელობს საფრანგეთის კომუნისტური პარტია. ლექსი «ლუმანიტი» ასახავს, თუ რა როლს ასრულებს პარტია და მისი პრესა განთავისუფლებისათვის ბრძოლის ორგანიზებაში. აქ ნაჩვენებია, როგორ აძლიერებს ხალხის საბრძოლო სულისკვეთებას კომუნისტური გაზეთი «ლუმანიტი» — მილიონობით მშრომელის საყვარელი გაზეთი, როგორ ეხმარება იგი მშრომელებს ნათლად დაინახონ მომავალი გამარჯვება.

პოეტი ვიფელის კოშკზე დგას და გადააკურებს მთელ პარიზს, რომელიც იმპერიალიზმის წყვდიადშია გახვეული. მას სჯერა, რომ საფრანგეთის რევოლუციური ხალხი ამ წყვდიადს გაფანტავს და თავისუფლებასა და ბედნიერებას მოიპოვებს.

საბჭოთა ადამიანი, რა შორსაც უნდა იყოს წასული თავისი ქვეყნიდან, მუდამ ფიქრობს სამშობლოზე, თავის ხალხზე, სოციალიზმზე, ცხოვრების გარდაქმნის დიად პროცესში მიღწეულ ისტორიულ გამარჯვებებზე. ფიქრები სამშობლოზე“, „მოგონება მშობლიური მხარის“ და სხვა ლექსები გამსჭვალულია საბჭოთა პატრიოტიზმის დიადი გრძნობით. ამ ლექსებში პოეტი ჩვენს ქვეყანას, მის შესანიშნავ ადამიანებსა და აყვავებულ ცხოვრებას უპირისპირებს კაპიტალის სამყაროს, აჩვენებს ჩვენი ყოფის სიდიადესა და უპირატესობას.

ევროპის ხალხთა ნათელ მომავალზე, მათ ბედნიერებაზე დიდი ოცნებით ტოვებს პოეტი დასავლეთ ევროპას, მოუწოდებს პროგრესისა და დემოკრატიის ძალებს — იბრძოლონ შავი რეაქციის წინააღმდეგ.

ასე განუყრელად არის დაკავშირებული გ. ტაბიძის 30-ანი წლების შემოქმედებაში საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიისა და კოლექტიური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ჩვენი სოციალისტური კულტურის განვითარებისათვის ბრძოლის თემა საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თემასთან.

ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის თემა ძირითადი თემა გახდა არა მარტო გ. ტაბიძის პოეზიაში, არამედ 30-ანი წლების მთელ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. პ. ჩხიკვაძე, ი. ლისაშვილი, ბ. ჩხეიძე და სხვები ქმნიან წარმოებისადმი მიძღვნილ რომანებს, მოთხრობებსა და ნარკვევებს. ლ. ქიაჩელი, კ. ლორთქიფანიძე, ა. კეიშვილი, კ. გამსახურდია და სხვები წერენ რომანებს საკოლმეურნეო სოფელზე. გ. ლეონიძის, ა. მირცხულავას (მაშაშვილის), კ. კალაძის, ს. შანშიაშვილის, გ. ქუჩიშვილის, ს. ჩიქოვანის, ი. აბაშიძის, ს. ეულის, ი. მოსაშვილის, გ. აბაშიძისა და სხვათა პოეზიაში ასახულია ახალი ცხოვრების დამკვიდრება ქალაქად და სოფლად.

30-ანი წლების პირველ ნახევარში ბელეტრისტი პანტელეიმონ ჩხიკვაძე აქვეყნებს რომანს — „სართულები“. ეს ნაწარმოები ტიპიური იყო იმ პერიოდისათვის ქართულ პროზაში, როგორც რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ზრდის ჩვენება.

რომანის სიუჟეტს ავტორმა საფუძვლად დაუდო ფაბრიკის მშენებლობა თბილისის ერთ-ერთ რაიონში — დიდუბეში. სწორედ ამ მთავარი ხაზის გარშემო ვითარდება ნაწარმოებში ეპოქის დამახასიათებელი ბევრი საინტერესო მოვლენა.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის თემამ და, ამასთან, საკუთარი ტექნიკური ინტელიგენციის შექმნის, ტექნიკის დაუფლების, საბჭოთა მუშის კულტურული ზრდის, სტახანოეური შრომის მეთოდების დანერგვისა და სხვა თემებმა წამყვანი ადგილი დაიკავა 30-ანი წლების ქართულ ლიტერატურაში.

ამ პერიოდს ეკუთვნის ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ა. მირცხულავას (მაშაშვილის) ეპიკური პოემის „ენგურის“ შექმნა.

პოეტი გვიჩვენებს ენგურის ქალაქის ფაბრიკის მშენებლობას, იმ ადამიანების სახელოვან შრომას, რომლებმაც დაარღვიეს ენგურის ხეობის საუკუნოვანი სიმშვიდე და ბუნება ჩააყენეს სოციალისტური მრეწველობის სამსახურში.

ბ. ჩხეიძის ნაწარმოებში „ფერო“ ჩვენ ვხედავთ ზესტაფონის ფეროშენადლობთა ქარხნის — პირველი სტალინური ხუთწლედის პირმშოს — მშენებლო-

ბის პროცესს. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის თემისადმი მიძღვნილი, აგრეთვე, ი. ლისაშვილის რომანი „ვარდნილი“, ა. გომიაშვილის პოემა „სიმღერა საყელავ მანქანაზე“ და მთელი რიგი სხვა ნაწარმოებნი, რომლებიც გვთავაზობენ საქართველოს სოციალისტური მრეწველობის ზრდას, სტკლანქანაზე მრეწველობის გმირ ადამიანებს, გვიჩვენებენ ჩვენი აგრარული ქვეყნის ინდუსტრიულ ქვეყნად გარდაქმნის პროცესს.

გარდაქმნის პროცესი მიმდინარეობდა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

ჩვენი ყოფის სოციალისტური გარდაქმნის დიდი თემისადმი არის მიძღვნილი ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“. ეს რომანი მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 30-ანი წლების ქართულ ლიტერატურაში და ახალი ნაბიჯი იყო მწერლის შემოქმედებაში.

ლ. ქიაჩელის პირველი თვალსაჩინო ნაწარმოები — „ტარიელ გოლეა“, რომელიც დაწერილია ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე, წარმოადგენდა არა მარტო მნიშვნელოვან რეალისტურ ტილოს საერთოდ, არამედ სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებიც იყო მისი დამკვიდრების პერიოდისა. „გვადი ბიგვა“ კი შემდგომი ახალი ეტაპია მწერლის განვითარებაში.

ეს რომანი ასახავს საბჭოთა სოფელში მომხდარ ახალ ცვლილებებს, ძველის დაღუპვას და ახლის წარმოშობას, სოციალისტური სინამდვილის ზემოქმედებით ადამიანის გარდაქმნას. ლ. ქიაჩელმა შეძლო აესახა ცხოვრების სიმართლე, ეჩვენებინა თვით სინამდვილის სწრაფი რევოლუციური ზრდა და მისი რევოლუციური ზემოქმედება ადამიანებზე. რომანმა დიდი როლი შეასრულა, როგორც სოფლის მშრომელთა სოციალიზმის სულისკვეთებით აღზრდის საშუალებამ. ამ მომენტებმა „გვადი ბიგვა“ სოციალისტური რეალიზმის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვში დააყენეს.

ლ. ქიაჩელის რომანებში, უწინარეს ყოვლისა, „გვადი ბიგვაში“ პირველ პლანზე წამოწეულია საზოგადოებრივი მოტივი, სოციალური პოლიტიკური და არა ფსიქოლოგიური კონფლიქტია. რომანის სიუჟეტის საფუძველი სწორედ ეს კონფლიქტია. გვადის ისტორია არ არის წარმოდგენილი, როგორც ცალკე სიუჟეტური ხაზი. რომანის სიუჟეტის ხაზია ახლის, ე. ი. სოციალისტური შეგნებულობის, ბრძოლა ძველის, ე. ი. ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების, წინააღმდეგ. გვადის, გოჩას, არჩილის, გერას ისტორია კი სიუჟეტის შემადგენელი ნაწილებია. გვადის კონფლიქტს სინამდვილესთან და ამ კონფლიქტის გადაწყვეტას მწერალი გვიჩვენებს გმირის ურთიერთობაში გარემო წრესთან. ეს ურთიერთობა ახალი ცხოვრების, მისი სიმართლის საფუძველზე შენდება.

სოციალისტური სინამდვილე, ახალი ცხოვრების სიმართლე ზემოქმედებას ახდენს წარსულის ადამიანებზე. აცილებს მათ წარსულის ჭუჭყს და სოციალიზმის მშენებელთა რიგებში აყენებს. — ესაა „გვადი ბიგვას“ ძირითადი სიუჟეტური ხაზი.

რომანის კვანძი, განვითარება, კულმინაცია, კვანძის გახსნა შეიცავენ საზოგადოებრივი ცხოვრების მასალას და მიზნად ისახავენ არა ცალკეული ადამიანების ხასიათის განვითარებულ ამოხსნას, არამედ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ნიშნების გაშუქებას. რომანში ნაჩვენებია ამ

ახალი ურთიერთობის ძალა სოფლად. მის ცხადად ჩვენებას ემსახურება ლ. ქიაჩელის რომანის სიუჟეტური აგებულების ყველა კომპონენტი.

ხასიათის ზრდის გაშუქება დადებითი გმირის ჩვენების მნიშვნელოვან ელემენტია; გმირის ზრდის ისტორია გვიჩვენებს განვითარების კანონზომიერებას მის კონკრეტულ გამოვლინებაში. ასეთი ზრდა გვიჩვენებს მწერალმა ტარიელისა და ლევანის („ტარიელ გოლუა“), ბათუ ქარდუასა და კირილე გორაკოვის („მთის კაცი“) სახეებით. ავტორმა დაგვიხატა უკვე ჩამოყალიბებული დადებითი გმირების განვითარება.

„გვადი ბიგვაში“ ლ. ქიაჩელმა დაისახა სხვა, უფრო რთული ამოცანა. აქ მან დაგვანახვა უარყოფითი მდგომარეობიდან დადებითში გადასვლის პროცესის კანონზომიერება, ნათელყო წარსულის შხამით მოწამლული ადამიანის ფსიქიკაში სოციალისტური შეგნების გამარჯვების პროცესის კანონზომიერება.

ასეთი ფსიქიკის გამომუშავების პროცესს ავტორი გვიჩვენებს ორი კონკრეტული სახის — გვადისა და გოჩას მაგალითით. გვადის უარყოფითი მხარეები უფრო მკვეთრად ჩანს, ვიდრე გოჩასი. იგი ძველ ცხოვრებას პატიოსანი შრომის გზიდან გადაუგდია. სოფელში მუქთახორად მიაჩნია ყველას; კოლმეურნეობის ყანებში მუშაობას გაურბის; ქურდობს; ბაზრებზე დახეტიალობს; მოსურად ემსახურება ყოფილ აზნაურ ფორიას, რომელთანაც ერთ დროს მოჯამაგირედ მუშაობდა; განუწყვეტელ გაჭირვებას და სილატაკეს გვადი ისე დაუბეჩავებია, რომ თითქმის ჩამკვდარა მის გულში ადამიანის ღირსების გრძნობა, თითქმის დაუქარგავს სიკეთისა და ჯანსაღი ძალების რწმენა; ფორიასა და სხვა მძარცველებს მისი ახალგაზრდობა მოუწამლავთ, თავიანთი ნების მორჩილ შემსრულებლად გაუხდიათ იგი.

მაგრამ აი, გვადი ძველ ცხოვრებას ტოვებს და ახალ ცხოვრებას იწყებს. მას კოლმეურნეობაში იღებენ. მის წინაშე ისახება ფართო შესაძლებლობანი. შეუძლია თავი დააღწიოს სილატაკეს. მიუხედავად ამისა, წარსულს ისე დაუბნელებია გვადის შეგნება, რომ ვერ ხედავს ბედნიერების გზას.

ძველი ურთიერთობიდან მან ერთი „გაკვეთილი“ მიიღო: რომ გამდიდრდე, უნდა მოიპარო; და გვადი იპარავს, იპარავს თავისი ეზოს მანდარინებსაც კი, შეილებიანაგან ფარულად მიაქვს ბაზარზე გასაყიდად.

ძველი ყოფის ნაშთები თავს იჩენს გოჩა სალანდიას მოქმედებაშიც. ისიც ბიგვასავით გაურბის კოლმეურნეობაში მუშაობას. მთელი მისი ყურადღება მიპყრობილია კერძო საკუთრებისადმი, რომელსაც საკოლმეურნეო საკუთრებაზე მაღლა აყენებს.

საშუალო გლეხი სალანდია თემცა შევიდა კოლმეურნეობაში, მაგრამ ჯერ კიდევ უჭირს დააღწიოს თავი კერძო საკუთრების ჩვეულ გრძნობას; საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა აყენებს მას. კოლმეურნეობა ეს არის შეიქმნა. კლასობრივი მტერი ფორია ჯერ კიდევ გავლენას ახდენს გოჩას შეგნებაზე და ცდილობს გადაჰკიდოს ის კოლმეურნეებს. გოჩა მშრომელი გლეხია. კოლმეურნეობაში შევიდა, სწორი გზა აირჩია. მაგრამ საშუალო გლეხის შეგნებაში გარდატეხა უმტკივნეულოდ როდი მოხდა. მას შინაგანი ფსიქიკური გარდაქმნით უნდა მოგვბოვებინა თავისი მომავალი ბედნიერება. ეს კარგად არის წარმოსახული რომანში.

გვადის ზრდისა და განვითარების გზა გაცილებით უფრო რთულია; მასზე მეტი გავლენა უნდა მოახდინოს სინამდვილემ, რათა აღიდგინოს ყველა ადამიან-

ნური თვისება. ბუნებას იგი ნიჭით დაუჯილდოებია. მისი დამახასიათებელი ნიშნებია: მოხერხებულობა, ქვეა, მოსწრებული სიტყვა, მახვილი ჰუმორი. მაგრამ ძველმა ცხოვრებამ, სილატაკემ, მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ წაშლავს არ მისცეს გვადის გაეშალა თავისი ნიჭი, სათანადო მიმართულებით წარმართა იგი.

გაეხსენოთ რომანის დასაწყისი: აი ჩვენს წინაშეა დაბეჩავებული და, ამავე დროს, გაბოროტებული ადამიანი თავისი დამახასიათებელი ფსიქოლოგიით. მისი სიბეჩავე თვალში გეცემათ, როგორც ზღურბლზე გადმოალაჯებს და უახლოვდება შვილს. ტანსაცმელი და სახის გამომეტყველება ამ სიბეჩავეს სრულ სურათს ქმნის. თუმცა მისი სიფრთხილე იმით არის გამოწვეული, რომ არ გააღვიძოს ბავშვები, რომლებსაც უპირებს თიყნის წართმევას. მაგრამ მისი ნებისყოფის სისუსტე სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ვერ ბედავს თვალი გაუსწოროს საკუთარ შვილებს თავისი ქცევის შემდეგ.

ეს შინაგანი სულიერი სიბეჩავე მას უკვე აბრაზებს. იგი გაბოროტებით ლაპარაკობს ოთხ დაბეჩენილ პირზე, რომლებიც „ჩასახეთქს და გამოსატენს“ მოითხოვენ. ამავე დროს, მის სიტყვებში გაისმის შიში, შეშფოთება და დაცინვა. ყველა ეს გრძნობა გაბოროტებასა და სიბეჩავეს გამოხატავს.

მაგრამ რაღაც იმედი მაინც ღვივის მის გულში. გვადი მთლად დაკარგული კაცი არ არის. მან იცის, რომ გაპირებულია, და ეს აძაბუნებს მას. მაგრამ რაღაც მაინც სწამს. ვთქვათ, გვადი დიდად ცდება და ის სწამს, რაც არ უნდა სწამდეს, არ იცის, რას უნდა ეყრდნობოდეს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ რაღაც რწმენა მაინც შერჩენია. ეს რწმენა გამოსქვივის მის „ფართოსან“ სიტყვებში უკეთესი მომავლის შესახებ. არა, გვადი არ დაკარგულა ამ ქვეყნისათვის! იგი ოცნებობს უკეთეს ცხოვრებაზე. გვადი აქებს თავის უფროს შვილს და, თუმცა ამ ქების მიზანი ის არის, რომ მოადუნოს შვილის სიფხიზლე, მაგრამ ობიექტურად აქაც მეღაღენდება ოპტიმიზმის რაღაც ნიშანი.

მხატვარმა განზრახ დააჯახა ერთმანეთს ორი დაპირდაპირებული განწყობილება, როგორც შინაგანი ბრძოლის წარმოშობა. თუმცა ნამდვილი ბრძოლა, რომელიც ძირეულ ცვლილებას იწვევს, ე. ი. ბრძოლა ძველ — დრომოჭმულსა და ახალგაჩენილს — პროგრესულს შორის გვადი ბიგვას ფსიქიკაში ჯერ კიდევ სრულად არ გაშლილა, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები ამ ბრძოლას მასში უთუოდ გაამწვავებენ და ამის შედეგად ძირეული ცვლილებაც მოხდება. ეს იცის მწერალმა და სწორედ იქცევა, როცა ხატავს ტიპს, რომლის შეგნებაში ცოცხლობს ოპტიმიზმის მარცვალი.

გვადი ტიპიური მატყუარაა. მისი სიცრუე მეღაღენდება, როგორც სოციალური მოვლენა. იგი სიცრუეს მიეჩნია ძველ დროს, რათა თავისი ცხოვრება უკეთ მოეწყო. ახლა კი იცის, რომ სიცრუემ ვერ უშველა, მაგრამ ამ თვისებას მაგრად აქვს გადგმული ფესვები მის შეგნებაში. გვადი ისე ოსტატურად ცრუობს, რომ ისეთ გამჭრიახ დედაკაცსაც კი გააცურებს, როგორც არის მარიამი, რომელმაც ყოველი მისი ასაველ-დასაველი იცის.

მაგრამ მარიამთან შეხვედრას უშედეგოდ არ ჩაუვლია. გვადის სულში რაღაც სირცხვილის გრძნობამ გაიღვიძა.

მანამდე კი გვადის შვილმა მოაგონა, კოლმეურნეობას გადაუწყვეტია, ოდა აგვიშენოს და ჯარგულიდან გამოგვიყვანოსო. ყოველივე ამას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმ ადამიანისათვის, რომელიც, ბოლოს, უნდა დასდგომოდა ნამდვილ გზას და დაეწყო ადამიანური ცხოვრება. თუმცა გვადის არა სჯერა,



რომ ახალ სახლს აუშენებენ, მაგრამ მის არსებაში ფეხს იკიდებს ის შეგნება, რომ აუცილებლად საჭიროა მდგომარეობის შეცვლა.

ამ მომენტიდან გვაღი ბიგვას შეგნებაში განსაკუთრებით მდგომარეობა ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. მართალია, ძველი შეგნებაში წარსულის გადმონაშთი ჯერ კიდევ მაგრად არის ფეხმოდგმული და იბატონებს იმ ბედნიერ შემთხვევამდე, რომელიც რამდენადმე უფრო გვიან მოხდება კოლმეურნეთა კრებაზე, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ ახალი უკვე შეიქრა მის შეგნებაში და იბრძვის ძველის წინააღმდეგ.

ამ ბრძოლის გამო გვაღი შუა გზაზე შეჩერდა და კინაღამ დაბრუნდა კოლმეურნეობაში სამუშაოდ.

ამ ბრძოლამ მას გაუღვიძა ღირსების გრძნობა. გვაღი თავის შეგნებაში უკვე გაბედულად შეესიტყვება ხოლმე სალანდიას, რომელმაც მას ნაცარქექია უწოდა; თუმცა გაუბედავად, მაგრამ წინააღმდეგა არჩილ ფორიას, რომელსაც სურდა იგი წინანდებურად მუქთად გამოეყენებია.

გვაღიზე ბევრი რამ ახდენს გავლენას: იმედგაცრუება ქალაქში უბედო წასვლის გამო, მარიამის შეხედრა, კოლმეურნეთა მეგობრული დამოკიდებულება, არჩილ ფორიას სიცრუე. ბოლოს, იგი დიდად შეაძრწუნა სცენამ, რომელიც ფარულად ნახა: უფროსი შვილი — ბიონერი ბარდლუნია, რომელიც თვლისწინივით უვლის ეზოში დარგულ რამდენიმე ძირ მანდარინს, ცდილობს გამოტეხოს თავისი პატარა ძმები — რომელმა მოწყვიტა მანდარინები, და დამნაშავე მკაცრად დასაჯოს. ბარდლუნიას აზრადაც არ მოსვლია, რომ ამას იზამდა მამამისი. ნამდვილი ქურდი ლაფარეში ფარულად დგას, იქიდან უყურებს ამ სურათს და ვერ შეულის პაწიებს, რომლებიც უმართებლოდ ისჯებიან.

ყოველივე ეს მოქმედებს გვაღის შეგნებაზე, მაგრამ გადამწყვეტი მომენტი არ არის. ასეთი მომენტები მხოლოდ ავსებენ იმ ძირითად გავლენას, რომელსაც გვაღიზე ახდენს თვით ცხოვრება, ახალი სინამდვილე. სწორედ ეს სინამდვილე ჩაბამს მას აქტიური საკოლმეურნეო შრომის პროცესში. მუშაობა მის სულს აკეთილშობილებს. იგი ხედავს, რომ შეძლებულ ცხოვრებას მოიპოვებს მხოლოდ კოლმეურნის პატიოსანი შრომით; მხოლოდ ამ გზას ამოჰყავს გვაღი ფსიქიკიდან, სადაც იგი ჩააგდო რევოლუციამდელმა წარსულმა.

აქტიური შრომის პროცესში რომ ჩაება, გვაღი გრძნობს მეზობლების მხარდაჭერას, გრძნობს, რომ მას უბედურებაში არ დატოვებენ, რომ არის საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც დაიცავს მას ფორიას მსგავსი მტრებისაგან.

ადამიანის ფსიქიკის გარდაქმნის პროცესი რთული და ძნელი პროცესია. ის თანდათანობით მიმდინარეობს, დიდ უნარს, დაძაბულობას, დროს მოითხოვს. ამიტომ მწერალი თავის გმირს ერთბაშად ვერ აქცევდა ახალ ადამიანად, ისეთ ადამიანად, რომელსაც სრულიად შეცვლილი ფსიქოლოგია აქვს. გვაღი ბიგვას მსგავსი ადამიანები ერთბაშად როდი ხდებიან სოციალისტურად შეგნებულნი.

თავის ფსიქიკაში დაწყებულმა ბრძოლამ გამოიყვანა გვაღი სახელოვანი შრომის ასპარეზზე, აამალა მისი შეგნება, მაგრამ ამ შეგნებაში ახალს საბოლოოდ ჯერ კიდევ არ გაუმარჯვია. ამიტომაც, რომ ბიგვას საბოლოოდ ვერ გაუწყვეტია კავშირი არჩილ ფორიასა და მის კომპანიასთან. ამიტომაც, რომ იგი მალულად სვამს მწყემს პახვალას ღვინოს. საკვირველი როდია ისიც, რომ გერას დავალებით პატრონთან — გოჩა სალანდიასთან წაყვანილი კამეჩი გვაღიმ თავის ეზოში შეიყვანა, ადვილად დაემორჩილა ცთუნებას და მოსწველა — მო-

ჰმარა რძე მეზობელს, რაკი იცოდა, რომ ადვილად შეიძლებოდა ბრალი სხვისთვის დაედო. მაგრამ საყურადღებოა, რომ გვადი უკვე ეძებს მიზეზს თავის გასამართლებლად, „სინდისის დასამშვიდებლად“.

ეტყობა, გვადის ჯერ კიდევ ნათლად არა აქვს შეგნებული, რომ კოლმეურნეობის პატიოსანი მშრომელი რომ ყოფილიყო, უკეთეს მეწველ კამეჩსაც კი გაიჩენდა. მაგრამ კამეჩთან დაკავშირებული ფიქრი მას ახალ ვარაუდს აკეთებინებს და მის ოცნებას ავითარებს: ასეთი განძი რომ ჰყავდეს, იგი მას გამოიყენებს თავისი ოჯახის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. გვადი „რთულ არითმეტიკას“ მიმართავს. რძე ხელს შეუწყობს შვილების მალე გაზრდას და მათი მუშაობით ოჯახს ხუთი შრომადღე მოემატება. შარშან კოლმეურნეებმა შრომადღეზე რვა მანეთი ფული, სიმინდი, ლობიო, ბრინჯი და ბევრი სხვა პროდუქტი მიიღეს. მამასადამე, გვადი ბიგვას წილად დღეში ხუთჯერ რვა მანეთი ფული და ხუთ-ხუთი ულუფა სიმინდი და ლობიო მოვიდოდა. წელს კი მოსავალს ისეთი პირი უჩანს, რომ შრომადღეზე თერთმეტ მანეთსა და პროდუქტების უხვ მოსავალს მიიღებენ! მამასადამე, ხუთჯერ თერთმეტი გამოდის. ახლა, ეს გაამრავლე წლის შრომადღეთა რიცხვზე... გვადისათვის გამოთვლაც კი ძნელია!

ამრიგად, ბიგვასათვის კამეჩი საბოლოო მიზანი როდია. შეძლებული ცხოვრების მთავარ წყაროდ მას უკვე მიაჩნია კოლმეურნეობის ყანებში პატიოსანი შრომა. ამ დასკვნამდე იგი ობიექტურად მიიყვანა გაანგარიშებამ და დაკვირვებამ.

გვადი ბიგვა რწმუნდება, რომ შრომადღეები მას საშუალებას მისცემენ თავი დააღწიოს სიღატაკს. ცხოვრება მას ასწავლის, რომ ახალ პირობებში, სადაც სოფლის მეურნეობა გადაყვანილია მტკიცე სოციალისტურ საფუძველზე, გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთი საშუალებაა კოლმეურნეობა. მამასადამე, კოლმეურნეობა ყველა გლეხის, მათ შორის ისეთი გლეხის, როგორიც გვადი ბიგვაა, კეთილდღეობის საფუძველია.

შრომადღეებზე ოცნება ხელს უწყობს გვადის მალა ასწიოს თავი და სცადოს, რომ გვერდში ამოუდგეს ისეთ ამაყ საშუალო გლეხსაც კი, როგორიც გოჩა სალანდიაა. გვადი პირდაპირ ეუბნება სალანდიას, ჩემი შვილი ბარდღუნია რომ ჯერ პატარა არ იყოს, შენი ქალის ნაიასთვის უკეთეს საქმროს ვერ იშოვიდიო. ეს გაბედული აზრი გვადის შეგნებაში კვლავ დაბადა კამეჩზე ოცნებამ. ბიგვა ფიქრობს, რომ შეიძლებოდა კამეჩი ხელთ ეგდო თუნდაც მზითვის სახით. მაგრამ მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ ქორწინების შეუძლებლობის ერთადერთ მიზეზად გვადის მიაჩნია თავისი შვილის მხოლოდ მცირეწლოვანება: იგი რალაც თორმეტი წლისაა და ცოლის შერთვა 7—8 წლის შემდეგ შეეძლება. წინათ გვადი ბიგვა ვერ იფიქრებდა, გოჩასათვის ასეთი წინადადებით მიემართა. ახლა კი მასპინძლის დისა და მეუღლის თანდასწრებით თამამად გამოთქვამს თავის სურვილს; სალანდიას გაბრაზება გვადის მაინცდამაინც არ აკრთობს. რა ვუყოთ, რომ დღოს სალანდიას ეერ გაატოლება. სამაგიეროდ, ზვალ, შესაძლოა, კიდევაც გაასწროს. მაშ, რატომ არ შეუძლია დღესვე მიიღოს ამ მომავალი ბედნიერების რალაც წილი!

ასე თანდათან ძლიერდება და იზრდება გვადის გონებაში თავისი ღირსების შეგნება. ბიგვა ჯერ კიდევ შორსაა სოციალისტური შეგნებულობისაიან. მაგრამ ეს შეგნებულობა განუხრადლად მკვიდრდება მასში. გვადის ფსიქიკაში სერიოზული გარდატეხა ისახება. ახლა სხვა თვისებები ენიჭება მის

უწინდელ დამახასიათებელ ჩახიზხივებებს, რითაც იხატებოდა მისი სიკეთე-  
ტეც, მლიქვნელური შაამეშლობაც, ირონია და მასხარაობა. შავალითად, რო-  
ცა ბავშვები ეფრეებიან მას და ბარდღუნისა, მანდარინი არ მოგვიპარავსო, ამას  
არ შეუძლია სიცილი არ მოჰგვაროს გვადის, იმ კაცს, რომელიც ადამიანთა  
ასეთ ბრძოლულ მდგომარეობას მუდამ დასკინებდა. მაგრამ ახლა ამ სასაცილო  
ამბავს გვაძი გულისტყვილით და სინდისის ქენჯნით ხედება.

„განა არ ვიცი, რომ არ შეგვიპაიათ... გულიც ამიტომ მტკივა, ბაბაია! —  
რალაც უცნაური აქურაქურებით წარმოთქვა და ბავშვის მუცელში პირისახე კი-  
დეე უფრო ჩარგო. არ გასულა წამიც, ჩახიზხივება რომ სჩვეოდა, იმნაირი ხმა  
ამოუშვა ჭირიმიას მუცელთან, მაგრამ იგი სლუქსლუქსაც ჰგავდა.

ყველამ ყურადღება მიაქცია ამას.

კიტუნამ კი გვერდიდან ფრთხილად ჩახედა ბაბაიას სახეში, რა ემართე-  
ბაო. ნახა, რომ მამას ორივე თვალიდან ცრემლი ჩამოსდიოდა“.

წინათ რომ ეს ამბავი მომხდარიყო, გვაძი განსაკუთრებულ ყურადღებას  
არ მიაქცევდა ბავშვების მდგომარეობას და დამცინავ ხითხითსაც კი მორთავ-  
და. ახლა კი იგი ქვითინებს!

გვადის სულში ძველი საზოგადოებრივ-მეურნეობრივი ურთიერთობის  
მსხვერვის ზემოქმედებით იმსხვერვეა ძველი წარმოდგენები. ადამიანის ფსიქი-  
კის გარდაქმნის ამ რთულ პროცესში განსაკუთრებით დიდია პ ა რ ტ ი ე ს რ ო-  
ლი, მთელი კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი ს რ ო ლ ი. სოფლის კომუნისტები ეხმარებიან  
გვადის, თავი დააღწიოს თავის მდგომარეობას, გახდეს კოლექტივის სრულფა-  
სოვანი წევრი, ის გრძნობს, რომ მისთვის ზრუნავენ ადამიანები, ეხმარებიან  
ფეხზე დადგის და წამოიწიოს. სულ არ ჰგავს ეს წარსულს, როცა ერთი ნაჭერი  
მიწის გამო მეზობლები ერთიმეორის მტრები ხდებოდნენ.

კოლმეურნეობამ გაითვალისწინა გვადის გაჭირვებული მდგომარეობა,  
მისი ობოლი ბავშვების მდგომარეობა და გადაწყვიტა, საშენი მასალა გამო-  
უყოს და დაეხმაროს მას ახალი სახლის აშენებაში. გვადიმ იცის, რომ ჯერ არ  
დაუშსახებრებია ასეთი ყურადღება და პატივისცემა; ის ხომ ცუდად მუშაობდა  
კოლმეურნეობაში. მაგრამ მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობის თავმჯდომარის,  
სოფლის კომუნისტის — გერას წინადადება დახმარება გაეწიოს ბიგვას და  
კოლექტივი მხარს უჭერს ამ წინადადებას. ეს ფაქტი გამოხატავს კოლექტივის  
რწმენას ადამიანისადმი. ეს რწმენა ურთიერთობის შინაგან კანონს ეყრდნობა:  
ა რ ა მ ა რ ტ ო ა დ ა მ ი ა ნ ს ს წ ა მ ს კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი, ა რ ა მ ე დ კ ო-  
ლ ე ქ ტ ი ვ ს ა ც ს წ ა მ ს ა დ ა მ ი ა ნ ი. ეს აღმოჩენა გვადის უნერგავს  
იმ სიმტკიცეს, რომ კავშირი გაწყვიტოს წარსულთან.

მაგრამ გვადის ჯერ კიდევ ესაჭიროება წაქეზება. სახლის აშენებაში დახ-  
მარების გაწევა იმას როდი ნიშნავს, რომ იგი აჰყავდეთ სხვების მდგომარეობის  
დონეზე. ასეთი დახმარება მან შეიძლება მიიჩნიოს წყალობად. ეს საყმარისი  
როდია, გვაძი ახალი ადამიანი გახდეს. საჭიროა მეტი რამ. საჭიროა, რომ იგი  
ყველას თანასწორად თვლიდეს თავს, როგორც ღირსეული ადამიანი. ეს მშვე-  
ნიერად ესმის გერას. ეს კარგად იციან სხვებმაც. და ყველანი ნდობას აღმოუ-  
ჩენენ ხოლმე მას მეზობელ კოლმეურნეებთან — სანარჩევლებთან შეჯიბრების  
მსვლელობის მეთვალყურე კომისიის არჩევნების დროს.

ეს ეპიზოდი დიდი მოვლენა გახდა გვადის ცხოვრებაში. მწერალმა ოსტატურად დაგვიხატა თავისი გმირის შინაგანი მღელვარება, გვადის უაღრესად მძაფრი განცდები, რაც ამ ფაქტმა გამოიწვია.

გერამ გვაღი ბიგვა დაასახელა ორკეთის კოლმეურნეობის სხვა კანდიდატებს შორის:

„თეალები დახუჭა გვადიმ...“

... როგორ დაიჯეროს, რომ იგი თავკაცებში გარიეს და დაუმსახურებლად ასეთი პატივი სცეს?

ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო...

... ნაიამ აიენიდან ჩამოიბრინა და გვადისკენ გამოიქცა.

— რა მოგივიდა, გვადი? ჩქარა. შენი ადგილი დაიჭირე, აგირჩიეს!

— მე არა... ჭირიმე, მე არა! — სლუკუნით ამბობდა გვადი და ტაშისკვრას განაგრძობდა.

ნაიამ მაინც მოიტაცა გვადი, ხელი ჩაავლო. მკლავში და აიენისკენ წაიყვანა.

— ხალხში გამრიეთ, ჭირიმე არა? უღირსი რომ ვარ, მაინც. მაღლა ამწიეთ, არა?.. კაცად მიცანით და პატივი დამდეთ?..

... ახლა თავად ჩასკიდებოდა ნაიას ხელს და არ სცილდებოდა“.

სცენაში, რომელიც გვიხატავს, თუ როგორ აღის გვადი ბიგვა კრების პრეზიდიუმში, ნაჩვენებია ადამიანის აღმავლობა. ახლა მას ვერავითარი ძალა ვერ დააბრუნებს წარსულისაკენ, იმ სამარცხენო წარსულისაკენ, სადაც იგი გრძნობდა მხოლოდ თავისი ღირსების დამცირებას, სადაც სიხარული არ გაკარებია მის სულს. ტყუილად როდი იყო, რომ თავისი ადამიანური ღირსების დამცირების ერთ-ერთ მიზეზს — არჩილ ფორიას უსასტიკესი განაჩენი გამოუტანა გვადიმ თავის ფიჭრებში. გვადი ბიგვამ სულ ახალ-ახალი სასჯელი მოუგონა ძველი ყოფის ამ საზიზღარ ნაძირალას და ბრავი მხოლოდ მაშინ დაიქნო, როცა იგი უღმობლად და რამდენჯერმე „მოკლა“, როცა მისი სახსენებელიც კი აღმოფხვრა თავისი არსებიდან.

რა შეიძლებოდა მომხდარიყო გვადის სულში მას შემდეგ, რაც მან კრებაზე განიცადა? უნდა მომხდარიყო დიდი ცვლილება, ძირეული გარდაქმნა. ეს იყო ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის მომენტი. ახალმა შეგნებამ გაიმარჯვა ძველთან ბრძოლაში.

გვადის მთელი შემდგომი მოქმედება ცხადყოფს ამ დიდ ცვლილებას, ახალი ფსიქიკის წარმოშობას.

აი, კრებიდან შინ ბრუნდება გვადი. „ეგონა, უფრო მიფრინავდა, ვინემ მიდიოდა, ტანში იმდენი ახალი ძალა შემატებოდა და შინაგან აღფრთოვანებასაც ფრთები შეესხა“. ახლა გვადი იმასაც ხედავს, რომ ძველი და დაფლეთილი ტანსაცმელი აღარ შეეფერება. კერძის ცეცხლით სულ ერთიანად განათებულ ჯარგვალში გვადი გულმოდგინედ ათვალეერებს ძველ სკივრს, რომელშიც ქორწინების შემდეგ უხმარი ჩოხა-ახალუხი, ყაბალახი და სხვა ნივთები უწყვიდა და დღემდე არც კი გახსენებია. არა, გვადი ახლა აღარ არის ნაცარქექია, მუჭთაზორა და მასხარა. გვადი ახალი ადამიანია, ახალი სულისკვეთებითა და ახალი მისწრაფებით გამსჭვალული. განახლებულ სულს განახლებული სამოსელი

შეეფერება. გვადი ოდასაც უთუოდ აიშენებს! ახლა ჯარგეალში რომ ვერ იცხოვრებს! ბავშვებს კარგად შემოსავს. სულ ცოტა ოთხასი შრომადღის შემოსავალი ყოველივე ამის შესაძლებლობას მისცემს!



სად გაქრა გვადის სიბეჩავე, შიში სხვების წინაშე? ისინი თან გაპყენენ ძველს!

ახლა გამბედაობამ დაისადგურა გვადის გულში. ეს გამბედაობა ყოვლისმძლე ძალაა.

ახლა შეუძლია გულანდელი იყოს მარიამთან; დიდი ხანია მისდამი სიყვარული და პატივისცემა დაფარული აქვს გულში; ახლა კი თავის გულისნადებს თამამად გაამჟღავნებს.

ახლა თვალს გაუსწორებს არჩილ ფორიას; უშიშრად გასცემს საკადრის პასუხს.

გვადი საგმირო საქმეს ასრულებს: სპობს კლასობრივ მტერს, რომელიც ცდილობდა კოლმეურნეობის ხე-ტყის სახერხი ქარხანა დაეწევა, და გადაარჩინოს ხალხის ქონებას.

111

საერთო, საკოლმეურნეო საქმე მის შეგნებაში უკვე მთავარ ადგილს იკავებს. იგი სასწორზე დებს ს ა კ უ თ ა რ სიციოცხლეს, რათა გადაარჩინოს ის, რაც ს ა ე რ თ ო ა.

ლ. ქიაჩელის რომანში დამაჯერებლად არის ნაჩვენები ჩვენი ქვეყნის მრავალმილიონიანი გლეხობის შეგნების გარდაქმნის პროცესი. აქ ფართო პლანზეა წამოწეული საზოგადოებრივი, როგორც წმიდათაწმიდა და ხელუხლებელი. ეს საზოგადოებრივი შეიცავს პირადულსაც. არჩილ ფორიას ჰგონია, გვადი იმიტომ მეწინააღმდეგეა, სურს ცეცხლისაგან იხსნას თ ა ვ ი ს ი სახლის ფიცრებიო. ეს დასკვნა სავსებით შეესაბამება ისეთი გაუსწორებელი ინდივიდუალისტიკისა და საზოგადო ქონების მტრის ფსიქიკას, როგორც არის არჩილ ფორია. მაგრამ გვადი უფრო კეთილშობილი და მაღალი მიზნებით ხელმძღვანელობს. ეს მიზანია არა მარტო მისი ახალი ოდა, არამედ ყველას ბედნიერება. გვადი ბიგვა ახლა ნათლად ხედავს, რომ მისი მომავალი ბედნიერი ცხოვრება შენდება საერთო საფუძველზე, საყოველთაო ბედნიერების საფუძველზე. ბედნიერებას მარტო ის ვერ ააშენებს და მარტო მისთვის როდი შენდება იგი. ამ ბედნიერებაში არის იმის ნაწილი, რაც მ ა ს ეკუთვნის, მაგრამ იგი ს ა ე რ თ ო ს შემადგენელი ნაწილია და უმისოდ წარმოუდგენელია.

რომანის მთავარი გმირის სახეში მთავარი ტიპიურია არა მისი უწინდელი მდგომარეობა, არამედ მისი ზრდა, მ ა რ თ ე ბ უ ლ ი ს ა და ა უ უ ც ი ლ ე ბ ლ ი ს დ ა მ კ ე ი დ რ ე ბ ი ს პროცესი. გვადი ბიგვას ეს გზა გაშუქებულია სოციალისტური რეალიზმის პრინციპების თვალსაზრისით.

ჩვენი პარტიის პროგრამაში, რომელიც რკპ(ბ) VIII ყრილობამ მიიღო, აღნიშნული იყო, რომ პარტიის პოლიტიკა საშუალო გლეხობის მიმართ გამოიხატება იმით, რომ თანდათანობით და გეგმაშეწონილად ჩააბას იგი სოციალისტური მშენებლობის მუშაობაში. „პარტია თავის ამოცანად ისახავს ჩამოშოროს საშუალო გლეხობა კულაკებს და გადაიყვანოს იგი მუშათა კლასის მხარეზე მისი საჭიროებებისადმი ყურადღებით მოპყრობით, ებრძოლოს მის ჩამორჩენილობას იდეური ზეგავლენის ზომებით და სრულიადაც არა ძალდატანებით, ეცადოს ყოველ ისეთ შემთხვევაში, როცა საქმე მის სასიციოცხლო ინტერესებს შეეხება. პრაქტიკულად შეუთანხმდეს მას, სოციალისტურ გარ-

დაქმნათა გატარების ღონისძიებათა განსაზღვრაში წაყვდეს მისდამი დათმობაზე", — ნათქვამია პარტიის პროგრამაში.

კოლმეურნეობაში გოჩა სალანდიას შესვლა იმ მობრუნებულ შედეგად იყო, რომელიც მის შეგნებაში მოხდა. მაგრამ ეს როდი ნიშნავდა, რომ სალანდია უკვე გახდა თავისი ბუნებით სოციალისტი. კვლავ ბევრი მუშაობა იყო საჭირო კოლმეურნე გლეხის გარდაქმნისათვის, მისი ინდივიდუალისტური შეგნების გარდაქმნისათვის, სოციალისტური საზოგადოების ნამდვილ მშრომელად მისი გადაქცევისათვის.

სწორედ ასე გულმოდგინედ მუშაობენ საშუალო გლეხის გარდასაქმნელად პარტორგანიზაციის მდივანი გიორგი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე გერა. მტერი ხედავს, რომ სალანდია კოლმეურნეობაში შევიდა და კვლავ ცდილობს გადაიბირიოს იგი. ზოგიერთი კოლმეურნე „მომარცხენო“ ვადახრას იჩენს გოჩას მიმართ, კულაკებთან ათანასწორებს მას და ამით აფრთხობს საშუალო გლეხს. გოჩას თვალი ეხილება მხოლოდ მოფიქრებული, სწორი ტაქტიკური მოქმედების მეოხებით, რასაც ახორციელებენ გიორგი, გერა და სხვა კომუნისტები საშუალო გლეხისადმი დამოკიდებულების შესახებ ჩვენი პარტიის მითითების შესაბამისად.

გერა განასახიერებს ახალგაზრდა, ნიჭიერი გლეხის ზრდას. მას, ყოფილ მოჯამაგირეს, საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა განვითარებისა და განუხრელი ზრდის ყველა პირობა. შრომისმოყვარეობა, ადამიანისადმი ინდივიდუალურად მიდგომის უნარი, ორგანიზატორული ნიჭი, პრინციპულობა, დემოკრატიზმი, მისწრაფება იმისადმი, რომ დიდი წარმატებანი მოიპოვოს და უზრუნველყოს კოლმეურნეთა კეთილდღეობის სწრაფი ზრდა — აი ის თვისებანი, რომელთა მეოხებით გერა ხდება კოლექტიური მეურნეობის ნიჭიერი და საყვარელი ხელმძღვანელი.

მწერალმა შექმნა მეორე მიმზიდველი სახეც. მოწინავე ქალიშვილის ნაიას სახე. გერა და ნაია ოცდაათიანი წლების პირველი ნახევრის სოფლის ახალგაზრდობის ტიპურ თვისებებს განასახიერებენ. ისინი თავისუფალი არიან წარსულის (რურწმენებისაგან). მათი ახალგაზრდობა მიმდინარეობდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში და ახალმა სინამდვილემ მათ ჩაუნერგა ახალი მშვენიერი თვისებები: სიმამაცე და თავდადებულობა, უსაზღვრო სიყვარული სოციალისტური საშობლოსადმი, კომუნისტების პარტიისადმი.

ლ. ქიაჩელი რეალისტურად ძერწავს მოწინავე ადამიანების სხვა სახეებსაც. ისინი ყურადღებას იპყრობენ თავიანთი ტიპურობით.

საერთოდ უნდა აღინიშნოს რომანის დიდი ღირსება, რაც ტიპურობის რთული პრობლემის ოსტატურად გადაწყვეტაში მდგომარეობს. ცნობილია, რომ ტიპურობის პრობლემა ლიტერატურაში ყოველთვის იყო და არის ძირითადი პრობლემა. ტიპი მთავარი კომპონენტია, რომელიც გამოხატავს მწერლის დამოკიდებულებას სინამდვილისადმი და რომლის საშუალებითაც შემოქმედი გვიჩვენებს ცხოვრებას მათე მისი სირთულითა და სიმდიდრით. ტიპურობის გარეშე არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს კვამარითად მხატვრული ნაწარმოები.

„გვადი ბიჯვას“ მაგალითით მკაფიოდ ჩანს, რომ ტიპურობის პრობლემა არ შეიძლება შემოფარგლოთ მხოლოდ პერსონაჟითა და სახეებით. მწერალმა

არ შეიძლება აჩვენოს ადამიანის ტიპი ტიპური გარემოს, ტიპური მდგომარეობის გარეშე. ეს დებულება იმას ნიშნავს, რომ ტიპურობის საკითხი — ეს არის ცხოვრების კანონზომიერების, მისი განვითარების რეალურ<sup>მასშტაბის</sup> საკითხი. ტიპურობის პრობლემა მოითხოვს ცხოვრების ღრმა ცოდნას, იმის ღრმა ცოდნას, რაც არსებობს ჩვენს გარშემო და რაც იქმნება ჩვენი მონაწილეობით, იმის გარკვევას, თუ საით მიდის ცხოვრების განვითარება. მხოლოდ ასე დაწერილ ნაწარმოებს შეუძლია შეასრულოს თავისი საპატიო როლი, როგორც ქმედითი ძალის როლი.

ტიპურობის პრობლემის მთავრი საკითხია ის, თუ რა უნდა იქნას მხატვრის მიერ ტიპიზებული, ხშირია იმის მაგალითი, როცა მწერალი შემოქმედებითს მარცხს განიცდის, მისი ნაწარმოები ვერ პოულობს მასეების მოწოდებასა და დაფასებას. ამის მიზეზი ძირითადად ყოველთვის ტიპურობის პრინციპის დარღვევაში უნდა ვეძიოთ, რადგან, ამ პრინციპის დარღვევა, როგორც წესი, განაპირობებს ნაწარმოების არა მარტო დაბალ იდეურ, არამედ აგრეთვე დაბალ მხატვრულ დონესაც. ეს უკანასკნელნი, ერთი და მეორეც, დამოკიდებულია პირველისაგან. მაგალითად, არ შეიძლება მხატვრულად და იდეურად მაღალხარისხოვანი იყოს ნაწარმოები, რომელშიც დარღვეულია ტიპიზაციის პრინციპი და პირიქით.

ბელისკი, ლაპარაკობდა რა მწერლის ორიგინალობაზე, შენიშნავდა, რომ შემოქმედებითი ორიგინალობის, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, თვით შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე უფრო განმასხვავებელი ნიშანია ტიპიზმი. ტიპიზმს დიდმა რუსმა კრიტიკოსმა ავტორის საგერბო ბეჭედი ეწოდა.

ასეთი ტიპი არ შეიძლება წარმოადგენდეს, ერთი მხრივ, ადამიანთა დამახასიათებელ მხოლოდ ინდივიდუალურ თვისებათა ხორცშესხმას და, მეორე მხრივ, მხოლოდ საერთო, კონკრეტულობას მოწყვეტილ მოვლენათა განზოგადებას.

ფორმალური განზოგადებისათვის, მაგალითად, დამახასიათებელია მექანიკური, ფორმალური შეკრება სხვადასხვა ერთგვაროვანი მოვლენებისა და ფაქტებისა, მათი ეკლექტიკური შეერთება ერთ სახედ. ასეთ განზოგადებას ლენინი სოფისტიკას ეძახდა და იქვე განმარტავდა, რომ ეს არის შემთხვევათა გარეგანი მსგავსებების ამოგლეჯა მოვლენათა კავშირის გარეშე.

ასეთი მიდგომის საწინააღმდეგოდ სოციალისტური რეალიზმის მეთოდი მოითხოვს საერთოსა და კონკრეტულის შეხამებას. მწერლის შემოქმედებაში საერთო ნაჩვენები უნდა იქნას მოვლენებისა და ფაქტების არა როგორც ზერელე მსგავსება და არა მხოლოდ ის, რაც ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება ცხოვრებაში, არამედ როგორც მოცემული მოვლენის არსი. ეს კი მოითხოვს მოვლენის არსის კანონის ღრმად შეცნობას, ამ მოვლენის შინაგანი ნიშნებისა და მისი სხვა მოვლენებთან ურთიერთკავშირის, ურთიერთშემოქმედების შეცნობასა და ჩვენებას. ამასთან ყოველი მოვლენა მოითხოვს მისი კანონზომიერი აუცილებლობის ჩვენებას, კონკრეტულ-ისტორიულ პირობათა გათვალისწინებას, მათ ჯანსაღ შეფასებას და ამის საფუძველზე იმის ჭეშმარიტ განჭვრეტას, თუ როგორი იქნება ამა თუ იმ მოვლენის რეალური პერსპექტივა.

თვითთული ტიპი, მხატვრული სახე, როგორც უკვე აღნიშნული იყო, უნდა წარმოადგენდეს, ერთი მხრივ, საერთოსა და ტიპურის და, მეორე მხრივ, კონკრეტულის, პირადის, ინდივიდუალურის შერწყმას. არ შეიძლება საერთო,

როგორც არსებითი, დაუბრუნებლად კონკრეტულს, იზოლირებულ იქნას ცალკეულისაგან, ინდივიდუალურისაგან. ეს გამოიწვევდა სქემატურობას, დამჯერებლობას დაუკარგადა ტიპს. ლენინი გვასწავლის, რომ ცალკეული არ არსებობს იმ კავშირის გარეშე, რომელსაც საერთოსკენ მიჰყავს იგი, რომ საერთო არსებობს მხოლოდ ცალკეულში, ცალკეულის მეშვეობით.

ამასთან ტიპი არის გარკვეული ეპოქის პროდუქტი და არ შეიძლება დაყენებულ იქნას დროის, ადგილისა და სივრცის გარეშე. იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს განსაზღვრული სოციალურ-ისტორიული ეპოქის, კლასისა და ერის ნიშნებს. ტიპურობის პრობლემის დაყვანა მხოლოდ იმამდე, რასაც ყველაზე ხშირად ვხვდებით, რაც ყველაზე უფრო გავრცელებულია ან ხშირად მეორდება და ჩვეულებრივია, ნიშნავს ამ პრობლემის გაუხამსებას, მისი პოლიტიკური ქმედობის გაუფასურებას. ტიპურობისათვის აუცილებელი და დამახასიათებელია აგრეთვე მოცემული სოციალური ძალის არსის მთელი სისრულითა და მკაფიოობით ასახვა. ტიპის დამახასიათებელი ნიშნები აღებული უნდა იქნას გარკვეული სოციალური მოვლენებიდან, გარკვეული კლასებისა და ფენების ადამიანთა დამოკიდებულების, მათი მატერიალური და სულიერი სამყაროს კონკრეტული ანალიზიდან.

ტიპს იძლევა ცხოვრება. მისი გამოძერწვა შეიძლება მხოლოდ ცხოვრების ღრმა ცოდნის საფუძველზე. ი. ბ. სტალინი ასწავლიდა ზელოვნების მუშაკებს: არ შეიძლება სახეებისა და მოვლენების გამოგონება კაბინეტში ჯდომით; ისინი აღებულ უნდა იქნან ცხოვრებიდან; — შეისწავლეთ ცხოვრება. ისწავლეთ ცხოვრებისაგანო.

მხოლოდ ასე, ცხოვრების ზედმიწევნით შესწავლის, მასში ღრმად ჩაწვდომის შედეგად შესძლო ლ. ჭიაჩელმა შეექმნა ჭეშმარიტი მხატვრული განზოგადება, რეალური ტიპები.

მართალი ტიპიზაციისათვის აუცილებელია მთავარის, არსებითის შერჩევის უნარი. მწერალი უნდა ამჩნევდეს იმას, რაც მთავარია ტიპის დასახატავად, მისი შინაგანი ბუნების, სულიერი სამყაროს გასახსნელად, გმირის გარემოცვლი ყოფის ასახავად. არ შეიძლება ყოველი დეტალის, ყოველი წვრილმანის გამოდევნება. ასეთ შემთხვევაში იკარგება მთავარი, ის, რაც ყველაზე სრულად და ყველაზე უკეთ უნდა გამოხატავდეს არსებითს. სრულყოფილი ტიპის შექმნა მოითხოვს მწერლის მაღალ ოსტატობას, დაკვირვების დიდ უნარს, მის იდეურ მომზადებას. ყოველივე ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მწერალი არ მოექცეს მეორეხარისხოვანი ფაქტების ტყვეობაში, არ შეცვალოს მთავარი და არსებითი არატიპიურით, შემთხვევათი მოვლენით.

სოციალისტური რეალიზმი უარყოფს გაუბრალოებულ, სქოლასტიკურ მიდგომას საზოგადოებრივი მოვლენებისადმი და მოითხოვს ცხოვრების გაშუქებას მთელი მისი სირთულით. ჩვენი სინამდვილე დადებითი სინამდვილეა. მაგრამ ამასთან საქმე გვაქვს უარყოფით მოვლენებთანაც. სოციალისტური რეალიზმის მეთოდი საპიროდ მიიჩნევენ უარყოფითის ასახვასაც, როგორც ჩვენი ნაკლოვანებების, ჩამორჩენილი ადამიანების ცუდი მხარეების კრიტიკასა და თვითკრიტიკას. პარტია გვასწავლის, რომ მწერალი კეთილსინდისიერად, მთელი ყურადღებით უნდა სწავლობდეს ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს, მეტი სიღრმით სწვდებოდეს ჩვენი წინსვლის პროცესების არსს, ეხმარებოდეს ხალხს იდეურად ზრდაში. ა. ჟდანოვი ამბობდა, რომ ჩვენ უნდა გამოვარჩიოთ საბჭოთა ადამიანის საუკეთესო გრძნობები და თვისებები, გადავუშალოთ მას



მისი ხვალისდელი დღე და ამავე დროს ვაჩვენოთ ჩვენს ადამიანებს, თუ როგორი არ უნდა იყვნენ ისინი, უნდა ვამატარებდეთ გუშინდელი დღის გადმონაშთებს, რომლებიც წინსვლას უშლიან საბჭოთა ადამიანებს.

ჩვენს ცხოვრებაში არიან როგორც დადებითი, ასე უარყოფითი ტიპები. დიდ შეცდომად და სოციალისტური რეალიზმის პრინციპების გაუბრალოებად უნდა ჩაითვალოს ზოგიერთი საბჭოთა ლიტერატურათმცოდნის (ლ. ტიმოფეევი და სხვ.) მტკიცება, თითქოს საბჭოთა ლიტერატურაში არ შეიძლება ჩვენი ცხოვრების უარყოფითი მოვლენების ტიპიზაცია. ეს მტკიცება გამომდინარეობს „უკონფლიქტობის“ ყბადაღებული თეორიიდან. განა ცხადი არ არის, რომ ტიპიურობის პრობლემის ასეთი გაუბრალოების ავტორებს არ ესმით ძველისა და ახლის ბრძოლის დიალექტიკური კანონი!

უარყოფითი მოვლენები და უარყოფითი ტიპები სოციალისტური ცხოვრების შედეგად როდი არიან აღმოცენებულნი. ისინი წარმოადგენენ ძველი ყოფის გადმონაშთებს ჩვენს საზოგადოებაში. მაგრამ რამდენადაც ისინი არსებობენ, არ შეიძლება მათთვის გვერდის ავლა, ვინაიდან ეს იქნებოდა სინამდვილისათვის გვერდის ავლა. გარდა ამისა საჭიროა მათ წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა, რაც თვითელი მწერლის საპატიო ამოცანაა. საბჭოთა მწერლებმა ჩვენი სინამდვილიდან უნდა აიღონ უარყოფითი ტიპები და სასტიკად გაამატარებონ ისინი. ამ საქმეში მათ დიდ დახმარებას გაუწევს გოგოლის, შჩედრინის, გორკის, მაიაკოვსკის, წერეთლის, კაეკვაძის, სერვანტესის, ტვენის და სხვ. სახელოვანი ტრადიციების შემოქმედებითი ათვისება.

მაგრამ ჩვენი ნაკლოვანებების კრიტიკა არ უნდა ატარებდეს ცხოვრების სინამდვილის დამახინჯების ჩასიათს. დაუნდობლად ამხილებს რა შეცდომებსა და ნაკლს, იგი ამავე დროს უნდა იბრძოდეს დადებითისა და მოწინავეის დამყიდრებისათვის, რაც ასე კარგად ასახა მწერალმა ლ. ქიაჩელმა თავის „გვალი ბიგვაში“.

ამხანაგ გ. მ. მალენკოვის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე შემდგომი განვითარება პოვა მარქსისტულ-ლენინურმა მოძღვრებამ ლიტერატურისა და ხელოვნების როლის შესახებ, კერძოდ, ტიპიურობის პრობლემის შესახებ. მითითება იმაზე, რომ ტიპიურობა რეალისტურ ხელოვნებაში პარტიულობის გამოვლინების ძირითადი სფეროა, რომ ტიპიურობის პრობლემა ყოველთვის პოლიტიკური პრობლემაა, იმის ღრმა შეგნებით აიხარალებს საბჭოთა მწერლებს, რომ მათი შემოქმედება წარმოადგენს თვალსაჩინო იდეურ ძალას, და რომ ტიპიზაციის შათს მეთოდს ყოველთვის უნდა ედოს საფუძვლად იდეური შინაარსი.

მტკიცედ ეყრდნობა რა ამ პრინციპს, ლ. ქიაჩელი „გვალი ბიგვაში“ იძლევა ცხოვრების მოვლენებისა და ფაქტების სწორ განზოგადებას, მათს სწორ ტიპიზაციას. იგი გვიხატავს საქართველოს საკოლმეურნეო სოფელს, პირველ ნაბიჯებს ახალი სოციალისტური მოწათმოქმედების ორგანიზაციის გზაზე. ეს არის გარკვეული ეპოქის ცხოვრების მონაკვეთი, გაშუქებული სოციალისტური რეალიზმის სინათლით.

## პოეზიის თარგმანის საკითხები



მხატვრული ნაწარმოების ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნას ამჟამად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოძმე საბჭოთა ხალხების კულტურათა ურთიერთ-გაცნობისა და პოპულარიზაციის თვალსაზრისით. ენათმეცნიერების საკითხებზე ი. სტალინის ნაწარმოების გამოქვეყნების შემდეგ კიდევ უფრო გამაზვიელდა ყურადღება თარგმანის ენისა და სტილისადმი და, საერთოდ, ამ საქმის როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული მხარისადმი.

ქართული კლასიკური და თანამედროვე პოეზიის ნიმუშების რუსულ ენაზე გახშიანება ნაშნავს მრავალერიანი საბჭოთა კავშირის აუდიტორიის წინაშე ჩვენი პოეტური კულტურის რეკომენდაციას. რუსულიდან ქართულად თარგმნის საქმის მაქსიმალურად გაუმჯობესება აგრეთვე პირველხარისხოვანი და გადაუღებელი ამოცანაა. თავისთავად ცხადია, რაოდენ დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ეს გარემოება ავტორსა და მთარგმნელს. ყველასათვის აშკარაა ისიც, რომ ამ თარგმანებმა შესაფერი ადგილი უნდა მოიპოვონ რუსული და ქართული მწერლობის საგანძურში, რადგან თარგმანი საზოგადოდ ნეიტრალური რეკვიზიტი როდია იმ ერის ლიტერატურისათვის, რომლის ენაზედაც ესა თუ ის ნიმუში ითარგმნება.

ამ ერთი წლის წინათ თარგმანის საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირებზე და პრესაში ძირითადად იდგა სათარგმნ დედანთან დამოკიდებულების საკითხი. როგორც „პრადამ“ თავის დროზე სამართლიანად აღნიშნა, თარგმანი ყოველმხრივ და შეძლებისამებრ ზუსტად უნდა გადმოცემდეს ორიგინალის იდეურ შინაარსსა და მხატვრულ სისტემას. თანაც თარგმნილი ნიმუში ორიგინალური ნაწარმოებზე უნდა ელერდეს, ე. ი. უნდა შეეფერებოდეს თვითონ მთარგმნელის მშობლიური ენის სპეციფიკურ მხატვრულ საშუალებებს.

აღსანიშნავია, რომ რუსულმა კრიტიკამ ნამდვილ ლიტერატურულ გმირობად აღიარა მ. ლოზინსკის მიერ ზუსტად შესრულებული თარგმანი დანტეს „ლეთაებრივი კომედიისა“. ყოველგვარი თვითნებობისა და ტექსტისადმი თავისუფალი მოპყრობის ტიპურ ნიმუშს კი წარმოადგენს, მაგალითად, ბალმონტი-სეული თარგმანები ინგლისელი რომანტიკოსის შელის ნაწარმოებებისა. იმავე ლოზინსკის მიერ თარგმნილი ბარათაშვილის „მერანის“, რომელიც ორიგინალთან ახლოა, ამ ლექსის რუსულ თარგმანებს შორის საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს; კ. ჰიჭინაძის მიერ თარგმნილი ლერმონტოვის „დემონი“ ზუსტია და კარგად შესრულებული; შლიაგოლისეული ადგილობრივი თარგმანი შქაპირისა გერმანული პოეზიის დიდი მიღწევაა; ასევე განუმეორებელი მომხიბლაობითაა აღბეჭდილი ივ. მაჩაბლის თარგმანებიც.

არაა საღაო ის შეხედულება, რომ პოეტური ნაწარმოების კარგად დატარების ერთ-ერთ პირობას შეადგენს თვითონ მთარგმნელის დაინტერესება ნებისმიერად შერჩეული პოეტური ძეგლით და ხშირად ამ ძეგლის ავტორის მთლიანი შემოქმედებით. გულწრფელი და ღრმა სიყვარული უცხო პოეტის მხატვრული ბიოგრაფიისადმი ყოველთვის წარმოადგენს მთარგმნელის გამარჯვების ერთ-ერთ გარანტიას. ამ შემთხვევაში მთავარი ყურადღება ექცევა ავტორისა და მთარგმნელის ურთიერთშემოქმედების კონტაქტს. მაგრამ ასეთი სუბიექტური მომენტი, რასაც ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი ენიჭება თარგმნის პროცესში, საბიფათოა იმ დროს, როცა პოეტი-მთარგმნელი მხოლოდ საკუთარი გამოცნებისა და იდეური და მხატვრული კონცეფციის ანალოგიას ეძებს სხვა ენის მხატვრულ ნიმუშთა შორის: სხვადასხვა სტილისა და სკოლის ავტორებს იგი მუდამ თავისებურად (ინდივიდუალური მანერით) თარგმნის, ე. ი. მას უძნელდება თარგმნილ ძეგლში საკუთარი ხმის სრული დახშვა და ასიმილირება. რუსეთში პოეტ-მთარგმნელთა ამ ჯგუფს ეკუთვნის, მაგალითად, ბ. პასტერნაკი. მისი თარგმანები წარმოადგენს უცხო ავტორების რექსტების პასტერნაკისეულ წაკითხვას. ამიტომაცაა, რომ პასტერნაკის თარგმანში შექსპირის რეალისტური მონოლოგი, ბარათაშვილისა და კიტსის ლირიკული შედევრები მეტწილად ნიველირებულია: ინტონაციის მხრივ ისინი ერთნაირად ელერენ. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ისიც, რომ ქართულიდან რუსულად თარგმნილ ლირიკულ ნაწარმოებთა ერთ-ერთი უბრალოდნადაა ნიმუშიც მას ეკუთვნის. ესაა იმავე ნიკ. ბარათაშვილის „ცისა ფერს“, თუმცა რომანტიკოსი ნოვალისის მთარგმნელისაგან ეს მოულოდნელი არ იყო.

მაშასადამე, თარგმნის დროს ინდივიდუალური დამთხვევის მომენტი ანგარიშგასაწივია განსაზღვრულის მხრივ, მაგრამ მთარგმნელისა და ავტორის ურთიერთშემოქმედებითი კონტაქტის აუცილებელ და რომანტულ კანონად აღიარებას მრავალი მაგალითი ეწინააღმდეგება; არსებობენ პოეტი-მთარგმნელები, რომელთაც შესწევთ უნარი სუბიექტური მომენტის შიძლებისამებრ განეიტრალებისა და ინტერესთა მასშტაბის გადართობისა. ე. ბრიუსოვი თარგმნიდა ვირგილიუსს („ენეიდა“), გოეტეს („ფაუსტი“) და ფრანგ რომანტიკოსებს; ს. მარშაკი თარგმნის შექსპირს („სონეტები“), რ. ბერნსს, ჰაინეს და ინგლისელ ლირიკოსებს; ხ. ვარდოშვილი — გოეთესა და ჰაინეს; ე. ჭიჭინაძე — „ნიბელუნგებს“, ლერმონტოვს, ბლოკს, ვერჰარნსა და საბჭოთა პოეტებს; გ. გაჩეჩილაძე — შექსპირს, ლონგფელოსა და რუს საბჭოთა პოეტებს; დ. გაჩეჩილაძე — რუს კლასიკოსებს, პასტერნაკს და სხვა პოეტებს; ე. ნადირაძე და შ. აფხაიძე — პუშკინს, ლერმონტოვსა და ტიუტჩევს; გ. ცეცხლაძე — პუშკინს („ეგვინი ონეგინი“) და ნეკრასოვს; ა. მირცხულავა — ნეკრასოვს და თანამედროვე პოეტებს; ვ. შოლუკიძე — პუშკინსა და ლერმონტოვს. ი. გრიშაშვილი — ოვანეს თუმანიანს და შჩიბაჩოვს, და ა. შ. როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ეპოქისა, სკოლისა და სტილის ავტორები შიიძლება ვიპოვოთ ერთი და იმავე მთარგმნელის პრაქტიკაში, თუმცა ძალიან ხშირად ეს გარემოებაა მდარე და სოსტი თარგმანების არსებობის მიზეზიც: მთარგმნილი ყოველთვის როდი ახერხებს თანაბარი სიყვარულითა და სიმპათიით მოიპყრას ყველა ავტორს. აქვე იბადება მეორე საშიშროება: რადგან თარგმანის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ძეგლის ენის ზედმიწევნითი ცოდნა (ამ ენის ისტორიული განვითარებისა და თავისებურებათა გათვალისწინებით) დღოსლოობით ძნელია მოიძებნოს ისეთი უნიფრსალურად განსწავლული მთარგმნელი, რომელიც რამდენიმე ენას ფლობდეს

და რომელსაც შეეძლოს სხვადასხვა სტილის, ეპოქისა და ენის ნიმუშების ერთგვარად მალაღმარისხოვანი თარგმანების შესრულება.

თარგმნითს მოღვაწეობაში, ისევე როგორც ლიტერატურულ მთარგმნეობის სხვა სფეროში, საქმოსნობას ყოველთვის უნდა დაეუბიროს *სიზნობა* ლიტერატურული ეთიკა და ღრმა პასუხისმგებლობა. სიტყვისიტყვითი პეკარედების მიხედვით თარგმანზე მუშაობის ტრადიცია თანდათან უნდა დაეძლიოთ, რადგან ასეთი მუშაობა ყოველთვის ხელსაყრელია ძეგლის ენობრივი ნუანსებისა და ავტორის ინტონაციისადმი გულგრილი მთარგმნელისათვის.

ყოველივე ამისდამიუხედავად, საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ რომ მთარგმნელობა გარკვეული სპეციალობაცაა, იგი გარკვეულ ჩვევას და ინდივიდუალურ მიდრეკილებასაც გულისხმობს, ამიტომ სრულიად სავალდებულო არაა ესა თუ ის მთარგმნელი დიდი ან ცნობილი პოეტი იყოს, ავტორი დამოუკიდებელი შედეგებისა (შესანიშნავი თარგმანი თავისთავად დიდი შემოქმედებაა). „ვისრამიანის“ ქართული მთარგმნელი ან ივ. მაჩაბელი საკუთარი პოეტური ქმნილებებით არ არიან ცნობილნი.



თარგმანი ორიგინალის იდეურ შინაარსს უნდა გადმოგვეცემდეს. ეს აზრი ელემენტარული ჭეშმარიტებაა. საკითხი ეხება უმთავრესად „მეტერიალური გარსის“, ე. ი. ორიგინალის მხატვრული ელემენტების სხვა ენაზე შესაფერისად გადატანის მეთოდს. მაგრამ ამა თუ იმ ნაწარმოების ადეკვატური პოეტური თარგმანის შესრულება ყოველთვის მთელი რიგი სიმძლეების გადალახვას მოითხოვს. ზოგჯერ მთარგმნელი მიზნად ისახავს ორიგინალის მეტრული ვარიანტის ძიებას საკუთარ ენაში, მაგრამ ამ შემთხვევაში ხშირად ენათა ნათესაობაც არ შევლის ხოლმე საქმეს. მთარგმნელის ცდა — ორიგინალის რიტმული სურათის თარგმანში განმეორებისა — მთელ რიგ დაბრკოლებებს აწყდება მონათესავე ენის პოეტურ ნიმუშებზე მუშაობის დროსაც კი. საქმეს ართულებს არა მარტო შესაფერისი საზომის (მეტრის) შერჩევა, არამედ რითმის საკითხიც. ცნობილია, რომ ტაქტის დაბოლოება, სტროფული ერთეულების კადენცია საერთოდ, თვალსაჩინო როლს ასრულებს მთელი ლექსის რიტმული ორგანიზაციის საქმეში. ამიტომაც რითმიანი ლექსის უნაკლოდ თარგმნა უფრო ძნელია, ვიდრე ურითმო ლექსისა.

1951 წლის 4 დეკემბრის „ლიტერატურნაია გაზეტაში“ დაიბეჭდა ა. მეფროვის საინტერესო წერილი — „მთარგმნელის შენიშვნები“, სადაც ავტორი შემდეგ წერს: „არსებობს, მაგალითად, შეხედულება, რომ ქართული ენიდან ლექსების თარგმნისას აუცილებელია ფართოდ გამოყენება რითმებისა დაქტილური და ჰიპერდაქტილური დაბოლოებით“. შემდეგ: „ზოგიერთი მთარგმნელი და ლიტერატურისმოყვანე იმ აზრისა არიან, რომ ქართული ენიდან თარგმნისას უმჯობესია იამბები არ ვიხმაროთ, რადგან იამბი თავისი სტრუქტურით ძალზე დაშორებულია ქართული სალექსო ფორმებისაგან“. წერილის ავტორი სამართლიანად უარყოფს ორივე შეხედულებას. მაგრამ ჩვენ გვიინტერესებს ისიც, თუ ვინ იქნას ამგვარ შეხედულებებს. ძალზე დაბალი უნდა იყოს პროფესიული დონე იმ მრჩეველებისა, რომელნიც გზავალს უბნიან მთარგმნელებს. ჯერ ერთი: ქართულში დაქტილორი რითმის გვირგვინით არსებობს ე. წ. ქალური (ქორეული) ორმარცვლიანი რითმაც (რუსულშიაც დიდად გავრცელებული) და

იშეათად — ვაეურიც (ერთმარცვლიანი). ჰიპერდაქტილური ანუ ზედდაქტილური (ოთხმარცვლიანი ან მეტმარცვლიანი) რითმის მაგალითები შევლს ქართულს პოეზიაში რამდენიმე, სულ ოთხი-სუთი, მაგალითით ამოიწურება: ცეცხლქაშის ლიტერატურაში ჰიპერდაქტილური რითმა უნაყოფო ექსპერიმენტისა ან ვერსიფიკაციული შემთხვევების სახით გვხვდება, ისიც მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულიდან). ეტყობა, წერილის ავტორის მიერ ნაგულისხმევი ქართველი მწერლები იმეორებენ ს. გორგაძის შეცდომას, რომელსაც ე. წ. ოთხმარცვლიანი ორმაგი რითმები ჰიპერდაქტილურ რითმებად მიაჩნდა (ორმაგ რითმებში კლავუშულის მახვილი ბოლოდან მეორეზეა, ე. ი. ისინი ნამდვილად ქორეული, ორმარცვლიანი, რითმებია).

ქართულიდან რუსულად თარგმნილ ძეგლებში დაქტილური (სამმარცვლიანი) რითმის გაბატონებაც დაუშვებელია. დაქტილი დაღმავალი ტემპის მქონე დაბოლოების საფუძველია ტაეპში, რუსული ლექსის ტაეპს კი ძირითადად აღმავალი ტემპი ახასიათებს, მეტწილად იგი იამბით ან ანაპესტიით თავდება: МОГ: ЗАНЕМОГ; ВЕК: ЧЕЛОВЕК და მისთ. ამიტომ რუსულ ტექსტში („ბილინებს“ გარდა) დაქტილური რითმა გავრცელებული არაა.

ასევე კატეგორიულად უნდა უარვეყოთ იამბის აკრძალვაც ქართული ლექსების რუსულად თარგმნისას, როგორ მოიქცეოდა ქართველი მთარგმნელი, რომ იგი აეჭლებინათ, უეჭველად გადმოელო „ევეგენი ონეგინის“ რიტმული ჩონჩხი, მისი იამბური მეტრი? იამბის ქართულად გადმოცემა ზომ შეუძლებელია?

ან რას ნიშნავს ეს უნაყოფო დავა ტერფების არჩევანის შესახებ? ტერფი, როგორც რიტმული ელემენტი ფიქციაა. ტერფი განყენებული ერთეულია სქემისა, იგი გამოხატავს იდეალური საზომის ნაკვეთს, მახვილიანი და უმახვილო მარცვლების კანონზომიერი თანამიმდევრობის აბსტრაქტულ სურათს; ტერფებით არააინ წირს, წერენ სიტყვებით. რიტმი ტერფების სისტემა როდია. ძლიერი და სუსტი მარცვლების თანამიმდევრობის კანონზომიერება, რომელსაც ჩვენ რიტმს ვუწოდებთ, სხვადასხვა ენაში სხვადასხვანაირად ვლინდება. რუსულში მას ძირითადად აღმავალი ტემპი ახასიათებს (სუსტს მისდევს ძლიერი), რომლის გამოც რუსულ ტაეპში აბსტრაქტული სქემის თვალსაზრისით აღმავალი ტერფები — იამბი, ანაპესტი და ამფიბრაქია გაბატონებული. რუსმა მთარგმნელმა უწინარეს ყოვლისა უნდა დაიცვას მშობლიური პოეტური ენის ყველაზე მოქნილი, ტრადიციით განმტკიცებული და მხატვრულად სრულყოფილი აქცენტური კონსტრუქცია, ისევე როგორც ქართველმა მთარგმნელმა — ჩვენი ლექსთწყობის ბუნებისათვის შესაფერისი, დაღმავალი ტერფებისაგან (ქორე, დაქტილი, პეონი) შედგენილი, საზომები. დასასრულ: რატომ უნდა ცდილობდეს რუსი მთარგმნელი ქართული სალაქსო მეტრების დუბლაჟის შექმნას, როდესაც ანალოგიური ამოცანა მის წინაშე არა დგას, მაგალითად, ფრანგულიდან თარგმნის დროს? ფრანგული ლექსთწყობა სილაბურია, გორთის ცნება კი ასეთს ლექსთწყობაში სრულიად ზედმეტია (აქცენტის თვალსაზრისით სილაბურ ლექსთწყობაში ტაეპს ორი ძირითადი მახვილი აქვს — შუაში, ცეზურის წინ, და ბოლოში; ტერფებს, როგორც განყენებულ მარცვლებრივ ჯგუფებს, ასეთი ლექსთწყობა არ იცნობს). რუსი მთარგმნელი თუ შიეცადა თრანსლული ლექსის მიტრული სტროქტურის დადმოკლმას, მან უარი უნდა თქვას საკოთარი ლექსთწყობის კანონებზე. ან ვინ იძებს ორიგინალის რიტმულ სურათს რონსარის, ჰუგოს, ბერანესა და ვერპარნის რუსულ თარგმნებში?

აგრეთვე კატეგორიულად უნდა უარეყოთ რუსულში ქართული ლექსის რიტმული სურათის პირდაპირი იმიტაციის ყოველგვარი ცდა. და ასევე — პირველად.

ქართული  
ლიტერატურის  
ბიბლიოთეკა



ორიგინალისა და თარგმანის აზრის მტრივ ურთიერთდამთხვევა ჯერ კიდევ არ წარმოადგენს თვითონ თარგმანის მხატვრულობის გარანტიას. კარგი თარგმანი წინასწარ გულისხმობს უცხო ტექსტისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ნუნანსების, სახეთა სისტემის, საერთოდ მთელი შინაარსობლივი ქსოვილის კეთილსინდისიერად გადმოცემას მეორე ენაზე. მაგრამ მარტო სემასიური შესატყვისობა რომ გადამწყვეტი იყოს, მაშინ ამ ამოცანას პოეტური ტექსტის ზუსტი პროზაული თარგმანი უკეთ შეასრულებდა.

თარგმანში იღვეურ შინაარსთან და სახეების სისტემასთან ერთად უეჭველად შენარჩუნებული უნდა იყოს ორიგინალის ინტონაცია.

ჯერ შევთანხმდეთ თვითონ ტერმინის ცნებაში.

ინტონაცია საერთოდ ტონის სიმალის ცვალებადობაა (გაბმულ მეტყველებაში, პროზაში, ლექსში...). პოეტურ ნაწარმოებში იგი გარკვეული სისტემის სახითაა მოცემული და ჩვეულებრივ აღმოცენდება ამა თუ იმ რიტმული სურათის ფონზე (თუმცა ერთი და იმავე საზომისა და რიტმის ჩარჩოებში მეტყველება ხშირად სხვადასხვა ინტონაციით ხასიათდება). პოეტის ხმის თავისებურებას, უწინარეს ყოვლისა, ინტონაციის სიახლე მოწმობს. თანაც ეს უკანასკნელი (ინტონაცია) განსაზღვრული ეპოქის ან საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე პერიოდის უშუალო პოეტურ გამოძახილს წარმოადგენს. ბესიკის მუჰამბაზების ინტონაცია, შეხამებული აღმოსავლური საკრავების აკომპანიმენტთან, გარკვეული წრეების გემოვნებას აკმაყოფილებდა; ნიკ. ბარათაშვილის მღელვარე და დამაბული პათეტიკა დრამატული ეპოქის გამოძახილია; გრ. ორბელიანის მუჰამბაზები მსმენელებად ქალაქის დემოკრატიულ ფენებს ვარაუდობს და პერიფერიული უბნების მოტივებს იმეორებს, ხოლო პოეტის ძირითადი ინტონაციური ნაკადი — ოდნავ არქაიზებული მონოლოგებისა და მიმართებებისათვის დამახასიათებელი („ჩემს დას ეფემიას“, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“) — ეგრეთვე გარკვეული აუდიტორიისადმი იყო მიმართული. ი. ჭავჭავაძის ლექსების პუბლიცისტურ პათოსსა და აკაკის სიმოკრებს ფართო ხალხური ფენებისათვის გამიზნული ინტონაცია კვებავდა. გ. ტაბიძის მელოდიკას თავდაპირველად კამერული ინტონაცია ედო საფუძვლად, საბჭოთა პერიოდში კი — მოწოდებითი სტილის დეკლამაცია. ყველა თანამედროვე ნიჭიერი საბჭოთა პოეტი (ქართული, რუსული, თუ სხვა ეროვნებისა) ინდივიდუალური და, თანაც, საზოგადოებრივად გააზრებული ინტონაციითაა აღჭურვილი. ეს შეხედულება უნდა გავრცალდეს წინა და მომდევნო თაობის წარმომადგენლებზე: თვითიველ მათგანს ჩვენი მკითხველი იცნობს მკაფიოდ გამოკვეთილი ინტონაციის მიხედვით, რადგან, სადაც ეს ინტონაციური თავისებობა არა ჩანს, იქ არსებითად შაბლონი ან უკვე ნაცნობი პოეტური ხმა იკიდებს ფეხს.

ემოციური შიქაბილი თუ შეკითხვა, ამაღლებული ტონის სიჭარბე თუ ხმის დაწელება, ეპიკური თხრობის კოლო (როცა ტაქის დასასრული ინტონაციურად ხაზგაუსმელია!) თუ ლირიკული აღსარება, მოულოდნელი რითმა თუ

სტრიქონის ანაზღაურული შეწყვეტა, განცვიფრება თუ ირონია, ყველაფერი ინტონაციით გამოიხატება ხოლმე. საკუთარი პოეტური ტემპრის შემოქმედი უმაღლე იცნობა სწორედ ინტონაციის მეშვეობით.

ყოველივე ზემოთქმულიდან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს:

კლასიკური და საბჭოთა პოეზიის ნიმუშების რუსულიდან ქართულად ან ქართულიდან რუსულად თარგმნის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძეგლის ინტონაციურ თავისებურებებს; კერძოდ, რუსმა პოეტებმა უდიდესი მუშაობა ჩაატარეს ჩვენი პოეტური კულტურის პოპულარიზაციისათვის საქართველოში. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნ. ტიხინოვის, ნ. ზაბოლოცკის, ბ. პასტერნაკის, ვ. დერევიინის, ა. მეიეროვის და სხვათა მუშაობა. მიუხედავად ამისა, „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ (რუსულად) ღირსებებთან ერთად მრავალი არსებითი ნაკლიც აქვს; კრებული არ გამოხატავს ჩვენი პოეზიის ინტონაციურ მრავალფეროვნებასა და — არცთუ იშვიათად — მთელი რიგი პოეტების სახეთა სისტემის ინდივიდუალურ სტილსაც. ამ გარემოების მიზეზად რუსი მთარგმნელების მხრივ საქმისადმი გაიოლებულ დამოკიდებულებას ვერ დავასახელებთ. რომელი სერიოზული კრიტიკული ნაშრომით უნდა ესარგებლა მთარგმნელს, როცა მის წინაშე წამოიჭრებოდა ამოცანა: ამა თუ იმ ავტორის, ან ცალკეული ნაწარმოებების სპეციფიკური მხატვრული სახის გაცნობის? ამ მომენტს ხომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს თარგმნის პროცესში? რუსულ ენაზე ხომ დღემდე არ მოიპოვება მხატვრული ანალიზის მხრივ მდიდარი ისტორია ქართული პოეზიისა? ასეთი ნაშრომის ან დამოუკიდებელი მონოგრაფიების საჭიროებას ამჟამად ყველა გრძნობს. სანამ რუსი მთარგმნელები ქართული ენის ღრმა ცოდნით არ აღიჭურვებიან, მანამ თვითიველ მათგანს ხელთ უნდა ჰქონდეს ისტორიულ-თეორიული გამოკვლევა ჩვენი პოეტური კულტურის თავისებურებათა და მრავალფეროვნების შესახებ. თუმცა განმეორებით დაგძენთ, რომ თარგმანის მაღალი ხარისხის გარანტიას უწინარეს ყოვლისა წარმოადგინს ძეგლის ენის ინტიმური ცოდნა და მისი ინტონაციური სურათის მეორე ენაზე გადაღების უნარი.

მაშასადამე, თარგმანი არ უნდა იყოს გაძარცვული ორიგინალის სახეების თავისებური სისტემისა და ინტონაციური სამოსელისაგან. რომლებიც ავტორის პოეტურ ინდივიდუალობას განსაზღვრავენ და მის ნაწარმოებს განუმეორებელ ელფერს ანიჭებენ დიდანში. ქართული პოეზიის უპირველესი ძეგლის თარგმანების მაგალითიც ჩინებულად ადასტურებს ჩვენი თბილისის სისწორის. მაგ., ცნობილია, რომ რუსთაყილმა შეგნებულად უარყო შინაგანი რითმები ჩახრახახის ხოტბებისა. კ. ბალომონტმა კი მთელი პოემა შინაგანი რითმით თარგმნა, ე. ი. მან არსებითად შექმნა ინტონაციის მხრივ სრულიად საწინააღმდეგო რუსული ვარიანტი რუსთაველის ქმნილებისა. მაგალითად, ტაეებს —

გაძრცილსა ჩანსა ემოსნეს აარაჟმნი უსაპირონი,  
 ებურნეს მოშლით რიდენი ფასის თქმად გასაჭირონი —  
 ბალომონტი ასე თარგმნის:

Та жемчужина жемчужин; С горпостаем свет  
 тот дружен.  
 Смотрит взор обесоружен. Ткань на вежной  
 без цены.

რუსთაველის სიტყვიერი ფაქტორის ყველა თავისებურება, მშვიდიერი სიმადავე, თხრობის ეპიკური კილო თარგმანში შეცვლილია შინაგანი ტაეტოლო-

გით. და როგორ გაღარიბებულია პოემის გმირი ქალის გარეგნობისა და მორთულობის ამსახველი ტაყებები იმის გამო, რომ მათი რუსული ვარიანტი „გამდიდრებულია“ ახალი სამკაულით — მარგალიტითა და შინაგანი რითმით.

საბოლოო თეორიული დასკვნა ასეთია:

ქარგი თარგმანი ყოველთვის ორიგინალის იდეური შინაარსის, სახეთა სისტემისა და ინტონაციის შენარჩუნების საფუძველზე იქმნება.



ქართულ ლიტერატურას პოეტური თარგმანების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ძველს ქართულ მწერლობაში ირანულიდან ითარგმნებოდა უმთავრესად ეპიკური ნაწარმოებები („შაჰნამე“, ნიზამის პოემები და მრავ. სხვა), მაგრამ ორიგინალისა და თარგმანის შინაარსობლივ ადექვატურობაზე ქართველი მთარგმნელები საერთოდ ნაკლებ ზრუნავდნენ. ასევე თავისუფლად გრძნობდნენ თავს ისინი დედნის სალექსო კონსტრუქციის შესაბამისი ფორმების ძიებაშიაც. მაგ., ირანული სტროფიკის ერთ-ერთ ძირითად სახეს, ლაზელს (ორტაეპედს), რომლითაც დაწერილია ფირდოუსისა და ნიზამის პოემები, ქართველი პოეტები ერთრიითმიანი ოთხტაყედით (შაირის სტროფი) გადმოსცემდნენ. რადგან ირანული და ქართული მეტრიკისა და პროზოდის კანონები რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (ირანულ-არაბული ლექსთწყობა კვანტიტატიურია, რიტმი იქ გრძელი და მოკლე ხმოვნების თანმიმდევრობაზეა დაფუძნებული), ქართველ მთარგმნელს, ბუნებრივია, არც შეეძლო მიეზამნა დედნის მეტრული კონსტრუქციისათვის.

მიუხედავად ირანულიდან ქართულად თარგმნილ ძეგლებში ბევრი ბრწყინვალედ შესრულებული სტროფისა, არ შეგვიძლია რაიმე თეორიული დასკვნები გამოვიტანოთ პოეტური თარგმანის საკითხების დამუშავებისას. მე-19 საუკუნემდე დასავლეთში, რუსეთსა და აღმოსავლეთში, ასევე ჩვენშიაც, საერთოდ ლიტერატურის ნიმუშების თარგმნისას დედნის ცალკეული დეტალებისადმი ერთგულება იშვიათი მოვლენა იყო (ერთგულებას იჩენდნენ უმთავრესად ძველი და ახალი აღთქმის (ბიბლია) წიგნებისადმი; ბედნერ გამოჩაყლის წარმოადგენდა აგრეთვე „ილიადა“). ჩვენი მთარგმნელები არსებითად აქართულეზდნენ ირანულ პოემებს (ამოკლებდნენ ან ავრცელებდნენ ცალკეულ ადგილებს, შინაარსობლივადაც სცვლიდნენ და ა. შ.), თანაც გარკვეული არჩევანის გზას ადგნენ: გადმოჰქონდათ მხოლოდ საგმირო რომანტიკული ეპოსის ძეგლები და გაურბოდნენ ჩვენი ხალხის სულიერი ტრადიციებისათვის შეუფერებელი ნაწარმოებების გადმოცემას. ამიტომაც გასაგებია ის ფაქტი, რომ ქართულად სრულიად არ უთარგმნიათ ირანული სუფიური — ხშირად ბნელი და მისტიკურ-პედონისტური — ლირიკის ნიმუშები (ჯემალ ედ-დინ რუმის, ჰაფეზის და სხვა პოეტებისა).

ამრიგად, ირანულიდან თარგმნილი ეპოსის ცალკეული ნიმუშების საკითხი ამჟამად კულტურულ-ისტორიული და ფილოლოგიური პრობლემაა მხოლოდ.

მე-19 საუკუნეში ქართველი პოიტობი უმთავრესად თარგმნიდნენ რუსულიდან (პუშკინს, კრილოვს, ლერმონოვს, იშვიათად ტიუტჩიკს, მაიკოვს და სხვებს, ხოლო რუსულის გზით — უცხოელებსაც: გოითეს, ბაირონს, ჰეგელს, ჰაინესს, ბერანესს, და სხვ.). მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუს ავტორებს



საგანგებოდ თარგმნიდნენ ალ. ქავჭავაძე და გრ. ორბელიანი, მეორე ნახევარში კი — ილ. ქავჭავაძე და აკ. წერეთელი.

ჩვენი რომანტიკოსების თარგმანები (პუშკინიდან და კრილოვიდან) დამძიმებულია არქაული ლექსიკითა და მძიმე სინტაქსით. მათს ერთ-ერთ ძირითად ნაკლს შეადგენს აგრეთვე სიქარბე ნაკლული და არა თანაბარ-მახვილიანი რითმებისა, წარმოშობილი რუსული ვაჟური რითმის თვალთ ათვისების საფუძველზე (სხვა: რისხვა; დამელევა მე; სიამე; აღარ ვარ; გინახვივარ და მისთ.). ამიტომაც აღნიშნულ თარგმანებში ცალკეულ ტაქტთა დაბოლოება არიტმულია, ისინი ცუდად ჟღერენ.

სამწუხაროდ, არც ი. ქავჭავაძესთან და ა. წერეთელთან დასრულებულა თარგმანის ცალკეული ელემენტების (სწორი რითმა, ინტონაციურ-სემასიური ქსოვილის სიფაქიზე) კრისტალიზაციის პროცესი. მე-19 საუკუნის ქართულ-მწერლობაში მოიპოვება რუსული ლირიკული ლექსების მხოლოდ ცალკეული კარგი თარგმანები. რომელიმე რუსული კლასიკური პოემის სრულყოფილი თარგმანი აღნიშნულ საუკუნეს ჩვენთვის არ დაუტოვებია.

მაგრამ გასული საუკუნის ქართულ თარგმნითს კულტურას ამშვენებს ივ. მაჩაბლის შესანიშნავი თარგმანები შექსპირის ტრაგედიებისა. ურითმო ლექსის თარგმანის სფეროში ივ. მაჩაბელი დღემდე ინარჩუნებს მიუბაძველი კლასიკოსის სახელს. ჩვენ მხოლოდ ზოგადად დავახასიათებთ მის ღვაწლს, რადგან მაჩაბლის თარგმანების ყოველმხრივი შეფასება სხვა დარგის სპეციალისტების საქმეა.



ივ. მაჩაბელს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. იგი იყო არა მარტო ჩინიბჭული მწერალი-მოთარგმნელი, არამედ ცნობილი საზოგადო მოღვაწე. მაგრამ რაგინდ ფართო ინტერესებით არ ყოფილიყო აღჭურვილი ივ. მაჩაბელი, იგი ქართულ სიტყავაჯამებული მწერლობის ისტორიაში შევიდა, როგორც სიტყვის დიდი ხელოვანი. მე-19 საუკუნის ქართველ მწერლებს მაჩაბელი მხარს უმშვენებს არა ორიგინალური ქმნილებებით, არამედ შექსპირის ძირითადი ტრაგედიების ბრწყინვალე თარგმანებით. უჩვეულო ფაქტად არ უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ მოთარგმნელმა ასეთი საპატიო ადგილი დაიჭირა მშობლიურ ლიტერატურაში. მსგავსი მაგალითები ცნობილია დასავლეთისა და რუსული მწერლობის ისტორიიდანაც. აკი ლუთერის მიერ თარგმნილმა „ბიბლიამ“ შექმნა გერმანული სალიტერატურო ენა, ხოლო „ვისრამიანის“ ქართული ვარიანტის ენა „ვეფხისტყაოსნის“ ენის ბადალია. ისიც ცნობილია, რომ ყოველი ევროპული ერის პოეზია დიდად გაამდიდრა ჰომეროსის ეპოსის თარგმანებმა: ბერძნული ორიგინალის საზომის ძიებაში გამოიკვედა ამ ერების დამოუკიდებელი სალიტერატურო მეტრიკა. რუსულ სალიტერატურო ენაშიაც საპატიო ადგილი უჭირავს გენდიჩის განთქმულ თარგმანს.

ასეთია როლი და მნიშვნელობა ქვეყნობრივად გენიალური თარგმანებისა — ისინი ორგანულ წიკრებად იქცევიან თვითონ მოთარგმნელის მშობლიურ მწერლობაში, ამიდრებენ ამ უკანასკნელს. რადგან თარგმნის პროცესი, სხვათაშორის, გულისხმობს ერთი ენის სტრუქტურის პოზიციიდან მეორე ენის შესაძლებლობათა დაზვერვას, შემოწმებასა და გამოვლინებას.

ივ. მაჩაბლის თარგმანების ზერელე გაცნობაც კი უმაღლეს დაარწმუნებს მკითხველს, რომ ისინი ზედმიწევნით აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნათ. ივ. მაჩაბელმა შექმნა შეუდარებელი ესტამპი შექსპირის ლექსითი მონოლოგებისა და დიალოგებისა, და როგორც ენობრივი და სტილური ფაქტი, მისი თარგმანები შეიძლება ორიგინალთან შემოწმების გარეშეც განვიხილოთ. ვითარცა ქართული პოეტური მეტყველების იშვიათი ძეგლები. შექსპირის ტრაგედიების ქართული თარგმანები ორიგინალური ნაწარმოებებივით ელერენ, ე. ი. მაჩაბელმა ქართული ენის წიაღში მოქებნა გამოთქმის ისეთი ფორმები, რომლებიც ზედმიწევნით გადმოსცემენ დედნის მონუმენტულობას, ავტორის სტიქიონურ ტემპერამენტსა და უღრმეს ფილოსოფიურ რეფლექსიებს, თანაც ინარჩუნებენ უაღრესად სპეციფიკურ ქართულ ელფერს.

ივ. მაჩაბლის თარგმანებმა აგრეთვე შეასრულეს დიდი როლი ჩვენი სასცენო მეტყველების გამომუშავებაში, მის დახვეწასა და გაფაქინებაში. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ „ოტელოსა“ და „ჰამლეტის“ უკვდავი მონოლოგების სრულყოფილ გახმანებაში ქართულმა სცენამ არ იკოდა მაღალი პოეზიით აღბეჭდილი და მონუმენტალური სტილის სასცენო მეტყველება.

როგორ მიაღწია ყოველივე ამას ივ. მაჩაბელმა?

ივ. მაჩაბელს გათვალისწინებული ჰქონია ის სიძნელეები, რომლებიც უცხო აქცენტური სისტემის მქონე ენიდან სხვა, არამონათესავე, ენაზე პოეტური ძეგლის თარგმანსთანა დაკავშირებული. ინგლისელი მეტრისტები (ომონდი და სხვ.) ერთხმად აღნიშნავენ, რომ ინგლისური ლექსის ტაქტში ერთმარცვლიანი და ორმარცვლიანი სიტყვები სჭარბობენ მეტმარცვლიანებს. ქართულში კი ხშირია ოთხ და მეტმარცვლიანი სიტყვების გამოყენება სალექსო ტაქტის შედგენისას. ამის გამო ინგლისური ლექსის ტაქტი იტყვის ცნებების მეტ რაოდენობას. ვიდრე იმავე მარცვლებრივი რაოდენობის მქონე სხვა ენის სალექსო ტაქტი. ბუნებრივია, რომ ეს გარემოება მოსთხოვდა ივ. მაჩაბელს, შექსპირის მონოლოგების დედნის საზომის ჩარჩოები გაეფართოებინა და 14-მარცვლიანი მეტრი გამოეყენებინა: შექსპირის ქართულ თარგმანებში ყველა ლექსითი მონოლოგი თუ დიალოგი 14-მარცვლიანი „ნარევი“ საზომითაა გადმოცემული. მიუხედავად ამ მეტრის სილაბური მრავალრიცხოვანებისა, იგი ზოგჯერ სამი სიტყვითაა აესებული. მაგ.,

თავმოყვარების სათნობად ვარდამქცევლნო

5

4

5

(„ოტელი“).

ამ ტაქტის შესატყვის ადგილას ორიგინალის სტრიქონში უფკველად მეტი სიტყვები სავარაუდებელი. ივ. მაჩაბელი მინც სრულიად თავისუფლად ახერხებს შექსპირის ურთულეს მსჯელობათა ქართულად გადმოცემას და არავითარ ძალდატანებას არ მიმართავს: ინგლისური პროსოდის თითქოს-და გადაულახავი თავისებურებანი ქართული ლექსთწყობის მოქნილი საზომითა და ჩვენი ენისათვის შესაფერი სამეტყველო ფორმებითაა განეიტრალებული.

მართალია, ივ. მაჩაბლის დამსახურებას არ შეადგენს ბესიკური 14-მარცვლიანი მეტრისათვის ახალი ინტონაციის მინიჭება, ეს უკანასკნელი საზომმა ქართველ რომანტიკოსებთან შეიძინა. ჩვენ მშვენივრად გავითვალისწინებთ მაჩაბლის თარგმანების პათეტიკისა და საზეიმო ინტონაციის ხასიათს, თუ გავიხსენებთ, რომ ჯერ კიდევ ალ. ჭავჭავაძესთან, გრ. ორბელიანთან და ნიკ. ბარა-

თაშვილთან შინაგანი რითმებით გადატვირთული და სასიმღერო 14-მარცვლიანი ბესიკური საზომი უცხო დეკლამაციურ იერს იღებს (შდრ. ილ. ჭავჭავაძის „გოქჩის ტბა“, გ. ორბელიანის „ჩემს დას ეფემიას“ და ნ. ბარათაშვილის „მერანი“). მაშასადამე, ივ. მაჩაბელმა გამოიყენა მზამზარეული საზომი რომანტიკოსებთან ჩამოყალიბებული ინტონაციური სახით (შინაგანი რითმების გარეშე). ამ საზომს მაჩაბლის თარგმანებში არა აქვს გარეგანი რითმაც. უცხო ლექსითი დრამატული ნაწარმოებების ქართული თარგმანის ერთ-ერთ ძირითად მეტრად აღნიშნული საზომი დამკვიდრდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალი და სრულიად ორიგინალური საზომის ძიებისათვის თავგამოდებას შეეძლო სავსებით დაეღუპა მაჩაბლის თარგმანი: პროსოდიისა და ლექსთწყობის სფეროში ნოვატორობა თარგმანების მიმართ ყოველთვის ხელსაყრელი არაა (ჩინებულ მაგალითს წარმოადგენს ბერძნული ჰეგზამეტრის პირდაპირი მიბაძვის ცუდი შედეგები ევროპულ ენებში). ასეთი ნოვატორობა ამძიმებს თარგმანებს, უკარგავს მათ ტრადიციულად განმტკიცებული მშვენიერი უბრალოებისა და კეთილშობილური სიდიადის იერს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეტრული სიახლე ყოველთვის როდია დიდი ნიჭის მაჩვენებელი ორიგინალურ თხზულებებშიაც კი. ცნობილია, რომ რიტმისა და ინტონაციის უდიდეს ხელოვანთ პოეზიასა და მუსიკაში (რუსთაველი, ბახი, გოეთე, ბეთჰოვენი, პუშკინი და სხვ.) სრულიად ახალი მეტრები არა აქვთ: ისინი უმალღეს სრულყოფილობას და ინდივიდუალური ელფერის ინტონაციას სძენენ მეორეხარისხოვანი და პერიფერიული პოეტების მიერ დიდი ხნით აღრე მიგნებულ, მაგრამ ცუდად გამოყენებულ საზომებს, ან კიდევ ხალხური პოეზიიდან სესხულობენ მეტრულ სჭემებს, როგორც საკუთარი რიტმული სურათის დასაყრდენ ჩონჩხს (გურამიშვილი, გოეთე, ჰაინე...).

ივ. მაჩაბლის თარგმანებში 14-მარცვლიანი საზომი გამოირჩევა ერთი თავისებურებითაც — მისი დამოლოება მეტწილად დაქტილურია (სამმარცვლიანი) და იშვიათად თავდება ორმარცვლიანი ან ერთმარცვლიანი სიტყვით. სინტაქსური პერიოდი დამრგვალებულია და კადენციაში ყოველთვის ნელი ტემპით თავდება. რაგინდ პათეტიკური არ იყოს მონოლოგების რიტმული აბზაცი, მისი დასასრული ლოგიკურად და ინტონაციურად ქართულ მეტყველების დარბაისლურ იერს ატარებს:

ო. თქვენც მშვიდობით მანქანას სიცილის მბადნო,  
რომელთ ყელთან გადმოჰქუხს ხმა სმენად სამში,  
როგორც უკიდავის იუპიტრის საზარო გრგვენვა!  
ოტელოს ჩარხი ბედუკულმა გადატრიალდა!

ივ. მაჩაბლის პოეტური მეტყველება მდიდარია სალიტერატურო ენის ლექსიკური მარაგითა და ხალხურიდან აღებული იდიომური გამოთქმებით (როგორც ქართული ხალხური იდიომატიკის მცოდნეს, მე-19 საუკუნეში მას მგონი არავინ შეედრება, ილიას გარდა). მთარგმნელს არც ერთხელ არ ღალატობს ენობრივი გემოვნება შიქსპირის მართლაც-და „ბარბაროსული“ ადგილების გადმოცემის დროს და, ამიტომაც, ღრმა შთაბეჭდილებას ახდენენ ის ადგილები, რომლებიც მოქმედ პირთა მძვინვარებას ან ბნელ ენებათაღელვას გამოხატავენ. ამათ გვერდით ივ. მაჩაბლის ლირიკული მონოლოგები ლიეღივებენ ფერებით და ბევრი მის მიერ მონახული ქართული შედარებანი ნამდვილი მოზაიკის შთაბეჭდილებას ტოვებენ.

მაჩაბლის თარგმანების ერთ-ერთი უწინარესი ღირსება მდგომარეობს შექსპირის ღრმა ფილოსოფიური მედიტაციების ქართული იერით გადმოცემაში ერთი მაგალითი.

შექსპირის ზოგიერთ პერსონაჟს ადამიანის ცხოვრება ხშირად წარმოუდგენია სიზმრად, აჩრდილად ან წამიერ ზმანებად. ტიუდორთა დინასტიის უკანასკნელი პერიოდისა და ინგლისური აღორძინების დაისის უდიდესი მწერალი, რომელმაც კარგად აგვისახა კრიტიკული აზრისა და რწმენის ჭიდილი ჰუმანისტური კულტურის კრიზისის ეპოქაში, ხანდისხან შესაძლებლად სთვლის ზღვარის წაშლას ყოფნასა და არ ყოფნას შორის, ხილულსა და ზმანებას შორის (ჰამლეტი, პროსპერო...). მაკბეტიც, რომელსაც დედოფლის სიკვდილს აცნობებენ, ამბობს:

.....სიციცხლე მხოლოდ

ჩრდილი ყოფილა მოარული; ტაკი მასხარა,  
რომელსაც ვიდრე დრო აქვს, ადის მალა სენაზე  
და ივიმება, ივრიბება მთლად გაქრობამდე.

ქართული გამოთქმა „მოარული ჩრდილი ყოფილა“, რუსულში გადმოცემულია ასე: как тень мимолетная. მაკბეტის მთელი ეს მონოლოგი ძალზე კოლორიტულია და მშრალი სენტენციის ხასიათს არ ატარებს, რადგან მისი მატერიალური გარსი (ენობრივი ფორმა) უაღრესად ქართულია.

ივ. მაჩაბლის ზემოთხამოთვლილი დიდი ღირსებები უქვევლად გასათვალისწინებელია ურთიმო ლექსებისა და, კერძოდ, უცხო ენებიდან კლასიკური ტრავედიების თარგმნის დროს, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ივ. მაჩაბლის თარგმნითი ტრადიციების მთლიანად და უკრიტიკოდ გაზიარება შეიძლებოდა. ჯერ ერთი: შექსპირის პიესების ქართულ თარგმანებში რითმიანი ადგილები (ცალკეული კუპლეტები და სიმღერები) მთარგმნელს არ გამოსვლია. როგორც ჩანს, თანამედროვეთა მსგავსად (ი. ჭავჭავაძე და სხვ.) ივ. მაჩაბელსაც რითმიანი ლექსის უნაკლოდ თარგმნა არ ეხერხებოდა. მეორე: ივ. მაჩაბლის სტილისადმი პირდაპირი მიბაძვა — როგორც ყოველგვარი მიბაძვა საზოგადოდ — სტილიზაციის საშიშროებას ჰბადებს. ამიტომაც, რომ შექსპირის ან შილერის პიესათა ახალი თარგმანები, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, იმიტაციის დალით არიან აღბუჭილნი და ერთმანეთს ჰგვანან; თარგმნის პროცესში ამა თუ იმ ჰანერისა და უკვე ცნობილი სტილური ფიზიონომიის მქონე მონაპოვართა განმეორება იწვევს მკითხველის გულგრილობას თვითონ მთარგმნელის პიროვნებისადმი; ეს უკანასკნელი არსებითად არაფერს მატებს მშობლიური პოეტური მეტყველების განვითარებას, რადგან იგი ეპოფონი-მთარგმნელია და წინაპრისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფება.

თანამედროვე თარგმანში არ შეიძლება მექანიკური განმეორება მაჩაბლის სტილის ყველა თავისებურებისა, რადგან ამ უკანასკნელს თან ახლავს ელემენტები, რომელნიც ამჟამად არქაულად ჟღერან, თუმცა ისტორიული პერსპექტივაში ისინი უბადლონი არიან. ამგვარი ელემენტთაგანია, მაგალითად, სინტაქსური არჩაიზმის გარკვეული დოზა, რომელიც თვითონ მაჩაბლის თარგმანში საგრძნობლადაა განეიტრალებული ხალხური იდიომატკით. ზოგი რამ, რაც მაჩაბლის თარგმანს შეიძლება ამშვენებს კიდევაც, ამჟამად გამოუსადეგია.

ახალი ქართული თარგმანების საერთო ტენდენცია უეჭველად უნდა გულისხმობდეს სისადავისადმი მაქსიმალურ მიდრეკილებას.

ყველას მიერ გასაზიარებელი სტილი დამუშავდა გადოდორიგინალობისა და მოჩვენებითი ბანალობის საზღვრებში ივარაუდება: იგი არასოდეს არ გამოირიხავს მთარგმნელის ინდივიდუალურ ნიჭიერებას, მაგრამ ზღუდავს მას ზედმეტი ორიგინალობისა და მექანიკური მიმბაძველობისაგან. ცალკეული არქაული სიტყვები თუ ფრაზები დასაშვებია ტიპიზაციის, ეპოქის კოლორიტის ან სხვა სიუჟეტური მოტივის გადმოსაცემად, მაგრამ ასეთი გადახვევა შეწოვილი უნდა იყოს თარგმანის საერთო სადა ენობრივი და სტილური ქსოვილის მიერ.

ემიგონ-მთარგმნელებს სწორედ ეს არ ესმით და ამიტომაც გათელილი გზით სიარულს ამჯობინებენ.



ქართული პოეტური თარგმანის ისტორიაში ახალი ეტაპი საბჭოთა პერიოდში დაიწყო. რითმინი ლექსის საუკეთესო თარგმანების ნიმუშები რევოლუციამდე იშვიათად მოიპოვებოდა ჩვენს ლიტერატურაში. რუსული და უცხოური პოეზიის ღირსშესანიშნავი ძეგლების ანგარიშგასაწევი თარგმანები მხოლოდ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე გამოქვეყნდა. საცილობელი არაა ის ფაქტი, რომ, მაგალითად, პუშკინის ან ლერმონტოვის პოემების რევოლუციამდელი თარგმანები ოდნავადაც ვერ გაუტოლდებიან დასახელებული ნაწარმოებების უკანასკნელ წლებში დაბეჭდილ თარგმანებს. იგივე ითქმის სხვა ენებიდან თარგმნილი ძეგლების შესახებაც. „ნიბელუნგებს“, „სიმღერას როლანდზე“, დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“, შექსპირის სონეტებს, ირანელ ლირიკოსებს ლესინგისა და შილერის დრამებს, და სხვ. არსებითად ქართველი მკითხველი პირველად გაეცნო წესიერ თარგმანებში. დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ჩვენი საუკეთესო მთარგმნელები რუსული კლასიკური პოეზიის ნიმუშებს, რომელთაც ქართველ მკითხველი სიყრმიდანვე იცნობს დედანში და რომელსაც ყოველთვის აქვს შესაძლებლობა შეამოწმოს თარგმანის სიზუსტე და მხატვრული ხარისხი. ჩვენმა მკითხველმა პირველად მიიღო პუშკინის პოემები, ლერმონტოვის „დემონი“, ტიუტჩევის ფილოსოფიური ლირიკის ზოგიერთი საუკეთესო ნიმუში, ნეკრასოვის, ფეტის, მაიაკოვსკისა და ა. ტოლსტოის პოეზიის რჩეული ნაწარმოებები. ზემოთდასახელებული ძეგლების მთარგმნელებმა (კ. კოჭინაძე, კონსტ. გამსახურდია, ა. აბაშელი, შ. აფხაიძე, რ. გვეტაძე, გ. გაჩეჩილაძე, გ. აბაშიძე, ხ. ვარდოშვილი, ვ. გაბესკირია, დ. გაჩეჩილაძე, ვ. გორგაძე, გ. ნადირაძე, ვ. ქელიძე და სხვ.) დიდი მუშაობა ჩაატარეს რუსული და უცხოური პოეტური მალაკვალიფიციური თარგმანის ტრადიციის დანერგვის თვალსაზრისით.

რუსული და უცხოური (დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთის) პოეტური ძეგლების თარგმნის პროცესში ნათელი გახდა ქართული ლექსის გამოსახვითი საშუალებების სიმდიდრე, მისი რიტმიკისა, რითმისა და სტროფიკის მოქნილობა. ყოველივე ეს სრულ გარანტიას იძლევა უცხოური კომპოზიციური ფორმებისა და სახეობრივი სისტემის გადმოცემისათვის ქართულად. გადმოუცემელი დარჩება მარტოოდენ უცხო ავტორის მიტყვევლების, როგორც გამოთქმის უაღრესად სფეციფიკური ინსტრუმენტის, ღრმად ინდივიდუალური და განუმეორებელი ფონიკური სისტემა (მაგ., ლათინურ-ბერძნული ან

ირანული ლექსის ამღერებელი, რაფსოდული, ხასიათი, მახვილებს ხაზგასმული როლი და ტონური პაუზები მიაიკოვსკის ლექსებში და ა. შ.). მაგრამ ამ გარემოებას ისევე უნდა შევეურიგდეთ, როგორც ქართული ლექსის მსოფლიო ბგერითი და პროსოდიული თავისებურებების განუმეორებლობას სხვა ენაზე შესრულებული თარგმანის სიტყვიერ ფაქტურაში. დედნისა და თარგმანის ფონიკური (ბგერითი) დამთხვევებისა და იგივეობის მაგალითები იშვიათ გამოჩენილია წარმოადგენს, მეტწილად კი მას უნაყოფო და ნაძალადევი ექსპერიმენტის ან ალიტერაციული დამსგავსების გზით მიღებული კერიოზის ხასიათი აქვს.

რუსული და უცხოური ენებიდან თარგმნილი კლასიკური ძეგლების ყოველმხრივი ანალიზი ცალკე წერილისა და გამოკვლევის საგანს შეადგენს. სამისო მასალა ამჟამად საკმაოდ და მოელის თავის მკვლევარს.

საბჭოთა ქართულ მწერლობას რითმიანი ლექსის სფეროში უცლებლად გარკვეული მიღწევები აქვს. თვითუღი მთარგმნელი ცდილობს, ახლოს იყოს ორიგინალთან და შეძლებისამებრ გადმოსცეს მისი შინაარსობრივი და მხატვრული თავისებურებანი. ცალკეული გამარჯვებებისა და დამარცხებთა მიზეზად უნდა დავასახელოთ თარგმნითი ხელოვნების დაუფლების ინდივიდუალური უნარი, აგრეთვე ორიგინალის ენისა და ავტორის იდეურ-მხატვრული სამყაროს ცოდნის გარკვეული ხარისხი. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი მარცხის მიზეზად თვითონ ქართული ლექსის ძირითადი ვერსიფიკაციული ნორმების სუსტი ცოდნაც უნდა ჩაითვალოს. ამით აიხსნება, მაგალითად, დღემდე გამოუსწორებელი შემთხვევები არათანაბარმახვილიანი და ნაკლები რითმებისა ქართულ ლექსითს თარგმანებში, რაიც საოცრად აყრუებს ტაქს რიტმულად.

ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია ვილაპარაკოთ თარგმანებში აზრობრივ დამახინჯებათა საკითხის გამო. საუკეთესო მთარგმნელთა პრაქტიკაშიაც ზოგჯერ ადგილი აქვს ცალკეულ შეცდომებს. მაგრამ ეს მომენტი საბედისწეროა უმთავრესად მდარეხარისხოვანი თარგმანებისათვის, საუკეთესო თარგმანებში კი მათი არსებობა ცალკეული დეფექტის ხასიათს ატარებს და მისი გამოსწორება მთარგმნელის სიცოცხლეშივეა შესაძლებელი. კვალიფიციური რეკონსტრუქციები, თარგმანის წინასწარი კითხვა და სხვა ამგვარი ღონისძიებანი თარგმნითი საქმიანობის წმინდა პრაქტიკული მხარეა და სასურველია იგი განხორციელებული იქნეს ნაწარმოების გამოქვეყნებამდე.

ყველა ეპოქაში კლასიკური ნიმუშები ხელახლა ითარგმნება. ლიტერატურის ისტორიაში გარკვეული დროის მონაკვეთი, ესა თუ ის საზოგადოებრივი ფენა, ყოველთვის თავისებურად კითხულობს მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს ძეგლებს. ეძებს მასში თავისი იდეებისა, მისწრაფებებისა და ესთეტიკურ-მორალური ინტერესების გამოძახილსა და დასაყრდენს. ყოველივე ეს გამოხატულებას ბოლოებს თარგმანის სფეროშიაც. ამიტომ კლასიკური ნაწარმოებების ბედი ამ მხრივაც სახარბიელოა: როგორც მრავალწახნაგოვანი ბრილიანტები, ისინი ახალ-ახალ თარგმანებში სხვადასხვა კუთხით გაბრწყინდებიან ხოლმე და მომჯადოებელ ელვარებას ათეული და ასეული წლობით ინარჩუნებენ. ამით აიხსნება ერთი და იმავე ძეგლის რამდენიმე თარგმანი ყველა კულტურული ერის მწერლობაში.

მარტოოდენ ფორმალური მოვალეობა დედანთან აბსოლუტური დაახლოვებისა როდი ამოძრავებთ იმ მთარგმნელებს, რომელთაც მიზნად დაუსახავთ გე-

ნიალური ქმნილების მშობლიურ ენაზე გადაღების ამოცანა: ჭეშმარიტი მთარგმნელი-პოეტი თვითონ ცხოვრობს უცხო ავტორის სამყაროში, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთარგმნელის ინდივიდუალურ გატაცებებს, მის ტემპერამენტსა და ემოციას. ოღონდ ყოველივე ეს დისციპლინირებული უნდა იყოს საქმის ღრმა ცოდნითა და პროფესიული ოსტატობით.



დიდი სამამულო ომის შემდეგ არაჩვეულებრივად გაძლიერდა საბჭოთა მკითხველის, კერძოდ ქართველი მკითხველის, ინტერესი დემოკრატიული ქვეყნების მწერლობისადმი. პირველად გამოქვეყნდა ქართულად პოლონური, ჩეხოსლოვაკური, ჰუნგრული, რუმინული და ბელგარული ლიტერატურის ცალკეული ნიმუშები. ზოგი მათგანი შესრულებულია პროფესიული პასუხისმგებლობით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოძმე რესპუბლიკების (უკრაინის, ბელარუსის, უზბეკისტანის, ტაჯიკისტანის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ბალტიის ქვეყნებს და სხვ.) ლიტერატურათა საუკეთესო ნიმუშების ქართულად გადმოღებას. ამ თარგმანების შეფასება ჩამოთვლილი ერების ლიტერატურის მცოდნეთა საქმეა, მაგრამ ერთხელ კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ ამგვარი შეფასება არ უნდა შემოიფარგლოს ცალკეული ტაეპების დედანთან აზრობრივი დამთხვევების, გადახვევებისა თუ აშკარა დამახინჯებათა აღნუსხვით. საჭიროა ვიცოდეთ, გადმოსცემს თუ არა მთარგმნელი ყველა იმ არსებითს, რომელთა აღნიშვნასა და დასაბუთებას მიეძღვნა ამ წერილის უმეტესი ნაწილი. მასობრივი შემოწმების საშუალება თარგმანის აეკარგიანობისა ამჟამად არსებობს მხოლოდ რუსულიდან ქართულად თარგმნილი ძეგლების მიმართ, თუმცა ამ სფეროში დღესაც მოიპოვება დიდი ხარვეზები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცოს რუსული საბჭოთა ლიტერატურის, მსოფლიოში ყველაზე პროგრესული მწერლობის, ნიმუშების თარგმნას. ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს უაღრესად აქტუალური საკითხი რუსული საბჭოთა პოეზიის ქართულად გახშიანებისა. ჩვენმა პოეტებმა და მთარგმნელებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს ამ მხრივ, მაგრამ ბევრი რამ კიდევ ვასაკეთებელია. ქართულად დღემდე არ გამოცემულა არცერთი რუსი თანამედროვე პოეტის ლექსთა კრებული ცალკე წიგნად. და ეს მაშინ, როცა რუს მკითხველს არცთუ იშვიათად ვაწვდით თანამედროვე შეორეხარისხოვანი ქართველი პოეტების თარგმანებს და ისიც — ცალკე წიგნაკების სახით! ამირომაც დღესდღეობით ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ ცალკეულ ნაწარმოებთა თარგმანების შესახებ. ბუნებრივია, რომ ქართველი მთარგმნელები და ანთოლოგიების რედაქტორები შეეცდებოდნენ თანამედროვე რუსული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები შეერჩიათ, მათი საუკეთესო ქართული თარგმანები მოეძებნათ ან ხელახლა ეთარგმნათ. ასეთი განზრახვა უეჭველად ეტყობა ქართულად გამოცემულ „რუსული პოეზიის ანთოლოგიას“ (რედაქტორები: ს. ჩიქოვანი და კ. ჭიჭინაძე).

რუსული საბჭოთა პოეზიის კლასიკოსის, ვ. მაიაკოვსკის ქართულად გადმოთარგმნის საკითხს აქ არ შეეხებით. ეს ცალკე წერილის თემაა.

კ. ბალმონტის, ა. ბლოკის და ვ. ბრიუსოვის ლექსების ქართულ თარგმანებს შორის „ანთოლოგიაში“ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბლოკის „სკვითები“ (მთარგმნ. კ. ჭიჭინაძე). აზრობრივ სიზუსტესთან ერთად მთარგმნელი ჩინე-

ბულად გადმოგვეცემს დედნის ენერგიულ რიტმს, მის მძაფრსა და დაძაბულს ინტონაციას. პირველსავე სტროფში კ. ჭიჭინაძეს დაქვერილი აქვს შინაგანი ტონი მთელი ლექსისა და მას ბოლომდე არ ლალატობს:

თქვენ ხართ მრავალი, ჩვენ — ურიცხვი, უანგარიშო.  
 აბა მობრძანდით თქვენი ძალებით!  
 ო, ჩვენ სკვითნი ვართ! ჩვენ აზია მოვიტარებთ  
 ვიწროდ გაქრილი ხარბი თვალებით.  
 Миллионы — нас — тьмы, и тьмы, и тьмы.  
 Попробуйте, сразитесь с нами!  
 Да, скифы — мы! Да, азиаты — мы, —  
 С раскосыми и жадными очами!

კიდევ ერთი მაგალითი (როცა ორიგინალისა და თარგმანის სათანადო სტროფები აბსოლუტურად ერთნაირ ინტონაციურ სურათს წარმოადგენენ, თუმცა შინაარსის მხრივ მხოლოდ ნიუანსებში განსხვავდებიან ურთიერთისაგან):

ჩვენ შევეჩვიეთ შემახილს ველური რკიოთ  
 და ავმარებზე ზელის შევლებით,  
 ეხედნოთ ცხენები ხერხემლების უმძიმეს დრკიოთ  
 და დაეწუნართ ურჩი მჭეულები.  
 Привыкли мы, хватая под уздцы  
 Играющих коней ретивых,  
 Ломать коням тяжелые крестцы,  
 У усмирять рабин строптивых...

კ. ჭიჭინაძე საერთოდ კარგად გადმოსცემს დეკლამაციური და პათეტიკური ლექსების ინტონაციას (ლერმონტოვის „დემონი“ მან შესანიშნავად თარგმნა). ნაკლებ ძლიერია იგი ისეთი ლექსების თარგმნისას, რომლებიც სასუბრო ენას სტილით არის დაწერილი (პუშკინი და სხვ.). საერთოდ კი მისი თარგმანების ერთ-ერთ საუკეთესო თვისებას შეადგენს, აგრეთვე, რითმების სიზუსტე, რის გამოც ტაქტების დაბოლოების რიტმული სრულყოფილება არასოდეს არ იწვევს იჭვს.

ხარ. ვარდოშვილს ვერ დაუჭერია ინტონაცია ბლოკის „უცნობი ქალისა“. ამავე პოეტის ცნობილი პოემის — „თორმეტნი“-ს — ქართულ თარგმანებს შორის საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს ვ. გორგაძისეული თარგმანი.

ვ. ბრიუსოვის ლექსების ვ. გაფრინდაშვილისეული თარგმანები წესიერადაა შესრულებული, ოღონდ მათ ხშირად ანემიურობის დალი დაჰკრავთ. სტრიქონები აგრეთვე ბევრგანაა გადატვირთული დამხმარე სიტყვებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი თარგმანები ერთფეროვანი ინტონაციით ხასიათდებიან და კლასიკოსებიც დეკადენტებივით გამოიყურებიან (რითმების მოდერნიზაციისა და მეტყველების არარეალისტური ხასიათის გამო გაფრინდაშვილს პუშკინის თარგმანები არ გამოუვიდა, კერძოდ „ბრინჯაოს მხედარი“ ძალიან სუსტი თარგმანია).

ს. ესენინის „ირანული მოტივები“ კარგად უთარგმნია ხ. ვარდოშვილს. გემოვნებითაა შესრულებული, შემდეგი სტროფები:

მე ვერ ბოსფორის არ ვარ მნახველი,  
 ნუ მეუბნები ბოსფორზე რამეს,  
 შენი თვალები ზღვა არის ვრცელი,  
 მტრედისფერ შენით როცა ეღვარებს, და სხვ.



„ანთოლოგიაში“ წარმოდგენილია ე. ბაგრიცკის რამდენიმე ლექსი და პოემა „ფიჭრი ათანასეზე“. ნიჭიერადაა გადმოცემული ამავე პოეტის ლექსის — „პიონერის სიკვდილი“ — ინტონაცია (მთარგ. გ. გაჩეჩილაძე).

სიყვარულითაა თარგმნილი ნ. ტიხონოვის ლექსები რ. გვეტაძის, ა. აბაშელის, კ. კიკინაძის, ა. მირცხულავას, კ. კალაძის, ს. შანშიაშვილისა და სხვათა მიერ. თარგმანებში ძირითადად შენარჩუნებულია ავტორის ხმა და ტემბრი, მისი ლექსების გულწრფელი მღელვარება. შდრ. „ლექსები კახეთზე“, „წინანდალი“ (მთარგ. რ. გვეტაძე), „კიროვი ჩვენთან არის“ (მთარგ. კ. კალაძე), „დაისი მთებში“ (მთარგ. ა. აბაშელი) და სხვ.

დ. გაჩეჩილაძეს ოსტატურად გადმოაქვს ბ. პასტერნაკის ხელოვნურად გართულებული პოეტური ასოციაციები:

რომ ტყის ბილიცზე გამეღვლეთ ეზუმრონ  
ტოტს წამოსდებენ ხეები თრთოლვით,  
ამოვსებულა ჯირკთა ფელდრო  
ნეშომპალათი, იით და თოვლით.  
აღმათ ამ ცივი გუბევიდან  
შამყებს შეუსეამთ ფირუზის წყალი,  
და მიტომ ბრწყინავს გალობა წმინდა  
ყინულისა და მზის ნაპერწყალით.

ფართოდ გაღებულ მათს სამყოფელში  
გაქვს ფუსფუსი ქარავმას ბევრგვარს,  
შამვის საათი ტყის სიმწვანეში  
ულაბურების ზამბარით რეკავს.

კარგი თარგმანების ჯგუფს მიეკუთვნება ნ. ზაბოლოცკის „გორის სიმფონია“ (მთარგ. ი. მოსაშვილი), ს. მიხალკოვის „მთერალი კურდღელი“ (მთარგ. ა. აბაშიძე), ს. შჩიპაჩოვის „კალარა“ (მთარგ. ი. გრიშაშვილი), პ. ანტოკოლსკის „შვილის“ ნაწყვეტები (მთარგმნ. კ. კალაძე), კ. სიმონოვის „მოკალი იგი“ (მთარგ. ვ. გორგაძე), და სხვ. კერძოდ, ნ. ზაბოლოცკის „გორის სიმფონია“ მომუხენტალური ეპოსის ტემპითა და სახეებით ხასიათდება და ქართულ თარგმანში ნაწარმოების სტილის ეს თავისებურებანი გადმოცემულია:

არის ქალაქი თვალწარმატვი საქართველოში.  
იქ კამეჩები ქედნაპული შავს საყვლოში  
წაქვლეს დროთა დავიწყებულ ღმერთებსა ჰგვანან,  
ჩქებდახრილები მოხმარე მტკერის პირას სდგანან;  
იქ ერთი ქოხი გადაბნია მიწას ძირკვებით,  
პირველყოფილი აქვს სიმტკიცე და საქარკველი.  
და ალვის ხენი, ცაში მწყრივით რომ ამართულან,  
ბოთლოღვარე ტანზე დასდგომით მწვანე ნათელა, —  
სდგანან და გაბნით შრიალბენ, ნელა, ქართულად,  
როგორ იბრძოდა სიმართლისთვის დიდი ქართველი.

Есть в Грузии необычайный город.  
Там буйволы, засунув нсю в ворот,  
Стоят, как боги древности седой,  
Склонив рога над шумной водой;  
Там основанья каменные хижин  
Из первобытных сложены булыжн.

И товоли, расставленные в ряд,  
Подняв над миром трепетное тело,  
По-карталиински медленно шумят  
О подвигах великого картвела:



1944 — 1953 წწ. ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში აქა-იქ გაბნეულია რუსული საბჭოთა პოეზიის კარგი თარგმანები, რომელთა ერთად შეკრება აუცილებელია „რუსული პოეზიის ანთოლოგიის“ მეორე გამოცემაში შესატანად. მაგრამ ამთავითვე უნდა გაკეთდეს ერთი შენიშვნაც: „ანთოლოგიის“ პირველ გამოცემაში მოხვედრილა ბევრი დაბალხარისხოვანი თარგმანი, საჭიროა მათი ამოყრა წიგნიდან, ახალი თარგმანების შეტანა და დანარჩენი თარგმანების ხელახლა საფუძვლიანი რედაქტირებაც. პირდაპირ საწყენია ცალკეული ფრაზებისა და სახელების ის ინტონაციური ერთფეროვნება და პრიმიტიულობა, რომლითაც აღბეჭდილია თანამედროვე რუსი საბჭოთა პოეტების ქართული თარგმანების უმრავლესობა. ზოგიერთ მთარგმნელს ვალმოხდილად მიაჩნია თავი, თუ დედნის აზრს არ დაამახინჯებს და თარგმანში დაიცავს ორიგინალური სტროფიკისა და რითმათა თანმიმდევრობის სისტემას. სახეთა და შედარებათა სიახლე, სიტყვიერი ფაქტურის შესატყვისი ფორმები, ინდივიდუალური პოეტური ხელრთვა ავტორისა საესეებით დაკარგულია მშრალ და გარეგნულად თითქოს-და მისაღებ თარგმანებში.

ქართულ მწერლობას გააჩნია საბჭოთა რუსული პოეზიის ახალი ანთოლოგიის გამოცემის ყოველგვარი შესაძლებლობანი. ამ ანთოლოგიამ სრულად უნდა ასახოს ჩვენი მთარგმნელობითი კულტურის მიღწევები. იგივე მოთხოვნები უნდა წავეყენოთ ქართული პოეზიის ანთოლოგიასაც რუსულ ენაზე

## ილია ალხაზიშვილი

(დაბადებიდან 100 წლისთავის გამო)

ილია ალხაზიშვილი თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში კალმით და პრაქტიკული საქმიანობით დაუღალავად იღწევდა ჩვენი ხალხის გათვითცნობიერებისა და ქართველ ახალგაზრდობაში მეცნიერების სხვადასხვა დარგის ცოდნათა დანერგვისათვის. მშრომელი ხალხისა და სამშობლო ქვეყნის ბედი წარმოადგენდა მისი ზრუნვის მუდმივ საგანს. ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საქართველო ეკონომიური და კულტურული წინმსვლელობის შედეგად საბაჭიო ადგილს დაიკავებდა სხვა ერთა შორის. სამართლიანად წერდა პოეტი ი. გრიშაშვილი, რომ „ი. ალხაზიშვილი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იმედინად შეჰყურებდა მომავალს და თავისი უანგარო წვლილი გულწრფელად შეჰქონდა ქართული კულტურის განვითარების საქმეში“<sup>1</sup>.

ი. ალხაზიშვილის წერილებს თავის დროზე სიამოვნებით უთმობდნენ ადვილს „დროება“, „ივერია“, „კვალი“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“, „სახალხო გაზეთი“ და სხვ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მოღვაწეობა „ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“ და პედაგოგიურ ეურნალ „განათლებაში“.

ილია ალხაზიშვილი (1853 — 1921) დაიბადა სოფ. ზიარში, კახეთში. მამამისი სოლომონი გენერალ-მაიორის სვიმონ შალიკაშვილის ყმა იყო. 6 თვის ბავშვს მამა გარდაეცვალა და დედამ წაიყვანა გურჯაანში, სადაც 6 წლამდე დარჩა და იქვე შეისწავლა ქართული წერა-კითხვა.

1859 წელს ბიძამ ილია ალხაზიშვილი ზაქათალაში გადაიყვანა, სადაც ის სვიმონ შალიკაშვილის ხელქვეით მსახურობდა.

გენერალ-მაიორ სვიმონ შალიკაშვილს ისე მოეწონა პატარა ილიკო, რომ სპეციალურად მასწავლებლები დაუქირავეს. 9 წლის ყმაწვილი უკვე იმდენად მომზადებული იყო, რომ შეიძლებოდა გიმნაზიის პირველ კლასში მისი მიბარება. მაგრამ აქ მოულოდნელად ერთი დაბრკოლება წამოიჭრა. ილიკო ყმაგლეხის შვილად ითვლებოდა, ხოლო ყმებს სკოლაში შესვლის უფლება არა ჰქონდათ.

სვ. შალიკაშვილმა ამ საქმეშიც მხურვალე მონაწილეობა მიიღო. 1862 წლის აპრილში მან მეფის ნაცლის კანცელარიის უფროსს გენერალ კრუზენშტერნს აცნობა: ილია ალხაზიშვილი ჩემ მიერ ყმობისაგან განთავისუფლებულია და ზაქათალის მოქალაქედ ითვლება, ამიტომ არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არ არსებობს ბავშვის გიმნაზიაში მისაღებად, ყოველგვარ ხარჯს მე ვკისრულობო.

რამდენიმე ხნის შემდეგ სვ. შალიკაშვილმა ნიბართვა მიიღო ი. ალხაზიშვილის გიმნაზიაში ჩარიცხვის შესახებ. მაგრამ ამ წამოწყებას განხორციელება

<sup>1</sup> ვაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1946 წ., №12

არ ღირსებია. 1862 წელს დალესტანი აჯანყდა. გენერალი შალიკაშვილი იძულებული შეიქნა ქარ-ბელაქნისაკენ დაძრულიყო სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად. ზაქათალასა და ლაგოდებს შუა რაზმში ჩასაფრებულ ლაგებს წააწყდა და სისხლის მღვრელ შეტაკებაში გენერალი დაიღუპა.<sup>1)</sup>

სვ. შალიკაშვილის სიკვდილის შემდეგ პატარა ილიკოსათვის ცხოვრების სულ სხვა პერიოდი დაიწყო. ყმაწვილის დიდი მისწრაფება სწავლა-განათლების მისაღებად მხოლოდ ოცნებადღა დარჩა. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი სოფ. ვეჯინში გადააყვით საცხოვრებლად, ბოლოს კი გურჯაანში, სადაც გენერლის ქვრივი „ქრპის შვილობილს“ სამღვდლოდ ამზადებდა, ამის განხორციელება კი მან ვერ შეძლო.

კახეთში გატარებული დრო ყმაწვილს სამუდამოდ დარჩა ხსოვნაში. ბავშვმა პირველად აქ იგრძნო ბუნებისადმი განსაკუთრებული სიყვარული და შემდგომში განსაზღვრა იმ მეცნიერებისადმი მიდრეკილება, რომელსაც ბუნებისმეტყველება ეწოდება.

აი რას წერდა ილია ალხაზიშვილი ამ პერიოდის შესახებ: „ხალხის შვილი ვარ და ცხოვლად დამახსოვდა — კახეთში გოგო-ბიჭობა რომ გაზაფხულზე დავგროვდებოდით კალათებით და ტყეს რომ ყვიღ-ხივილით, კიყინით შევეცოდით. არჯაველი, სეინტრი, სატაცური, ლანძილი, ბალბა, ჭინჭარი, მხალი, ქამა და ნიყვა სოკო, სურნელი მარწყვი და კიდევ რა ვიცი რა არ ახარებდა ჩვენს გულს.

აბლა ხილი ბრძანეთ. გურჯაანიდან დედა ხშირად მაგზავნიდა დიდდასთან ჩემს სამშობლო სოფ. ზიარში. გზა ტყით მისდევდა, ტყე უნდა გამეცლო და, რაღაც 7—10 ვერსის მანძილს მთელი დღე ვუნდებოდი. თვალს იტაკებდა შვინდი, ტყემალი, ზღმარტლი, კუნელი, ყურძენი (კრიკინა და მასზე უტკებესი) წიფელი, ფოლო, მაყვალი, პანტა, მაქალო, თხილი, კაკალი, ბალღოჯი, თაფლი და ათასი სხვა რამ“<sup>2)</sup>. მაგრამ ეს იყო სიხარულის ერთი მხარე. ბავშვს ვერაფერმა გაუნელა სწავლისადმი წყურვილი. ეს არ ზერხდებოდა და გურჯაანიდან იწყება მისი ხეტიალი „ცხოვრებაში კაცად გამოსასვლელად“.

რამდენიმე ხნის შემდეგ ის თბილისში კახელ მევენახეთა სარდაფში მოხვდა, მას უყიდე სჯარისკაცის დაგლეჯილი მაზარა და გულმოდგინედ ასწავლიდნენ ქურის გაჩაღებასა და სხვადასხვა წენიანის შემზადებას.

აქ ის დიდხანს არ გაჩერებულა. მალე ეხედავთ მას ქ. გორში აფთიაქში მოწაფედ. ილიკო სწრაფად დაეუფლა წამლების შემზადების ხელოვნებას, მაგრამ აფთიაქში სამსახურის უფლება მაინც არ მისცეს, რადგან ამისათვის საჭირო იყო ცნობა „სამაზრო სასწავლებლის დამთავრების“ შესახებ. საქმეში ჩაერია გორის მაზრის ექიმი ი. სააკაშვილი, რომელმაც ერთ-ერთ მის მეგობარ ექიმს დააჯალა ილიკოს ფერშლად მომზადება. 1872 წელს ილ. ალხაზიშვილმა თბილისში გამოცდები ჩააბარა და იმავე წელს 19 წლის ქაბუჯი მაზრის ფერშლად გაამწესეს ახალქალაქში.

1863 წელს ილ. ალხაზიშვილმა ჩააბარა გამოცდები ქუთაისის გიმნაზიაში რის შემდეგაც მას უფლება მიეცა აფთიაქში მუშაობისა. 1886 წელს ხარკოვის

<sup>1</sup> სვიმონ იოსების-ძე შალიკაშვილი განათლებული ადამიანი იყო. 1851—1852 წ. წ. მის უშუალო უფროსად ითვლებოდა ჩვენი სახელოვანი პოეტი და სარდალი გრიგოლ ორბელიანი, რომელიც აღნიშნულ წლებში ქარ-ბელაქნის სამხედრო ოლქს მართავდა (იხ. ვრ. ორბელიანის<sup>2</sup> თურნალი „განათლება“. 1913 წ., № 7, გვ. 499.

უნივერსიტეტში ჩააბარა გამოცდა პროვიზორის თანაშემწის წოდების მისაღებად, ხოლო 1889 წელს ილ. ალხაზიშვილს შეუსრულდა დიდი ხნის სურვილი: შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე. თავისუფალ მსმენელად. უნივერსიტეტში ყოფნის დროს ილია გაეცნო რუსეთის მოწინავე საზოგადო მოღვაწეთა შეხედულებებს, კითხულობდა ძალიან ბევრს, სისტემატურად ესწრებოდა პროფესორთა ლექციებს არა მარტო თავის ფაკულტეტზე არამედ სხვა ფაკულტეტებზეც და ენერგიულად მეცადინეობდა. 1891 წელს ილ. ალხაზიშვილმა უნივერსიტეტის კურსი წარჩინებით დაამთავრა და მიიღო პროვიზორის წოდება.

1905 წლიდან 1918 წლამდე ილ. ალხაზიშვილი ახალქალაქში მსახურობდა. გარდაიცვალა თბილისში 1921 წლის 26 იანვარს.



თვითგანვითარების შედეგად ილ. ალხაზიშვილი ფართო განათლების ადამიანი გახდა. საუცხოოდ იცოდა ქართული ენა და ლიტერატურა, თავისუფლად ლაპარაკობდა და წერდა რუსულად, იცოდა აგრეთვე ფრანგული, ლათინური, სომხური და თურქული ენები.

პირველი კორესპონდენცია ილ. ალხაზიშვილმა დაბეჭდა სერ. მესხის გაზ. „დროებაში“ 1875 წელს. ამის შემდეგ მას მწერლობა არ შეუწყვეტია.

თავის წერილებსა და წიგნებში ის ეხება საქართველოს ეროვნული მდგომარეობის, სხვა ერებთან ურთიერთობის, ჩვენი ხალხის ეკონომიური და კულტურული ვითარების, სწავლა-განათლების და მრავალ სხვა საკიბრობო საკითხს.

1915 წელს 62 წელს მიღწეულმა ილ. ალხაზიშვილმა ეურნალ „განათლებაში“ გამოაქვეყნა წერილი „ბედნიერება და მიზანი ცხოვრებისა“, რომელიც აკაკი წერეთლის ხსოვნას მიუძღვნა. ეს მხატვრულად დაწერილი სტატია შეიძლება ჩაითვალოს ავტორის პატრიოტულ აღსარებად.

რასი მდგომარეობს ბედნიერება და მიზანი ცხოვრებისა? ადამიანს ბედნიერებას ვერ მიანიჭებს მეფის ტახტი, თუნდ ინდოეთის მფლობელობაც („ან კი რად მინდა თავისუფალ ხალხს რომ ეჩაგრავდე, ებატონობდეო“ — ამბობს ავტორი), ბედნიერებას ვერ მიანიჭებს ამა ქვეყნის დიდებულთა გარეგნული ბრწყინვალეობა, ვერც ალექსანდრე მაკედონელის, იულიოს კეისრის და ნაპოლეონის სისხლში გასვრილი დაფნის გვირგვინი, ოქროს მთები და თვალმარჯალიტით დატვირთული ხომალდები, სემირამიდას თილისმა ბალები და უცხო წალკოტნი. მაშ რასია ბედნიერება? მამულის წრფელ სიყვარულში, — გვეუბნება ავტორი.

„მიყვარს სამშობლოს თბილი კერა, ცივი წყარო, გიყი მდინარე. მიყვარს მთის ჰაერი, მისი ეთერი და ნაწი ზეფირი. ცა მშვენიერი, ცა მზიარული, ლაქვარდი, ბუმბერაზ მთებზე, თოვლის ზოლზე დაყრდნობილი...“

ყველასათვის მომხიბლავია ხელთუქმნელი ედემი ჩემი საყვარელი სამშობლოსი. ყველას შეუძლია აღტაცებით დასტკბეს შავი ზღვით და მოლ-ბალნარიითა, უთვალავის ფერადებით. ვინ არ უგალობდეს უცხოთ დახატულს ცოცხალ სურათებს, რომელთაც გრძნობით მოსილი კილოები ბუნება ყოველ ცისმარე დღეს სცელის და კვალად ქმნის — მარად და მარად...

ყველა ჩვენგანს შეუძლია იქონიოს მზის გულზე, მზის სხივებით გაჩირალდნებული, მთის კალთაზე წამოდგარი, ლამაზი ქოხი.

...ყველანი მოვალენი ვართ პატიოსანი და მედგარი შრომით-ვეცხოვროთ— ჩვენი ოფლით მონაგარი, ალალი ლუკმა ჩვენც ტკბილად შევირგოთ და გაქირვებულსაც ვარგოთ“...<sup>1</sup>

საშშობლოს სიყვარული და მისდამი თავდადება ილია ალხაზიშვილს ადამიანის უდიდეს მოვალეობად მიაჩნდა: „ადამიანი პირუტყვი როდია, რომ გარდა ფიზიოლოგიური არსებობისა, სხვა არავითარი ზნეობრივი მოვალეობა არ ჰქონდეს. ხოლო ერთი უზენაესი მოვალეობათაგანი კაცისათვის არის საშშობლოს სიყვარული და მისი ერთგულება“, — წერდა ის ერთ თავის წერილში.

ილია ალხაზიშვილის ეს გულწრფელი სიყვარული საშშობლოსადმი არ ზღუდავდა მას გულწრფელადვე ჰყვარებოდა სხვა ერებიც, რომელთა შორის განსაკუთრებით პატივისცემით იხსენიებდა დიდ რუს ხალხს და ჩვენს მეზობელ ხალხებს — სომხებს და აზერბაიჯანელებს.

ილია ალხაზიშვილი ქართული ენის საუკეთესო მცოდნე იყო. ამიტომაც მას ხშირად მიმართავდნენ მწერლები და სამეცნიერო შრომების ავტორები ზოგიერთი ქართული სიტყვის შინაარსის დასაზუსტებლად. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-20 საუკუნის პირველ ათეულ წლებში, როდესაც სამეცნიერო ლიტერატურა ორიგინალური და ნათარგმნი წიგნების სახით ფეხს იკიდებდა ჩვენში, სერიოზულად დადგა საკითხი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნისა. ამ სატერმინოლოგიო მუშაობაში ილია ალხაზიშვილი თავიდანვე დიდი ინტერესით ჩაება. ქართული ენის სიწმინდისა და მისი სამეცნიერო ტერმინებით გამდიდრებისათვის შრომა ილ. ალხაზიშვილს სიკვდილამდე არ შეუწყვეტია. მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ქართული ენის სიწმინდისა და სიმდიდრისათვის ბრძოლა ყოველი მცოდნე ქართველისათვის სავალდებულო იყო. თვითონაც ამ საქმიანობაში მსურველე მონაწილეობას იღებდა და სადაც კი შეამჩნევდა რაიმე შეცდომას, მაშინვე ხმას აიმაღლებდა.

ერთ თავის წერილში იგი წერდა: „მიყვარს ტკბილი ხალასი ქართული და რაც გინდა საინტერესო შინაარსიანი წერილი თუ წიგნი იყოს, თუ რომ რამდენიმე წინადადების წაკითხვამ გულისყური არ დამიტკბო. ბრავშორეული უკუვაგდებ ზოლმეო“.

ამიტომ, როცა ის ამა თუ იმ სამეცნიერო თუ მხატვრულ ნაშრომს იხილავს, ზნეობრივ მოვალეობად მიაჩნია, ხაზგასმით აღნიშნოს ის შეცდომები, რომლებიც წიგნში მოიპოვება და პარალელურად უჩვენოს უკეთესის ნიმუშები.

„საზოგადოდ შენიშნულია: ვინც კი ქართულს სამეცნიერო ლიტერატურას შეახებს ხელს, თუ გინდ მბლაჯნავეც იყოს, ყველა დავით აღმაშენებლობას ჩემოლობს. ეს კი სულ იმისი ბრალია, რომ კრიტიკა არ გაგაჩნია. ჩვენში მეტისმეტად ეზარებათ, ემძიმებათ კრიტიკის წერა — ეჰ! აუტკივარი თავი რად ავიტყოს, რათ მოვიძულო ავტორიო... პატარა ოჯახი ვართ (მწერლები), ყოველდღე ერთმანეთს ვხედავთ და რაღაც უზერხულობას გრძნობ კაცი, თუ გინდ ცათამდე მართალი იყოო“... ამისთანა ცრუ აზრი და შეხედულება სწორედ

<sup>1</sup>. ჟურნალი „განათლება“, 1915 წ. №3, გვ. 208 — 209

რომ სამშობლოს დასაცავად მიმანია, რადგან დიდად ლუბავს ქართულ საქმეს. აფერხებს ქართულ ლიტერატურის ევოლიუციას, განვითარებას, წინსვლას.<sup>1</sup> რადგანაც კრიტიკის დანიშნულება ილია ალხაზიშვილის ესმის, როგორც წაკლის დაუნდობელი მხილება, რაც მშობლიური ლიტერატურისა და შექმნიერების მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნებას უწყობს ხელს, ამდენად ენობრივ საკითხებში წარმოებული მისი კრიტიკაც მეტად მკაცრია, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში სამართლიანია.

ი. ალხაზიშვილი საფუძვლიანად იცნობდა ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებს და იქიდან იწერდა მისთვის საჭირო ტერმინებს, ხოლო ცოცხალ სასაუბრო ენაში ეძებდა და თავს უყრიდა იმ სიტყვებს, რომლებიც ლიტერატურას სჭირდებოდა და მათ უფლებებში აღდგენას მოითხოვდა.

„მართლაც—და, თუ კი გვინდა და ვცდილობთ კულტურისა და ხალხთა შორის ჩაგვიტყობს, — წერდა ი. ალხაზიშვილი, — უნდა კიდევ ვიშრომოთ, ვიშრომოთ ქართული სამეცნიერო ლიტერატურის აღორძინება-განვითარებისათვის. დიდად, ჩვენი ნაციონალური თავმოყვარეობა გვაგალებს ამ პრობლემის შევსებას... მაგრამ საქმის მსვლელობას დიდად აფერხებს ქართულ ენაზე სამეცნიერო ტერმინების უქონლობა“.<sup>2</sup>

ამ ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად ჩვენი საზოგადო მოღვაწე ახალგაზრდობიდანვე იწყებს მუშაობას. ჯერ ერთი: იგი დიდ ანგარიშს უწყევს წინათ არსებულ ან სხვების მიერ შექმნილ და შემოღებულ ტერმინებს და, თუ მიზანშეწონილად მიაჩნია ისინი, მაშინ მათ დაუცხრომელ პოპულარიზაციას აწარმოებს. მაგალითად, ვ. რცხილაძის წიგნის („მეცენარენი და ცხოველნი“) გარჩევის დროს ი. ალხაზიშვილი გადაჭრით უარყოფს ტერმინს—ჰეაქსიუმს (Oxygenium) და მოითხოვს ჟანგბადის გაბატონებას.<sup>3</sup>

მეორეც, ილია ალხაზიშვილიმა კარგად იცის, რომ ყველა უცხო ტერმინის გაქართულება და გადმოთარგმნა ზშირად მოუხერხებელიც არის და უსარგებლოც. იგი წერს: „ბუნებისმეტყველებას თავისი საკუთარი ანბანი და ლექსიკონი აქვს. მაშასადამე, ძალიანაც წუ გუუცხოვებათ. ნუ გაიკვირებთ უკეთუ ზშირად შეხედებით ამ ჩვენს შრომაში უცხო სახელებს. ამ გარემოებას ვერც ერთმა ჩვენზედ უაღრესად განათლებულმა ერმა ვერ აუქცია მხარი და ვერც ჩვენ ავიცილოთ თავიდან და არც თუ საჭიროა“.

გაზის ნაცვლად ვ. რცხილაძეს გამოუყენებია ტერმინი „ჰეაქსიუმი“. ამის გამო ი. ალხაზიშვილი შენიშნავს: ტერმინი გაზი ისეთი ძვირფასი სიტყვაა რომ ამის დამახინჯება მომავლადიანებულ ცოცხალ უნდა ნათვალის... ეს სიტყვა ყოველად უცვლელად უნდა გამოვლდეს ქართულ ლიტერატურაში ისე, როგორც მთელს განათლებულს კაცობრიობას აქვს უცვლელად მიღებული („განათლება“, 1916, № 4, იხ. წერალი „სამეცნიერო სახელები და ტერმინები“).

ის მოითხოვს, რომ მთელი რიგი ტერმინები უცვლელად შემოვიდოთ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში (მაგალითად, გაზი, ლეიკოციტი და სხვ.)

მესამეც, როდესაც საშუალება არსებობს აუცილებელიც უნდა შევქმნათ ქართული ტერმინი, ხოლო ასეთი ქართული ტერმინის შემუშავებისას, კარგად უნდა ვიცოდეთ თვითონ სხეულის ქიმიური, ფიზიკური და ფიზიოლოგიური

<sup>1</sup> ჟურნალი „განათლება“, 1914, № 4, გვ. 320.

<sup>2</sup> ჟურნალი „განათლება“, 1915, №3, გვ. 238

<sup>3</sup> „განათლების“ მეოთხე ნომერში (1914, გვ. 340) ის წერს: „ჰეაქსიუმს თავი უნდა დაუწყოთ როგორც უხერხულ ტერმინს და უნდა გავამეფოთ ჟანგბადი ეს მშვენიერი აზიანი ტერმინი პროფესორის პეტრიაშვილის ნაანდერძევი“.

თვისება და „ზედმიწევნით უნდა ვიცოდეთ ბუნება ქართული ენისა — უნდა ვიცოდეთ წმინდა ქართული: ხალხური და მეცნიერული, ძველი და ახალი, სხვა გზით ფონს ვერ გავაღოთ ვერას დროს“<sup>1</sup>.

მაგალითად, ვ. რეხვიანი თაყის წიგნში — кислота-ს შესატყვისად უწერია „მეავე“. ილ. ალხაზიშვილს არასწორად მიაჩნია „მეავე“ და აღნიშნავს: „ჯერ ერთი რომ მეავე რუსულად არის „кислѣм“, მეორეც ესა ვისაც ჩემოდენად უმუშავენია ქიმიურ ტერმინების თარგმანში, ყველა დამეთანხმება, რომ ქიმიური რთული სხეულის აღსანიშნავად აუცილებელი საჭიროებაა ვინმართ ტერმინი მეავე. ეს ტერმინი ქართული ენის ბუნებასაც ეთანხმება (მაგალითად: ფერა-ფერა, ჭიანჭველა, ჩიტისთვალა, ვაშლ-ატამა, მკადა, რძიანა და სხვ.) და სხეულის ქიმიურ ბუნებასაც. მაგალითად, 98-ე გვ. ჩვენ ვიტყვით: გოგირდ-მეავე მარილები, ნახშირმეავე მარილები, ფოსფორმეავე მარილები და სხვ.“<sup>2</sup>.

ამგვარად, ილ. ალხაზიშვილმა ქართული ენის ბუნების გათვალისწინების საფუძველზე სამეცნიერო ლიტერატურაში გზა გაუხსნა ტერმინს — „მეავე“.

თვით ქართული სიტყვებიც, თუკი ისინი უმართებულად იყო გამოყენებული საგნის ან საგნის ნაწილის აღსანიშნავად, ხშირად ხდებოდა ილ. ალხაზიშვილის მსჯელობის საგანი. აი მაგალითად, რა ვუწოდოთ ფრინველებისა და თევზების ბოლოს-ბოლო თუ კული?

ილ. ალხაზიშვილისათვის ეს საკითხი საესებით გარკვეულია, მაგრამ სახელმძღვანელოებში დაიწყებს წერა, რომ „თევზს აქვს კული“, „ფრინველს აქვს კული“. „გუთნის“ (ოჯახსა და სჯალაში საკითხავი წიგნი) გარჩევის დროს ილ. ალხაზიშვილმა შენიშნა: „ახლა მიღვა საქმე კულზე. თქვენ გიწერიათ: თევზის კული (!), მამლის კული (!), ფარშევანგის კული (!) და სხვ... ბატონებო! ნუთუ არ გაგიგონიათ ფრინველების სახელი: ბოლობეჭედა, ბოლოკარვაზი, ბოლოქანჭარა, ბოლოშავა, ბოლოცეცხლა და სხვ. მამ საიდან მოაჭორეთ ეგ თქვენი კული?“

ავტორი იმოწმებს სულხან-საბა ორბელიანს და მისი ლექსიკონიდან მოკვავს სიტყვები: „ბოლო რომელთა კული ფრთოსანი აქვთ, ვითარ მფრინველთა და ფარფლოსანთა, ვითარცა თაფლთა, არა ითქმის კულათ, არამედ ბოლოდ“. მიუთითებს ანდაზაზეც: „ფიცო მწამს, ბოლო მაკირავოს“. ბოლოს დაასკვნის, რომ საჩიომძღვანელოს ავტორებმა ეს შეცდომა შემდეგ გამოცემაში უნდა გამოასწორონ.<sup>3</sup>

ამრიგად, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შიშველებების საქმეში, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო ტერმინების დადგენაში ი. ალხაზიშვილს გარკვეული ღვაწლი მიუძღვის.

<sup>1</sup> სანიშნოდ დავასახელებთ, თუ როგორ ეძებდა ილ. ალხაზიშვილი ხალხში მისთვის საჭირო ტერმინებს. „მტკვარსა, ჭორახსა და რიონში“ („ჯეჯილი“, 1913, №4, გვ. 302) ვითხოვდა: „ჯეჯეშთშიაც ტბაზე ბერაი იცის ქოვილო, ქანჭრობში ზის, შწყერსა ჰგავს, ნისკარტი გრადლი აქვს, რუსები ბეკასს ეძახიან“. შენიშვნაში ავტორი ამბობს: „ამ ტერმინს (ქოვილოს) 20 წელიწადზე მეტა მე თითონ ეძებდი და ახლა შემთხვევით იპოვეთ“. „რისოლო-ქართულ ლექსიკონში“ (1937) ნეკაც-ის ქართულ სახელად აღნიშნულია ჩიმუხა, ცხრატყავა“ (გვ. 16).

<sup>2</sup> „განათლება“, 1914 წ., № 5, გვ. 400.

<sup>3</sup> ფურნ. „განათლება“, 1913, № 8, გვ. 636 — 637.





ილია ალხაზიშვილი „ჯეჯილის“ და „ნაკადულის“ მუდმივი თანამშრომელი იყო. როგორც ბუნებისმეტყველს და ბუნების მოტრფიალეს, მას მიზნად ჰქონდა დასახული ნორჩი მკითხველებისათვის მოეწოდებინა საკირო მეცნიერული ცოდნა ბუნების სხვადასხვა მოვლენაზე და საგანზე.

„გაიცანით, შეისწავლეთ, დაუახლოვდით ბუნებას, შეაჩვიეთ თავი მის კვლევა-ძიებას. ... აღანთეთ გულში ცეცხლი ბუნების სიყვარულისა, შეისწავლეთ მისი უცხოველი და უცვლელი კანონები, დაუახლოვდით ცხოველმყოფელ ბუნებას, დაეწაფებით ამ უცვლადების წყაროს და იმდენ უღვეველ საინტერესო ფაქტებს გაიგებთ, რომ სიცოცხლის ინტერესი ერთი-ათასად აღგებძვრებათ და ძიება-კვლევით სამოთხისნაირად დატყებით. მაგრამ რას ვამბობ, ბუნების ცოდნა მარტო გართობაა? განა მთლად ჩვენი კეთილდღეობა ბუნების ცოდნაზე არ არის დამოკიდებული?“<sup>1</sup> — ამბობდა ავტორი და მთელ თავის ცოდნას ამ აზრის პოპულარიზაციას ანდომებდა!

ასეთი გეზი ილია ალხაზიშვილის იმიტომ ჰქონდა აღებული, რომ „საზოგადოდ ქართულს ლიტერატურაში ბუნებისმეტყველება ჯერ მკვიდრ ნიადაგზე ვერ არის დამყარებული, ამ მეცნიერებას ჯერ მწერლებიც ცოტანი ჰყავს და მკითხველებიც“<sup>2</sup>. ილ. ალხაზიშვილმა მიზნად დაისახა ეს მეცნიერება გაეცნო „ჯეჯილისა“ და „ნაკადულის“ ნორჩი მკითხველებისათვის.

მისი წერილები, რომლებიც ამ საკითხს ეხება, წარმოადგენს არა მარტო მეცნიერულ ცოდნაზე დამყარებულ პოპულარულ ნარკვევებს, არამედ მშვენიერ საბუნებისმეტყველო ხასიათის მოთხრობებსაც, რომლებსაც ახლაც სიამოვნებით წაიკითხავს მკითხველი.

თავის დროზე ილია ალხაზიშვილის ასეთი ნარკვევები, მოთხრობები, ჯავახეთში შეკრებილი ხალხური ლექსები და ზღაპრები, თქმულებანი და ლეგენდები ჩვენი მკითხველების დიდ მოწონებასა და სიყვარულს იმსახურებდა.

იგი მხატვრული ნიჭით დაჯილდოებული მწერალი იყო, რაც მის წერილებსა და ნარკვევებს, მოგზაურობათა აღწერილობებს და პატარ-პატარა მოთხრობებს სახალისო და საინტერესო საკითხავს ხდის.

თავის ცნობილ წიგნში „ბუნება და ცხოვრება“ ავტორი განთიადის შესანიშნავ სურათს ხატავს: „მთის კალთებზე ნამძინარევი ჯანლი მძიმედ, ზღაზვნით აბორგდა, მალლა-მალლა გასწია, იქ ღრუბლებად გადაიქცა და მთებზე მძინარე ბუმბერაზი ღრუბელნი მუჯღუჯუნით დააღვიძა. ასტყდა ალიაქოთი და ფერხულჩაბმული, მთელი გუნდი უშველებელი თეთრი ღრუბლებისა თავშიშველი მთებს სპეტაკ გვირგვინად დაედგა. მერე მძიმედ-მძიმედ, დარბაისლური ნელის ცურვით, ჰაერი განაპეს და ცის კამარას ფერად-ფერადად მოეფინენ. აგერ წავიდ-წამოვიდნენ, ნაგლეჯ-ნაგლეჯად ჰაერის ოკეანეს ლურჯ ზვირთებში შეგროვდნენ და უსაზღვრო სიერცეში სურათოვნად გაიფანტნენ“<sup>3</sup>.

ასეთი სურათები ილია ალხაზიშვილის თითქმის ყველა წერილში გვხვდება. მას დიდი უნარი შესწევს ჩვენი საყვარელი სამშობლოს თვალწარმტაც

<sup>1</sup> უფრ. „კვალი“, 1895, № 8, გვ. 8.

<sup>2</sup> უფრ. „განათლება“, 1913, № 6, გვ. 471.

<sup>3</sup> „ბუნება და ცხოვრება“, 1897, გვ. 29—30.

ბუნება, ათასწრად მორთულ-მოჭარგული, მკითხველს თვალწინ გაუცოცხლოს და შეაყვაროს. „ჯეჯილსა“ და „ნაკადულის“ ნორჩ მკითხველებს ილია ალხაზიშვილი უნერგავდა სამშობლოსადმი სპეტაკი სიყვარულის გრძნობას, აცნობდა მათ ჩვენი ქვეყნის ბუნებას, ამავე დროს, წერდა აფრიკის ცხოველებსა და ფრინველებზე, მეცნიერების სხვადასხვა აღმოჩენაზე, ზღვის ჯადოსნურ საიდუმლოებებზე, აფართოებდა ახალგაზრდობის გონებრივ ჰორიზონტს.

ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად ილია ალხაზიშვილი დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა ჯავახეთის ქართველთა შორის. მისი უშუალო თაოსნობით ჯავახეთის მთელ რიგ სოფლებში გაიხსნა სკოლები და ბიბლიოთეკა-სამკითხველოები.

• •

ილია ალხაზიშვილს, კორესპონდენციებსა და რამდენიმე ცალკე გამოცემულ წიგნს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, 300-მდე სხვადასხვა ხასიათის წერილი აქვს გამოქვეყნებული. მისი მრავალრიცხოვანი წერილები, ნარკვევები, საბავშვო მოთხრობები და ჯავახეთში ჩაწერილი ფოლკლორული მასალები გაფანტულია ეურნალ-გაზეთებში. დაბადებიდან 100 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით კარგი იქნებოდა საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობას შეეკრიბა და გამოეცა ილია ალხაზიშვილის საბუნებისმეტყველო შინაარსის მოთხრობები და ეთნოგრაფიულ-სამოგზაურო ხასიათის ნარკვევები, რომელთაც ახლაც სიამოვნებით მიიღებდა ჩვენი მკითხველი.



# კომკავშირი და ქართული საბჭოთა ლიგარაზუკა



ლენინური კომკავშირის გზა საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრების, ზრძოლისა და შრომის სახელოვანი გზაა. ეს გზა არასოდეს არ ყოფილა იაზარდით მოფენილი. თავისი არსებობის მრავალი ათეული წლის მანძილზე კომკავშირი ყოველთვის სძლედა და ამსხვრევდა სიძნელებსა და დაბრკოლებებს. იგი ყველა სფეროში და დარგში ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით პირველთა შორის მუდამ პირველთაგანი იყო.

კომკავშირმა მისი ჩასახვის პირველი წლებიდანვე განსაკუთრებული სიმტკიცე და აზრის სიცხოველე გამოიჩინა იდეოლოგიის ფრონტზე. ეს მოხდა იმიტომ, რომ კომკავშირმა თავის საბრძოლო იარაღად ლენინ-სტალინის პარტიის ძლევამოსილი იდეები გაიხადა. კომკავშირმა თავისი ცხოვრება, ბრძოლა და შრომა სისხლხორცეულად დაუკავშირა კომუნისტური პარტიის ცხოვრებასა და ბრძოლას; პარტიამ ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდა მიანდო, რის გამოც კომკავშირი საბჭოთა ახალგაზრდობის ლენინურ სამკედლოდ იქცა. პარტიის სიცოცხლე, სუნთქვა, მჯღისცემა და ცხოველმყოფელი იდეები ყოველი საბჭოთა ახალგაზრდის სასიცოცხლო ინტერესი და ორგანული ნაწილია.

კომკავშირმა განსაკუთრებული სიყვარული და უნარი გამოიჩინა საბჭოთა ლიტერატურისადმი. რომელი ეტაპიც არ უნდა ავიღოთ ლიტერატურის ისტორიიდან, კომკავშირი მუდამ აქტიურ მონაწილეობას იღებდა მისი განვითარებისა და წინ წაწევის საქმეში. საბჭოთა მწერლები თავის მხრივ კომკავშირს მუდამ თვლიდნენ მასებში თავის ერთ-ერთ დასაყრდენ ძალად.

საბჭოთა ლიტერატურა დიდად არის დავალებული კომკავშირისაგან, ზოლო კომკავშირი ყოველთვის აქტიურად იყენებდა საბჭოთა ლიტერატურისა და მეცნიერების მიღწევებს ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი კომკავშირულ ახალგაზრდობას იმ ცოცხალ და აქტიურ ძალად თვლიდა, რომელიც მეცნიერული სოციალიზმის დაუფლების საფუძველზე თამამად შეძლებდა, ქვეყნის გარდაქმნისა და ახალი ადამიანის ფორმირებაში უპირველესი როლი შეესრულებინა.

კომკავშირმა ლიტერატურას მისცა მთელი რიგი ნიჭიერი მწერლები. ამის დასამტკიცებლად საკმარისია აქ დავასახელოთ რუსი მწერლები — მ. შოლოხოვი, ა. ფადეევი, ნ. ოსტროვსკი, ა. სიმონოვი, ბ. გორბატოვი, ვაროვი, უტკინი, ალტაუზენი, კადოგანოვი, უკრაინელი მწერლები — კორნეიჩუკი, ბერეზუკო, გონჩარი, სომეხი მწერლები — ზორიანი, ნაირი ზარიანი, აზერბაიჯანელი მწერლები — სამედ ვურგუნი, სულეიმან რუსთამი, მეხტი გუსეინი, ქართველი მწერლები — ალ. მირცხულავა, კ. ლორთქიფანიძე, კ. კალაძე, ი. აბაშიძე, გ. აბაშიძე, გ. კაჭახიძე, ალ. გომიაშვილი, ა. ადამია, ი. ნონეშვილი, რ. მარგინი და სხვები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს კომკავშირის როლი ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისა და მისი ინდოლოგიურად განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

კომკავშირული პრესა და ჟურნალები: „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ახალგაზრდა ბოლშევიკი“, „მომავალი“, „პიონერი“, „ოქტომბრელი“ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე გადაიქცნენ მთელი ქართული ლიტერატურის განვითარების ხელშემწყობ ძალად. სახელდობრ, გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ თავისი ლიტერატურული გვერდებით და ერთდროული მხატვრული გამოცემებით დიდად დაეხმარა კომკავშირის რიგებიდან გამოსულ მწერლებს.

როცა ლიკვიდირებულ იქნა არსებული ლიტერატურული დაჯგუფებანი და შეიქმნა ერთი მთლიანი საბჭოთა ლიტერატურის ფრონტი, კომკავშირული მწერლები საბჭოთა ლიტერატურის თვალსაჩინო ძალად გადაიქცნენ. დღეს ისინი ქართული მწერლობის მოწინავე ბირთვს წარმოადგენენ.

თუ როგორაა გამოსახული საბჭოთა ლიტერატურაში კომკავშირული ახალგაზრდობის ცხოვრება და ბრძოლა, ამის საილუსტრაციოდ საკმარისი იქნება დავიძოვოთ რუსული ლიტერატურიდან ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ და ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“.

ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომებში კომკავშირის აქტიური მონაწილეობისა და მისი გმირული ბრძოლის ვრცელი ეპოპეაა. პავლე კორჩაგინი ყველაზე ძლიერი მხატვრული სახეა, შექმნილი რუსული საბჭოთა ლიტერატურის გარკვეულ პერიოდში. იგი თავის თავში იტევს და ასახეობს საბჭოთა ახალგაზრდობის ტიტანურ ძალასა და მის შინაგან სიმტკიცეს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეიძლება დაბადებულიყო და აღზრდილიყო სულიერად და ზნეობრივად ისეთი უძლიერესი ადამიანი, როგორიც იყო კომკავშირში კომუნისტურად გამოწრთობილი პავლე კორჩაგინი.

ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიაში“ კი ნაჩვენებია სამამულო ომის დროს ოცდახუთი კრასნოდონელი კომკავშირელის გმირული ბრძოლა. აქ კომკავშირი, როგორც ლენინური წრთობის თაობა, ჩვენს წინაშე აღიმართება გიგანტური შესაძლებლობის ძალად, რომლის გამოსახატავად დიდი შემოქმედებითი ენერჯიაა საჭირო.

ქართულ საბჭოთა მწერლობაში კომკავშირი, და მთლიანად საბჭოთა ახალგაზრდობა, ბრძოლაში, შრომაში, სწავლასა და ყოფა-ცხოვრებაში ნათელი ფერებით არის მოცემული.

კომკავშირის ბრძოლისა და შრომის გამოსახევაში განსაკუთრებული დამსახურება აქვს კომკავშირის იატაკქვეშედან გამოსულ ნიჭიერ პოეტს ალიო მირცხულაევს (მაშაშვილს). საერთოდ, ა. მირცხულაევს პოეზია, უმთავრესად მისი შემოქმედების პირველი პერიოდი, კომკავშირული ენთუზიაზმისა და მგზნებარობის მკაფიო გამოხატულებაა.

აღ. მირცხულაეა საქართველოს კომკავშირის ჩასახვასა და მისი ისტორიის პირველ სათავეებს შემდეგნაირად გვიხატავს:

როგორ ვიზარდეთ, ნაღმის ნათელით  
ძლივს მიიკვლევდა გზას ათიოდე...  
მტერს მივიოდნენ სამგზის ვათელილს  
და შეტევასზე გადადიოდნენ.

საქართველოს კომკავშირმა ბრძოლების დიდი გზა განვლო, თუ პირველ პერიოდში ის მცირერიცხოვანი და ახლად ფეხადგმული იყო, სამაგიეროდ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომკავშირი ამ ბრძოლებში გაიზარდა და გამოიბრძმედა დიდი სტალინის შთაბეჭდილებით დალით:

ჩვენ გავიზარდეთ ქარში ალივით,  
წმყოც ჩენია და მომავალიც,  
თავზე გვევლება მამა სტალინი  
ხალხში მზესავით ამომავალი.

საქართველოს კომკავშირმა ბრძოლების დიდი გზა განვლო. თუ პირველ რიგებში იდგა, არანაკლები ღვაწლი მიუძღვის მას შრომაში, მრწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში. კომკავშირი მოწინავეა საბჭოთა ქვეყნის მძიმე ინდუსტრიის ფრონტზე. ა. მირცხულავა კომკავშირელთა შრომითი ერთეულის რიტმულობას ასე გადმოგვცემს:

ბა, გრაგანებენ კვლავ მანქანები,  
ყალზე დგებიან, გრიგალდებიან,  
ტუმს რომ ხედებიან მძლავრ გაქანებით,  
კომკავშირული ბრიგადებია...  
თითქოს მანქანაც დაზგებს დახარის,  
ყალზე დამდგარი ბორჯავს გმირულად,  
დასცხეთ დაკარით, დასცხეთ დაკარით,  
დასცხეთ, დაკარით კომკავშირულად.

ალ. მირცხულავა მთელ რიგ ლექსებში („კომკავშირის სიმღერა“, „ლინურ კომკავშირის“, „დამკერელი ბრიგადები“, პოემა „ენგური“, პიესა „განგაში“ და სხვ.) გვევლინება კომკავშირული თაობის ტიპიურ წარმომადგენლად. იგი შესანიშნავად გამოხატავს თავის პოეზიაში კომკავშირის ცხოვრებას. კომკავშირული მგზნებარება დღესაც ახასიათებს პოეტს:

ისევ ქუხს ჩემი ლექსის ნალარა,  
ვით უწინ, ახლაც მხნე და გმირული,  
თუმც გამერია თმებში ჰალარა,  
გული მაინც მაქვს კომკავშირული.

ამ სიტყვებში ქემშარბიტად დიდი გრძნობა და სიყვარულია ჩაქსოვილი კომკავშირისადმი.

კომკავშირის თემაზე ბრწყინვალე ლექსები შექმნეს პოეტებმა — კ. კალაძემ, ირ. აბაშიძემ, გ. კაჭახიძემ, გრ. აბაშიძემ, კ. ბობოხიძემ, ა. გომიაშვილმა, რ. მარგიანმა, ი. ნონეშვილმა ხ. ბერულავამ და სხვებმა. მათს ლექსებში დიდი მხატვრული უშუალობა და გულწრფელობა იგრძნობა.

ქართულ საბჭოთა პოეზიაში, სახელდობრ სამამულლო ომის პერიოდის პოეზიაში, ყველაზე ძლიერად და ხორცმესხმულად კომკავშირელის გმირული სახე დაგვიხატა ნიჭიერმა პოეტმა იოსებ ნონეშვილმა. მან სამშობლოს თავისუფლებისათვის წამებული, გმირულად დაღუპული კომკავშირელი გოგონების — ზოია კოსმედემიანსკიას და ზოია რუხაძის — სახეები დიდი სიძლიერითა და დრამატიზმით ჩამოძერწა. ჩვენ მძაფრად განვიცდით იმ გმირობას, რომელიც გამოიჩინეს კომკავშირელმა ქალიშვილებმა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში:

„თუ გსურს ყულფი აიცილო,  
— შეგლინავენ მელეზი —  
გვობასუხე, ქალიშვილო,  
სად იბრძვიან თქვენები?“...

გაოფანტა ირგვლივ რისხევით  
გრგვინვა ციდან ნაქუხი...  
„თქვენს ურდოსთან ყველგან ვიბრძვი“...  
იყო შენი პასუხი...

„გვითხარ, თუ გსურს აიცილო,  
სახრწოხელა მალალი,  
პარტიზანო ქალიშვილო,  
ატამანი სად არის?“

„მე ვარ თვითონ ატამანი“,  
იყო შენი პასუხი.

კომკავშირის ცხოვრება აგვიწერეს არა მარტო კომკავშირის რიგებიდან გამოსულმა მწერლებმა. კომკავშირელთა გმირული სახეები დაგვიხატეს, აგრეთვე, მწერლებმა, რომლებიც საბჭოთა ლიტერატურაში სხვა ლიტერატურული სკოლებიდან გამოვიდნენ. ამ მხრივ დამახასიათებელია მოწინავე საბჭოთა პოეტის სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებითი მუშაობა. ს. ჩიქოვანის „უშგულის კომკავშირი“, „სვანეთში გაგზავნილი ბარათი კომკავშირელ ქალიშვილისადმი“ და სხვა ლექსები საბჭოთა ახალგაზრდობაზე ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნიმუშებია.

შესანიშნავად გამოხატა ს. შანშიაშვილმა კომკავშირლების გულთბილი დამოკიდებულება სამოქალაქო ომის დროს უდედამამოდ დარჩენილი ბავშვებისადმი ლექსში „მადლობა სტალინს“.

ქართული საბჭოთა პროზის ოსტატები: ლეო ქიაჩელი („გვადი ბიგვა“, „მამა და შვილი“), ალექსანდრე ქუთათელი („ქორწილი“), დემნა შენგელია („წითელი ყაყაჩო“), სერგო კლდიაშვილი („ნოველები“) და სხვები კოლორიტულად გვიხატავენ კომკავშირლებისა და, საერთოდ, საბჭოთა ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობას სოციალისტურ მშენებლობაში, მეცნიერების დაუფლებისა და მისი განვითარების საქმეში.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედება. მწერალმა დიდი სიყვარულითა და მგზნებარებით გამოხატა თავის ლექსებში, მოთხრობებსა და რომანებში კომკავშირელთა კონკრეტული, ხორციმეხმელი და დამაჯერებელი სახეები.

ალ. ჭეიშვილმა („ლელო“), ბორის ჩხეიძემ („დღეები“, „ომგადახდილი“) და ანდრო ლომიძემ („ნოველები“) აგვიწერეს კომკავშირელთა ცხოვრება შრომასა და ბრძოლაში, სამამულო ომისა და მის შემდგომ პერიოდში.

როდესაც რაიმე იწერება კომკავშირისა და საბჭოთა ახალგაზრდობის შესახებ, შეუძლებელია მწერალმა არ მოიგონოს თავისი განვლილი გზა. ამ მხრივ დამახასიათებელია მხკოვანი პოეტის ალექსანდრე აბაშელის ლექსი: „ახალგაზრდებო, სალამი თქვენდა!“.

პოეტი იგონებს თავის წარსულ ცხოვრებას, თითქოს მას წარსულის ჩრდილმა ჩაუარა გვერდით, წუთით სინთემ დამყარდა და ჩუმი სიმღერით თავისი სიცოცხლის წყნარი სალამო მიუახლოვდა. მაგრამ წარსულის მოგონებებში ჩაფ-

ლულ პოეტს უეკრად ყურში ჩაესმა ახალგაზრდების საამური ხმა, რომელიც მას გამოაფხიზლებს და სიხარულით აამღერებს:

ახალგაზრდებო! ეს ხომ თქვენი ხართ,  
ეს ხომ ფეთქეა თქვენი გულისა!  
თქვენ თქვენი ქვეყნის აღმაფრენა ხართ,  
ლალი სიმღერა გაზაფხულისა!

ეროვნული  
ბიზლიროთეკა

ახალგაზრდების ოპტიმისტური განწყობილებანი მოხუც პოეტს ბედნიერების სხივებით ჩაელვრება სულში, კაბუკივით აენტუბა იგი და „ასე მგონია: არა საღამოს, არამედ დილას ეუახლოვდები“. პოეტს სჯერა, რომ ახალგაზრდობა სოციალისტური ეპოქის კომუნისტური თაობაა: „და ძველ თაობას, სახელმოხვეცილს, თქვენ ღირსეულად შეენაცვლებით“.

ქეშმარიტად ასეთია თანამედროვე საბჭოთა ახალგაზრდობა. იგი ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული, შრომის შემოქმედებით ფერხულში ჩაბმული გვარდიაა. ზოგი ბარად, ზოგი მთებში, ზოგი ჰაერში და ზოგიც ზღვაზე დარაჯობს ჩვენი დიადი ქვეყნის საზღვარს. ეს ახალგაზრდობა:

შენ დაგზარის, ჩემო მხარე,  
ჩვენი დედაც, მშობელო,  
ამაგის და სიხარულის  
წყაროც დაუშრობელო.

ასე გულწრფელად უმღერის პოეტი ირაკლი აბაშიძე საშრობლოსა და საბჭოთა ახალგაზრდობას ლექსში: „სიმღერა ახალგაზრდობაზე“.

პოეტური მიზანსწრაფვით, თემის გააზრებითა და სიუჟეტის ეპიკური განვითარებით ყურადღებას იქცევს გრიგოლ აბაშიძის პოემა „ფოლადის აკვანი“. პოემის ფაბულა რუსთავეის მშენებლობის ფონზე იშლება და წარმოგვიდგენს ახალი აღმდინის დაბადებისა და მისი ფორმირების პროცესს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი ლეონიძის ლექსი: „არ დაიდარდო, დედაო“. პოეტმა 1943 წლის ნოემბერში ტამანის ნახევარკუნძულზე ინახულა უცნობი ქართველი მეომრის საფლავი. ამ შემთხვევაში პოეტს ამაღლევებელი და ფრუანტელის მომგვრელი ნაწარმოები შეაქმნევინა. ლექსში, მართალია, დიდი სევდაა ჩაქსოვილი, მაგრამ ეს სევდა დაძლეულია სალი ოპტიმიზმით და საბჭოთა პარტიოტიზმის გრძნობით. ცხრაშეტი წლის ქართველი ბიჭი მტერთან შერკინებაში ბრძოლის ველზე დაეცა, მაგრამ, სანამ მას სულ ედგა, საშრობლოს დროშა ეჭირა, მტერს მეხივით ეცემოდა და მუსრს ავლებდა. პოეტი ამიტომ ამბობს:

ნუ დაიდარდებ, დედაო,  
მწარე სიკვდილის სევდასა,  
დედაო, გადიდდი, გადიდდი,  
შვილი ვერება დედასა!

ცხადია, ასეთ გმირს საშრობლო არ დაივიწყებს, იგი სულ ეხსომება ქართველ ხალხს. მართალია, გმირმა თავის დედას ლეჩაქი გაუხუნა, მაგრამ, სამაგიეროდ, თავზე შეჭერი დახურა, კაპიტან ბუხაიძის მსგავსად მას თავისი თავი კოცხლად წარმოუდგენია:

მტერთან ჩემს სიკვდილს ნუ იტყვიო,  
დამალეთ ჩემი სამარი,  
თუ მტერმა გკითხოს, უთხარით,  
კრემლშია, სტალინთან არი!

და თუ სტალინმა მიკითხოს,  
უთხარ, არ ვიყავ ჯაბანი,  
იქ ვდგევარ, სადაც ნათობენ  
სტალინის შავა-შავანა!



სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე ყოველთვის დიდი მგზნებარებით გამოხატავს ახალგაზრდობის ენთუზიაზმს და მის მჩქეფარე, დაუშრეტელ ენერგიას. იგი უმღეროდა ახალგაზრდობას ოქტომბრის ქარში, სამოქალაქო ომის ქარცეცხლიან დღეებში, აღდგენითს პერიოდში, სამამულო ომის დროს და ომის შემდგომს პერიოდში გალაკტიონ ტაბიძე ლენინური კომკავშირის საქმეთა გულმართალი მომღერალია:

ვლადიმსტოკით,  
ბათუმის ცაშღე  
შხარეს ურუველ  
კედელს ვაღარებ.  
შენ გაიმარჯვებ  
ყოველ დროს, ვწამდეს,  
რადგან ლენინის  
ორდენს ატარებ,

ასე მიმართავს პოეტი ლენინურ კომკავშირს.

იოსებ გრიშაშვილი ლექსებში: „ბრძოლის გმირებს. სწავლის გმირებს...“, „დიდ სტალინს პატარა გორელებისაგან“ და „გრიგოლ ორბელიანი კომკავშირის ხეივანში“ მისთვის დამახასიათებელი უბრალოებითა და უშუალოებით გვაგვრძნობინებს ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობის სიყვარულს დიდი სტალინისადმი.

თემატური თვალსაზრისით საყურადღებოა, აგრეთვე, ელიზბარ ზედგინძის „წყურვილი“, გიორგი შატბერაშვილის „კარგი ბიჭი“, იაკინთე ლისაშვილის „კოლხეთის მზე“ და მ. დავითაშვილის ნარკვევი „ქართველი პარტიზანი“. აქვე უნდა აღინიშნოს ელიზბარ უბილაეას „გამარჯვების დროშა“, დავით შამათაეას „აბგარხუეელი ქალიშვილები“ და მურმან ლებანიძის „ახალი სოფლის კომკავშირი“. ამათგან ელიზბარ უბილაეას და დავით შამათაეას ნარკვევები აფხაზეთის ცხოვრებას ეხება.

ელიზბარ უბილაეას ნარკვევში ასახულია საბჭოთა კავშირის გმირის მელიტონ ქანთარიას ცხოვრება, დაწყებული ბავშვობის პერიოდიდან და დამთავრებული ბერლინში, რაიხსტაგის თავზე საბჭოთა დროშის აღმართვით.

დავით შამათაეამ თავის ნარკვევში — „აბგარხუეელი ქალიშვილები“ ცოცხლად დაგვიხატა კომკავშირელი ქალიშვილების — ზინა ბარათელიას და ლუბა შამბას — თავდადებული შრომა მაღალი მოსავლის მიღების საქმეში, რის შედეგადაც მათ მთავრობის მაღალი ჯილდო, სოციალისტური შრომის გმირის წოდება, მიენიჭათ.

ქართველი საბჭოთა მწერლები დიდი პოეტური აღმაფრენითა და მრავალნაირი ფერებით გვიხატავენ საბჭოთა ახალგაზრდების შრომას და ბრძოლას, მათ მონაწილეობას ახალი ქვეყნის მშენებლობაში. საბჭოთა მწერლობა ლენინური კომკავშირის ცხოვრების ამსახველი, მისი უახლოესი მეგობარი და ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში აქტიურად მონაწილე მწერლობაა. ამას ადასტურებს საბჭოთა ლიტერატურის ისტორია და კომკავშირის მიერ განვლილი სახელოვანი გზა.





## ვლადიმერ მაიაკოვსკი ქართულად



ქართველი ხალხი ღრმა საყვარელით არის გამსჭვალული დიდი რუსული ლიტერატურისადმი. ჩვენი ხალხის მთელი თაობები იზრდებოდნენ რუსული მოწინავე მწერლობის პროგრესულ იდეებზე. პუშკინი, ლერმონტოვი, ნეკრასოვი, გოგოლი, ტოლსტოი, ჩეხოვი და გორკი ისევე საყვარელი და ძვირფასია ჩვენთვის, როგორც ქართული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლები.

ამიტომ, გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელსაც ქართველი მკითხველი იჩენს მაიაკოვსკის შემოქმედებისადმი.

30 წელზე მეტია, რაც მაიაკოვსკის ლექსები ქართულად ითარგმნება, ხოლო ცალკე წიგნად მისი ლექსები პირველად 1931 წელს გამოვიდა. თარგმანი გეტენოდა ვალ. გაფრინდაშვილს. დღემდის ქართულად მოგვემოუვება მაიაკოვსკის ნაწარმოებთა შემდეგი გამოცემანი: „ლექსები და პოემები“ (1938); „ერთობული“ (1939); „თხზულებანი“ ირ. აბაშიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით (1940).

უკანასკნელი, 1952 წლის, გამოცემა, წინა გამოცემებთან შედარებით, უფრო სრულია იგი შეიცავს მთლიანი ფორმატის 537 გვერდს.

რა ამოცანები იდგა მაიაკოვსკის თხზულებათა მთარგმნელების წინაშე? ეს ამოცანები, როგორც ვაჩვით „პრადამ“ მიგვითითებდა, უნდა გამოიმდინარეობდეს თარგმნილი ნაწარმოების მაღალი ხარისხიდან.

ნაწარმოების შემოქმედების ძალა დამოკიდებულია იმისაგან, თუ როგორ სრულყოფილად არის ნათარგმნი ესა თუ ის ნაწარმოები. ცნობილი მწერლის ნაწარმოებთა კარგი თარგმანი მთელი მოვლენაა ხალხის კულტურულ ცხოვრებაში.

მთარგმნელი მხოლოდ მაშინ აღწევს შემოქმედებითს წარმატებას, როდესაც ახლო დგას ორიგინალთან, ზუსტად გადმოგვიცემს ნაწარმოების სულს, იდეურ არსს, სახეთა სისტემას, შემოქმედებისა და ვნის თავისებურებას.

კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებმა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაყების წინაშე წამოაყენა მოთხოვნა — მაღალიან ახალ შემოქმედებითს აღმაველობას, დაძლიონ სერიოზული ნაკლოვანებანი მუშაობაში.

„ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაყების წინაშე მდგომი მაღალი და კეთილშობილი ამოცანა, — ამბობდა ამხ. გ. მ. მაღლენკოვი პარტიის XIX ყრილობაზე, — შეიძლება წარმატებით გადაეწყვიტოს მხოლოდ მაშინ, თუ გადაწყვეტ ბრძოლას ვაეჩაილებთ ხალტურის წინააღმდეგ ჩვენი მხატვრებისა და ლიტერატორების მუშაობაში, თუ უღმობლად აღმოვეხებით სიყალბესა და სიღამმლეს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში“.

პარტიის ეს მოთხოვნილება სავსებით ეხება მთარგმნელებსაც. არ შეიძლება ითქვას, რომ მაიაკოვსკის ქართველი მთარგმნელები სათანადო პასუხისმგებლობით არ მოქმედებანი თავიანთ საქმეს.

წიგნში მაღალი ოსტატობით გამოირჩევა თარგმანები: ვ. გაფრინდაშვილის („თავის თავს, საყვარელს უძღვნის ამ სტრიქონებს ავტორი“; „ბავშვობისას“); ი. აბაშიძის („ვლადიკავკაზი — თბილისი“, „რა არის კარგი, რა არის ცუდი“); დ. ვაჩვილიძის („ამხ. ნეტტეს“, „სერგეი ესე-

ნინს", „საუბარი ამხანაგ ლენინთან“, „შინისკენ“), მ. პატარიძის („საკანცელარიო ჩუქუბი“, „სასწაული“, „ჰორიკანა“, „პარიზელი ქალი“), ნ. ნადირაძის („ვერსალი“, „ბრუკლინის ზიდი“), გ. ცეცხლაძის („კარგია“, „ლოზუნგები რიბონებში“) და გ. გაჩეჩილაძის („კეჭვი“ ნოტ ველაიგე). მაგრამ კარგად და ნიჭიერად შესრულებულ თარგმანების გვერდით, ჩვენ უხედეზით ლექსებს, რომლებიც შეიცავენ მთელ რიგ სერიოზულ შეცდომებს.

შევეხოთ საკითხს უფრო კონკრეტულად. ავიღოთ, მაგალითად, ლექსი: „პისუბი მოთხოვით“. ეს ლექსი ეკუთვნის პოეტის შემოქმედების პირველ პერიოდს (დაიბეჭდა 9/VIII 1917). იგი მთელი პოეტურის ძალით მიმართულია იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. ლექსის თარგმანში (მთარგმნელი - კ. ბობოხიძე) მთავარი — სოციალური. სიმახვილე, — სამწუხაროდ, დავაარგულია.

ორიგინალში მძაფრადაა ნათქვამი:

Из каждой страны  
За рабом раба  
бросают на сталь штыка!

ეს ადგილი ასეა თარგმნილი:

„უოველის მხრიდან (!)  
ხედვრია (?) მონის  
ფოლადის ხიშტებს რომ დაეძგვროს. (?)

გამოდის, რომ მონებს კი არ აძებლებენ სისხლის საღერელად წისვლას, არამედ ასეთია — ევით მათი ხედვრა.

თარგმანში ხავესებით წამლილია ორიგინალის ინტონაცია.

პოეტი კითხულობს:

Во имя чего  
сапог  
землю растаптывает  
скрипящ и груб?  
Кто над небом боев?  
Свобода?  
Бог?  
Рубль!

კ. ბობოხიძე თარგმნის:

ვისი სახელით  
ქვეუნებსა (?) თელავს  
მოჭრიალე  
ჩეჭა უხეში?  
ან და, რა არის  
ომის ცის ქვეშ (?) თავისუფლება?

მთარგმნელს ვერ ვაუტყვია, რომ პოეტის აზრით, ომის მიზანია კაპიტალისტების გამდიდრება („Рубль“) და არა მშრომელთა განთავისუფლება. იმიტომ ვასაგებთა მიაყოფსკის მღელვარე შეკახილი:

Когда же встанешь во весь рост  
ты, отдающий жизнь свою им?  
Когда же в лицо им бросишь вопрос:  
за что воюем?

ქართულ თარგმანში ეს სტროფი ასეთი ტაქტოლოგიით იწყება:

აღსდევ, ჩაგრულო,  
სხვისთვის მდგარო (!)



სისხლის გუბეში  
და მტარვალს უთხარ:  
რად გვაბრძოლებ,  
არ გაქვს უფლება.

რა ქართულია: „აღსდევ მღვარო!“ ანდა საიდან მოიტანა მთარგმნელმა ფრაზა: „არ გაქვს უფლება“?

ლექსი თარგმანში გაღარბებულია, და აზრიც დამახინჯებული.

პოეტური ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის დამახინჯების ნიმუშს წარმოადგენს „პოეტი-მუშა“-ს თარგმანი (გ. ხუბაშვილისა).

პირველად სტროფში მთარგმნელს შეაქვს ზედმეტი ფრაზა: „მუშაობა არ გეკადრებათ“, და აზრი უკვე დამახინჯებულია.

ორიგინალში, შესატყვისს ადგილას, იმაზე კი არაა ლაპარაკი: ეკადრება თუ არა პოეტს მუშაობა, არამედ იმაზეა, რომ ფიზიკური მუშაობა ძნელია, პოეტური კი — ადვილი.

Орут поэту:  
«посмотреть  
бы тебя у токарного станка.  
А что стихи?  
Пустое это!  
Небось работать — кишка тонка!»

თარგმანში:

„პოეტს ამგვარად თავს დაპყვიან(?)  
მოდი და სცადე, ხარატივით დადექ დაზგებთან.  
ლექსი რა არის,  
მსუბუქია, თან ადვილია!  
სუსტი წელი გაქვთ — მუშაობა არ გეკადრებათ“ (?)

მთარგმნელის დაუდევრობა უმაღლეს წერტილს აღწევს მესამე სტროფში. ამ მთარგმნელის მიერ სიტყვა „праздник“-ს მნიშვნელობის მცდარაა გაგება სრულებით შეცვალა პირველი ტაქების შინაარსი:

Знаю  
не любите праздных фраз вы

თარგმნილია:

პოეტ,  
არ გიყვარს საზეიმოდ (?) თქმული ფრაზები.

მთარგმნელის აზრით, „праздник“ საზეიმოს ნიშნავს. შემდეგ სტროფში ჩამატებულია ზედმეტი სიტყვები: „არ დაეფასდებათ“, და დამახინჯებულია ბოლო ტაქი: „Голов людских ондемываем дучым“. ეს უკანასკნელი თარგმნილია: „მუხებიდან რომ თავიებსა ვთლით ადამიანთა“. ეს თარგმანი პოეტური საზის სრული დამახინჯებაა. ცხადია, პოეტი სახეში: „Голов дучым“ გულისხმობს ურვალადე ღრმომკმულს, ჩამორჩენილს, რტუინას, ბურჯუაზიული ჩვევების გაღმონათობებს, რასაც ჯერ კიდევ აქვს ფესვები გადგმული ზოგიერთი ადამიანის შევნებაში, და რის წინააღმდეგაც პოეტი იბრძვის.

შეცვლილი და დამახინჯებულია მომდევნო სტროფის აზრიც. სიცხადისათვის მივმართოთ შედარებას, ორიგინალში:

Огромный труд — гореть над горном,  
Железа шипящие класть в закал.  
Но кто же  
в бездельи бросит укор нам?  
Мозги шлифует рашпилем языка!

თუ ამ სტროფის პროზაული თარგმანი: „უზარმაზარი შრომაა, როცა იწვი ბრძმელებთან მღვარო, და საწრთოში აწყობ მოშიშინე რკინას. მაგრამ ვის შეუძლია გვისაყვედუროს უსაქ-მურობა? ვნის კუპოსნით ვაშალაშინებთ ადამიანთა ტყინს“.

გ. ხუბაშვილი თარგმნის:

დიდია შრომა, როს გიზგიზებს ცეცხლით ჭურები.

როცა საწრობში რკინას ღებენ ამიშინებით.

ჩვენს შორის ღუნას(?)

ვინ ჩაუშვებს უსაქმრობით.

მუდამ გვეირღება ენის ქლიბით (?) ქლიბვა ტენებზე



პირველი ტაეპი „гореть над горном“ თარგმნილია: „როს გიზგიზებს ცეცხლი ქურბით“. ბოლო სტროფის მეორე ნაწილი: „ვის შეუძლია გვისაყვედროს უსაქმრობა?“ —

ჩვენს შორის ღუნას (?)

ვინ ჩაუშვებს უსაქმრობით (?)

რამია აქ მთარგმნელის შეცდომა? იგი სიტყვას „ухор“ (საყვედური) თარგმნის, როგორც якорь (ღუნა).

ქვემოთ, მომდევნო სტროფის თარგმანში შეცვლილია ტაეპის, სახელდობრ, „который ведет к вещественной выгоде“-ს შინაარსი, ეს უკანასკნელი სტროქონი თარგმნილია: „ვისაც მიჰყავს ხალხი მოგებადღე (?) მეტი საქონლის (?)“.

აქვე გამოტოვებულია ერთი სიტყვისაგან შემდგარი ტაეპი: „ორივეს“ (ონა).ეს სიტყვა პასუხია პოეტის კითხვაზე: „ვის ვაყენებთ უფრო მაღლა: პოეტს თუ ტექნიკოსს?“ მაშასადამე, ამ სიტყვის გამოტოვებით მთარგმნელი ამახინჯებს მთლიანად ლექსის დედანას.

ლექსი „არაჩვეულებრივი ამბავი, რომელიც შეეშთხვა ვლადიმერ მაიაკოვსკის ზაფხულში აგარაკზე“ მ. პატარიძის მიერ მთარგმნია დამაკმაყოფილებლად.

თარგმანში რამდენიმე ადგილას გვეხვდება ზოგჯერ ტაეპის შინაარსის არა ზუსტად გადმოცემა და ზოგან პოეტური სახის თუთანებული შეცვლა.

მაგალითად: „Скиньте с обложения нуля колесо“ თარგმნილია: „ნოლის ბორბლების საჭიროა ახლა დახევა“ (?) (284 გვ.) „Все нули и цифры скрестя“ თარგმნილია: „მხოლოდ ამ ციფრებს მოაცილეთ ნოლების რგოლი“ (288 გვ.).

ლექსში „ცთამბჯენი ქრილში“ (თარგმ. მ. პატარიძისა) დედანში წერია:

Первый —

ювелиры,

караул бессменный,

Замок

Зацепился ставням о бровь

თარგმნილია:

ოქრომჭედლები,

გუშაგები

ღვანან პირველში

დაარბას ქშენის

ბოქლომები

ძნელგასაღები.

აქვია:

Пятый,

подсчитав

приданные сорочки,

мисс

перезрелая

в мечте о женихах.

თარგმნილია:

თუ რა მოიგო

პერანგებში

ითელის მეხუთე,

ქალი ხნიერი

თან ნატრულობს

საქმროს იღბლიანს.

ლექსში „ბლყ ენდ უაიტი“ (თარგ. გ. გაჩეჩილაძისა) ორიგინალში „вывернулся король-сообразно с ударом, выбросил обе перчатки и ушла“, თარგმნილია: „შებრუნდა მეფე, დარტყმულის მიხედვით, გადაისროლა თათმანები, და წავიდა ფიცხლად“.

საბავშვო ლექსში „ფურცელი გადაშლილი“ (თარგმ. ე. ლაფერაშვილისა) წერია:

«Маленький пеликан  
и пеликан великан.

Это — зебра.

Ну и цаца!

Полосатее

матраца.

თარგმნილია:

„თეთრბუმბულა დადის პელიკანი,  
ფეხებს უშვეენებს წითელი კანი:  
ძალზე უცნაური ზებრის კანია:  
ლეიბზე უფრო ზოლებიანია.“

თარგმანში „სამოქალაქო ომის უკანასკნელი ფურცელი“ (თარგმ. კ. ბობოხიძისა) ერთი გეოგრაფიული ტერმინის მცდარი გაგება ამახინჯებს მთელს სტროფს. ეს ტერმინია „перешеек“. იგი თარგმნილია ყურედ. უნდა იყოს, რა თქმა უნდა, ყელი (ყელი სშველეთის ნაწილია, ყურე — ზღვისა). ყურეზე არ შეიძლება თხრილების გაკეთება, და არც „ყურეებზე“ მღებარე გვაშებზე გადავლა“ შეიძლება, როგორც მთარგმნელს აქვს.

ორიგინალშია:

Они проползали танками рвы,  
выпятив пушек шеи,  
телами рвы заполняли вы,  
по трупам пройдя перешеек.

თარგმანშია:

მტრები გიტყედნენ ზარბაზნიდან  
ცეცხლის დაშენით,  
ორმო-თხრილები გადალახეს  
ტანკთა გრილით.  
შენ-ეი, ავეს ეს თხრილები  
სხვეულით შენით  
და ყურეები (?) გათარე (?)  
გვაშებზე გავლით.

ლექსი „სხლომებსგადაყოლილი“ მაიაკოვსკის სატირიკული შემოქმედების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. ამ ლექსში პოეტი მიმართავს კონცენტრაციის ნაცად ზერხს, სინამდვილის ცალკეული თვისებების გადიდებას, გაზვიადებას, რომ უფრო ნათლად გამოამჟღავნოს მოვლენის არსი.

ცნობილია, ამ ლექსს დიდ შეფასებას აძლევდა ლენინი. ლექსის შინაარსი თარგმანში (თარგ. გ. ლაფერაშვილისა) სწორად არის გადმოცემული. მხოლოდ თარგმანი მხატვრულად ვერ ღვას სათანადო სიმძლავრე. გვხვდება მთარგმნელის მიერ ჩამატებული, ყოველად უგემურია სტრიქონი: „ამს ვერ უშველის დაღრეჯა“ (?).

პოემა „ამის შესახებ“ წიგნში, რატომღაც მხოლოდ ერთი თავით არის წარმოდგენილი: ეს თავია „რედინგის ციხის ბაღადა“, არც „შესავალი“ და არც „შობა ღამეს“ თარგმანში არაა შეტანილი.

კრებულში შეტანილია მაიაკოვსკის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნაწარმოებები: „ელადიმერ ილიას-ზე ლენინი“ (პოემა). პოემის თარგმანი ეკუთვნის მ. პატარიძეს, თარგმანში მრავალი ადგილი კარგად არის გადმოცემული.

მაგრამ პოემის მთელი თარგმანი თანხაბარი სიძლიერით არაა შესრულებული. თარგმანში გვხვდება, თუმცა იშვიათად, აზრის დამამახინჯებელი სტროფები, ტაეებები, ცალკეული სიტყვები, ენის ნორმების დარღვევა.

მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს. 131-ე გვერდზე ლენინზეა ნათქვამი, რომ იგი მიდის სამკედლოში, ასწავლის მუშებს: როგორ მოიტყენენ, რომ მათ ხელფასი მღერმატონ, რა გააკეთონ, თუ

მათ ეჩხუბებათ ოსტატი, რა ქნან, რა ზომებს მიმართონ, რომ ჩაის ასმეულეს მათ ქარხნის პატრონი.

თარგმანის აზრით, მეშებს კი არ ევალებათ მოითხოვონ მეპატრონესგან, ჩანს დასაღვინოს მათ, არამედ, პირიქით, თვითონ „ოსტატა... მოჩხუბარი ადვლემულ წყალს — მანამდე აერ ზურით (!)“. 189-ე გვერდზე (თარგმანში, რატომღაც, პოემის თავების ნუმერაცია ამოღებულია), მესამე გვერდის დასაწყისში ლაპარაკია კომუნისტ მეზობლებზე, რომელნიც შეუდრეველი იყვნენ ზრძოლაში. მათ ვერ აერთობდა ის, რომ მამონტოვის ბანდები ცოცხლად მარხავდნენ მიწაში, და ვერც ის, რომ იამონელები სწავდნენ ორთქლმავლის საცეცხლეში.

ეს ფოლადის თაობა ოცდამეორე იანვარს ვრთვდებოდა საბჭოების ყრილობის ხელსართულიან სახლში (სამგლოვიარო სხლომაზე).

თარგმანის აზრით, საბჭოების ყრილობაზე ხელსართულიან შენობაში „ფოლადის თაობა“, ადამიანები კი არ გროვდებოდნენ, არამედ „იანვრის ოცდამეორე მოგორავდა“.

128-ე გვერდზე მაიაკოვსკი გვიხატავს ძველ რუსეთს, მაღლიდან დახედვად, — დინახად ვაკეს, გაღურჯებულს მდინარეებით. თითქოს ქვეყნის სხეული გაროზგეს ათასი როზგით, თითქოს აუტრეღეს ზურგი მათრახით. მაგრამ გაზაფხულის წყალზე უფრო ღერჯი იყო ბატონეშური რუსეთის ტანი.

გვერდიდან შეხედვად რუსეთს, — სანამდისაც მზერა მიწედება, ზეცის კრიალა თაღამდის აუღდებელი ჩანან: მთები, კატორღა, მაღარობი. მაგრამ კატორღაზე უფრო მტკივნეულია ქარხნის დაზგების მონობა (ცხადია, პოეტს სახეში აქვს ფეოდალიზმი და კაპიტალიზმი).

დედანშია:

Сверху  
взгляд на Россию брось —  
рассинелась речками,  
словно разгулялась  
тысяча роз,  
словно плетью  
исполосована.  
Но синей, чем вода весной,  
синяки Руси крепостной.  
Ты с боков на Россию глянь  
и куда глаза ни кинь,  
ушираются небу в склянь  
горы, каторги и рудняки.  
Но и каторг большее была  
у фабричных станков кабала.

თარგმანშია:

ზევიდან  
ერთი რუსეთს დახედე —  
გაღურჯებულა მდინარის არხით (?),  
თითქოს გაროზგეს იგი თავხედთა,  
თითქოს დასერეს იგი მათრახით.  
თვით გაზაფხულის წყალზე ღერჯია  
ეს ბატონეშური რუსეთის ტანი.  
გახედვად ზეცის (?), ზეცა მერჯია  
და მზერას ზღუდავს  
ლავეარდნი ცანი (?),  
მოჩანს კატორღა, მთები, მაღარო,  
მაგრამ კატორღა სჯობდა კიდევაც,  
ქარხნის დაზგების გადაკიდებას (?).

თარგმანში მდინარეები შეცვლილია არხით, მაშინ როდესაც მდინარეებით რუსეთის მიწის დაქსეულა აეტარს შედარებული აქვს მათრახებით ზალხის ზურგის ატრელებასთან. ესაა სახე ძველი რუსეთისა. ხოლო მეორე სტროფში პოეტი ამბობს, რომ მეშემისათვის კატორღაზე ბევრად მტკივნეული იყო ქარხნის დაზგების მონობა. ეს ნათელი აზრი თარგმანში გაბუნდოვანებულია. რას ნიშნავს „ქარხნის დაზგების გადაკიდება“?

თარგმანში ხშირად გვხვდება ენის ნორმების დარღვევა, პროვინციალიზმები: „დაქიდულო“ (ერემლი დაქიდული), „შუოისაიები“, არ უჩნდა, აზობხებს, ჩინელი... გლებთა დეენილი, სხივა ლაფეარდში ეონავს (?), ვებერთელა, ერემლავს (ლაწეებს), სასწაულქმედი, შვილის ნახალს (?), ტყვილად და სხვ.

პოემის — „ვლადიმერ ილიასძე ლენინის“ — შემდეგ მაიაკოვსკის შემოქმედებაში ყველაზე მომწიფებული და მხატვრულად დასრულებული ნაწარმოებია პოემა „კარვია“.

პოემა კარგად აქვს თარგმნილი ვრ. ცეცხლაძეს. მხოლოდ ერთგვარ თარგმანში (358 გვ.) გამოტოვებულია მთელი სტროფი:

Под-  
хо-  
да-  
те, орлы!  
Будя — пограбили  
Встречай в колы,  
Провожай в грабли!

გვინდა აღენშნოთ თარგმანში შემჩნეული დამახინჯებანი: შეიძუარო, იყავო, ვიხარშეო და სხვ.

მრავალი ლექსი და პოემის სტროფი უძღვნა მაიაკოვსკიმ ახალგაზრდობას, კომკავშირს. პოეტის ყურადღების სფეროს არ გამოპარვია ახალგაზრდობისათვის საინტერესო საკითხები: კომუნისტური მორალის, სიყვარულის, ყოფის, სწავლისა და სხვ.

ამ თემებს უძღვნა პოეტმა საუკეთესო ლექსები: „სერგეი ესენინს“ და „მარუსია მოწამლულა“.

პირველი ლექსის („სერგეი ესენინს“) თარგმანი (დ. გაჩეჩილაძისა) კარგად ვლერს ქართულად. ლექსის „მარუსია მოწამლულა“ (მთარგმნელი ვ. ლაფერაშვილი) თარგმანში მოჩანს შეუწყნარებელი თვითნებობა. მთარგმნელი ხან უმატებს ტაეპებს, ხან მთელ სტროფებს აკლებს, ხან ცვლის სტრიქონებს, როგორც მოეხსიანება.

ლექსის თარგმანში მეორე და მესამე სტროფებს შორის გაწყვეტილია ლოგიკური კავშირი. თარგმანში ვერ გაიგებ, ვინ არის მარუსიას მოწონებული ვაჟი. (ორიგინალში „Он был монтером Ваней“) არ ჩანს ისიც, თუ ვის ეუბნება ვანია „მწარე სიტყვას“ (დღდანში: „Он говорил ей часто“).

მონტიორი სტოვებს მარუსიას, რადგან ლალის უკეთესი თეთრეული აქვს, ვიდრე მარუსიას. თარგმანის აზრით ეი: მონტიორი მარუსიას უწუნებს... ფარჩებს (?).

მეცხრე და მეთექვსმეტი სტროფები მთარგმნელს თვითნებურად აქვს ჩამატებული ოთხი ტაეპი. მაგალითად, თარგმანში: „ფიქრი აღარ აესრულდა, სეედა როგორ დაფარავს“. გაუგებარია: რომელ ფიქრის ასრულებაზეა ლაპარაკი? საიდან მოიტანა ეს სტრიქონი მთარგმნელმა?

მთარგმნელი უგულუბელყოფს მაიაკოვსკის ლაზიბარულ სტილს, სიტყვის ეკონომიას და ერთი სტროფის გადმოსაცემად აყენებს სიტყვების კორიანტელს.

ავილოთ, მაგალითად, ორიგინალის მაქსიმალურად შემკიდროებული და ნათელი სტროფი:

Короткой жизни точка.  
Смертельный яд испит...  
В малиновом платочке  
в гробу Маруся спит.

მთარგმნელს ორჯერ მეტი სიტყვის მასალა სჭირდება იმავე აზრის გამოსათქმელად:

საწამლავე შეიძინა,  
შესევა,  
თავი გასწირა,  
სამუდამოდ დაიძინა,  
ყოფნის ნავი ჩაძირა.  
არ მიიღო ზეჟენა არვის,  
არც ისმინა მუდარა,  
კუბოშია საცოდავე  
და ახურავს სუდარა.

ახლა ენახოთ, როგორ არის გაღმოცემული სახეები სტროფში: სიტყვა „Малиновый платок“ თარგმნილია როგორც სუღარა, მაგრამ განა „платок, платочек“ სუღარას ნიშნავს? მეორეც: ვის გაუგონია სუღარის დახურვა?

ლექსის მეორე ნაწილში მთავარსაკუთარი აუენებს კითხვას: საიდან წარმოიშვა ეს უხანძრო ტომანები? სად ექებოთ წყარო დაცემული განწყობილებისა?

ამ კითხვის პასუხია ლექსის მომდევნო სტროფები. ეს არის ჩვენი ახალგაზრდობის ყოფიანი ფესვგადგმული, ბურჟუაზიული ჩვევები, გაღმონაშთები.

ამ გაღმონაშთებს ჩვენ ვხედებით ქუჩაში, შალაზის ვიტრინებში, კლუბში, ლუდხანაში. აგრეთვე უცხოეთიდან შემოტანილ ზოგიერთ სურათში, რომელიც გამხრწნელ გავლენას ახდენს ჩვენს ახალგაზრდობაზე.

აქვე პოეტი ძალზე ბურჟუაზიული და ჩვენი სოციალისტური ყოფის კონტრასტულ სურათებს, რომ უფრო ნათელი გახდეს ჩვენი, სოციალისტური, ყოფის უპირატესობა ბურჟუაზიულ ყოფაზე. თარგმანში ეს ყველაფერი ნიველირებულია, დამახინჯებული.

დამახინჯებულია აგრეთვე ლექსის ბოლოც. მთავარსაკუთარი ახრით, ადამიანისათვის მთავარია: განსალი სხეული და სულის სიმაღლე. თუ ამ თვისებებით შემკულია ადამიანი, მაშინ როგორც ტანისამოსიც გნებავთ შეუცვლელი მოსკოვის სამკერვალოებს, მოსკოვის ქალიშვილებს თვითონ ისედაც შეუცვარდებით.

ეს ადგილი თარგმნილია:

თუ  
ტანგამართელი (?)  
და სუფთა ჩენები,  
შეუცვლო  
ტანსაცმელი  
მოსკოვის ფაბრიკებს  
და...  
საუკეთესო ქალიშვილებს  
აღარ მოეშვებიან (!)  
მაშინ შენს კისერს.

მთავარსაკუთარი დიდი პოლიტიკური სიმახვილით ააშკარაებდა მახინჯ მოვლენათა ფესვებს.

პოეტი ქმნიდა ყალბი ადამიანების, ბურჟუაზიული ქვეყნის ნაბოლარების, ჩვენს სამშობლოში ჯერ კიდევ გადაუშენებელი მლიქვნელების, დოყლაბების, თვალთმაქცების, კარიერისტების სატირიულ სახეებს.

ამიტომ, როცა მთავარსაკუთარი ყოფითი სიხუსტით გვიხატავს სააგარაკოდ მიმავალ თანამედროვე პომპადურს, პოეტი ამ სახეში ააშკარაებს პომპადურობის საძველ თვისებათა მთელ არსს, დღემდე რომ შემონახულა ზოგიერთი ადამიანის ხასიათში.

მთავარსაკუთარის მრავალი სატირიული ლექსი თანამედროვე სატირის ნიმუშებს წარმოადგენს. ამ წიგნში შეტანილია მხოლოდ სამი: „სხდომებსგადაყოლილი“, „პომპადური“ და „კორიკანა“.

„პომპადურის“ თარგმანი სუსტია, თარგმანის ავტორი (ვ. ლაფერაშვილი) თვითნებურად ამახინჯებს ლექსის ცალკეულ სიტყვებს, სტროქონებს, ასხეაფერებს სტროფს. შავლითად, წინადადებას: „задержать занавеску!“ თარგმნის: ვასწიე (?) ღარდა! ტაქსი: „Расселся, хоть на лбу теши дубовый кол“ — ნათარგმნია: „ღვინით ვალეშელს ახლა თუ გინდ ბეკრი უწირე“ (?). „Прочешь и расходишься, козыряя“. ნათარგმნია: „წაიკითხეთ და დაიშალეთ რას შემაწიხეთ?“ (მთარგმნელის აზრით: „kozyрять“ — „შეწიხებას“ ნიშნავს).

ეს უკანასკნელი სიტყვა მომდევნო სტროფის პირველ სტროქონში მთარგმნელის მიერ სულ სხვანაირად არის გაგებული. „Но что случилось? Не берут под козырек“. თარგმნილია: მაგრამ რა მოხდა? ადგილიდან არაიან ძეგრის (?).

სავსებით შეცვლილი და დამახინჯებულია თარგმანში ლექსის ბოლო.

„კორიკანა“-ს თარგმანი (მ. პატარისის) დამაკმაყოფილებელია.

ლექსში: „ჩვენს ახალგაზრდობას“ კავშირის ხალხთა წარმატებით აღფრთოვანებული მთავარსაკუთარი მოუწოდებდა საბჭოთა სამშობლოს სხედასხვა ერთა ახალგაზრდებს შემქმნდრობულიყვენ დიდი რუსი ხალხის ირგვლივ, შეესწავლათ რუსული ენა.



Товарищи, юноши  
взгляд — на Москву,  
На русский вострите уши.

პოეტო, ამასთან, ხაზს უსვამდა, რომ რუსული ენა ის ენაა, „რომელზედაც დააბრავს და დააბრავს“.

დასრულდა მეტროლო ხალხთა მეგობრობისათვის — მთავრობის, მკვთრად ილაშქრებდა მათ წინააღმდეგ, ვინც, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის რეაქციული იდეებით მოწამლული, ზიანს აყენებდა ხალხთა დიად ქობას.

მთარგმნელი (გ. ხუბაშვილი) თვითნებურად ცვლის, ამახინებს ცალკეულ სიტყვებს, სტრიქონებს და სტროფებს შინაარსს. ყველა მავალითის ამოწერა შეუძლებელია.

დავასახელებთ რამდენიმეს:

ლექსის „ჩვენს ახალგაზრდობას“ დასაწყისშივე დამახინგებულია ორიგინალის აზრი. სახელდობრ, მეოთხე სტროფის ორი ტაქტი:

цветисты бочка!  
из под крыш соломенных,  
окрашенных разнo

მთარგმნელი:

და მოჰანს ჩაღის სახურავქვეშ  
კასრა (?) ვეება (?)  
ათასნაირი ფერებია, ზედ წანაცხები (?)

ამ შემთხვევაში სტროფის აზრის დამახინგებას იწვევს მთარგმნელის მიერ სიტყვის ნიჟმ-ს არასწორი გაგება. მთარგმნელი სიტყვას ნიკ, ნიჟმ თარგმნის, როგორც ვეება კასრი, რაც შეუწყნარებელია.

ამავე ლექსში „Толпа надвигается мазанок“ მთარგმნელია „ბრბონი იძვრიან პაწაწინა თეთრი ფაცხების“, „Когда же переходят к научной теме, им рамки русского узки“ — „ან შეცნირულ თემას, როცა გადაწვდებიან, ივიწროვებენ მეტისმეტად რუსულ ჩარჩოებს“. შემდეგ „პარზი მიუვარს მეტისმეტად, ვანა ვმაღე მე“. „ვანა ვმაღე მე“ მთავრობის არა აქვს. „Я не из кацапов разинь“ მთარგმნელია: „მე არც განვიჩრვი კაცაპებიდან“ — პირიქით. პოეტი ამბობს, რომ მე არა ვარ კაცაპო.

უფრო მეტად არის დამახინგებული მეორემეტე სტროფი. მთარგმნელს, ვტყობა, მკლარად აქვს გაგებული სიტყვები: хлам და из чую-ს შინაარსი. хлам მთარგმნელია, როგორც „ნაგავი“

და უკრაინული სიტყვა: из чую „არა ვიცი რა“

ამიტომ ეს ადგილი:

Однажды,  
забросив в гостиницу хлам,  
забыл,  
где я ночую,  
я адрес  
по русски  
спросил у хохла,  
хохол отвечал:  
— Из чую

ასეა მთარგმნელი:

ერთხელ,  
სასტუმროს ნაგავში (?)  
რომ უცერად  
მოვხვდი (I),  
გადამევიწყდა  
სად ვთავადი ღამეს მახლობლად (?),  
როს ხახოლს ვკითხე  
შისამართო  
ბოდიშის მოხდით (?) —  
— არა ვიცი რა (?) —  
მიასტუხა მან ხოხოლურად.

უკეთესი მდგომარეობა არა გვაქვს ვ. ხუხაშვილის მიერ თარგმნილ სხვა ლექსშიც: „ნოტრ-დამ“.

ლექსის დასაწყისშივე, სტროფში, სადაც პოეტი აგვიწერს ტაძარში შესვლას, პოეტის მთაბეჭდილობას, მთარგმნელს ვერ გავუვი: სიტყვის „желез“ის მნიშვნელობა: ფრანგული „საბურთა“- აგრეთვე სრულებით ზედმეტად შეაქვს სტროფში „ემბაზი“ („ოლერის ემბაზი სამონანზონსთან“), რომლის მნიშვნელობა, ვტყობა, მთარგმნელს არ ესმის, თორემ როგორ შეიძლება ემბაზის დაღერა? (ემბაზი — საბანელი განსაწმენდელი — ასე განმარტავს საბა ამ სიტყვას).

Да надо  
быть  
бережливым тут,  
адром  
чего  
не полортив,  
В особенности,  
если пойдут  
Громить  
префектуру  
напротив.

ვ. ხუხაშვილი ასე თარგმნის:

მგრამ აქ გეშარტებს  
სიტრახილუ და  
გასათუთება,  
— შეკრული ბირთუდ (?)  
— თუ დაიძრა  
ხალხი უტოცხვი,  
სამაში არი, განსაკუთრებით  
ნგრევედ წასული,  
პირდაპირ მღვარ  
პრეფექტურისათვის,

ადრო აქ უემბარაა, და არა ბირთვი, როგორც ჰგონია მთარგმნელს:

ლექსში „ქალაქი“ მთარგმნელი (ვ. ხუხაშვილი) საშინლად ამპოინჯებს ფრანგულ ენას, როდესაც „Je suis un chateau“ (ესე იგი „მე ვარ აქლემი“) ქართულად წერს: „ოე სუის ნუ ხამენაუ“. ფრანგულის წყითოხვა თუ არ ეხერხებოდა მთარგმნელს, დაეტოვებია ისე, როგორც წერია ტექსტში: საღ იყენენ რედექტორებო, როდესაც ასეთ საოცარ უეიოებას უშეებდნენ? ამავე ლექსში წერია:

Но кому я, к чорту, получник? თარგმანშია: „ემშაკმა იღის, თანამგზავრად ვინ ეის მოსდედა?“ აქვია: „мы рядом пойдём дорожкой пыльной“ — „ჩვენ ერთად ვევილი მე და გზაზე ავილი მტვერი“ — საინტერესოა როგორ იღლის მტვერი მთავოვსკისთან ერთად?

მხატვრული თვალსაზრისით ასევე დაბალ დონეზე დგანან ლექსების: „ამერიკელებს უკვირთ“ (თარგმ. ვ. შუბლაძისა), „მოსავლის მარში“ (თარგმ. კ. ბობოხიძისა), „ფერცელო გადაშლილო, გვაჩვენე ღოში ან სპილო“ (საბავშვო თარგ. ვ. ლაღერაშვილისა) თარგმანები.

ლექსში „ამერიკელებს უკვირთ“ მრავალი ტექნია მთარგმნელს მიერ თვითნებურად შეცვლილი. მესამე სტროფი კი მთლიანად მთარგმნელის საკუთარი შემოქმედებაა. აქვე ვხვდებით უცნაურ გამოთქმას: „ამერიკა... რქის სათვალღდან თითქოს ცვითავს (?) საბჭოთა კავშირს (!)“.

„მოსავლის მარში“ მთავოვსკიმ დაწერა 1929 წელს კოლექტივიზაციის ახლად გატარების პერიოდში.

ლექსის ერთ-ერთ სტროფში მთავოვსკი ხაზს უსვამს მეცნიერების როლს მოსავლის გადღების საქმეში:

Поля пройдут науку  
под ветром-игруном.  
длени на дружбу руку,  
Товарищ агроном!



ეს სტროფი კ. ბობოხიძეს ასე უთარგმნია:

სწავლებას მინდორიც შეიგნებს (?),  
 თამაში ქარწივამ ადროვს (?),  
 გესურს, ჩვენთვის შეგობრად შეიქმნეს (?),  
 საღამი ამხანაგ აგრონოსს!

თარგმანს განმარტება აღარ სჭირდება. მკითხველი ადვილად მიხვდება, როგორ დაუდევრო-  
 ვას იწუნს მთარგმნელი ორიგინალის ბრწყინვალე სტრიქონებისადმი.

აქვე, ლექსის დასაწყისსა და შემდეგ იმავე სტროფის (რეფრენის) თარგმანში, ეხედებით  
 ასეთ თქმას: „მიწაო გასიერცხულო“. რას ნიშნავს გასიერცხული მიწა? რომელი ლექსიკონი-  
 დან მოიტანა ეს სიტყვა მთარგმნელმა? ან რისთვის დასჭირდა იგი?

გაღარიბებული და დამახინჯებულია თარგმანში მიაკოესკის შესანიშნავი საბავშვო პოემა:  
 „Прочти и катая в Париж и Китай“ (თარგმ. ვ. ლაფერაშვილისა).

ამ პოემის მესამე თავში ლაზარაკია თვითმფრინავით მოგზაურობაზე:

Помни, кто глотает полез,—  
 рот зажимите крепко,  
 чтоб не плюнуть с поднебесь  
 дяленьке на кепку!

თარგმნილია:

ცაში სიყელქე არ გინდათ (?),  
 ვე საქმე იქ არ ივარგებს (?),  
 აქნება ღიდ სიმაღლიდან  
 ჩამე გაღმოგეარდეთ (?).

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის რედაქცია, სამწუხაროდ, ვერ ღვას მიწოდების  
 სიმაღლიზე.

„ფრთხილი მარში“-ს მესამე სტროფი:

ქალბატონ ინგლისს  
 გოშეებმაც ხმა მიაშველეს,  
 ყვეფან და  
 მადა გაეღვიძათ  
 ახალ ფრანგელებს

რედაქტორებს თვითნებრად ასე „შეესწორებიათ“:

ქალბატონ ინგლისს  
 გოშეებმაც მიუალერსა (?),  
 ყვეფან და მადა გაეღვიძათ  
 ახლა ფრანგებსაც (?).

კრებულს წინ უძღვის ერთ-ერთი რედაქტორის — ვ. ლაფერაშვილის წინასიტყვაობა.  
 წინასიტყვაობის შინაარსი ზერელე ხასიათისაა. იგი ჩამორჩება თანამედროვე საბჭოთა  
 კრიტიკის დონეს. მეტიც: სტატია შეიცავს სერიოზულ შეცდომებს.

წერილში არ არის გაშუქებული მიაკოესკის შემოქმედების საში ეტაპი. მისასაღამე, არა-  
 ფერია ნათქვამი იმ შეცდომების შესახებ, რომლებიც ახასიათებდა პოეტს შემოქმედების პირ-  
 ველ ეტაპზე.

სტატიაში მიაკოესკი წარმოდგენილია, როგორც შემოქმედების დასაწყისიდანვე დასრულე-  
 ბული რევოლუციონერი, სოციალისტური რეალიზმის მოპწიფებელი ოსტატი.

ასეთი კონცეფცია კი ნიშნავს მწერლის იდეურ და შემოქმედებით სრულად კომუნისტური  
 პარტიის გადაწყვეტი როლის დაეწეებას.

„პრავდამ“ გარკვევით მიგვიითთა, რომ მიაკოესკის პოეზიის ძალია და სიღვიძის დასა-  
 ხატავად საჭირია ღრმად და სიშარტლით დაეახასიათოთ სიტყვის შესანიშნავი ოსტატის შემოქ-  
 მედებითი გზა, ცხადყოთ, თუ როგორ მიადწია მან, რევოლუციური სინამდვილის გავლენით,

კომუნისტური პარტიის იდეების კეთილშობილი ზეგავლენით სოციალისტური რეალიზმის წვერვალზე.

„ახალგაზრდა მთავრობის თავის შემოქმედების გზის დასაწყისში მარტის 21-ს დაეწინააღმდეგა უცხო გავლენები; მათ შორის გავლენა ფურტერისტო დეკლარირებული ჯგუფისა, რომელშიც იგი ერთხანს იმყოფებოდა. მის ცალკეულ რევოლუციამდელ ნაწარმოებებში კიდევ ისმოდა პესისტური ნოტები, ამ ნაწარმოებებს, აგრეთვე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაწერილ ზოგიერთ ლექსს, ახასიათებს სახეთა განყენებულობა, ხერხების ვართულება. მუდარი იყო პოეტის ზოგიერთი ესთეტიკური აზრიც. სწორი არ იქნებოდა დემილით აგველო გვერდი ურველოვე ამისათვის, თუმცა, ცხადია, მის გზას განსაზღვრავს არა შეცდომები, არამედ მძლავრი იდეური და შემოქმედებითი ზრდა: მთავრობის ძირეული შეხედულებანი ცხოვრებასა და ხელოვნებაზე უცხო და მტრული იყო ფურტერისტიკისა“ („პრაქტა“ 2. III — 53).

რა არის მთავარი მთავრობის შემოქმედების ამ პერიოდში? ცხადია, ახალგაზრდა მთავრობის რევოლუციური შეგნების ზრდა, აგრეთვე ის ნაწარმოებნი, რომლებშიაც გამოხატულია ეს ზრდა და რომლებზედაც უნდა იქნეს მიყრდნობილი მკვლევართა აზრი.

სტატიამი არაფერია ნათქვამი მთავრობის შემოქმედების დამახასიათებელ რევოლუციურ რომანტიკაზე, რომელიც სოციალისტური რეალიზმის განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

საჭირო იყო წინასიტყვაობის ავტორი შეხებოდა ტიპიზაციის საკითხს მთავრობის შემოქმედებაში, სატირას, პოეტის ბრძოლას ახალი, კომუნისტური მორალისათვის, კამიბალისტური ნათქვამის წინააღმდეგ და სხვ.

დასასრულ, კარგი იყო, გამოცემლობას მეტი ყურადღება მიექცია კორექტურისათვის. წიგნში გვხვდება აზრის დამამაზინებელი კორექტურული შეცდომები, რომელთა თავიდან აცილება ადვილად შეიძლებოდა.

ჩვენ განვიხილეთ კრებულში მოთავსებული თარგმანების დიდი ნაწილი. აქედან ჩანს, რომ თარგმნილი. მასლის უმეტესი ნაწილი ვერ გვაძლევს, ვიმეორებთ, წარმოდგენას ჩვენი ეპოქის უნიკურესი პოეტის შემოქმედებაზე. კიდევ მეტი, როგორც ენახეთ, ზოგიერთ თარგმანში დამაზინებელია ორიგინალის შინაარსი, რომ არაფერი ვთქვათ ფორმის გალარობებაზე.

ჭარბული პოეტების ვალია, მთავრობის შემოქმედების შინაარსის, სახეებისა და ინტონაციის შენარჩუნების საფრთველზე, შექმნიან პოეტის ლექსებისა და პოემების სრულფასოვანი თარგმანი, რომელიც დაიპერს ღირსეულ ადგილს ქართული პოეზიის სიგანძურში.

პას. გომ. გ. გ. გ.



33



და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავი — ანს. კ. ე. ვარკარიშვილის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზვიამო სხდომაზე 1953 წლის 6 ნოემბერს

მხატვრული ლიტერატურა

ლაპტინის ტაბიძე — ოქტომბრის დროშით. ლექსი . . . . .	17
სამხ ნონაშვილი — სომხეთში, ლექსები . . . . .	20
ლიმინტი გოგიანიძე — ახალი ნერგი. მოთხრობა. პირველი ნაწილი . . . . .	35
სურ დილისაბაძე-შანიანი — მეწვეთ. ეტაუდი . . . . .	81
სინდრანათ თაგორი — ჩემი ბაღის ყვავილები. თარგმანი ლავროვიძის . . . . .	86
სამხილ მუხომი — ლექსები. თარგმანი შაგალი თოდუასი . . . . .	95
სან ვოლფგანგ გოტიე — ფაუსტი. გავრცელება. თარგმ. ალ ქუთათელისი . . . . .	99

ლიტერატურული კრიტიკა

სურ დილისაბაძე — შენიშვნები 30-იანი წლების ქართულ საბჭოთა ლიტერატურაზე. წერილი . . . . .	113
სამხ ბაჭყალიანი — პოეტური თარგმანის საკითხები. წერილი . . . . .	138
სამხილ ქაქელიძე — ილია ალბაზიშვილი. წერილი . . . . .	155
სან ვოლფგანგ გოტიე — კომეკოში და ქართული საბჭოთა ლიტერატურა. წერილი . . . . .	163

ბიბლიოგრაფია

სან ვოლფგანგ გოტიე — ვლადიმერ შაიკოვსკი ქართულად . . . . .	169
--	-----

ჩედაქტორი

ალეო მირცხულავა

სარედაქციო კოლეგია

ნიკოლოზ აბიაშვილი (მასუბისმეგობელი მღვანე), დიმიტრი აბიაშვილი, ნიკო ქაცორაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხეიძე, სერგი ბილაია.

ბელმოწერილია დასაბეჭდად 3/XII-53 წ. ნაბეჭდ ფორმითა რაოდენობა 11¼ ტომ 13472 შუკე. № 855. ტირაჟი 5.300.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლოგრაფიამოწვევლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Грузполиграфиздата при Совете Министров Грузинской ССР. Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.

ჩედაქტორის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. 5. ტელეფონი 3-23-42.